იპოვო

ჭეშმარიტება

მრავალ მოსაზრებათა

შორის

ლიზა ბევირი

ნიუ-იორკ ტაიმსის ბესტსელერის ავტორი

ძვირფასო მკითხველო,

მინდა „ღვთის მთაზე“ გამოგზაურო. ეს არის ადგილი, სადაც შეძლებ ისწავლო ღვთის ურყევ ჭეშმარიტებასა და სიყვარულში დარჩენა და უფრო მეტიც, სადაც გადაწყვეტ რომ გახდე მოუდრეკელი, ურყევი, შეუპოვარი და მტკიცე.

სწორედ ახლაა ის დრო, როცა მოუდრეკელი უნდა იყო სიყვარულსა და ჭეშმარიტებაში. ღმერთი სიყვარულია. ღმერთი ჭეშმარიტებაა. სიყვარული, ისევე როგორც ჭეშმარიტება, მარადიულია და აღემატება ჩვენს თანამედროვე ტენდენციებსა და მოსაზრებებს.

ღვთის გეგმა ჩვენზე ვლინდება მაშინ, როდესაც მასში ვიდებთ ბინას. სწორედ მასში ვყალიბდებით და ფორმას ვიღებთ. მე ვლოცულობ შენთვის მეგობარო, რომ ქრისტეში, შენს ქვაკუთხედში დარჩენისას, მოუდრეკლად ჩამოყალიბდე.

დარჩი ერთგული! დარჩი მართალ! დარჩი ძლიერი!

ლიზა
LisaBevere@ymail.com

ძვირფასნო,

ვლოცულობ, რომ ჭეშმარიტების გაყოლისას,
სიყვარული აღმოაჩინოთ! ამ სასტიკ სამყაროში,
გაბედულება გჭირდება, რომ იყო ნაზი, როგორც
ყვავილი, და მტკიცე, როგორც ალმასი დარჩი
ერთგული! დარჩი მართალი! დარჩი ძლიერი!სიტყვით
და საქმით გაინათე გზა თავშესაფარ კლდემდე!იყავი
თავდაჯერებული! შენ ვერ დაეცემი, რადგან
დაუძლეველი ქვისგან ხარ გამოთლილი.

„არ არსებობს იმაზე მტკიცე საძირკველი, ვიდრე კლდე, რომელშიც მოწოდებულნი ვართ ჩვენი ცხოვრების, ქორწინების და ოცნებების ასაშენებლად. ლიზას ახალი წიგნი *„ანდამატი“* იქნება გამოწვევა თქვენთვის, რომ აღმოაჩინოთ მეტი იმაზე, თუ ვინ არის ღმერთი, და თავის მხრივ, მეტი იმაზე, თუ ვინ ხარ შენ“.

სტივენ ფარტიკი, ამაღლების ეკლესიის მწყემსი,
ნიუ-იორკ თაიმსის ბესტსელერის ავტორი

„დღევანდელ მსოფლიოში სრული გაურკვევლობაა. რთულია, იცოდე, ვის ან რას ერწმუნო. სწორედ ამიტომ, ლიზა ბევირის ახალი წიგნი „ანდამატი“ საოცრად დროულია. ლიზა თავდაჯერებული, დაბალანსებული და მოხდენილი წერის მანერით მიგვიძღვება სულიერ მოგზაურობაში ურყევი ჭეშმარიტებისაკენ. მისი სიტყვები მარადიული და ამასთანავე დროულია, გვეპატიჟება უკან, სიწმიდის, სტაბილურობის და შეჭმარიტების ადგილას, რომელიც ქრისტეშია დამკვიდრებული“.

კრეიგ და ემი გრუშელები, სიცოცლის ეკლესიის მწყემსები,
ავტორები წიგნისა *„დღეიდან წინ!“*

მნიშვნელოვანი. დამაფიქრებელი. მამხილებელი. ლიზა ბევირი დაუცხრომელია თავის რწმენაში, იდგეს ჭეშმარიტებაზე და ჭეშმარიტებისათვის. მისი მჟღერი ხმა გვახსენებს, რომ ჭეშმარიტებას სახელი აქვს, და ჩვენ ვიცით ეს სახელი. თუ შენ ესწრაფი საიმედო ადგილს, შენი ცხოვრების ღუზის ჩასაშვებად, (და ჩვენ ყველა ასე ვართ), *„ანდამატი“* გაგიძღვება ერთადერთი უცვლელი კლდისკენ – იესოსაკენ. ყოველთვის ახლოს გქონდეთ ეს წიგნი, და ხშირად გადაშალეთ მისი მამხილებელი გვერდები!

ლუი და შელი გიგლიოები,
Passion Conferences-ის დამაარსებლები

„ვაუ! ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა ლიზამ საოცარ წარმატებას მიაღწია: „როცა ჭეშმარიტება კარგავს სიმყარეს და თხევადი ხდება, ჩვენ ვკარგავთ მნიშვნელოვან პასუხებს. ნამდვილი ჭეშმარიტება კლდეა, მოუდრეკელია, განუყოფელია, ურყევია,

დაუძლეველია“. ბიბლიური ჭეშმარიტება, რომელსაც ლიზა ამ წიგნით გადმოგვცემს, განსაკუთრებით სჭირდება იმ თაობებსა თუ კულტურებს, ვისთვისაც ჭეშმარიტება ტენდენციებთან ერთად იცვლება“.

ქრისტინე ქაინი, ბესტსელერი ავტორი და *A21 კომპანიის* და Propel Women-ის დამფუძნებელი.

„როგორც საუკეთესო ქსოვილისგან დამზადებული ლამაზი გობელინი, *„ანდამატი“* აერთიანებს ლიზა ბევირის საუცხოო ვნებას, მგრძნობელობას და ღვთიურ ნიჭს, რომელიც ქარის მსგავსად თავისუფლებას ანიჭებს მკითხველს. ბევირი სიყვარულით და გაგებით მიგვიძღვის მოგზაურობაში, რომელიც ცვლის ჩვენს გონებას, კურნავს ჩვენს გულს და ავსებს ჩვენს სულს ღვთის სრულყოფილი გეგმის გამოცხადებით ჩვენს ცხოვრებაზე“.

შარა ჯეიკს რომერტსი, ავტორი წიგნისა
„ნუ დაეთანხმები მხოლოდ უსაფრთხოებას!“

„ეს წიგნი ძალიან ღრმაა სიბრძნით, თან ძალიან პირადულია. ლიზა ნიჭიერი მწერალი და სანდო მეგობარია, რომელიც მიგვიძღვის ქრისტეში ჩვენი რეალური ვინაობის აღმოჩენისთვის“.

შეილა ვოლში , ავტორი წიგნისა *„არეულობის შუაგულში“*

„ამ ახალი, შეუპოვარი წიგნის გვერდებიდან, ორი უწყება განსაკუთრებული აღმოჩენა იყო ჩემთვის ქრისტესა და მისი სამეფოს შესახებ. „ჩვენი შიშებისგან გაძარცვულნი, დაბნეულობით და გაურკვევლობით გავხდით შემოსილნი“ და „როცა ჭეშმარიტება კარგავს სიმყარეს და თხევადი ხდება, ჩვენ ვკარგავთ მნიშვნელოვან პასუხებს“. ეს ორი ფრაზა განსაკუთრებით ღრმა ხდება, როცა რეალურ ცხოვრებაში გადმოგვაქვს. მოუთმენლად ველი იმ ძვრებს და დამოწმებებს, რასაც ეს წიგნი მოიტანს. რეალობას ჩაბღაუჭებულ სამყაროში შენ შეგიძლია, იპოვო: სიბრძნე მოგზაურობისთვის, თავდაჯერებულობა რწმენაში, წყალობა - იყო შვილი, რომელიც ნამდვილად ხარ, და გამბედაობა — გახდე სხვებისთვის ნათელი ბნელში“.

ბობი ჰიუსტონი, ჰილსონგ ეკლესიის დამხმარე მწყემსი

„მრავალი მქადაგებელი და ავტორი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ მოუდრეკლად იესოსთვის, მაგრამ ლიზა ბევირი რეალურად განმარტავს ამ ყველაფერს. ეს წიგნი არის სულიწმიდით შთაბერილი და ცხადია, რომ იგი გახდება კურთხევა ლიზას ცხოვრებაში“.

ჰეზერ ლინდსი, ავტორი/ სპიკერი

„არასდროს დამავიწყდება წუთი, როცა ლიზამ თავისი გეგმები გამიზიარა წიგნის *„ანდამატის“* დაწერის შესახებ. იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ მგრძნობიარე და თანაც ასე დროულმა თემამ, რომ მანქანაში ვიჯექი და გრძნობდი, როგორ ჩამომდიოდა ცრემლები სახეზე. მსოფლიოში, რომლისთვისაც ჭეშმარიტება შეფარდებითია, ლიზა შთამბეჭდავად იგდებს ხელში რთულ საკითხებს, პასუხობს მიწიდან ამოთხრილ კითხვებს და აშენებს ბიბლიურ საძირკველს, რომელსაც წლების განმავლობაში შეგვიძლია, დავეყრდნოთ. ლიზამ ეს კვლავ მოახერხა! ის წერს წიგნებს, რომლის კითხვაც ყველას გვიყვარს, მაგრამ ამავდროულად, აღმოვაჩენთ, რომ გვჭირდება კიდეც ამის წაკითხვა“.

ჰავილა ქუნინგტონი, Truth to Table-ის თანადამაარსებელი

„ძალიან აღელვებული ვარ ლიზას ამ ახალი წიგნით. ის ჩვენი ძვირფასი მეგობარია და ძალიან დროული სიტყვა მოაქვს. ის და ჯონი, წარმოუდგენელი მეგობრები და ლიდერები არიან ჩვენს ცხოვრებაში. გაოცებულნი ვართ იმით თუ რას აკეთებს ღმერთი ისევე როგორც მათ ცხოვრებაში, ასევე მათი ცხოვრების მეშვეობითაც“.

ბრაიან და ჯენ ჯონსონები, Bethel Music-ის დამაარსებლები

ანდამატი

ასევე ლიზა ბევირის მიერ:

„კონკურენციის გარეშე“
„გოგონები ხმლებით“
„ძუ ლომის გამოღვიძება“
„იბრძოლე, როგორც ქალმა!“
„აკოცე და აატირე!“

ანდამატი

იპოვო

ჭეშმარიტება

მრავალ მოსაზრებათა

შორის

ლიზა ბევირი

Adamant by Lisa Bevere, Georgian
© 2019 Messenger International
www.MessengerInternational.org
Originally published in English as Adamant
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download at: www.CloudLibrary.org
To contact the author: LisaBevere@ymail.com

„ანდამატი“ ლიზა ბევირი ქართულად
© 2019 Messenger International
www.MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
ჯონ და ლიზა ბევირისაგან, დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე
ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.CloudLibrary.org
ავტორის ელ.ფოსტის მისამართია: LisaBevere@ymail.com

სარჩევი:

მადლიერება 13

1. ანდამატი 15
2. ანდამატივით პირადი 31
3. ანდამატივით მუდმივი 47
4. ანდამატივით სიყვარულში 57
5. ანდამატივით იმაში, რაც ჩვენ გვიყვარს 75
6. ანდამატივით სიძულვილში 103
7. ანდამატივით ჭეშმარიტებისთვის 129
8. ანდამატივით სიტყვაში 141
9. ანდამატურად ტრანსფორმაცია 165
10. ანდამატივით სიწმიდეში 191
11. მე ანდამატი ვარ 207

დანართი 1: ბიბლიის დამატებითი
 პასაჟები მე-6 თავისთვის 219

დანართი 2: გაკვეთილები იგავებიდან
 და ეკლესიასტედან 223

შენიშვნები 228

მადლიერება

რაბინ ბრაიან ბილეკს: მადლობა ძველებრაულსა და წინასწარმეტყველებებში გაცნობიერებისთვის.

შკოტ ლიდსის ცხოვრების რწმენიდან: ყოველთვის მეხმარებოდით, ვყოფილიყავი საზრიანი.

ანდრეა დოურინგს: შენთან ერთად მუშაობა ოცნებაა.

მესენჯერ ინთერნეიშენალის გუნდს: ამ ყველაფერს თქვენ გარეშე ვერ გავაკეთებდი.

ანდამატი

„შეხედეთ კლდეს, საიდანაც გამოიკვეთეთ და ორმოს ღრმულს, საიდანაც ამოითხარეთ“.

ესაია 51:1

წელიწადზე მეტხანს ვფიქრობდი ამ მუხლზე და აღმოვაჩინე რომ დატყვევებული ვიყავი ამ კლდის, ამ ქვის, ამ ... ანდამატის (მოუდრეკლის) არსით.

ვიცით, რომ ეს სიტყვა (ინგ. adamant) უძრავს, შეუღწევადს, შეუდრეკელს ნიშნავს მოსაზრებასა თუ პოზიციაში. და შესაბამისად, სიტყვა მოუდრეკელმა უფრო მეტად ვიდრე ამას იმსახურებდა, სიჯიუტის რეპუტაცია შეიძინა. თუმცა ის ზედსართავი სახელები თუ ზმნიზედები, რომლებთანაც ხშირად მოუდრეკელია გაიგივებული, სინამდვილეში სულაც არ არის ამ სიტყვის რეალური მნიშვნელობა. მოუდრეკელი თავდაპირველად იყო არსებითი სახელი, როგორც ოცნება.

ანდამატის ცნებას უძველესი, მითიური ისტორია აქვს. ანდამატი თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ქვა. უფრო სწორად, როგორც უცნობი ქვა. ის წარმოადგენდა მოუხელთებელ მინერალს, რომლის არსებობის შესახებაც უძველეს საბერძნეთში არსებობდა ჰიპოთეზა. სწორედ ეს იყო ადგილი, სადაც მეტაფიზიკოსებმა, ფილოსოფოსებმა და მისნებმა პირველად წარმოიდგინეს განსხვავებული ქვის არსებობა. ეს იყო მინერალი, რომელიც ისე მჭიდროდ იყო

დახვეული, რომ შეუღწევადი იქნებოდა და მის გატეხას ვერავინ შეძლებდა. ბზარები ნატეხებსა თუ ფრაგმენტებზე, ძლივს თუ იქნებოდა რამდენიმე და თანაც... დაუძლეველი.

ამ ქვას ექნებოდა არაჩვეულებრივი უნარი, მიეზიდა და უკუეგდო საგნები. მას შეეძლებოდა გაჭიმვა, თუმცა თვითონ ვერ გაიჭიმებოდა, იქნებოდა მაგნიტური, თუმცა უძრავი. ამ ქვას უნიკალური ურთიერთობა ექნებოდა სინათლესთან. შესაფერისი იქნებოდა სხივების მოგროვების, ფოკუსირების და მათი სიკაშკაშის გადამისამართებისთვის. ცეცხლი ვერ შეძლებდა მის ნაჭუჭში შეღწევას და ცეცხლის ალის ზემოქმედების შემდეგ, ისევ გრილი იქნებოდა, ხელს თუ შეახებდი.

ეს მხოლოდ რამდენიმეა იმ თეორიული თვისებებიდან, რომელიც ამ მოუდრეკელ მადანს ექნებოდა. ყველაზე რთული ნაწილი მისი აღმოჩენის საქმე იყო. იქნებ, მისი პოვნა დედამიწის ბნელ გულში შეიძლებოდა? იქნებ, ეს ქვები ცეცხლით იბადებოდნენ და ვულკანის მუცლიდან გამოთავისუფლდებოდნენ? ან იქნებ ეს საოცარი ქვები ზღვების სიღრმეებში იყო დამალული? იქნებ, ღმერთებმა განსაკუთრებული ღირსებით დააჯილდოვეს?

ბერძნებმა ამ იდუმალ ქვას უწოდეს „*ადამას*“, რაც დაუძლეველს ნიშნავს. და იმის მიუხედავად, რომ მისი არსებობის დამადასტურებელ სულ მცირე მტკიცებულებასაც ვერ მიაგნეს, ისინი მაინც ოცნებობდნენ ამ ქვის გამოყენებაზე.

ამ მინერალიდან იარაღებს გამოადნობდნენ. „*ადამასისგან*“ დაამზადებდნენ ხმლებს, ნაჯახებს, დანებს, რომლებიც ბრძოლისას არ დაიმსხვრეოდა და ფარებს, რომლებიც არ გატყდებოდა. „*ადამასისგან*“ გამოყვანილი უთხელესი ისარი ყველაზე რთულ სამიზნეშიც ადვილად შეაღწევდა. და ჯავშანი? „*ადამასის*“ შეუღწევად ჯავშანში შემოსილი მეომრები უძლეველად მიიჩნეოდნენ. მათ ვერც წყვდიადი შეაჩერებდათ, „*ადამასის*“ დატყვევებული სხივები მტერს დააბრმავებდა მაშინაც კი თუ ეს ქვა გამარჯვების გზას უნათებდა.

ამ ქვის არსებობის დაუძლეველმა რწმენამ თეორიის საზღვრები ნელ-ნელა გააფართოვა ჩრდილოეთით, ევროპისაკენ, სანამ დიდი ბრიტანეთის სანაპიროებსაც არ მიაღწია. სწორედ აქ გადაიქცა ბერძნული სიტყვა „*ადამასი*“, ჩვენთვის ნაცნობ ანდამატად. და ეს გამომჟღავნებას ელოდა.

როდესაც ძვ.წ.აღ. 400 წლისთვის ინდოეთში ალმასი აღმოაჩინეს, ხალხს ეგონა რომ დიდი ხნის ნანატრი ანდამატი

იპოვეს. არც ერთ ქვას არ ჰქონდა ისეთი სიმტკიცე, როგორც ალმასს. ქვესკნელის ცეცხლში დაბადებული ყოველი ქვა, მხოლოდ ფრაგმენტია ალმას-ანდამატის ძალაუფლების ქვეშ. ეს ძვირფასი ქვები, ისეთი მძლავრი ცეცხლის და წნევის წიაღში იბადებოდნენ, რომ ყველა მომცრო ელემენტი ნადგურდებოდა და რჩებოდა მხოლოდ კრისტალური ალმასის ფორმის ნახშირბადი.

საუკუნეების განმავლობაში სიტყვები ანდამატი და ალმასი, სინონიმებად გამოიყენებოდა: დაუძლეველი, ურყევი, ურღვევი რაიმეს დასახასიათებლად. მქადაგებლების პრინცად წოდებული ჩარლზ სპურგიონი, და პურიტანული ლეგენდა ჯონ ბუნიენი, იმეორებენ ზაქარია წინასწარმეტყველის სიტყვებს, როდესაც მან კაჟზე უმაგრესი ანდამატის გული დაიტირა, როგორც ღვთის სიტყვისათვის შეუღწევადი.

> „გულები გაიქვავეს, როგორც *ანდამატის* ქვა, რომ არ ესმინათ რჯული და სიტყვები, ცაბაოთ უფალმა რომ მოავლინა თავისი სულით წინანდელ წინასწარმეტყველთა მეშვეობით; ამიტომ იყო მათზე დიდი რისხვა ცაბაოთ უფლისგან“. (ზაქარია 7:12)

(ინგლისურ თარგმანში სიტყვა „გაიქვავეს“ შედარებით ძველ თარგმანებში გამოხატული იყო სიტყვით *„ანდამატი“*, თანამედროვე თარგმანებში კი ეს სიტყვა „ალმასმა“ ჩაანაცვლა.)

მხოლოდ გვიან 1700-იანი წლებიდან აღმოაჩინა ფრანგმა მეცნიერმა ანტუან ლავუიეიერმა, რომ ძლიერი სიცხისა და ჟანგბადის პირობებში, ალმასი ორთქლდება. ამ აღმოჩენამ გააქრო ასოციაცია სიტყვა *ანდამატსა* და *ალმასს* შორის და ურღვევი, ურყევი, დაუძლეველი ანდამატის ძებნაც თანდათან წარსულს ჩაბარდა. ის, რაც არასდორს იყო რეალობა – დაახლოებით ეს მნიშვნელობა შეიძინა სიტყვა ანდამატმა. მაგრამ ადამიანები აგრძელებდენ ოცნებას. ტოლკინის ნაშრომებიც თითქოს ეთანხმება ანდამატის მითიურ წარმომავლობას. ორ ათასწლეულზე მეტი, ადამიანები ეძებდნენ ანდამატს, თუმცა უშედეგოდ. და მაინც გაკვირვებული ვარ...

საიდან დაიწყო ეს ძებნა? ხომ არ ყოფილა ანდამატის არსი ღვთის მიერ ჩაგდებული შთაგონების მარცვალი? რატომ ოცნებობდნენ იმაზე, რაც არავის უნახავს, ან რატომ ეძებდნენ უცნობს? იქნებ, ეს ქვა ჩვენს შორისაა და ვერც კი ვხვდებით. ან იქნებ, ანდამატის დანიშნულება არასდროს ყოფილა ომის

იქნებ, ანდამატის დანიშნულება იმის ამოთხრაა, რაც ჩვენშია?

იარაღად ყოფნა და განადგურება. იქნებ, მისი დანიშნულება დაცვა და თავშესაფარია. იქნებ, ქვა, რომელსაც ვეძებთ ყველაფერს მოიცავს. იქნებ, ანდამატის დანიშნულება იმის ამოთხრაა, რაც ჩვენშია? ისეთ სამყაროში, სადაც ჭეშმარიტება მუდმივად იცვლება თანამედროვე ტენდენციებთან და კულტურასთან ერთად, ნუთუ არ იქნებოდა სასიამოვნო, რომ გვქონდეს რაიმე მუდმივი?

ურყევი?

დაუძლეველი?

უცვლელი?

იქნებ ეს ფიქრები არაფერია თუ არა სულელური კითხვები არარსებული ქვის შესახებ. ყველაფერთან ერთად, დღევანდელ დროში არავინ მიდის ძლევამოსილი ქვების საძებნელად. ჩვენ რეალისტები ვართ, ვიცით, რომ ვარსკვლავები მხოლოდ მნათობი ორთქლია. ჩვენ გვივლია უსახურ მთვარეზე და გვიკვლევია წყალქვეშა, ბნელი მღვიმეები. ჩვენ განგვიმარტავს იმაზე ბევრად მეტი, რაც ერთ დროს გაკვირვებას იწვევდა.

და მაინც, ჩვენი შიშებისგან გაძარცულნი, დაბნეულობით და გაურკვევლობით გავხდით შემოსილნი.

უზომოდ განათლებულებს ხშირად მიზანიც აკლიათ და შესაძლობლობაც.

ჩვენ მიბმულნი ვართ კრედიტების სავალუტო სისტემაზე, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ მყიდველები ვალების მახეში გააბას.

ჩვენი წინაპრების მიერ ხალხის გასაერთიანებლად შექმნილი პოლიტიკური სისტემა, ახლა ერთმანეთისგან გვაშორებს.

ჩვენი ქსელები ვრცელია, თუმცა კავშირები წყალმარჩხია და ჭეშმარიტი სიახლოვისგან დაცარიელებული.

ჩვენ ავირჩიეთ, გავმხდარიყავით ის, რასაც ვაკეთებთ, თუმცა, მაინც ვერ ვგრძნობთ სისავსეს.

ტექნოლოგიებს იმ ადამიანებისათვის ქვების სასროლად ვიყენებთ, ვინც არასდროს გვინახავს.

როცა ჭეშმარიტება კარგავს სიმყარეს და თხევადი ხდება, ჩვენ ვკარგავთ მნიშვნელოვან პასუხებს.

ნამდვილი ჭეშმარიტება მყარია, ანდამატია, განუყოფელია, ურყევია, დაუძლეველია.

იესო ჭეშმარიტებაა. და მიმაჩნია, რომ იესო ანდამატია.

იესო ანდამატია

ვერც ერთი დედამიწაზე გაჩენილი ქვა, ვერ აღუდგება წინ ცოცხალ ქვას. ქრისტეში აღსრულდა ის ყველაფერი, რასაც ბერძნები და მისნები ეძებდნენ. ის არის ჩვენი კლდე, ჩვენი ქვაკუთხედი და ჩვენი ნანატრი ანდამატი. მხოლოდ ქრისტეა ის უცვლელი ქვა, რომელსაც ყველაფრის შეცვლა შეუძლია. უკვე დიდი ხანია, რაც ეს ქვა ჩვენს შორისაა. ისრაელიანების უდაბნოში თითქოს უმიზნო ხეტიალისას მოსემ განაცხადა ამ კლდის არსებობა:

„სალი კლდეა იგი, სრულყოფილია
მისი საქმენი, რადგან სამართლიანია მისი ყველა
გზა; ჭეშმარიტი ღმერთია ის, არ არის
მასში უსამართლობა; მართალია იგი და წრფელი“.
(მეორე რჯული 32:4)

გვალვების სეზონის შემდეგ დავითმა შეჰღაღადა ღმერთს თავისი ხსნის დღეზე:

შეგიყვარებ, უფალო, სიმტკიცევ ჩემო!
უფალია ჩემი კლდე, სიმაგრე და
მხსნელი ჩემი. ღმერთო ჩემო, კლდე ხარ ჩემი,
ფარი, ხსნის რქა და სიმაგრე ხარ ჩემი! (ფს.17:1-2)

ძველ აღთქმაში „კლდის“ ადგილას გამოყენებული ებრაული სიტყვა მიუწვდომელ თავშესაფარს ნიშნავს. კლდე არის ჩვენი ძალა, ჩვენი დარწმუნებულობა პატარა კენჭებით სავსე სამყაროში. როცა მტერს ჩვენი გამოუვალ მდგომარეობაში შეყვანა უნდა, იესო არის ჩვენი სიმაგრე. კლდე არის ჩვენი ხსნა, დაცვა და ჯავშანი თავდაცვისათვის. ქრისტე მისი სულის ზეთით გვპოხავს და უცხადებს თავის ხსნას ჩვენს ცილისმწამებლემს.

რაღაც მხრივ, ჩვენ ყველანი ვართ ლტოლვილები ამ დედამიწაზე, ვინც ეძებს ამაღლებულ, დაცულ, წმიდა ადგილს. ჩვენ ველტვით უსაფრთხოებას მართლმსაჯულების მიერ მართულ სამეფოში. როგორც ისრაელიანებმა, ჩვენც უკან მოვიტოვეთ ჩვენი ეგვიპტელი ბატონები, მაგრამ კიდევ უნდა დავემორჩილოთ დამმონებელ ხმებს, რომლებიც მათმა სისასტიკემ დაგვასვა დაღად. მიუხედავად იმისა, რომ ეს კლდე

თან მოგვყვებოდა, როცა მიზნებისა და მზადების უდაბურებაში დავხეტიალობდით, ჩვენ ეს არ ვიცოდით. დროა, ვაღიაროთ ჩვენი მსხვრევადობა და კვლავ დავეცეთ კლდეზე, რომელსაც ჩვენი აღდგენა შეუძლია.

> „ის, ვინც ამ კლდეზე დაეცემა, დაილეწება; ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს“. (მათე 21:44)

ეს მუხლი მიესადაგება იესოს, რომელიც არის ორივე, კლდეც და ძეც. ორივე იყო უარყოფილი კაცის მიერ, თუმცა ორივეს ავტორი იყო ღმერთი. ძე იყო კლდე, რომელიც მოვიდა, რათა შეჯახებოდა ადამიანის უმოწყალო სამეფოს და ემოქმედა, როგორც ქვაკუთხედს, რომელიც დააარსებდა ღვთის სამეფოს. ნიკოლოზ თომას რაიტი ხაზს უსვამს ამ მნიშვნელოვან კავშირს:

> „ისევე, როგორც ინგლისურ ენაში სიტყვა „ძე“(son) იგივე ასოებით შედგება რომლითაც სიტყვა „კლდე“(stone) (ორის გამოკლებით), ასევე, ებრაულშიც სიტყვა „ძე“ (ben) იგივე ასოებით შედგება, რომლითაც სიტყვა „კლდე“ (eben), (ერთის გამოკლებით). [1]

„ქრისტეში, განცალკევებული პოულობს ოჯახს, ხოლო მრავალი ხდება ერთი“.

მე ისეთი მადლიერი ვარ რომ, ქრისტეში ორივეა: კლდეც და ძეც. ქრისტეში, განცალკევებული პოულობს ოჯახს, ხოლო მრავალი ხდება ერთი. ქრისტე არის ღვთის მთისგან ჩამოქნილი ლოდი, რომელსაც ჯერ ადამიანის ხელი არ შეხებია. ის არის კლდე, რომელსაც ვერც ერთი მიწიერი სამეფო ვერ აღუდგება. დანიელმა იწინასწარმეტყველა ეს შეპირისპირება ქრისტესთან, ჩვენს ანდამატთან, როცა მან მეფე ნაბუქოდონოსორს დაფარულ სიზმართან ერთად სიზმრის განმარტებაც აღუწერა:

> „აჰა, დიდი ქანდაკება იხილე სიზმარში, მეფევ; დიდზე დიდი იყო ეს ქანდაკება და საოცრად ელვარე; შენ წინაშე იდგა; საშინელი იყო მისი შესახედაობა.თავი ამ ქანდაკებისა წმიდა ოქროსი იყო, მკერდი და მკლავები — ვერცხლისა, მუცელი და თეძოები — სპილენძისა,

> წვივები — რკინისა, ფეხები — ნაწილი რკინისა და ნაწილი თიხისა. უყურებდი მას, სანამ ქვა მოსწყდებოდა ხელშეუხებლად, რომელიც მოხვდა ქანდაკებას რკინისა და თიხის ფეხებში და დაამსხვრია. მაშინ ყველაფერი ერთად დაიმსხვრა: რკინა, თიხა, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო ზაფხულის კალოს მტვერივით იქცა და ქარმა წაიღო; კვალიც აღარ დარჩა. ხოლო ქვა, ქანდაკებას რომ მოხვდა, დიდ მთად იქცა და მთელი დედამიწა აავსო“. (დან. 2:31-35)

ქრისტეში მარცვალი გახდა ქვა, ქვა იქცა მთად. მთა, რომელმაც მთელი დედამიწა აავსო, არის სიონი, და ამ მთის მარცვალი-ქვა არის ქრისტე. თუ ჩვენ სულელურად ვეცდებით ჩვენი ცხოვრების ისეთი მასალით აშენებას, რომელიც ქვის მონაბერსაც კი ვერ აღუდგება წინ, ჩვენს ნაშრომს დროის ქარი ჯერ ნამსხვრევებად აქცევს, შემდეგ კი აქეთ-იქით მიმოაბნევს. ქრისტე არყევს ყველაფერს, რისი შერყევაც კი შეიძლება, რათა მხოლოდ ურყევი და ჭეშმარიტი გადარჩეს. გარემოიცავი ცახცახი, მეგობარო! დაე, შენმა გულმა ითრთოლოს, რადგან მას ზედმეტად უყვარხარ იმისათვის, რომ მცდარი სამეფოს საფუძვლებისთვის და ნახევრად ჭეშმარიტების ტყვეობისთვის გაგიმეტოს! შენ არ შექმნილხარ იმისთვის, რომ უსულო მეტალებისა და ტალახისაგან აშენებულიყავი. შენი შექმნის მიზანს ცოცხალ ქვად ყოფნა წარმოადგენს.

„დაე, შენმა გულმა ითრთოლოს, რადგან მას ზედმეტად უყვარხარ იმისათვის, რომ მცდარი სამეფოს საფუძვლებისთვის და ნახევრად ჭეშმარიტების ტყვეობისთვის გაგიმეტოს!“

ცოცხალი ქვები

> „რომელთანაც მიხვედით: ცოცხალ ქვასთან, ადამიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი რჩეული და ძვირფასია. თქვენც აშენდით ცოცხალი ქვებივით სულიერ სახლად, წმიდა სამღვდელოებად, რათა იესო ქრისტეს მეშვეობით შესწიროთ ღვთისთვის სასურველი სულიერი მსხვერპლები“. (1 პეტრე 2:4-5)

ერთ-ერთ თარგმანში, ეს პასაჟი იწყება ფრაზით: „სიხარულით მიიღეთ ცოცხალი ქვა, რომელიც არის სინათლის წყარო“. ქრისტეში, ჩვენი გულები ცოცხლდება და ჩვენც ვხდებით ცოცხალი ქვები, ჩაშენებული სხეულში ჩვენი დანიშნულების შესასრულებლად. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ჩვენი სიცოცხლე სულიერი სახლის ან ნაკრძალის შენების საქმეს მივუძღვნათ. ჩვენ არ ვიკავებთ მშენებლის როლს. ჩვენ ვართ ნედლი მასალა, რომელსაც ქრისტე თავისი ეკლესიის ასაშენებლად იყენებს.

მე მიყვარს სიტყვა *ნაკრძალი.* ეს არის თავდასაცავი ან თავშესაფარი, უსაფრთხოების, დაცვისა და შეუვალობის ნავსაყუდელი. რა საოცარი სურათია ჩვენი ცხოვრების, როგორც უსაფრთხოების ანდამატის. ეს არ არის უსიცოცხლო შენობა. ეს არის თავშესაფარი, სიცოცხლით სავსე, სადაც ჩვენს მამას ჩვენს სიცოცხლეს ვთავაზობთ, როგორც ტაძრის მღვდლები აკეთებდნენ ამას. პეტრე აგრძელებს ამ სურათს 1 პეტრ. 2:6-8-ში:

> „ვინაიდან ნათქვამია წერილში: „აჰა, მე ვდებ სიონში ლოდს, ქვაკუთხედს, რჩეულს და ძვირფასს, და მისი მორწმუნე არ შერცხვება“. ამიტომ თქვენთვის, მორწმუნეთათვის, ის ძვირფასია, ურწმუნოთათვის კი ლოდია, მშენებლებისგან დაწუნებული; ის დაიდო ქვაკუთხედად, დაბრკოლების ლოდად და წაბორძიკების კლდედ, რაზედაც ბრკოლდებიან, რადგან ეურჩებიან სიტყვას და სწორედ ამისთვის არიან დადგენილნი“.

ვიცი, რომ ზოგჯერ ისეთი რაღაცები ითქმის და კეთდება, რაც გვანდომებს, მშვიდად შევეგუოთ ფაქტს, რომ ჩვენ ეკლესიაში მოსიარულე ქრისტიანები ვართ, და ერთი წუთითაც არ შეგვრცხვეს ჩვენი ქვაკუთხედის. იესო უნაკლოა. ჩვენ ნაკლიანი ალმასები ვართ, რომლებიც ხშირად მის შემადგენლობაში შესვლით ვამცირებთ მის სიკაშკაშეს, მაგრამ ჩვენი ოსტატი მშენებელი ისე გვაქსოვს ერთად, რომ თითოეული ჩვენგანის საუკეთესო გამოიკვეთოს, ხოლო ნაკლი დაიმალოს.

ადამიანები იმედს უცრუებენ ერთმანეთს.

ადამიანები წარუმატებლები არიან ერთმანეთის დანახვაში.

ჩვენ იმედს ვუცრეუბთ ერთმანეთს და ვმარცხდებით, ისე დავინახოთ ერთმანეთი, როგორც ქრისტე გვიყურებს ჩვენ.

მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე, თაყვანი უნდა ვცეთ იესოს, რადგან ის არასდროს გაგვიცრუებს იმედს. მან ყოველ-გვარი წაბორძიკების და დაცემის გარეშე გაიარა გამოცდა. იესო იყო ერთგული თავისი ნაკლიანი საპატარძლოს, ეკლე-სიის სიყვარულში, ბრწყინვალებასა და მზადყოფნაში. ნუთუ ჩვენც იგივე არ უნდა გავაკეთოთ?

ესაიას წიგნში, ვკითხულობთ:

„ამიტომ ასე ამბობს უფალი ღმერთი: აჰა, ქვას დავა-ფუძნებ სიონში, გამონაცად ქვას, ძვირფას ქვაკუთხედს, საიმედო საძირკველს და მასზე მინდობილს შიში ვერ ააჩქარებს“. (ესაია 28:16)

„იესო იყო ერთგული თავისი ნაკლიანი საპატარძლოს, ეკლესიის სიყვარულში, ბრწყინვალებასა და მზადყოფნაში“.

ებრაულ ენაში სიტყვას, რომლითაც გამოხატულია აჩქარება, ბევრად მეტი მნიშვნელობა აქვს, ის ასევე ნიშნავს „იყო აკანკალებული და აღელვებული“. ეს არის დაპირება: ჩვენთვის, ჩემთ-ვის და შენთვის: ჩვენ, ვისაც გვწამს, არ ვიქნებით აკანკალებულნი და აღელვებულნი. ჩვენ ვიქნებით დაცულ-ნი სრულყოფილ სიმშვიდეში, რადგან მინდობილნი ვართ ჩვენს მოუდრეკელ ქვაკუთხედზე. (ესაია 26:3)

იესოსთან ერთად ფოკუსი ინაცვ-ლებს და მოშორებით მყოფი (იესო) ხდება სახლი დევნილთათვის.

„თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდე-ლოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხა-დოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირ-ველი სინათლისკენ გამოგიხმოთ. ოდესღაც ხალხი რომ არ იყავით, ახლა კი ღვთის ხალხი ხართ; ოდესღაც - არაშეწყალებულნი, ახლა კი — შეწყალებულნი“.
(1 პეტრ. 2:9-10)

ოდესღაც არ ვიყავით მისნი; ახლა მისნი ვართ. ოდესღაც უარყოფილნი ვიყავით; ახლა მიღებულნი ვართ. ოდესღაც დაყოფილნი ვიყავით; ახლა ქრისტეში ერთნი ვართ.

მასში ჩვენ, ვინც არავინ ვიყავით, გავხდით ყველაფრის ნაწილები.

მაგრამ შენ... მაგრამ მე... მაგრამ ჩვენ უამრავი გარეშე პირნი... გავხდით ამორჩეულები ღვთის მიერ და მოწოდებულნი სამღვდელო საქმიანობისთვის წმიდა ერში. ჩვენ ვამოწმებთ, თუ რა გააკეთა მან ჩვენს ცხოვრებაში. მისმა ახალმა ჩაანაცვლა ჩვენი ძველი და ჩვენი სიკვდილი ჩანაცვლდა მისი სიცოცხლით. ჩვენ ვეჭიდებით ამ ქვას და ვღაღადებთ ჩვენი დამსხვრეული ნაწილების გროვიდან, და ვუხმობთ ჩვენს ქვაკუთხედს, რომ აღგვადგინოს. ქრისტეში უარყოფილები მიღებულნი გავხდით. მასში ჩვენ, ვინც არავინ ვიყავით, გავხდით ყველაფრის ნაწილები.

ჩვენი ქვაკუთხედი არ არის წარსულის დამარხული ნაშთი. იესო არ არის დედამიწის თხევადი გულის სიღრმეში ჩაფლული მკვდარი ქვა. ქრისტე არის ცოცხალი ქვა და ჩვენი ახალი დასაწყისის ხუროთმოძღვარი. ის არის უცვლელი ქვა, რომელსაც აქვს ძალაუფლება, შეგვცვალოს ჩვენ.

ქვები და მარცვლები

უძველეს არქიტექტურაში, მიჩნეული იყო, რომ ქვაკუთხედი არის *მარცვალი,* რომლისგანაც მთელი შენობა უნდა გაღვივდეს. ქვაკუთხედი იყო ნიმუში, რომელსაც შემდეგ ყველა დანარჩენი ქვა უნდა გაჰყოლოდა. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქვაკუთხედის ზუსტად მოთავსება, რომ მშენებლები ხშირად ვარსკვლავებისა და კომპასის დახმარებით განალაგებდნენ ქვაკუთხედს. რა საოცარია, რომ სწორედ ვარსკვლავებმა განაცხადეს ჩვენი ქვაკუთხედის მოსვლის შესახებ.

თანამედროვე არქიტექტურა ნაკლებად იყენებს ქავკუთხედს, როგორც შენობის მარცვალს. ჩვენი ქვაკუთხედები არის უბრალოდ დეკორატიული ფილები, რომლებსაც უკვე აშენებულ შენობაზე ამაგრებენ მისი დაფუძნების თარიღის აღსანიშნად. ეს ქვაკუთხედები აღარ ემსახურება არანაირ სტრუქტურულ მიზანს; ისინი უბრალოდ აღსანიშნი დანამატები არიან. ამის საპირისპიროდ, იესო არ არის ჩვენი ცხოვრების დეკორატიული დანამატი. იესო არის ის ნიმუში და მარცვალი, რომლისგანაც უნდა გამოვიდეს ჩვენი მთელი სიცოცხლე.

ის არა მხოლოდ ჩვენი თავშესაფარი და ჩვენი საძირკვლის მარცვალია, ის ჩვენი მაცოცხლებელიცაა.

იესო ქრისტეს მოსვლით, პავლე კორინთოს ეკლესიას გამოსვლის კლდის შესახებ უხსნის: „და ყველანი სვამდნენ

ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ვინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ; ხოლო ის კლდე იყო ქრისტე“ (1 კორ. 10:4). როცა ისრაელიანები მიჰყვებოდნენ მოსეს, ისინი ცოცხლდებოდნენ კლდიდან გადმომავალი წყლით, კლდიდან, რომელიც მათ მიჰყვებოდა. ეს კლდე იყო ქრისტე. ჯერ კიდევ მაშინ, ღვთის ნაზი სიყვარული და უზრუნველყოფა იყო მათთან და იესო იყო მათი ზურგის დამცველი.

რა საოცარია.

ეს კლდე არა მხოლოდ წყლით ამარაგებდა მილიონობით ადამიანს, მათთან ერთადაც გადაადგილდებოდა. ღმერთი გამოჩნდა ღრუბლის სვეტით დღე, და ცეცხლის სვეტით ღამით, და დღისითაც და ღამითაც როგორც კლდე, რომელიც მიჰყვებოდა მათ. როგორი საოცარი მაგალითია იმისა, რომ ღვთის ყველგანმყოფელი ზრუნვა იყო ისრაელის შვილებზე მაშინ, როცა უდაბნოში დახეტიალობდნენ. ზოგიერთი რაბინული ტრადიციის თანახმად, ეს იყო საცერის მაგვარი ნამდვილი ქვა, რომელიც მოგორავდა მათთან ერთად და ჩერდებოდა იმ კარავთან, სადაც ისრაელიანები დაბანაკდებოდნენ. [2]

ეს კლდე პირდაპირი მნიშვნელობით მიჰყვებოდა თუ გადატანითი მნიშვნელობით, პავლე ამბობს, რომ ეს კლდე წარმოადგენდა იმთავითვე მყოფ ქრისტეს, მუდამ მათთან მყოფ დაცვას. კლდე მოასწავებდა ემანუელს, ჩვენთან მუდამ მყოფ უფალს. ახლაც კი, ქრისტე არის კლდე, რომელიც მოგვყვება ცხოვრების უდაბურებაში ხეტიალისას და გვაცოცხლებს ცოცხალი წყლით.

„გაჰკვეთა კლდე და წყალი გადმოდინდა,
ნაკადულად მოედინებოდა უდაბნოში“.
(ფს. 104:41)

ცხოვრება შეიძლება სავსე იყოს გვალვის პერიოდებით, და მათ შეუძლიათ ჩვენი ცხოვრების წყაროს გამოვლენა. ზოგი უნაყოფო სეზონი გრძელდება კვირები, ზოგი თვეები და არსებობენ ისეთებიც, რომლებიც გადამხმარ ხელებს წლებზე გადაჭიმავენ. მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა რამდენად უკაცრიელად გამოიყურება შენი გარემოცვა, ან რამდენად დიდხანს გრძელდება, ყოველთვის არსებობს შენს უდაბურებაში დამალული მდინარე. ეს მდინარე არ არის შენ გარშემო; ის შენ შიგნითაა. თუ მწყურვალი ხარ, თუკი შენი ცხოვრება უიმედოა, შეჰღაღადე კლდეს.

ჯვარზე, ეს კლდე, იესო კიდევ ერთხელ გაიპო, და ამ დროს სისხლი და წყალი გადმოდინდა მისგან. წყალი განწმედისთვის, და სისხლი გამოსყიდვისთვის.

ჩვენი კლდის წყალობა შეუღწევადია ჩვენი მანკიერებების მიმართ. როცა ანდამატი ეჯახება ჩვენს ნაკლოვანებებს, ისინი მტვრად იქცევიან მისი სრულყოფილების თანდასწრებაში. ეს არ ნიშნავს, რომ მან არ იცის ჩვენი შეცდომების შესახებ. მას უბრალოდ არ შეუძლია, თავი შეიკავოს იმისგან, როგორიც არის... კეთილი და მოწყალე. ის არის ყველას უფალი და მხსნელი, და ყველა ვინც თავის დამსხვრეულ სიცოცხლეს ამ მოუდრეკელ წყალობას მიუძღვნის, გარდაიქმნება.

„მას უბრალოდ არ შეუძლია თავი შეიკავოს იმისგან, როგორიც არის... კეთილი და მოწყალე“.

ახალი სახელი

> „იესომ პასუხად უთხრა: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, რადგან ხორცმა და სისხლმა კი არ გაგიცხადა ეს, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია. და მე გეუბნები შენ, რომ *შენ ხარ პეტრე* და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას“. (მათ. 16:17-18)

„შენ ხარ პეტრე“.

ახალი ცხოვრება მოითხოვს განახლებულ ბუნებას. ახალი ბუნება მოითხოვს ახალ სახელს.

ეს გამოცხადება ღრმად უნდა ასახულიყო სიმონის სულზე. ნეტავ, რას იგრძნობდა, როცა ამოარჩიეს და კლდე უწოდეს, მაშინ როცა მთელი ცხოვრება სხვა სახელით იცნობდნენ?

სიმონი. ამ სახელში არაფერი იყო ცუდი. ის უბრალოდ საკმარისად მნიშვნელოვანი არ იყო. ის უფრო მეტად იმაზე ლაპარაკობდა, თუ ვინ იყო ის, ვიდრე იმაზე, თუ ვინ ხდებოდა. როცა ჩვენ ვიწყებთ განსხვავებულად ლაპარაკს, ჩვენ ვხედავთ განსხვავებულად. პეტრე იყო ახალი სახელი, რომელიც ზუსტად ერგებოდა მის ღვთაებრივ ხვედრს.

სიმონი ნიშნავს მოსმენას. ის შეიძლება ასევე ბუნებით დამყოლს, ლერწმის მსგავსს ნიშნავდეს. როცა ამ ორ განმარტე-

ბას ვაერთიანებთ, აღმოვაჩენთ სახელს, რომელიც შეიძლება აღნიშნავდეს მას, ვინც რასაც მოისმენს, იმ მიმართულებით იხრება. ამ მხრივ ჩვენ ყველანი სიმონები ვართ, რომლებიც ველოდებით, რომ ჩვენი ხვედრის ნათელით დაგვერქვას ახალი სახელი, და მასავით იმ მხარეს ვიხრებით, რაც გვესმის.

სიმონთან ამ საუბრით ვხვდებით, რომ სახელის ცვლილება ქრისტეში ჩვენს პოზიციას მოასწავებს, რადგან ის გვცვლის თითოეულ ჩვენგანს მოქანავე ლერწმიდან მტკიცე ანდამატად.

სიმონი უნდა გარდაქმნილიყო მეთევზიდან ადამიანთა მებადურად. სიმონისთვის სახელის შეცვლით ძველი წიგნი დაიხურა, ასე რომ, ღმერთს უკვე შეეძლო, აეღო ფურცელი და კალამი და ახალი დაეწერა.

მაინტერესებს, ნეტავ, სახელი პეტრე თავიდან უცნაურად თუ აგრძნობინებდა თავს?! ან ის სახელი იყო, რომელსაც ძალიან დიდხანს დაუძახებდნენ? იგივენაირად იქნება ჩვენს შემთხვევაშიც? იცით თუ არა, რომ ზეცაში მივიღებთ ქვას ჩვენი ჭეშმარიტი სახელით. იესო დაგვპირდა:

> „მივცემ გამარჯვებულს დაფარულ მანნას და მივცემ თეთრ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც მიმღების გარდა არავინ იცის“. (გამოცხ. 2:17)

ეს ახალი სახელი გამოაცხადებს გამარჯვებებს. ის ამოიკვეთება იმის მიხედვით, თუ როგორ დავამარცხებთ ჩვენს შიშებს და გავხდებით ის, როგორადაც შეგვქმნა ღმერთმა. მე მაოცებს ის, რომ ჩვენი ახალი სახელი ეწერება ქვაზე. ჩემთვის ეს ნიშნავს შემდეგს: ვინც ვიყავით - მიედინება და ვინც ვხდებით - სამუდამოა. რატომ უნდა ვიცხოვრო ისეთი სახელით შემოფარგლულმა, რომელიც შეეფერება ჩემს ახლანდელ ცხოვრებას, როცა ქვა ჩამოყალიბდება იმ სახელით, რომელიც სამუდამოდ შემეფერება? მე ვცოცხლობ იმისთვის, რომ გავზარდო მსგავსება ჩემს ახალ სახელთან.

„მე ვცოცხლობ იმისთვის, რომ გავზარდო მსგავსება ჩემს ახალ სახელთან“.

რაღაც იცვლება, როცა ის, რაც იესომ თქვა ჩვენს შესახებ, ჩვენი ნაწილი ხდება. ამ მომენტში ჩვენ ნაწილობრივ თვალს მოვკრავთ, თუ რას ნიშნავს, იცოდე, რომ ჩვენ გვიცნობენ. ეს ერთ-ერთი იმ მრავალ მიზეზთაგანია, თუ რატომ მიხარია, რომ

პეტრე არის კლდე, რომელიც ჩვენს ქვაკუთხედთან მიგვიძღ-ვის.

ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როცა იესომ ქვაზე იმუშავა. როცა ვფიქრობთ ხუროზე, თვალწინ გვიდგება ადამიანი, რომელიც ხეზე მუშაობს, მაგრამ იესოს ცხოვრებისას ხუროები იყვნენ ასევე ქვის, რკინის, სპილენძის ოსტატები, ისევე როგორც ხის.[3] ჩვენი ქვაკუთხედი კარგად იცნობდა ქვებს.

დედამიწაზე ჩვენ გვიცნობენ იმ სახელით, რომელიც ჩვენმა მშობლებმა დაგვარქვეს. მარადისობაში ჩვენ გვექნება ახალი სახელი, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვეცოდინება. იმ დრომდე, როცა უცნობი ნაცნობი გახდება ჩვენთვის, ჩვენ გვაქვს პრივილეგია ვიცხოვროთ იესოს სახელით გაოცებულებმა.

ქრისტეში კლდეები ერთიანდებიან წმიდა მთის ასაშენებლად.

ქრისტეში პატარა მარცვალი იზრდება დიდ ხედ.

ქრისტეში ქვის გულები ხდება ცოცხალი ქვები.

ქრისტეში ბევრი ხდება ერთი.

მასში დაცული

ჩვენი პოზიცია ქრისტეში, არ არის დაფუძნებული ჩვენს ჩაჭიდების უნარზე. იმ მომენტში, როცა ჩვენს თავებს მასში ვმალავთ, ჩვენ ვხდებით დაცული იმით, რომ ის გვეჭიდება ჩვენ. ქრისტეში, ჩვენს კლდეში, ჩვენს ანდამატში, ჩვენს ქვაკუთხედში ჩვენ დაცულები ვართ.

ცოტა ხსნის წინ, ჩიკაგოში გავფრინდი. საათზე მეტხანს მგზავრობაში სასტუმრომდე ჩემი ტაქსის მაჰმადიანი მძღოლი ცდილობდა ისლამზე მოვექციე. ის მარწმუნებდა, რომ თუკი ყოველდღე ვილოცებდი და ისლამური დოგმების მიხედვით ვიცხოვრებდი, სამოთხეში მოხვედრის შანსი მექნებოდა. ეს იყო აშკარა, შესაძლოა! არანაირი გარანტია, მაგრამ შანსი მექნებოდა. მან თავაზიანად შემომთავაზა ადგილი კლდეზე, ყოველგვარი დაპირების გარეშე. ზუსტად ვიცოდი, რომ შეიძლებოდა ფეხი დამცდენოდა და ამ კლდიდან ჩამოვვარდნილიყავი. მე ვირჩევ, დავრჩე ქრისტეში! დავეცემი, თუმცა არასდროს მის გარეთ!

ჩვენ ვეცემით მასში და არა მის გარეთ.

იმისთვის რომ მასში დავრჩეთ, ღმერთმა ჩვენში ჩადო მისდამი რწმენის საზომი. ჩვენ წავბორძიკდებით, როცა ჩვენს რწმენას ვიღაცაში ჩავდებთ. ნება მიეცი ღვთის რწმენას, ჰქონდეს შემოსასვლელი შენში. მოიპატიჟე ის. შენ სცადე

შენი ძალებით და დაეცი. შენ უყურებდი, როგორ წაიბორძიკეს ადამიანებმა, რომლებიც თავისი ძალებით ცდილობდნენ ქვა-ღორღით მოფენილ რწმენის კლდეზე აბობღებას. ის რომ რწმენა უხილავია, არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს ან რაღაც არ მოხდება. რწმენა არის ჩვენში დამალული იმედის გამაღვივებელი მარცვალი, რომელიც იზრდება ჩვენში და გვეხმარება, დავიჯეროთ, რომ მეტია შესაძლებელი. რწმენა გვაძლევს გამბედაობას ვითხოვოთ მეტი, გავბედოთ ოცნება, რომ ქრისტეში ჩვენც შეგვიძლია ვიყოთ მოუდრეკელნი, უცვლელნი, დაუძლეველნი.

მთები

ჩვენ მოწოდებულნი ვართ რომ ავცოცდეთ ჩვენი ცხოვრების მთებზე ღვთის ძალით, მისი ნაკვალევის მიყოლით. ცოტა ხნის წინ, ჩემს დღიურში დავწერე:

> ისინი მეძახიან მე: ეს მთა მაღლდება, ოჰ, გამოცალკევდი და იყავი ჩემი აღტაცება! ისინი მაცდუნებენ მე შედარების მიღმა საიდუმლოებებით, რომლებიც მხოლოდ მათ იციან, რომლებიც ბედავენ. მაგრამ მე მოხუცი ვარ და არ ვარ ასე ძლიერი. რატომ აყოვნებს ამდენ ხანს შენი ძახილი? მან მიპასუხა: „მართალია, კლდე, რომელზეც უნდა აცოცდე, ციცაბოა, მაგრამ მე ძლიერი ვარ. შენი ახალგაზრდობა განახლდება, როცა იმ ბილიკს გაჰყვები, რომელზეც მე დაგაყენე“.

მე კოლორადოში ვცხოვრობ და მუდმივად მთების ხედს გავცქერი. ასე რომ, ჩემთვის ადვილი გასაგებია ღვთის ჩურჩული, გავყვე მას მთისკენ. მე არ ვიცი გეოგრაფიულად სად ცხოვრობ შენ, მაგრამ ვიცი ეს: ამ ასვლისთვის შენც ხარ მოწოდებული! არა სინაზე, ქვიან მთაზე, რომლის ძირიც კი ხელშეუხებელი იყო. შენ გელოდებიან სიონზე, საოცრებების ცოცხალ მთაზე.

> „არამედ მიეახლეთ სიონის მთასა და ცოცხალი ქვის ქალაქს – ზეციურ იერუსალიმს და ათიათასობით ანგელოზს, მოზეიმე საკრებულოს და ცაში ჩაწერილ პირმშოთა ეკლესიას, ყოველივეს გამკითხავ ღმერთს და განსრულებულ მართალთა სულებს; და ახალი აღთქმის

შუამავალს – იესოს და საპკურებელ სისხლს, რომელიც აბელის სისხლზე უკეთ მეტყველებს!“ (ებრ. 12:22-24)

რაღაც ხდება, როგორც კი შევაბიჯებთ იმ საოცრებაში, სადაც ის გვიწვევს.

ჯონ მურმა, ღირსეულმა ნატურალისტმა, რომლიც ველური სივრცეების საჭიროებებში იყო დახელოვნებული, ერთხელ თქვა: „ჩვენ ახლა ვართ მთებში და ისინი ჩვენში არიან, ანთებული ენთუზიაზმი, ათრთოლებს თითოეულ ნერვს, ყველა ფორასა და უჯრედს ვგრძნობთ“.[4] ეს სიტყვები ეძღვნებოდა სიერა ნევადას მთების საოცრების აღწერას. მიწიერი ადგილის, რომელიც ბუნებით და ველური ცხოვრებით არის დაფარული. რამდენად მეტი შეიძლება ითქვას იმ ცოცხალ მთაზე, რომელშიც ისევე შეგვიძლია შესვლა, როგორც ის შემოდის ჩვენში? რადგან არა მხოლოდ ჩვენ ვართ ქრისტეში... მაგრამ ასევე ქრისტეც არის იმედი ჩვენში. ჩვენი იმედი მოდის სიონის მთიდან, მაშინ როცა მის მეფობას ვიწვევთ ჩვენში.

შეიძლება ეს რამდენიმე გვერდი მოემსახუროს მათ მიღებას, ვინც ოდესმე უარუყვიათ და თავშესაფარს მათთვის, რომლებიც შიშით ცახცახებენ. მოგზაურობისას შენ შეგიძლია, შეხვიდე საოცარ ერთსულოვნებაში და თავი დააღწიო დაბნეულობის მახეებს და ამქვეყნიურ მოსაზრებებს. ჩვენი ანდამატი არ იძვრის. ის ყოველთვის ჩვენთანაა.

ძვირფასო, ზეციურო მამა,
მე ვირჩევ, ვიცხოვრო ამ ყველაფერში, ვიყო ცოცხალი კლდე და სამეფო სამღვდელოება. იყავი ჩემი თავშესაფარი და ჩემი ძალა, ჩემი განმანახლებელი და ჩემი იმედი! ამოკვეთე შენგან მონიჭებული სახელი ჩემს გულზე! ქრისტეს, ჩემო ქვაკუთხედო და ანდამატო, ურყევო და დაუძლეველო სიცოცხლის წყაროვ, მე გეჭიდები შენ! გქონდეს შენი გზა ჩემს ცხოვრებაში!

ანდამატივით პირადი

„ჩვენ არ ვართ ადამიანები სულიერი გამოცდილებით. ჩვენ ვართ სულიერი არსებები ადამიანური გამოცდილებით“.

პიერ თეილჰარდ დე შარდენი

ერასდროს ვყოფილვარ მშვიდი ბავშვი. შეუპოვარი და ჯიუტი ვიყავი. შემეძლო, ასევე ნაღვლიანი, მორცხვი და მარტივად დასაბნევი ვყოფილიყავი. თუ ჩემს ოთახში დასალაგებლად გამაგზავნიდნენ, რამდენიმე წუთში მავიწყდებოდა, რისთვის ვიყავი იქ. როცა კარი იხურებოდა, ვრთავდი მუსიკას და ჩემი წარმოსახვაც ძლიერდებოდა. ოთახის მოწესრიგებაზე ხშირად, ავეჯის ადგილმდებარეობას ვცვლიდი. ზოგჯერ მზის ქუდს ჩამოვიმხობდი და წარმოვიდგენდი რომ ლორა ანგელს უაილდერი ვარ. უჯრაში ლურჯი პლასტენინი იყო, რომელიც თითქოს მეხვეწებოდა მისგან ცხენი გამომეძერწა. იქვე ბებიაჩემის მიერ შორეული ქვეყნიდან ჩამოტანილი თოჯინები იყვნენ, რომლებიც ადგილის შეცვლას მთხოვდნენ. ყოველთვის ეწყო წიგნები, რომლებიც ჩემს ყურადღებას მოითხოვდნენ. ჩემს ოთახში, დროის ყოველგვარ აღქმას ვკარგავდი. საათი ისე გადიოდა, როგორც 15 წუთი.

მხოლოდ მაშინ მახსენდებოდა, რომ იქ რაღაცისთვის გამაგზავნეს, როცა დედაჩემის ძახილს გავიგონებდი. მაგრამ არ მახსენდებოდა რისთვის. ასე რომ, როცა დედა შემამოწმებდა, წინსვლის არანაირი ნიშანი არ იგრძნობოდა. უფრო მეტიც, ოთახი დალაგების მაგივრად, უფრო არეული ხვდებოდა.

არ მინდოდა მეურჩა, მაგრამ როგორღაც ყოველთვის ასე გამომდიოდა. ჩემი ასეთი ქცევა დედაჩემს იმედებს უცრუებდა და ვიტყოდი, სამართლიანადაც. მისი ბრაზის მოგერიებას იმით ვცდილობდი, რომ ჩემს წარმოსახვით სამყაროში მიმყავდა, მაგრამ დედაჩემი რეალურ კოშმარში ცხოვრობდა, რომელსაც თავს ვერ აღწევდა. ის ქაოსის წრეში იყო ჩაკეტილი, და მისი გაგება მხოლოდ მას შეეძლო, ვინც ასაკით ბევრად დიდ ალკოჰოლიკზე იყო დაქორწინებული.

რადგან მე მისი ერთადერთი, თანაც უფროსი ქალიშვილი ვიყავი, მისი ბრაზი ყოველთვის ჩემზე გადმოდიოდა. ძალიან ბევრი რამით ვგავდი მამაჩემს. ხშირად დედა ისეთ რამეებს მეუბნებოდა, რასაც ალბათ არასდროს გულისხმობდა და ისეთ რამეებს აკეთებდა, სიამოვნებით რომ წაიღებდა უკან – ის რაც დიდი ხნის წინაა ნაპატიები, არ ღირს გამეორებად. მაგრამ იმ სიტყვების გამო, რომლებმაც ჩვენს შორის გაიჟღერა და იმ ქცევების გამო, რაც ჩვენს შორის ხდებოდა, არასდროს მინდოდა, მყოლოდა ქალიშვილი. ამ ყველაფერს იმიტომ გიზიარებთ, რომ მიხვდეთ, რა მშვენიერი იყო ჩემთვის იესოსთან მოულოდნელი, რეალური შეხვედრა.

ჩემი მეოთხე ორსულობისას, ბევრს მიაჩნდა რომ გოგო მეყოლებოდა. ვფიქრობდი, განა ვის ჰყავს მიყოლებით ოთხი ბიჭი? ორსულობის პირველივე თვეებში ვებრძოდი შიშს, რომ მალე გოგონა უნდა მყოლოდა.

ხშირად დედა მტუქსავდა სიტყვებით: „იმედია, შენნაირი ქალიშვილი გეყოლება!“

მეც ძალიან ბევრჯერ უტიფრად დავპირისპირებივარ: „იმედია, რომ ზუსტადაც ჩემნაირი მეყოლება!“

შეიძლება, რაღაც მხრივ, ეს სიტყვები სიმართლე იყო, თუმცა დროის გასვლასთან ერთად, ტყუილი გახდა. მე არ მინდოდა ეს ქალიშვილი, სულ ოდნავაც კი. უკვე დათრგუნული ვიყავი ქმრით, რომელიც გამუდმებით მოგზაურობდა და სამი ვაჟით. რას გამოიწვევდა ქალიშვილის დამატება ამ ჩვენს ქაოსში? არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი გოგოს!

ლოცვის დროს, საოცრად გულწრფელი ვიყავი ღმერთთან.

ჩურჩულით გამოვანთავისუფლე ყველა ის შიში, რომელიც ჩემს გონებაში ბობოქრობდა. ვეუბნებოდი ღმერთს, რომ ჩემთვის ქალიშვილის მოცემა დიდი შეცდომა იქნებოდა. არ მინდოდა ისე მეტკინა გული ჩემი შვილისთვის, როგორც დედაჩემმა მატკინა, ან მისმა დედამ ატკინა მას. მეშინოდა, რომ მასთან ახლო ურთიერთობა ვერ მექნებოდა. როცა ჯიუტი

ახალგაზრდა ვიყავი, ისეთ რაღაცებს ვამბობდი, რასაც არ ვგულისხმობიდი. არ მინდოდა ისეთი ქალიშვილი, როგორიც მე ვიყავი.

რაღაც დროის შემდეგ, სიტყვების ნაკადი დაშრა, და სიმშვიდე შემოვიდა ჩემში. თვალდახუჭულმა, ღრმად ჩავისუნთქე და ამოვისუნთქე.

ჩემი გონების თვალებით დავინახე, როგორ ვიდექი გაშლილი მდელოს ნაპირას, ყვავილები და ზურმუხტისფერი ბალახი ირხეოდა ოქროსფერი მზის სინათლეზე. ისეთი მდელო იყო, რომელიც თითქოს სარბენად გეპატიჟება. მოშორებით ერთი კოშკი იყო. მივხვდი, რომ იქ უნდა მივსულიყავი. კოშკს ერთი შესასვლელი და უამრავი ვიწრო ფანჯარა ჰქონდა, რომელიც სპირალურად ადიოდა ზევით (ახლა ვიცი, რომ საისრე ნაპრალები იყო). კარი გავაღე. ინტერიერი მკრთალი იყო მზის სინათლესთან შედარებით, თუმცა არა ბნელი და ავისმომასწავებელი. ფანჯრებში კიბის საფეხურები მოჩანდა, რომელიც სპირალურად ადიოდა ზევით. მე ავცოცდი საფეხურებზე, და ყველა ფანჯარასთან ვჩერდებოდი. ჩემს თვალსაწიერში, არც ადამიანები მოჩანდნენ და არც სახლები. ყოველი გახედვისას მდელოების კიდევ ერთი ნაწილი ჩანდა.

როცა საფეხურების ბოლოს მივაღწიე, მრგვალ ოთახში აღმოვჩნდი, რომელსაც სახურავის ქვეშ ჰქონდა ფანჯრები. შორს მყოფი კედელი ხის სკივრს ფარავდა. მინდოდა შიგნით ჩამეხედა. ვვარაუდობდი რომ იარაღის მარაგი ან სულაც განძი დამხვდებოდა. დავიჩოქე და თავსახური ავწიე. გამაოცა იმან, რაც შიგნით აღმოვაჩინე. სკივრი სავსე იყო ჩემი ბავშვობის ფოტოებით.

იქ იყო ჩემი ფოტოები, სადაც კბილები მაკლდა. ფოტოები თვალის ამოღებამდე და მას შემდეგ. ზაფხულის არდადეგების, შობის, დაბადების დღეების ფოტოები, სადაც ჩემი მშობლები იღიმოდნენ. ხელში ჩავბღუჯე ფოტოები, რომლებიც ათწლეულების წინ, ჩვენი სარდაფის დატბორვისას დაკარგულიყო. აქ, სათვალთვალო კოშკში, სკივრში იყო ყველა მათგანი დაცული. მათი დაბრუნებით გახარებულმა, ერთი ახლოდან სანახავად ავიღე. დაახლოებით ხუთი წლის ვიყავი, თმა და სახე მზის სხივებით მქონდა სავსე. ცალი თვალი პაპაისავით (მულტფილმის გმირივით) დამეხუჭა და ცალყბად ვუღიმოდი მამას, რომელმაც ეს მომენტი დაიჭირა. ახლაც ცხადად ვხედავ ამ წუთს.

„ჩემ გარშემო ღვთის სიყვარული ტრიალებდა და პატარა ბავშვივით ავქვითინდი“.

ჩემი წარმოსახვა დაირღვა, როცა მამაკაცის ხმა გავიგონე: „ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მხიარული იყავი“. მოვტრიალდი, მაგრამ იესო იქ არ იყო. ვიცოდი, რომ სწორედ მან დაილაპარაკა, რადგან მისი რეალური თანდასწრების სითბომ დაისადგურა. ჩემ გარშემო ღვთის სიყვარული ტრიალებდა და პატარა ბავშვივით ავქვითინდი“.

იმ წუთას, ყველა ის სიტყვა, რომელმაც ჩემი თავი საშინელ ბავშვად წარმომადგენინა, ჩიტივით გაფრინდა. როგორი მიმანიშნებელია, რომ ეს სურათები იარაღის საწყობში ინახებოდა, რადგან სწორედ ჩემი განკურნების პირად იარაღს წარმოადგენდა.

პირადი

ჩვენი ღმერთი არის ანდამატურად (მოუდრეკლად) პირადი. მან იცოდა, ჩემი შიშები და პირდაპირ დამელაპარაკა სულში. სწორედ ასე სურს მას შენთან საუბარიც. მას ახსოვს ის წუთები, რომლებმაც მას სახეზე ღიმილი მოჰფინა, რაც ჩვენ არ გვახსოვს. მან დაივიწყდა ჩვენი ცოდვა და სირცხვილი. ჩვენი დანაშაულები დავიწყების ზღვაში ჩაფლა. მას მივყავართ განკურნებასთან და განახლებასთან.

ჩვენ ვკარგავთ ჩვენი პიროვნულობის აღქმას, როცა მათ არასწორ აღქმებთან ვაკავშირებთ. ჩვენ ვკარგავთ ჩვენს უნარებს, როცა ნებას ვაძლევთ სხვების შიშს და ტკივილსაც კი, რომ დაასამაროს ჩვენი ნიჭები. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავიქცეთ და თავი შევაფაროთ მას, და ის, სიმართლეს ეტყვის ჩვენი გულის ყველაზე პირადულ ადგილებს. მას სურს, რომ გაამტკიცოს უარყოფილები მის მკლავებში და შემდეგ დაგვრგოს მის ჭეშმარიტებაში.

იმედი მაქვს, უკვე იცი ეს:

შენ ბევრად მეტი ხარ იმაზე, ვიდრე შენ ან სხვები ხედავთ და ეხებით!

შენ ბევრად მეტი ხარ იმაზე, ვიდრე შენ იცი ან გაგიკეთებია!

შენ ბევრად მეტი ხარ იმაზე, ვიდრე სხვები ფიქრობენ ან შენი წარმოსახვის ჩარჩოები შემოსაზღვრავს!

შენ ვერასდროს განისაზღვები იმის მიხედვით, რაც გაქვს ან გაკლია!

შენ მეტი ხარ ვიდრე განვლილი წლები, შესაბამისად ვერასდროს ვერ იქნები დაკავშირებული იმასთან, თუ რა თქვი ახალგაზრდობისას თუ მოხუცობისას!

შენ ხარ მარადიული სამეფოს შვილი!

შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე მარტოხელა, განქორწინებული, დაქვრივებული თუ დაქორწინებული!

შენ ბევრად მეტი ხარ, ვიდრე შენი სქესი!

ეს თვისებები არის იმ სტრუქტურის ხელშესახები გამოხატულება, რომელიც იმ რეალურ სიცოცხლეს აშენებს, რომელიც შენ ხარ. ეს თვისებები არის რელატიური დინამიკა და მატერიალური ქონება. ისინი გვანან ქსოვილის ნაწილებს, რომელიც გვფარავს და სხეულებს, რომლებიც გვიცავს. ისინი, როგორ ჩანს, ჩვენს ცხოვრებას წარმოადგენენ, მაგრამ ისინი არ არიან ჩვენი სიცოცხლის წყარო.

თუკი ცეცხლმა გაანადგურა ჩემი სახლი და შთანთქა ყველა მისი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ მე თავი დავაღწიე ცეცხლის ალების ფარდას, ჩემი ცხოვრება იქნება ხელუხლებელი.

სული

მე ვარ ცოცხალი სული!

შენ ხარ ცოცხალი სული!

ჩვენ ვართ ღვთის ხატად შექმნილნი და ღმერთი არის სული. მიუხედავად იმისა, რომ უხილავია, ის ისეთივე რეალურია და ისეთივე ახლოა, როგორც ჩვენი სუნთქვა. და მაინც, ის უფრო ღრმაა, ვიდრე ჰაერის ნაკადის გავლა ჩვენს ფილტვებში. ეს არის ღვთის სწრაფვა ჩვენს შიგნით. ცეცხლის და სიყვარულის ღმერთი, შთანთქავს ყველაფერს, რაც ხელს უშლის მისი სიყვარულის გამოხატვას და მიღებას.

> „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“. (იოან. 4:24)

ღმერთი სულია. ღმერთი ჭეშმარიტებაა. შესაბამისად, ჩვენ თაყვანს ვცემთ მას სულსა და ჭეშმარიტებაში.

ცოტა ხსნის შემდეგ, ჩვენი ადამიანური ჩარჩოების ნაკლოვანება მოუხერხებელი ხდება სულისათვის. დაძაბულობა თავისუფლებისკენ სწრაფვასა და მიწიერ ბორკილებს შორის, მეტის სურვილს აღვიძებს ჩვენში.

როცა ახალგაზრდები ვიყავით, ეს მარცხი იძულებულს გვხდიდა, გავზრდილიყავით. მიზნის მიღწევის მილმა დგას ის, თუ რამ გვაიძულა გვეგორა თუ გვეხოხა. რაღაც დროის შემდეგ, მარტო გადაადგილება უკვე აღარ იყო საკმარისი. რატომ უნდა გავატარო დღეები იატაკის ცქერაში? პასუხად, ჩვენ უკან მოვიტოვეთ უსაფრთხოება და ავუჩქარეთ ბობღვას, რომ წელში გავმართულიყავით. ფეხზე ადგომა აფართოებდა ჩვენს თვალთახედვის არეალს და მალევე საკმარისად კმაყოფილები ვიყავით, რათა უკან დაგვეხია ჩვენს ფსკერზე გადასაადგილებლად. მაგრამ მოვიდა დრო, როცა ორ ფეხზე დადგომა და შემდეგ უკან დახევა ოთხზე დადგომით, საკმარისი აღარ იყო. ჩვენ ავწიეთ თავები, რათა პირდაპირ გვევლო.

ახალგაზრდა და მოხუცი, ჩვენ ერთნაირად ვართ იმედგაცრუებულნი შეზღუდვებით და მოტყუებით. ასე რომ, რატომ უნდა წარმოიდგინოს ნებისმიერმა ჩვენგანმა, რომ ადამიანურ ფიზიკურ გამოცდილებას ექნება ძალა, განკურნოს სული? ჩვენი ემოციები შეიძლება აღელვებული იყოს და ჩვენი სხეული მხიარული, მაგრამ ხორცის დაფარვას არ შეუძლია, შეეხოს სულს.

მიუხედავად ამისა, სწორედ ღვთის სულის სუნთქვაა ის, რაც ყველა სულიერს შეიძლება შეეხოს და გვაძლევს შეგრძნების უნარს.

„მისი ხმა ცოცხლად ლაპარაკობს“.

სწორედ სული აცოცხლებს სხეულს, როგორც იაკობი ამბობს:

„სხეული მკვდარია სულის გარეშე“. (იაკ. 2:26)

როცა სული ტოვებს სხეულს, სხეული მიდის მიწის სამეფოში, რომლისგანაც წარმოიქმნა. სული იყო ის ყველაფერი, რაც სიცოცხლესა და მიზნებს აძლევდა სხეულს და მისი არყოფნით, სხეული განწირულია ლპობისთვის. მაგრამ არსებობს სხვა სახის სიკვდილიც, რომლის შესახებაც იაკობი და პავლე ლაპარაკობენ — რწმენის სიკვდილი.

„რწმენა საქმეების გარეშე მკვდარია“. (იაკ. 2:26)

„ვინაიდან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს“.
(2 კორ. 3:6)

ნუ დარჩები ღვთის თანდასწრების სიცარიელეში და ბიბლიის ფურცლების შლაში, სულიწმიდის ქარის გარეშე. მისი ხმა ცოცხლად ლაპარაკობს. შეზღუდვები, რომელსაც დაწერილი კანონები აწესებს, არ არის უბრალოდ და ადამიანურად შეუძლებელი რელიგიური კანონები — კანონი ასევე მოიცავს იმას, რაც კულტურამ ამოტვიფრა ჩვენს სხეულზე. ეს არის იარლიყი, რომლის სატარებლადაც წახალისებულნი ვართ.

სანამ ვხედავთ რომ იარლიყებითა და დაწერილით ცხოვრება სიკვდილია, ჩვენ გავაგრძელებთ არასწორი წყაროდან სწორზე გადმორთვას. ჩვენ გვჭირდება ვიღაც, ვინც სული-სულზე დაელაპარაკება ჩვენი მისწრაფებების სიღრმეებს და ჩვენს ადამიანურ დაბნეულობებს ნათელს მოჰფენს. ჩვენს კულტურაში უამრავი „კვამლის და სარკეების“ თამაშებია დადგმებში. ხალხი დაბნეულია ილუზიით, მაშინ როცა ფარდის უკან მდგომი ოპერატორი აკონტროლებს რას ვხედავთ და რა გვესმის. იქნებ შენ ამ ფარდის უკან იმალები, და რაღაც კონკრეტული კუთხით წარმოაჩენ ყველაფერს მაშინ, როცა რეალობაში სასოწარკვეთილი ხარ, რომ დაგინახონ. მართლა დაგინახონ. ჩვენი ღმერთი ხედავს.

ღმერთი, რომელიც იძვრის

> „დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იდო უფსკრულზე და ღვთის სული იძვროდა წყლებს ზემოთ“. (დაბ. 1:1-2)

დასაწყისიდანვე, ღმერთი იყო შემოქმედი. როცა დედამიწა დატყვევებული იყო, უფორმო წყლის სიცარიელის სუდარაში გახვეული და წყვდიადი, რომელიც ფარავდა სიღრმეებს... ღმერთი ახლოს მოვიდა. იმის ნაცვლად, რომ გადაეხვია იმედგაცრუებისგან, ან მოეშორებინა თავი ბნელი წყლის უფორმო, უნაყოფო სიღრმეებისგან, ღვთის სული იძვროდა.

მინდა აქ გავჩერდე და რაღაც წარმოდგენები დავხატო „იძვროდა“ სიტყვის გარშემო.

ებრაულში ამ სიტყვის ადგილას გამოყენებულია „*რახავ*“, საუკეთესოდ ითარგმნება, როგორც ნაზად და სიყვარულით ლივლივი. რაბინულ ჩანიშვნებში ამ სიტყვას თან ახლავს: *„როგორც მტრედი“.* [1]

„რახავ“ ასევე ნიშნავს: *„თავს დასტრიალებს“*. ეს სიტყვა სხვა ტექსტშიც გვხვდება:

„უდაბურ მიწაზე იპოვა იგი, სიცარიელესა და უდაბნოს კივილში; გარს შემოერტყა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, როგორც არწივი ფხიზლობს თავის ბუდეზე, *თავს დასტრიალებს* მართვეებს, გაშლის ფრთებს, შეისხავს და მხრებით მიჰყავს ისინი“. (მეორ. რჯ. 32:10-11)

ეს ტექსტი, ღვთის დაცვას და ზრუნვას ისრაელის შვილებზე, ადარებს არწივის მოპყრობას თავის მართვეებზე. ღვთის სული თავს დასტრიალებდა თავისი მფარველობით, როცა მარტოობიდან აღთქმული მიწისკენ მიუძღოდა.

თვალწინ მიდგას დედის სინაზე, როცა მძინარე შვილის საწოლთან ჩერდება, რომელიც ცუდი სიზმრებით აღელვებული ბორგავს. გვენდომებოდა ჩვენ, რომ გავეღვიძებინეთ?

სანამ ღვთის სული იძვროდა, მან დაილაპარაკა. და მისი სიტყვები მზრუნველობით იყო არჩეული. მას არ აურეკლავს უფორმო, ცარიელი წყვდიადის რეალობა. მან გამოანთავისუფლა, თუ რა ფორმად უნდა ჩამოყალიბებულიყო. ქაოსის და წყვდიადის პირისპირ, ღმერთმა მოუწოდა გამოღვიძებას. ბნელი წყლების სისრულის პირისპირ, ღმერთი დაელაპარაკა განთიადს, ახალ დასაწყისს, დღეს. ღმერთი დაელაპარაკა სინათლეს.

„თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი. იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო ნათელი და გაყო ღმერთმა ნათელი ბნელისგან“. (დაბ. 1:3-4)

და გაჩნდა ნათელი, და კარგი იყო. ებრაული სიტყვა, რომელიც ნათელს აღნიშნავს, მოდის სიტყვა ღვთიდან. რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან **ღმერთი არის სინათლე, ბნელის გარეშე.** ეს არ ყოფილა მზის შექმნა, რომელიც უფრო მოგვიანებით მოხდა. ღმერთმა გამოასხივა სინათლე, რომელმაც მიაღწია დედამიწის სიღრმეებს, რომ გაენათებინა. ერთია, გეჭიროს ხელში ფანარი და მეორეა, თავად იყო სინათლის წყარო. ჩვენ ვატარებთ სინათლეს. მაგრამ ღმერთი თავადაა სინათლე. მის ყველა ამოსუნთქვაში არის სინათლე.

„ღმერთი არის სინათლე, ბნელის გარეშე“.

შესაბამისად, მან თქვა თავისი არსის შესახებ ჩვენს დედამიწაზე და ის კარგი იყო, რადგან... ღმერთი არის კარგი.

ებრაული სიტყვა, რომელიც დაბადების პირველ თავში „კარგის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული, სხვა მრავალ შინაარსსაც ატარებს: სასურველი, ეფექტური, კეთილი, მორალური, ღირსეული და სხვა უამრავი. როცა ნათელი გამოთავისუფლდა, დედამიწა დაიფარა ყველა ამ თვისებით. დაბადებამ დედამიწა გახადა მიმზიდველი, პროდუქტიული გარემო, რომელიც იყო კეთილი და მორალური თავისი მაცხოვრებლებისათვის და თითოეული განვლილი წლით, უფრო და უფრო ღირებული ხდებოდა. ღვთის სიკეთის მოდელი მოვიდა მოძრაობაში.

დარწმუნებით არ ვიცით დედამიწაზე სინათლის წარმოშობა აფეთქება იყო, თუ სინათლე ნელ-ნელა გაიზარდა, როგორც განთიადისას. რაც ზუსტად ვიცით, არის ის, რომ ღმერთი იყო სინათლის წყარო, ნათელი იყო კარგი და ნათელი იყო გამოყოფილი ბნელისგან.

> „უწოდა ღმერთმა ნათელს დღე, ხოლო ბნელს - ღამე. იყო საღამო და იყო დილა - დღე ერთი“. (დაბ. 1:5)

როცა ნათელი გამოთავისუფლდა, რაღაცებმა დაიწყეს მოხდენა. ამის შემდეგ ღმერთმა გამოაცალკევა წყლები სივრცისაგან, შესაბამისად შექმნა ატმოსფერო, რომელიც გარს აკრავს დედამიწას. როცა დაცული გარემო შეიქმნა, ბნელ სიღრმეებში დიდი ხნის ჩაძირულმა და დამალულმა დაიწყო სინათლეზე და ზედაპირზე ამოსვლა.

> „თქვა ღმერთმა: „ერთად შეგროვდეს წყლები ცის ქვეშ და გამოჩნდეს ხმელეთი“. და იქმნა ასე. უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა, ხოლო შეგროვილ წყალს - ზღვა. და იხილა ღმერთმა, რომ კარგი იყო“. (დაბ. 1:9-10)

რაც დამალული იყო, გამომჟღავნდა. ხმელეთი ყოველთვის იქ იყო, ბნელი წყლის სიღრმეებით დაფარული, რომელიც ელოდა გათავისუფლებას. წარმოვიდგენ, სუნთქვა შეკავებული დედამიწა, როგორი იმედით აკვირდებოდა სინათლის გამოჩენას არამდგრად წყლებზე. ხმელეთი ელოდა ღვთის სიტყვას, რომელიც მოუხმობდა. და მიწამ დაიწყო სიცოცხლით აყვავება.

> შემდეგ თქვა ღმერთმა: „აღმოაცენოს მიწამ მცენარეული: ბალახი, თესლის მთესველი, ხე ნაყოფიერი - მიწაზე

> თავისი ჯიშებისამებრ, თესლოვანი ნაყოფის მომტანი“. და იქმნა ასე“. (დაბ. 1:11)

შემდეგ დღეს დღისა და ღამის მბრძანებლები, მზე, მთვარე და ვარსკვლავები დადგინდა. ეს ნიშნავს, რომ თავდაპირველად, ყველა ცოცხალი არსება იზრდებოდა ღვთის სინათლის ოქროსფერ, თბილ ნათებაში. ის იყო სინათლის წყარო, როგორც ერთ დღეს კვლავ იქნება.

> „ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც ლამპრის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე“. (გამოც. 22:5)

როცა მზისა და მთვარის მეფობა და სამეფოები დადგინდა, ღმერთი დაელაპარაკა წყლისა და ცის სამფლობელოებს და მოუხმო თევზებს და ფრინველებს. ოკეანის სიღრმეები და ცის სივრცეები, აივსო მოლივლივე და მოფარფატე ქმნილებებით. სადაც ერთ დროს ღვთის სული იძვროდა, ახლა ქმნილებები დაფრინავდნენ. შემდეგი დღე განკუთვნილი იყო ხმელეთზე მოხეტიალე არსებებისთვის.

> „თქვა ღმერთმა: „წარმოშვას მიწამ ცოცხალი არსებანი თავისი ჯიშებისამებრ: პირუტყვი, ქვეწარმავალი და მიწის მხეცები“. და იქმნა ასე“. (დაბ.1:24)

ზღვამ, ცამ და მიწამ წარმოშვა თავისი ბუნებისამებრ. დრო იყო შემოქმედს თავისი ბუნებისამებრაც წარმოეშვა.

> „შექმნა ღმერთმა კაცი თავის ხატად, ღვთის ხატად შექმნა იგი. მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“. (დაბ. 1:27)

ადამიანის მოდგმა შეიქმნა მის ხატად. ნეტავ, თუ გვესმის რა პრივილეგიაა, იყო შექმნილი ჩვენი საოცარი შემოქმედის ანარეკლად.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვიფიქროთ თითოეული ქმნილების საუცხოობაზე, დაცემამდე. და მაინც ახლოსაც ვერ მივალთ იმ ხატამდე, რომელიც ღმერთმა შენში ჩააქსოვა. მე უბრალოდ არ ვამბობ ამას. ვიცი რომ ასე იყო. შენ ეჭვობ, ამიტომ არ იცი

ვინ ხარ რეალურად. მამაკაცი და დედაკაცი იყო საუცხოოდ შექმნილი.

> „გამოსახა უფალმა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად“. (დაბ. 2:7)

ღმერთმა ჯერ გამოსახა, და შემდეგ შთაბერა. ამ სინათლის სამეფოს მტვრის გამოყენებით, შემოქმედმა მისცა ადამიანს უნარი, რომ მოეცვა მისი პირადი სუნთქვა. მე ვარ რომელიც ვარ - ამ ღმერთმა შთაბერა თავისი სიცოცხლე კაცის ფორმას, და რაც მხოლოდ გარსი იყო, გახდა ცოცხალი. როცა თავდაპირველად ადამი შეიქმნა, ის იყო სრული. ის იყო სრულყოფილი ფიზიკური ფორმით და კაცის სული და არსება იყო ერთიანი. ადამი და ევა იყვნენ სრულყოფილები.

ნუ შეგეშინდება იმის, რაც ახლა ვთქვი. და ნურც ქედმაღლობას გამოაწვევინებ შენში. ნება მიეცი ღვთის თავდაპირველი განზრახვის სამეფო მნიშვნელობას ჩვენდამი, რომ იყოს უმაღლესი ღვთის მატარებელი ხატი, რომელიც თავის სიმძიმეს შენს მხრებზე დადებს. ადამის და ევას ცოდვაში იმაზე ღრმად ჩავეფალით, ვიდრე ჩვენი თავის პოვნა შეგვეძლო. ახლა, ჩვენს დაუძლეველ თავშესაფარში, ქრისტეში - ჩვენს ქვაკუთხედში დამალულები, ბუნდოვნად ვირეკლავთ იმას, რანიც ვიყავით, და დიდი იმედით ველოდებით, რანიც ერთ დღეს ვიქნებით. კლაივ სტეპელს ლევისმა მართებულად აღნიშნა:

„ადამის და ევას ცოდვაში იმაზე ღრმად ჩავეფალით, ვიდრე ჩვენი თავის პოვნა შეგვეძლო“.

> „შენ ბატონი ადამის და ქალბატონი ევასგან მოდიხარ!“ – თქვა ასლანმა. „და ეს არის როგორც პატივი, საკმარისი იმისთვის, რომ საწყალ მათხოვარს თავზე დაადგე, ასევე სირცვხილიც, საკმარისი იმისთვის, რომ დედამიწის უდიდესი იმპერატორის წინ თავი დახარო. იყავი კმაყოფილი!“ [2]

შენ შეიქმენი პირადი, სულით აღსავსე ურთიერთობისთვის, შენს მამასთან.

ჩვენ ვართ მიწის მტვრისგან წარმოქმნილი ნიადაგის შვილები, დაცემიდან დიდი ხნის შემდეგ შექმნილნი. ჩვენი სული გაცოცხლა, როცა თავიდან დავიბადეთ, მაგრამ ჩვენი სხეული და გონება აღორძინების ტაძარს საჭიროებს.

„აცხადებს ღრმას და დაფარულს, იცის თუ
რა არის ბნელში და სინათლე მკვიდრობს
მასთან“. (დან. 2:22)

დაცემისას ერთმანეთში ჩაწნული სული და არსება დაირღვა. უკეთ რომ გაიგოთ, ეს გავდა ჭურჭელს, რომელიც გვაქვს, მაგრამ არ არის სავსე. მიუხედავად იმისა, რომ მისი სული ამაგრებს ჩვენს გარსს, ჩვენ ვატარებთ ჩვენი ნარღვევის ცნობიერებას, ჩვენს სიცარიელეს. ჩვენ ვსუნთქავთ, რადგან ის არის, მაგრამ თითოელი ჩასუნთვის ზედაპირულობა გვეუბნება, რომ მეტია, რადგან ვერ გვავსებს. ღვთის სულის გარეშე ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც აპარატზე შეერთებული ადამიანი.

ახლა უნდა აგიხსნათ, რატომ გამოვყავი დრო და ადგილი, რათა შექმნის ანგარიში ასე გადმომეფინა თქვენთვის. მე ვგრძნობ, რომ ღვთის სულს უნდა, რომ იძვროდეს შენი ცხოვრების გარკვეულ სფეროებში. მას სურს, რომ ახალი სული შთაბეროს დაბადების წიგნს. მას უნდა რომ:

გაგანათოს თავისი სინათლით (2 კორ.4:6);
გამოყოს ნათელი ბნელისაგან (2 კორ.6:14);
შექმნას მოსასვენებელი სივრცე შენს ცხოვრებაში (რომ.4:7-8);
გადაწიოს წყლის ბნელი საფარი და გამოაჩინოს ახალი მიწა (ებრ.11:29);
გამოანთავისუფლოს დამარხული თესლი შენს მიწაში, რათა აღმოცენდეს და გამოიღოს ნაყოფი(მარკ.4:20);
მოუწოდოს სიცოცხლეს და სასწაულებს შენს ღრმა წყ-ლებში (იოან.7:38);
გაათავისუფლოს შენი გული შიშებისაგან, რათა რწმე-ნაში გაფრინდეს (მათ.6:22; მარკ.6:50);
გაგაოცოს საკუთარი თავისუფალი ქმნილების შემოქ-მედებითობით (ფს.18:1-6);
ჩაისუნთქო სიცოცხლე, მისი სიცოცხლე, ცოდვის მიერ შექმნილ უფსკრულში, ისევ გააერთიანოს შენი სული და არსება და განკურნოს ყველაფერი, რაც დაფლეთი-ლი და დაჭრილია (იოან.20:21-22; კოლ.2:2).

ახლაც კი, ჩვენი შემოქმედი ილტვის, რომ მიუახლოვდეს და პირისპირ აღმოჩნდეს ნებისმიერ დაფარულ სიბნელეში და დაბურულ დაბნეულობაში, რათა გამოასხივოს თავისი სინათლე. მისი სული იძვრის ჩვენი ცხოვრების უსახურ ადგილებში. მან იცის ჩვენი ტკივილისა და მდგომარეობის შესახებ. ის გვხედავს, როგორ ვებრძვით დაბნეულობას. ის არ მიდის, როცა ბრძოლებში გვხედავს. მისი სული ნელა გვიახლოვდება, გველოდება, ისევე ნაზად, როგორც დედა – შეშინებულ ბავშვს, როგორც არწივი თავს დასტრიალებს ახლად გამოჩეკილ მართვეებს, მოლოდინით აკვირდება, როგორ დააღწევენ თავს თხელი ნაჭუჭის საზღვრებს. მოგვიანებით არწივი ისევ მათ გარშემო იტრიალებს, როცა ფრენის სწავლას დაიწყებენ. ეს არის მოუდრეკლად ახლო, მყარი ბუნება ჩვენი შემოქმედისა, რომელიც ყოველთვის ჩვენ გარშემოა და ჩვენშია. სიახლოვე პატარა ადგილსაც კი არ ტოვებს ჩრდილში. ასე რომ, ნუ დაიმალები! შენი მამა გხედავს და უყვარხარ, ისეთი როგორიც ხარ. ენდე, რომ ვინც გამოგძერწა, სულსაც გშთაბერავს!

„სიახლოვე პატარა ადგილსაც კი არ ტოვებს ჩრდილში“.

სიახლოვეს მოაქვს სისრულე

ერთადერთი, რაც ღმერთს არ შეუძლია, არის ტყუილი.

ის არ გაიმეორებს იმ ტყუილებს, რაც სხვებს უთქვამთ შენთვის.

ის არ მისცემს ნებას ტყუილს, რომელიც შენს თავს შთააგონე, ერქვას სიმართლე.

ის არ მისცემს ნებას რაღაც იარლიყს, შეგზღუდოს შენ. მის თანდასწრებაში, ყველა იარლიყი ძირს ვარდება, ისინიც კი, რომლებიც შენ მიაკარი შენს თავს.

ის მოგმართავს შენი სახელით, და არა იმ სახელებით, სხვები რომ გეძახიან.

ის მოგმართავს სახელით, რომელსაც სული ხედავს, როდესაც იძვრის შენზე.

ის დგება შენი ღრმა მისწრაფებების და ბნელი შიშების პირისპირ.

ის ხედავს ჩამოუყალიბებელ ადგილებს.

ის ხედავს გაცრუებულ იმედს.

ის ხედავს დაბნეულობის ნისლიან ღრუბლებს.

ის ხედავს ადამიანების ძლიერ მღელვარებას კრიზისის დროს.

მას ესმის შეშინებულის და მარტოსულის ღაღადი.

ის გრძნობს არიდებულის და გამოყოფილის ტკივილს.

ის ხედავს ცოდვის და სირცხვილის მახეს.

ის ხედავს წყლებს, რომლებიც წალეკვით იმუქრებიან.

ის ხედავს წყვდიადის სიღრმეების მიღმიდან, რომელთაც შენი სამყაროს ფერები ჩრდილთა რიგებით გაანაცრისფრეს.

ის ხედავს ამ ყველაფერს და სინათლეს ლაპარაკობს.

სხვებმა შეიძლება გოგონა გიწოდონ, ის ქალიშვილს გიწოდებს.

სხვებმა შეიძლება შეცდომა გიწოდონ, ის ქალიშვილს გიწოდებს.

შენ შეიძლება შენს თავს ჰეტეროსექსუალის, ტრანსგენდერის, ასექსუალის, ლესბოსელის, ან ნებისმიერი სხვა იარლიყი მიაკრა. ის გიწოდებს მის საკუთრებას.

ქალიშვილი უფრო მაღლაა და უფრო ღრმაა ვიდრე სქესი.

ქალიშვილი უფრო ახლოა ვიდრე შენი სექსუალური ორიენტაცია.

ქალიშვილი - ეს არის, თუ ვინ ხარ შენი შემოქმედისთვის.

ღმერთი არ მოგვმართავს, როგორც გოგოებს და ბიჭებს.

ის გვეძახის ქალიშვილებს და ვაჟებს.

თითოეულ ჩვენგანში არის პირადი ადგილები, რომლის შეხებაც მხოლოდ მას შეუძლია. არის ადგილები ჩვენში, რომელიც ღვთის სულისთვის საპასუხოდ შეიქმნა. ჩვენ მოვუხმობთ მის შეხებას ყოველთვის, როცა იესოს სახელს ჩავისუნთქავთ.

არ ვიცი, თუ ღაღადებდა ჩვენი პლანეტა, როცა წყლების სამარხის სიღრმეებში იყო ჩაძირული. არ ვიცი, რატომ აირჩია ღვთის სულმა, რომ იმ ადგილას ეტრიალა. მე ვიცი, რომ ღვთის სული ახლა ისე ახლოა ჩვენთან, როგორც ჩურჩული, რომელიც ელოდება გარს შემოგვერტყას და ახლოს შემოგვიკრიბოს.

ახალ აღთქმაში შემოქმედის გული იესოს სიტყვებში აირეკლა:

> „იერუსალიმო, იერუსალიმო, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენთან წარმოგზავნილთა ჩამქოლავო! რამდენჯერ მინდოდა შენი შვილების შემოკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ არ ინდომეთ!“ (მათ. 23:37)

როგორი ტრაგიკულია სიტყვები: „მაგრამ არ ინდომეთ!“

ახლაც კი, ღვთის სული იძვრის, ელოდება დაილაპარაკოს, რათა დააწყნაროს ქარიშხლები და ჩააჩუმოს ჩვენი უდაბური ადგილების ღმუილი. ის ელოდება, სურს, რომ გარს შემოგვერტყას თავისი ფრთების სითბოთი და დაცვით. გვინდა კი ჩვენ? მოვიპატიჟებთ კი ღვთის სულს, რომელიც გარშემო იძვრის, რათა მოგვიახლოვდეს? მივცემთ ნებას დაგვიფაროს? განვაგრძობთ მცდელობას, რომ ჩვენი თავი დავიფაროთ, მაშინაც კი როცა სხვებს ვააშკარავებთ? მოვუსმენთ კი ჩვენს შემოქმედს?

სიახლოვე არის ჩვენი ღრმა და სასოწარკვეთილი სურვილის ნაწილი, რომ უბრალოდ ვეკუთვნოდეთ.

ჩვენ ვისწრაფვით ვეკუთვნოდეთ ... რადგან ჩვენ შექმნილები ვართ, რომ ვეკუთვნოდეთ.

ჩვენ გაგიჟებით გვწადია სიახლოვე ... რადგან სიახლოვისთვის ვართ შექმნილები.

ჩვენ გვჭირდება გვიყვარდეს და ვუყვარდეთ ... რადგან სიყვარულისთვის ვართ შექმნილები.

და სიყვარულის მიერ ვართ შექმნილები.

სიმართლე ისაა, რომ ჩვენ ვიხრებით იქით, რომ ზედმეტად გავამარტივოთ რაღაცები და გავართულოთ სხვები. როცა საქმე სქესს ეხება, ორივეს ვაკეთებთ. მე ვცხოვრობ ქალის სხეულში, მაგრამ საბოლოოდ მე ვარ სული. ჩვენ ყველა სულიერი არსებანი ვართ, რომელთაც ცოტა ადამიანური გამოცდილება გვაქვს. დედამიწა არ არის ჩვენი სახლი, ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ზოგჯერ ჩვენი სხეული უცნაურად, შეზღუდულად და ხელფეხშეკრულად გრძნობს თავს. სხვანაირად ვერც ვერასდროს იგრძნობენ, სანამ ჩვენი მოკვდავი, ნაკლოვანი ჩარჩოები თავიანთ ამორალურ სხეულებს ჩემოეცმევიან. ჩვენ მარცვლები ვართ, რომლებიც ელოდება გამოვლენას. მხოლოდ და მხოლოდ, ამის შემდეგ აღმოვაჩენთ ვინ და რა ვართ სინამდვილეში.

ჩვენ ყველანი დამსხვრეულნი ვართ. სხვა დამსხვრეულ ადამიანებზე მიკუთვნება, ვერ აღადგენს ჩვენს ნამსხვრევებს, ისევე როგორც სექსი ვერ აავსებს ჩვენს სწრაფვას ინტიმურობისკენ. თუ ეს ასეა, მეძავეები და სექსუალურ ცხოვრებაზე დამოკიდებულები ყველაზე ავსებული ადამიანები იქნებოდნენ პლანეტაზე (ვფიქრობ, ყველა ვეთანხმებით, რომ ეს ასე არ არის). მაგრამ არის ვიღაც, ვისაც ვეკუთვნით, ვისაც შეუძლია განკურნოს ჩვენი დამსხვრეულობა და დააკმაყოფილოს ჩვენი

პირადულობის სურვილი. ეს არის ღვთის სული, რომელიც იძ-ვრის და კიდევ ერთხელ გვხდის სრულს.

გახსოვთ მუხლი დანიელის მე-2 თავიდან, სადაც ხელშეუხებელი ქვა ხდება მთა? ეს აზრი არეკლილია ესაის წიგნშიც:

> „უკანასკნელ დღეებში იქნება, რომ მთა უფლის სახლისა, მთათა სათავეში განმტკიცდება, ბორცვებზე ამაღლდება და ყოველი ერი მისკენ დაიწყებს დინებას. მრავალი ხალხი მოვა და იტყვის: „მოდი, ავიდეთ უფლის მთაზე, იაკობის ღმერთის სახლში; *რათა მან გვასწავლოს თავისი გ ზები და მისი ბილიკებით ვიაროთ,* რადგან სიონიდან გამოვა რჯული და იესურალიმიდან - უფლის სიტყვა“. (ესაია 2:2-3)

ღმერთი გვაჩვენებს მისი მოქმედების გზებს. ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია, ვიცხოვროთ იმ გზებით, რომლისთვისაც ვართ შექმნილნი. ჩვენ შევიქმენით ურყევი, დაუძლეველი სი-ახლოვისთვის, რომელსაც ვერ გადათქვამს ვერც ჩვენი ღრმა მისწრაფებები და ვერც ჩვენი უძლიერესი შიშები გადადებს. თუ ჩვენ ვთხოვთ, ის გვაჩვენებს თავისი სიკეთის სინათლეს. გაჩერდი, დაუფიქრდი და ნება მიეცი მის სინათლეს, აგანთოს შენ!

ძვირფასო ზეციურო მამა,
ვბედავ, დავიჯერო, რომ შენ არ ხარ მოშორებით, ან მი-უღებელი; შენ ახლოს ხარ. არის ჩემი ცხოვრების ღრმა წყლებში ჩაძირული რაღაცეები, რასაც ვეღარ ვხედავ. გაძლევ ნებას, დაელაპარაკო ჩემს ცხოვრებას! გამოან-თავისუფლე შენი სინათლე და გამოყავი იგი ნებისმიერი სიბნელისა და დაბნეულობისგან ჩემს ცხოვრებაში! ვღებულობ, რომ შენთვის მნიშვნელოვანი ქალიშვი-ლი ვარ. მაჩვენე გ ზები, რომლითაც ჩემს ცხოვრებაში მოქმედებ, რათა მეც შემეძლოს იმ გ ზებით ცხოვრება, რისთვისაც შევიქმენი . . . შენი დიდებისთვის!
იესოს სახელით, ამინ.

ანდამატივით მუდმივი

„იესო ქრისტე გუშინ, დღეს და უკუნისამდე იგივეა“.

ებრ. 13:8

ჩემს ცხოვრებაში იშვიათად ხდება რომ უქმეებზე დავისვენო. უქმეების მარტო გატარება ხომ საერთოდ სასწაულია.

ისე კი, ვაღიარებ, ვიმალებოდი. თქვენ, ალბათ, მკითხავთ რატომ?

სინამდვილეში, ამ წიგნზე მუშაობას გავურბოდი.

ეს არ იყო უბრალოდ დაყოვნება, რომელმაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩამაგდო, თუმცა ვაღიარებ, ეს ის არის, რაც ნამდვილად კარგად დამომდის. არა, მე შეშინებული ვიყავი ბევრად უფრო შემაძრწუნებელი რამით, ვიდრე წიგნის დასრულების ბოლო ვადაა.

დარწმუნებული არ ვარ, რომ ოდესმე მეგრძნოს შეტყობინების ასეთი მნიშვნელობა. ვიგრძენი, რამდენად გადაუდებელი იყო, არა მხოლოდ სწორი სიტყვების მოძებნა, ასევე ამ სიტყვების სწორი ხასიათით გადმოცემაც. უპირველესად, იმაზე ვლოცულობ, რომ საჭირო სიტყვების და წმიდა წერილის ადგილების პოვნის შემდეგ, ისინი ისე დალაგდეს, რომ უბრალოდ კი არ წაიკითხო. . . არამედ დედისგან თუ მეგობრისგან მიიღო, რომელსაც უნდა, იცოდე რომ წარმოუდგენლად და განუზომლად უყვარხარ.

დღეს მინდა, ხელი ჩავჭიდო იმას, რასაც დიდი ხნის წინ შევეხე და წამოვწიე. მე მარტო ვარ ჩემს ლეპტოპთან, არც რაიმე შეხვედრა მაქვს, და არც ღონისძიებაა, რასაც გასაქცევად ან თავის ასარიდებლად გამოვიყენებდი. შაბათია, ჩემი ოფისი დაკეტილია, და სახლისგან შორს ვარ იმ მტკიცე მიზნით, რომ ვწერო. დილით ადრე, ველოსიპედით გავეშურე ფერმერების მარკეტისკენ, რათა რამდენიმე დღის მარაგი საკვები მეყიდა. შევიარაღდი ახალი პარმეზანის ქონდარიანი პურით, და საქმეს შევუდექი. იმით დავიწყე, რაც მთელი დილა მესმოდა ჩემს სულში: „მე ვარ უფალი, ღმერთი, მე არ ვიცვლები“.

ამ სიტყვებით გავიღვიძე. მთელი დილა ექოსავით მეორდებოდა ეს გამოცხადება გონებაში. საბოლოოდ, ეს სიტყვები ჩემს დღიურში ჩავწერე. ზოგადად, როცა რაღაც ჩაწერილი და შესაბამისად, აღიარებული ხდება, დაჟინება დუმდება. მაგრამ დღეს, სიტყვების დატყვევებამ ვერ დაადუმა ისინი. ვეძებდი ამ ფრაზას წმიდა წერილში. მასთან ყველაზე მიახლოებული ადგილი, მალაქიაში ვიპოვე: „რადგან მე, უფალი, არ ვიცვლები, ამიტომ არ ნადგურდებით თქვენ, იაკობის ძენო“ (მალაქ.3:6).

„ღმერთი არ იცვლება. მას არ სჭირდება შეცვლა“.

ეს წინადადება ფრაზებად და ნაწილებად დავშალე, სანამ გარეთ ვიჯექი და ნახევარი პური შევჭამე.

იმ სიტყვების განხილვით დავიწყე, რაც ბოლოს მოვისმინე: „მე არ ვიცვლები“.

ღმერთი არ იცვლება. მას არ სჭირდება შეცვლა. ის ერთგულია. ის ყველაფერია. მისი პასუხი ჩვენდამი, დაფუძნებულია იმაზე თუ ვინ არის ის, და არა იმაზე, თუ ვინ ვართ, ან არ ვართ ჩვენ. მადლობა ღმერთს, რადგან თუ ღმერთი შეიცვლება, ჩვენ ყველას პრობლემები გვექნება.

იმის ცოდნა, რომ ღმერთი არ იცვლება, დამამშვიდებელია, და ამავდროულად გამოსაფხიზლებელიც, იმის გაცნობიერებით, რომ თუ შეიცვალა, . . . ეს ჩვენს სრულ განადგურებას მოასწავებს.

მალაქია ძველი აღთქმის ბოლო წიგნია. ეს მუხლი, მესამე თავის პირველ ხუთ მუხლს მიჰყვება კვალდაკვალ. სადაც აღწერილია, როგორ გამოაგზავნის ღმერთი მაცნეს, მისი გზის მოსამზადებლად, ვინც გამომდნობლის ცეცხლის და მრეცხავის ტუტის მსგავსია. ორივე ხატი, ცეცხლის და ტუტის, აგრესიულ მოქმედ პირს წარმოაჩენს, რომელიც ცდის და

წმედს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უფალი არ იცვლება, მას სურს გარდაგვქმნას ისეთებად, როგორებად ყოფნისთვისაც შევიქმენით.

იმ ფაქტმა, რომ ღმერთი არ იცვლება, უნდა გაგვამხნეოს იმის დასაჯერებლად, რომ ჩვენ შეგვიძლია! ის არის მუდმივად კეთილი და ერთგული.

როცა ჩემი ვაჟები პატარები იყვნენ, ბუნებრივად ცდილობდნენ ჩემი და მათი შეზღუდვები გაერღვიათ. ეს ყოველთვის იმას როდი ნიშნავდა, რომ მათ საკუთარი გზა უნდოდათ. ამ დროს, მათ უნდოდათ, სცოდნოდათ მათი რეალური საზღვრები. მართლა იმას ვგულისხმობდი, რაც ვთქვი? რამდენჯერ ვეტყოდი: „თუ ერთხელ კიდევ ისვრით ბურთს სახლში, თქვენ მას დაკარგავთ!“, მართლა წავართმევდი? მივიყვანდი საქმეს ბოლომდე, თუ ფუჭი მუქარა იყო?

„იმ ფაქტმა, რომ ღმერთი არ იცვლება, უნდა გაგვამხნეოს იმის დასაჯერებლად, რომ ჩვენ შეგვიძლია!“

როცა ცვალებადი ვიყავი, გარშემო ყველა იბნეოდა. თუ ერთ რამეს ვამბობდი, როცა ბედნიერი ვიყავი, და მეორეს - როცა დაღლილი, ვერავინ მიხვდებოდა რას ვიტყოდი, თუ სხვანაირ განწყობაზე მყოფს გამომიჭერდნენ. თუ ერთ რამეს ვეუბნებოდი სხვა ხალხის თანდასწრებით, და მეორეს – პირადად, დარწმუნებულები არ იყვნენ, რას ვაპირებდი. სანამ მტკიცე გავხდებოდი, ისინი მერყევები და ურჩები იყვნენ.

ცოტა ხნის წინ, ტელეფონით ვესაუბრებოდი ადამიანს, რომელსაც ვთხოვეთ ჩვენს ორგანიზაციაში მეტი ოთახები გამოეყო. მან მკითხა, რატომ მაკლდა თავდაჯერებულობა ჩვენი ორგანიზაციის ერთ ადგილთან დაკავშირებით, როცა მეორესთან დაკავშირებით აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი. მივხვდით, რომ სიცხადე მაკლდა. რა იყო ჩემი დანიშნულება? არ ვიცოდი სად მქონდა ძალაუფლება, და სად არა. როცა არ იცი, რას უნდა ელოდე, არ იცი, როგორ იმოქმედო.

ჩვენ სიცხადისთვის ვართ შექმნილები. ღმერთმა იცის ეს. ღმერთი ბუნებით მარადიული და მტკიცეა. ღმერთი კეთილია. ის სიკეთეს აკეთებს. ღმერთი გვაძლევს იმას, რაც კარგია. არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ეჭვის ჩრდილს ნება უნდა მივცეთ, ჩვენს ფიქრებს დაეპატრონოს.

„ყოველი კეთილი მისაცემელი და ყოველი სრულყოფილი ნიჭი გადმოდის მაღლიდან, შუქთა მამისგან, რომელთანაც არც ცვლილებაა და არც ჩრდილი ცვალებადობის“. (იაკ.1:17)

ამ მუხლის მეორე ნახევარში ჩადებული შეტყობინება შეგვიძლია ასეც გადმოვცეთ, „არ არსებობს არანაირი სიცრუე ღმერთში, არაფერია მასში მერყევი და ორსახოვანი“. ღმერთი არ ცდილობს მოგვატყუოს ან გაგვაოცოს იმით, რომ ერთი თქვას, როცა მეორეს გულისხმობს. ის არ გვეტყვის ერთს პირში, და სხვას ზურგს უკან. ჩვენი ღმერთი სანდოა და ღიად ელაპარაკება ყველას თანმიდევრული შეტყობინებებით.

კიდევ ერთი პასაჟი ბიბლიიდან, რომელიც ღვთის უცვლელ სიმტკიცეს გამოხატავს, არის რიცხვნის 23:19:

„ღმერთი კაცი არ არის, რომ იცრუოს და არც კაცის ძეა, რომ აზრი შეიცვალოს. განა უთქვამს და არ გაუკეთებია?“

ღმერთი არ ცრუობს. ის არ იცვლის აზრებს. იგი გააკეთებს იმას, რაც თქვა რომ გააკეთებდა. რასაც ამბობს, სრულყოფილად შესრულდება. ზოგი რამ, შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს, ან იმაზე გვიან გამოჩნდეს, ვიდრე ჩვენ ველით, მაგრამ შესრულდება.

ღმერთი არის ჩვენი მოუდრეკელი, ურყევი მთა, მუდმივი კლდე, რომელიც მაღლაა და შეგვიძლია, მივაპყრათ ჩვენი თვალები, რადგან ვიცით, რომ ის იქაა. რადგან იგი მუდმივია, მისი სიტყვა და მისი ქმედება ურთიერთშეთანხმებულია ერთმანეთთან. მას არ შეუძლია, თქვას ერთი და გააკეთოს მეორე. ის არის მისი ყველა გამოხატულების ერთიანობა.

ის, რაც ითქვა ძველ აღთქმაში, შესაძლოა, სიტყვიერად სხვანაირად იყოს გამოხატული ახალ აღთქმაში, თუმცა არა სულიერად. აბრაამთან დადებული შეთანხმების თანახმად, წინადაცვეთა სავალდებულო იყო ყველა მამრობითი სქესის წარმომადგენლისთვის, მაგრამ როცა სახარება გავრცელდა წარმართთა შორის, ეს უკვე აღარ იყო მოთხოვნა. პავლე ამ ყველაფერს ამგვარად ხსნის:

„ვინაიდან წინადაცვეთა სასარგებლოა, თუ რჯულს აღასრულებ; ხოლო თუ რჯულის დამრღვევი ხარ, შენი წინადაცვეთა წინადაუცვეთელობად იქცა. მაშ, თუ წინადაუცვეთელი იცავს რჯულის წესებს, განა მისი წინადაუცვეთლობა წინადაცვეთად არ ჩაითვლება? ბუნებით წინადაუცვეთელი, მაგრამ რჯულის დამცველი, განგიკითხავს შენ, შენი წერილითა და წინადაცვეთით, რჯულის დამრღვევს. ვინაიდან იუდეველი ის კი არ არის, ვინც გარეგნულადაა ასე, და არც წინადაცვეთილობაა ის, რაც გარეგნულადაა ხორცზე. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანად არის, და წინადაცვეთილობა ისაა, რაც გულით არის, სულში და არა ასოში; რისი ქებაც კაცთაგან კი არა, ღვთისგანაა“. (რომ.2:25-29)

რა სარგებლობა აქვს გარეგნულ ნიშანს, თუ მას თან არ ახლავს შინაგანი ტრანსფორმაცია? და მაინც, შინაგანი ტრანსფორმაცია არ ითხოვს რჯულის გარეგნულ გამოვლენას. ბოლოს და ბოლოს, ღმერთს ყოველთვის წინადაცვეთილი გული უნდოდა. ეს არის შინაგანი საკითხი, რაც აერთიანებს მამის გულს და რჯულის სულს და ქმნის მორჩილებას. რჯულის სული ყოველთვის ჩაანაცვლებს ხორციელ მოთხოვნებს. სული ისეთ შესაძლებლობებს მოგვცემს, რასაც რჯული არასდროს მოგვცემდა. ღმერთს არ შეუცვლია აზრები ... მან შეცვალა ჩვენი გულები. ნახეთ, რა უთხრა მან მოსეს:

„და წყალობისმყოფელი ჩემს მოყვარულთა და ჩემი მცნებების დამცველთა ათასეული თაობისთვის“. (მეორ.რჯ.5:10)

და კიდევ:

„ნეტავ, ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება, რათა კარგად ყოფილიყვნენ თვითონ და მათი ძენი უკუნისამდე!“ (მეორ. რჯ.5:29)

ადამიანთა მთელი მოდგმის დამოწმებებს შორის, მომგებიანი კომბინაცია ყოველთვის სიყვარული და მორჩილება იყო. სიყვარული გვაძლევს ძალას, დავემორჩილოთ. ღმერთს სურდა, წყალობისმყოფელი სიყვარული გადმოეფრქვია ჩვენზე და

„მან იესო გამოგზავნა, რათა მისი გული ეჩვენებინა“.

არა ის, რომ შეუძლებელი კანონებით წაველეკეთ. ღმერთს რომ შესძლებოდა, ჩვენს გულებს დიდი ხნის წინ სინას მთაზე შეხებოდა და შეეცვალა ისინი, ასეც მოიქცეოდა. მაგრამ მან იესო გამოგზავნა, რათა მისი გული ეჩვენებინა.

როცა მისი სიყვარული გამოვლინდა ჩვენდამი, ერთადერთ სავალდებულო კანონად სიყვარულის კანონი დარჩა. ჩვენ ასევე ვკითხულობთ:

> „იესომ მიუგო: „უპირველესი ასეთია: ისმინე ისრაელო, უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთადერთი უფალია. შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით. ეს არის პირველი მცნება. მეორეა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ამათზე დიდი მცნება არ არსებობს“. (მარკ.12:29-31)

ძველი აღთქმის ათი მცნება ჩართული იყო მორალურ კანონებში, წეს-ჩვეულებებში, სამოქალაქო კანონებში. და მაინც იესომ თქვა: „ამ ორ მცნებაზე ჰკიდია მთელი რჯული და წინასწარმეტყველნი“ (მათ.22:40).

მე ვარ

წინადადების შემდეგი ნაწილი, რომელიც მე გავხსენი, იყო: „მე ვარ“. ეს თავის მხრივ სრულყოფილი წინადადებაა. ეს არის ის, რაც ადამიანთა მოდგმის მიერ დასმულ უამრავ კითხვას პასუხობს.

„ღმერთო, აქ ხარ?“

ის პასუხობს: „მე ვარ“.

„ამაზე იზრუნებ?“

იგი ისევ ამ პასუხით გვარწმუნებს: „მე ვარ“.

ის თანადროულადაა ჩვენს წარსულში, აწმყოსა და მომავალში, როგორც – „მე ვარ“.

ის იყო ერთგული, რადგან იგი ერთგულია. ის იქნება ერთგული, რადგან ის აქამდეც იყო ერთგული. რადგან ის არის . . . „მე ვარ“.

როგორც ჩემს წიგნში *„კონკურენციის გარეშე“* დავწერე, გერემოცული ვიყავი უმაღლესი ღვთის არსით, ღმერთის,

რომელიც არის - „მე ვარ“. იმ ასაკში, რომელშიც ადამიანთა უმრავლესობა შეპყრობილია იმის აღმოჩენით, თუ ვინ არის, ყველა ჩვენგანისთვის დიდი შვება იქნება, თუ გვეცოდინება, რომ ჩვენს იდენტობას აღმოვაჩენთ იმ ერთში, ვინც იყო, არის და კვლავ მოდის. ჩვენი იდენტობა არის განძი, რომელიც მასში ღრმადაა დამალული. ჩვენ აღმოვაჩენთ ვინ ვართ, იმ გამოცხადებით, თუ ვისი ვართ.

მე ვარ „მე ვარ-ის“ შვილი.

შენ ხარ „მე ვარ-ის“ შვილი.

ღმერთმა წარუდგინა საკუთარი თავი მოსეს, როგორც „მე ვარ, რომელიც ვარ“ (გამოს.3:14), რაც ნიშნავს: „მე ვარ სრულყოფილი განსახიერება იმისა, თუ ვინ ვარ, არაფერია ნაწილობრივი და არაფერი აკლია“.

„კინგ ჯეიმსის“ გამოცემაში წერია: „მე ვარ, რადგან მე ვარ“ (გამ.3:14). ღმერთი არსებობს იმიტომ, რომ ის არსებობს. მე ვარსებობ იმიტომ, რომ ის არსებობს. რადგან ის არსებობს, ის არ არის უცოდინარი იმისა, თუ რა ხდება. ღმერთი გამოეცხადა მოსეს, რადგან მან ეგვიპტის სასტიკ ტყვეობაში დამონებული თაობის ღაღადი გაიგონა. რადგან ღმერთმა იცოდა, ის ჩართული იყო ამ ყველაფერში.

> „გაგიხსენეთ თქვენ და ვიხილე, როგორ გექცევიან ეგვიპტეში. და ვთქვი, რომ გამოგიყვანდით ეგვიპტის სატანჯველიდან“. (გამოს.3:16-17)

როცა ვკითხულობ და ვფიქრობ ჩვენი „მე ვარ“ ღმერთის შესახებ, სამ რამეს ვხედავ: ღმერთი ხედავს, ღმერთმა იცის, ღმერთი პასუხობს. ეს სამი საკითხი ამბობს: „მე ყველაფერი ვიცი“. მე არ ვიცი, სად ხარ, მაგრამ ამ წუთას „მე ვარ“ ღმერთი გხედავს შენ, მან იცის, რა მოხდა და გპირდება, რომ გამოგიყვანს შენი ტკივილისა და მონობისაგან.

ის არის ყველაფერი. ის არის დასაწყისი და დასასრული, თუმცა დასაწყისისა და დასასრულის გარეშე. ის მოიცავს ყველა ასოს ალფადან ომეგამდე და ამავდროულად შეუძლებელია მისი აღწერა ნებისმიერი რაოდენობის ასოსგან შემდგარი ნებისმიერი რაოდენობის სიტყვით. ის არის „მე ვარ“. ღმერთი არის საფუძველი საფუძვლისა.

ყველა შექმნა არის იმ შექმნის გაგრძელება. რადგან ის არის . . . მე ვარ. რადგან ის არის . . . შენ ხარ. ჩვენი შემოქმედი

არის ჩვენი საწყისი და საბოლოო ავტორი ჩვენი იდენტობისა. ეს ნიშნავს, რომ ვერავინ შეძლებს მოგვპაროს იდენტობა, რომელიც მასშია დამალული. ქრისტეში, ჩვენს ანდამატში, ჩვენ ვართ მისი არა ჩვენი ბუნებრივი შობის მეშვეობით, არამედ მისი მწყალობელი საჩუქრის და ხელახლაშობის მეშვეობით.

წინადადების შემდეგი ნაწილი, რომელიც გამოიკვეთა ჩემთვის, იყო „უფალი“.

ეს ტერმინი „მე ვარ“-ს, მეტ დიდებულებას სძენს. როგორც „უზენაესი უფალი“ (ფს.7:17). ეს ტერმინი ასოცირდება იაჰვეს სახელთან, რომელიც იმდენად წმიდაა ებრაელებისთვის, რომ მისი ხსენებაც არ შეიძლება. ეს წმიდა და მაღალი სახელი არის მისი იდენტობა, შებრალებასა და წყალობაში გახვეული.

მე მადლიერი ვარ, რომ წმიდა და მაღალი ღმერთი, არის შემბრალე და მოწყალე. რა მოხდებოდა, თუკი ის, ვინც უმაღლესი ხელისუფალია, ძალაუფლების მქონე, გულქვა, შეუბრალებელი დიქტატორი იქნებოდა? სიმართლე ის არის, რომ რადგან ის ყველაფრის უფალია, ის ჩემს ყველაფერს იმსახურებს. რადგან ის მოწყალე და შემბრალეა, მას ესმის, რომ თითოეული ჩვენგანისთვის ცხოვრება - ეს მოგზაურობაა.

„მასში, ჩვენ არ ვკარგავთ პიროვნულობას; უფრო მეტიც, ჩვენ გათავისუფ-ლებულნი ვართ, რათა გავხდეთ უფრო მეტად ისეთი, როგორადაც მან შეგვქმნა“.

როცა ჩვენ დავთმობთ ყველაფერს იმის გამო, რომ ის არის (უფალი), ჩვენი გული ფართოვდება მისი საკუთრებით. მასში ჩვენ არ ვკარგავთ პიროვნულობას; უფრო მეტიც, ჩვენ გათავისუფლებულნი ვართ, რათა გავხდეთ უფრო მეტად ისეთი, როგორადაც მან შეგვქმნა. ჩვენთვის რთულია სიტყვა უფლის, ბატონის გამოყენება წარმოვიდგინოთ სამეფოს გარეთ, ჩვენი ადამიანური იერარქიული გამოცდილებით. ჩვენ ვიცით ქვეყნიერების ბატონების შესახებ, რომლებიც ძალაუფლებას და მართვის ბერკეტებს საკუთარი სარგებლისთვის იგდებენ ხელში. კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში მუხანათი ბატონები იყენებდნენ მათ თავიანთ სამფლობელოებში. ამ ყველაფრის შესახებ იესო თავის მოწაფეებს მათეს 20:25-28-ში აფრთხილებს:

„იესომ კი მოიხმო ისინი და უთხრა: „თქვენ იცით, რომ წარმართთა მთავარნი ბატონობენ მათზე და დიდებულნი ძალაუფლებით მართავენ მათ. თქვენ შორის ასე ნუ იქნება; არამედ, ვისაც სურს თქვენს შორის დიდი იყოს, ის თქვენს მსახურად იქცეს. და ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, თქვენი მონა იყოს. ისევე, როგორც ძე კაცისა არ მოსულა იმისთვის, რომ მას ემსახურონ. არამედ იმისთვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად“.

იესოს ბატონობა მაღლა უფრო გვწევს ვიდრე – დაბლა. იესოს ცხოვრების ყველა ასპექტი ემსახურებოდა და გამოისყიდდა.

ჩვენი უფალი გაშიშვლდა, რათა ჩვენ დავეფარეთ.

იესო კომპრომისზე წავიდა იმისთვის, რომ ჩვენ დაპირებულის მიღება შეგვძლებოდა.

ჩვენს უფალს უღალატეს, რათა ჩვენ დაცულები ვიყოთ.

იესო აღდგა სიკვდილიდან სიცოცხლეში, რათა ჩვენც აღვდგეთ.

ამ ფრაზის შემდეგი ნაწილი, რომელსაც დავაკვირდი, იყო „შენი ღმერთი“.

არ ვიცი, რატომ მოვისმინე ეს ფრაზა ჩემს სულში ძველი ინგლისურის ფორმით (thy God და არა your God) . შესაძლოა, ეს ჩემს ცხოვრებაში „ჩვენი მამის“ უამრავჯერ გამეორებით იყო გამოწვეული. ან შესაძლოა, ეს ყველაფერი იმ გამოცხადების დასტური იყო, რომ ღმერთი დროის მიღმაა.

აქ სიტყვა ღვთის გამოყენება ნიშნავს *„ელოჰიმს“*, შემოქმედს, მსაჯულს, მებრძოლს. სიმართლე ისაა, რომ ის მაშინ არ გამხდარა ღმერთი, როცა მე ეს ვაღიარე. ის ყოველთვის ჩემი შემოქმედი ღმერთი იყო. მას არ სჭირდება ჩემი აღიარება იმისთვის, რომ მიცნობდეს. ის მანამდეც მიცნობდა და ახლაც მიცნობს იმაზე კარგად, ვიდრე მე ვიცნობ საკუთარ თავს. მან საიდუმლოში გამახვია და საიდუმლო ადგილას მივყავარ. როგორც მსაჯულმა, მან გაამართლა ჩემი ცოდვა და ჩამომაშორა უმართლოება. ფსალმუნების 102:10-12 ამბობს:

„არც ჩვენი ცოდვებისამებრ მოგვექცა და არც
დანაშაულისთვის მოგვიზღა. ვინაიდან როგორც
ცაა დედამიწაზე მაღლა, ასევე აღმატებულია მისი
სიკეთე მის მოშიშთა მიმართ.

*როგორც აღმოსავლეთია დაშორებული
დასავლეთისგან, ისე განგვაშორა მან
ჩვენი დანაშაული“.*

ღვთის სიყვარული განუზომელი და ურყევია, შეუღწევადი და შეუვალი, რომელიც ჩემ მიერ გაგონილ ბოლო ფრაზისკენ მიგვიძღვის: „მე არ ვიცვლები“.

რადგან ღმერთი მოუდრეკელია სიყვარულში, ის მოუდრეკელია წყალობაშიც. ის გვპირდება მისი უცვლელი ბუნებიდან გამომდინარე და არა ჩვენი ცვალებადი ხასიათის მიხედვით. ფსალმუნების 103:17-ში ვკითხულობთ, როგორი მარადიულია მისი სიყვარული, მის მოშიშთა მიმართ. ღმერთი არ ეძებს სრულყოფილებას, რადგან იესოს, ჩვენი მოუდრეკელი ქვაკუთხედის გარდა, არავინაა უცოდველი! მაგრამ ის ეძებს მის მოშიშებს. რატომ? დღეს, ახლო ურთიერთობებისა და უპატივცემულობის დროს, რას ნიშნავს იყო ღვთის მოშიში?

ერთი გზა ღვთის მოშიშობისა, არის, თავი აარიდო ბოროტს. იგავების 3:7-ში ვკითხულობთ: „ნუ იქნები ბრძენი საკუთარ თვალში, უფლის გეშინოდეს და ბოროტებას განერიდე!“ ერთ-ერთ თარგმანში(The Passion Translation) ეს ფრაზა ასე ჟღერს: „სიბრძნე მოდის, როცა თაყვანს სცემ მას განუყოფელი ერთგულებით და თავს არიდებ ყველაფერს, რაც არასწორია“.

როცა ერთი და იმავე მუხლის ამ ორ ინტერპრეტაციას გავაერთიანებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ თუ მოკრძალებითა და გაოცებით შევცქერით მას, ჩვენ ვტრიალდებით ყველაფრისგან, რაც ბოროტია და არასწორია. უცვლელი ღვთის სასწაული გვცვლის ჩვენ.

რადგან მას ვუყვარვართ, ის ზრუნავს. რადგან ის ზრუნავს, ის მუდმივია.

*ძვირფასო ზეციერო მამა,
შენ ერთგული და მოსიყვარულე ხარ მაშინაც კი, როცა მე შიშით და ურწმუნოებით ვარ სავსე. მე ვლოცულობ, რომ მუდმივად ცვალებად მსოფლიოში გიცნობდე, როგორც მიუდმივს. შემცვალე, რათა ავირეკლო შენი მტკიცე ბუნება და უძრავი სიყვარული! არათანმიმდევრულობის სამყაროში მე მსურს, ვიყო თანმიმდევრული!*

4

ანდამატივით სიყვარულში

„ყველაზე დიდი ბედნიერება იმის რწმენაა, რომ უყვარხარ; უყვარხარ იმისთვის, როგორიც ხარ, ან უფრო სწორად, იმისდა მიუხედავად, როგორი ხარ“.

ვიქტორ ჰიუგო

ოცდათხუთმეტ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯონმა ბრილიანტის ნიშნობის ბეჭედი მომცა. უნდოდა, გაეოფიციალურებინა ის, რომ მე მისი ვიყავი და ის – ჩემი (მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც ყველას ეუბნებოდა, რომ მისი ვიყავი). ბეჭდის საყიდლად ჯონი თვეების განმავლობაში მხოლოდ კარტოფილს ჭამდა და ძუნწივით ზოგავდა ფულს. 1982 წლის 6 ივნისს, ჩემს 22-ე დაბადების დღეზე, როცა დალასში, შადრევანთან ვისხედით, ჯონი ხავერდის ყუთით წარმიდგა. გულის და ხელების კანკალით გავხსენი შავი კოლოფი, სადაც ცრემლის ფორმის ბრილიანტი აღმოვაჩინე, რომელიც ოქროს რგოლზე იყო დამაგრებული. ეს საუცხოო რამ იყო. ვფიქრობ, არ არსებობს ამაზე ლამაზი ბრილიანტი. ცრემლებით სავსე თვალებით ვუთხარი: „დიახ!“ – და დაუყოვნებლივ ჩამოვიცვი თითზე ბეჭედი.

მახსოვს, რომ ძალიან დიდი იყო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ვიხსნიდი თითიდან, იმ ღამით სახეზე ღიმილით და თითზე ბეჭდით დავიძინე. ჩვენ დანიშნულები ვიყავით!

როცა მეორე დილას გავიღვიძე, ნიშნობის ბეჭედი პირველი იყო, რასაც შევხედე. ბრილიანტი მზის სინათლეზე ბრწყინავდა და ცისარტყელის ლაქებს აფრქვევდა ჩემი დაღვრემილი ოთახის კედელზე. ეს ყველაფერი მარწმუნებდა, რომ წუხანდელი ღამე სიზმარი არ ყოფილა. ნიშნობამდე ერთი წლით ადრე, ჩემსა და ჯონს შორის არაერთი დრამა განვითარდა. ურთიერთობის დასაწყისში რამდენიმე დაშორების შემდეგ, სასიამოვნო იყო იმის ცოდნა, რომ სიყვარულის დაპირებით მივიწევდით წინ. როცა იმ დილით მე და ჯონი ეკლესიაში მივედით, უამრავმა ადამიანმა მოგვილოცა. საოცრად მაბედნიერებდა ის, რომ ხელს მუდმივად ჰაერში ვიქნევდი და ყველას ბეჭედს ვაჩვენებდი. მაგრამ მთავარი ფრთების შემსხმელი სწორედ ჩვენი სიყვარული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ცაცია არ ვარ, დარწმუნებული ვარ, სხვასთან ერთად ყოფნისას მარცხენა ხელს უფრო აქტიურად ვიყენებდი. ჩვენ დალასში ვცხოვრობდით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჩემს ბრილიანტზე უფრო დიდი და ბრწყინვალე უამრავი ბრილიანტი იქნებოდა, მაგრამ მათგან არც ერთი არ იყო ჩემი ბრილიანტი. ჩემი ბრილიანტი ყვებოდა ისტორიას, ჩვენი მტკიცე დაპირებისა, რომ გვეყვარებოდა ერთმანეთი. ჩვენ აღთქმას ვდებდით, რომ ერთად ვიქნებოდით სიხარულსა და მწუხარებაში, სიმდიდრესა და გაჭირვებაში, ძლიერებასა და სისუსტეში, სანამ სიკვდილი დაგვაშორებდა. ის ამბობდა, რომ სიყვარულის ახალი ისტორია დაიწყო და ღმერთმა იგივე გააკეთა ყველა ჩვენგანისთვის.

ღმერთი სიყვარულია.

სიყვარული ჩვენი მამის ბუნებაა. მას იმიტომ არ ვუყვარვართ, რომ ვალდებულია ვუყვარდეთ; მას ვუყვარვართ, რადგან ღმერთს არ შეუძლია, არ ვუყვარდეთ. ღმერთი არ გვიშვებდა ახლოს ძველ აღთქმაში და გადაწყვიტა შევეყვარებინეთ ახალ აღთქმაში. მას იმიტომ არ გადაუწყვეტია ჩვენი შეყვარება, რომ იესომ უთხრა ასე. მისი სიყვარული ჩვენდამი იყო ის, რამაც ჩვენი ხსნა მოძრაობაში მოიყვანა. მან გასწირა თავისი ძე, რათა გამოეხატა თავისი სიყვარული ჩვენდამი. მის სიყვარულს ვერ დაამარცხებს უარყოფა და საკუთარი თავის სიძულვილი. ვერასდროს დავარწმუნებთ მას, შეწყვიტოს ჩვენი სიყვარული. რადგან დიდი ხნის წინ, სანამ ამ საკითხზე რამეს ვიტყოდით, მან მისი სიყვარული ჩვენდამი ბანერივით გამოაკრა და თავის სუფრაზე მიგვიწვია.

ღმერთს *არ აქვს* სიყვარული ჩვენთვის. ის *არის* სიყვარული ჩვენთვის. ღვთის სიყვარული *ჩვენდამი* არის მოუდრეკელი, დაუძლეველი, ურყევი და ძლიერი, მეტად ვიდრე – სიკვდილი.

> „ვინ არის ღმერთთა შორის შენი მსგავსი, უფალო? ვინ არის შენსავით დიდებული სიწმიდეში, მოშიშებით საქებო, სასწაულმოქმედო?! გაიწოდე მარჯვენა და მიწამ შთანთქა ისინი. წარმართავ შენი წყალობით ამ ხალხს, რომელიც გამოიხსენი; წინ წაუძეხი შენი ძალით შენს წმიდა სავანეში!“ (გამოს.15:11-13)

ღმერთი მიგვიძღვის სიყვარულით. ღმერთი არის: ჩვენი ჩრდილოეთი, მუდმივა, ჩვენი ცხოვრების ნავიგატორი. მის სიყვარულში დარწმუნების გარეშე, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მარტივია, დავკარგოთ გზა და ვიხეტიალოთ. საბოლოოდ, სწორედ მისი სიყვარული მიგვიძღვის სახლში.

„მისი სიყვარული ჩვენდამი არ არის დამოკიდებული ჩვენზე“.

მოსეს საგალობელი გამოსვლის მე-15 თავში დაიწერა მას შემდეგ, რაც ღმერთმა სასწაულებრივად დაიხსნა მისი ხალხი ეგვიპტელთა ასწლოვანი ჩაგვრისგან. ჩვენ ვიცით ეს ისტორია, მაგრამ მე მინდა ხაზი გავუსვა ზედსართავ სახელს, რომელიც აქ ღვთის სიყვარულთან არის მიბმული: *ურყევი* (ინგლისურ თარგმანში მე-13 მუხლში წყალობის ნაცვლად *ურყევი* სიყვარული წერია). ეს კიდევ ერთი დარწმუნებაა იმისა, რომ მისი სიყვარული ჩვენდამი არ იცვლება. მისი სიყვარულის ალი არ ბჟუტავს, როცა ჩვენი გაუკონტროლებლობის ქარი დაუბერავს. მისი სიყვარული რჩება, როცა ჩვენ უპასუხისმგებლოები, უყურადღებოები და ურჩები ვართ. მას არ შეუძლია აკურთხოს ასეთი საქციელი, მაგრამ მაშინაც კი, როცა ასე ვიქცევით, მისი სიყვარული მიგვიძღვის მონანიებამდე და მისი სიყვარული არ მერყეობს.

მისი სიყვარული ჩვენდამი არ არის დამოკიდებული ჩვენზე. მისი სიყვარული ჩვენდამი არ იცვლება ჩვენი საქციელის მიხედვით. მას ყოველთვის ვუყვარდით. მას ყოველთვის ვეყვარებით. ჩვენ ვერ გამოვიმუშავებთ იმას, რაც არ დაგვიმსახურებია, ისევე როგორც არ შეგვიძლია, გადავიხადოთ იმისთვის, რაც მოგვეცა.

„რადგან მთები დაიძვრებიან და ბორცვები შეირყევიან, ჩემი წყალობა კი არ დაიძვრება და ჩემი მშვიდობის აღთქმა არ შეირყევა შენგან, ამბობს უფალი, შენი შემბრალე“. (ეს.54:10)

მისი სიყვარული არ დაგვტოვებს. ადამიანები მოვლენ და წავლენ, მაგრამ მისი მუდმივი, მოუდრეკელი სიყვარული დარჩება. რადგან მისი სიყვარული ურყევია, ჩვენ მშვიდობის შეთანხმებით ვართ გარემოცულნი. იესო, ჩვენი მოუდრეკელი ქვაკუთხედი, მშვიდობის პრინცია. იგი, მისი უზენაესი ძალაუფლების სამეფოდან, მშვიდობას შთაბერავს ჩვენს სხეულში არსებულ ყველა შტორმს და გონებას დაპატრონებულ ბობოქრებას. მის შებრალებას ჩვენდამი არ აქვს საზღვრები. შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, რადგან ის არ უარყოფს სიყვარულს ჩვენდამი. ჩვენდამი სიყვარულის უარსაყოფად ღმერთმა თავისი ძისადმი სიყვარულიც უნდა უარყოს.

მისი მოუდრეკელი სიყვარულის გამო ჩვენდამი, ჩვენ ვართ გამოსყიდულნი ქრისტეში, ჩვენს ანდამატში. შეიძლება იკითხო: „როგორ დავრწმუნდე, რომ ეს ჭეშმარიტებაა?“ მისი სიყვარული ჩვენდამი შეგვიძლია, დავინახოთ: „ღმერთი კი იმით გვაჩვენებს თავის სიყვარულს ჩვენდამი, რომ ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით, როცა ქრისტე მოკვდა ჩვენთვის“ (რომ.5:8).

სიყვარული არჩევანია

ბრილიანტები დაქორწინებული სიყვარულის პოტენციალზე ბევრად მეტს იგდებენ ხელთ; ისინი გამოხატავენ თვითონ სიყვარულის თვისებებსაც. როგორც ბრილიანტი, სიყვარულიც უნდა გამოიწრთოს ცეცხლსა და წნეხში. იქნება პერიოდები, წლები, ათწლეულებიც კი, როცა სიყვარული ზედაპირის ქვეშ იქნება ჩამარხული, როგორც დამალული წყარო. შენ იცი, რომ ის აქაა. ის წლების წინ ღრმად დაირგო შენი ცხოვრების ნიადაგში, თუმცა შენ ვერ ხედავ მის სილამაზეს და ვერ გრძნობ მის ცეცხლს . . . ერთადერთი რასაც გრძნობ, მისი მალული ჩურჩულია.

სიყვარული, მისი ყველაზე ნამდვილი ფორმით, არ არის გრძნობა. ის არჩევანია. სწორედ სიყვარულია, რის გამოც ძალაგამოცლილი დედა თავს ძალას ატანს, გამოფხიზლდეს და წამოდგეს, როცა შეშინებული ბავშვის ტირილი ესმის. სწორედ

სიყვარულია, რის გამოც მამა მთელი დღე მუშაობს, რათა მის შვილს ყველაფერი ჰქონდეს (და დიახ, სიყვარული ნიშნავს, რომ არის მომენტები, როცა ეს როლები იცვლება). მისი არსი ის არის, რომ სიყვარული გასცემს მაშინაც, როცა უკან არ უბრუნდება.

როცა ირჩევ სიყვარულს, ის უკვე აღარ იცვლის აზრს.

ჩვენ გვიყვარს, რადგან სიყვარულმა აგვირჩია. შენ გიყვარს, რადგან ღმერთმა აგირჩია (1 იოან.4:19). ჩვენს მამას კი ვუყვარვართ მაშინაც, როცა ჩვენ არ გვიყვარს.

პირველი სიყვარული

ღმერთი არის და ყოველთვის იქნება ჩვენი პირველი სიყვარული. მან შეგვიყვარა პირველმა და მისი სიყვარული არ არის უწიფარი; ის მოუდრეკელია. მას არ ვუყვარვართ იმ იმედით, რომ ჩვენც სხვების მსგავსები გავხდებით. არ არსებობს ვინმე, ვისაც შეგადარებს . . . ეს მხოლოდ შენ ხარ! ჩვენი ერთიანობაა ის, რაც მას უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პირველად სხვები შევიყვარეთ, მან პირველად ჩვენ შეგვიყვარა. მაგრამ საბოლოოდ ჩვენ ყველამ აღმოვაჩინეთ ჩვენი პირველი სიყვარულის მოუდრეკელობა, ურყეობა და დაუმარცხებლობა.

შეიძლება შენს ცხოვრებაში არის სფეროები, სადაც ფიქრობ, რომ შენი მოქმედებები ღვთის დამოკიდებულების მიხედვით შეიცვალა. შეიძლება არის ადგილები და სფეროები, რომლებშიც დაუმორჩილებლობის და შეუთავსებლობის ჩვევა განგივითარდა?

მე მესმის. მე წლების განმავლობაში ძალიან შორს გავექეცი მის სიყვარულს. მე არ მესმოდა, როგორი იყო მისი სიყვარული. ვკამათობდი იმაზე, რომ თუკი მართლა ვუყვარდი, მომცემდა იმას, რაც მე მინდოდა. წარმომედგინა, რომ მისი ერთ-ერთი ძის სიყვარული ახლავე გამაბედნიერებდა. გულახდილი რომ ვიყო, საშინელი გემოვნება მქონდა კაცებში. ისეთებს ვირჩევდი, ვისი სიამოვნებაც რთული იყო, და როგორც აღმოჩნდა, არც მათი შენარჩუნება იყო მარტივი. ღმერთი ზემოდან უყურებდა ჩემს სურვილებს და უპასუხა ჩემს უდიდეს საჭიროებას. მის სიყვარულს.

მან იმაზე დიდი სიყვარული მომცა, ვიდრე მათ შეეძლოთ, რომლებიც შემეძლო მომეპოვებინა და დამეკარგა.

ახლაც მახსოვს ის კრისტალური მომენტი, როცა მისი სიყვარული გამოჩნდა. ის ჩემ წინ დავინახე. ვხედავდი

ბრილიანტის კიდეებიდან გამოჭყეტილ სხივებს, თითოეული კიდე დროის იმ პერიოდზე მიუთითებდა, როცა მე ხელახლა დავიბადე და დავინიშნე ჩემს სასიძოზე, იესო ქრისტეზე.

„ღვთის სიყვარული ჩვენდამი უფრო მოუდრეკელია, ვიდრე ალმასი“.

ღვთის სიყვარული ჩვენდამი უფრო მოუდრეკელია, ვიდრე ალმასი. ის არ აორთქლდება ინტენსიური სინათლის ვაკუუმში. მისი ნიშნობა შენზე, უფრო ღრმაა ვიდრე ბეჭედი. ის არასდროს ენდობა დაპირებას ისეთ ძვირფას საგანზე, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან მოიპარონ. მისი მტკიცება დამალული იყო, როგორც ბეჭედდასმული განძი, მის საყვარელ ნაწილში . . . შენს გულში.

ეს მუხლები ქებათა ქებაში ყურსუგდებს პირად საუბარს, რომელიც აცხადებს ვნების უსასრულო ძაფებს შეყვარებულთა შორის:

„დამდე, როგორც ბეჭედი შენს მკერდზე,
  როგორც ბეჭედი - შენს მკლავზე,
რადგან სიკვდილივით ძლიერია სიყვარული
  და ქვესკნელივით სასტიკია ეჭვიანობა!
მისი ალი ცეცხლის ალია, როგორც ალი უფლისა.
  ვერ ჩააქრობს სიყვარულს წყალი მრავალი,
მდინარეები ვერ წარხოცავენ! თავისი სახლის
  მთელი ქონებაც რომ გაიღოს კაცმა
სიყვარულისთვის, მაინც ზიზღით
  უგულებელყოფენ“. (8:6-7)

ეს სიყვარული არაკომფორტულად გაგრძნობინებს თავს? შეიძლება შენთვის რთულია, წარმოიდგინო შენი თავი ღირსეულად, რათა ვინმეს ასე ძლიერად უყვარდე. შეიძლება, ეჭვობ შენს შესაძლობლებზე ამ სიყვარულის დასაბრუნებლად. ეს სიტყვები იმისთვის არ დაწერილა, რომ ეჭვი შეიტანო იმ სიყვარულში, რაც გამოგიცდია ან საერთოდაც კითხვის ქვეშ დააყენო შენი სიყვარულის უნარი. შენ შეგიძლია თვალისშევლება ამ პირად საუბარზე, რათა გამოვლინდეს, რომ შენ ვნებიანი სიყვარულისთვის ხარ შექმნილი.

შეუძლებელია, გაზომო ღვთის სიყვარული ჩვენდამი, ჩვენი ადამიანური გამოცდილებით. არ არსებობს სტანდარტი ამ დროში. სიყვარულში იღბლიანებმა იციან იმ ნაპერწკლების

შესახებ, რომლებიც ნაზ სითბოში მიგვიძღვის. სხვებმა იმ ნაპერწკლების შესახებ იციან, რომლებმაც საბოლოოდ უღალატეს, როცა მათი ცეცხლი წლების განმავლობაში მიტოვებული გახდა და ადამიანური სიყვარულის მუგუზალი ფერფლად გადაიქცა.

იშვიათია ადამიანური სიყვარული, რომელსაც უწყვეტი ცეცხლი შეიძლება ეწოდოს. და მაინც, ჩვენ ვილტვით მისკენ. თუ გულწრფელები ვიქნებით, ვაღიარებთ ჩვენი გულის ჩურჩულს და ვაღიარებთ, რომ ჩვენ გვინდა განვიცადოთ ასეთი ძლიერი გრძნობა სხვასთან, პირადად.

ზოგჯერ თითქმის მრცხვენია იმ ვნების, რომელიც ქებათა ქებაშია გადმოცემული. შემდეგ მახსენდება, რომ ჩემი მოვალეობაა, რათა უბრალოდ ვუპასუხო და არ ვიმსჯელო. როცა გვერდით გადავდებ ჩემს კითხვებს და აღიარებას და მივიღებ ღვთის მოშურნე, ძლიერ, ულმობელ სიყვარულს, ღვთისადმი ჩემი სიყვარულის ცეცხლი ძლიერდება.

ეს პასაჟი საბოლოოდ აღწერს ქრისტეს და მის საპატარძლოს. მისი ჩრდილის ქვეშ მოქცეულ სამეფოში - დედამიწაზე, ჩვენ ვიცით, ყველაფერი მხოლოდ ნაწილობრივ. მარადიულ სამეფოში, როცა ისე გვეცოდინება, როგორც გვიცნობენ, სიყვარული საზეიმოდ გამოვლინდება მისი ცეცხლოვანი სიკაშკაშით.

ღვთის სიყვარულის ცეცხლი ჩვენდამი ვერ დაიშრიტება. ცხოვრების წყალდიდობები შეიძლება დაემუქრონ, მაგრამ ვერ ჩაახშობენ იმ სიყვარულს, რომელიც ღმერთს ჩვენდამი აქვს.

ღვთის სიყვარული არ იყიდება. არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ჩვენ სიმდიდრეს ვეძახით, რაშიც ის გაიცვლება.

და იმისდა მიუხედავად, რომ ეს ადგილი შეესაბამება ღვთის სიყვარულს ქრისტეს საპატარძლოსადმი, რომელიც ეკლესიის ერთიანობაა, ეს სიყვარული ისეთივე დამცველი და პირადულია, როგორც დედის, და ისეთივე ინტიმური, როგორც საყვარლის. ჩვენს მამას არ შეეძლებოდა მთლიანის შეყვარება, თუ ჯერ ნაწილებს არ შეიყვარებდა.

დალუქული

ჩვენ ვერასდროს გავიხდიდით ჩვენს თავებს ამ ყველაფრის მშთანთქმელი სიყვარულის ღირსად, ამიტომ ღმერთმა გააკეთა ეს ყველაფერი ჩვენთვის.

„ხოლო ის, ვინც თქვენთან ერთად გვაფუძნებს ქრისტეში და გვცხო, ღმერთია, რომელმაც დაგვბეჭდა და სულის საწინდარი მოგვცა ჩვენს გულებში“.
(2 კორ.1:21-22)

მე ვერ დავაფუძნებ ჩემს თავს. შენ ვერ დააფუძნებ შენს თავს. ეკლესიის წევრობა ვერ დაგვაფუძნებს ერთიანობაში. მისი სული გვხდის ერთს.

ნახეთ, როგორ არის ეს მუხლი ერთ-ერთ თარგმანში (Passion Translation) გადმოცემული:

„ახლა, თავად ღმერთია ის, ვინც მირონი გვცხო. და ის მუდვიმად გვამტკიცებს ორივეს, თქვენ და ჩვენ, ქრისტესთან ერთობაში. მან იცის, რომ ჩვენ მას ვეკუთვნით მას შემდეგ, რაც მისი სიყვარულის ბეჭედი დაგვასვა გულზე, და მოგვეცა სულიწმიდა, როგორც ნიშნობის ბეჭედი საპატარძლოს - ჯილდო იმისა, რომ კურთხევები მოვა!

ხედავ ამას? მაშინაც კი, თუ შენ ეს არ იცოდი, შენ ნამ-დვილად დანიშნული ხარ!

ჩვენი თანამედროვე დასალუქი ბეჭედი, თხელი გასახვევი ქაღალდია, რომელსაც ვიტამინებსა თუ საკვებ პროდუქტებზე ვიპოვით. ეს შესაფუთი ქაღალდი ამტკიცებს, რომ შეფუთვა ჯერ არავის გაუხსნია, როცა ამავდროულად, ისინი ისეა შექმნილი, რომ მარტივად გაიხსნას. ასეთი ბეჭედი განსხვავდება, 2 კორინთელთა წერილში აღწერილი ბეჭდისაგან. ეს ბეჭედი, მოდის ბერძნული სიტყვიდან *sphragizo,* რომელიც აღწერს შვიდმაგ ბეჭედს, რომელიც მოიცავს:

1. უსაფრთხოების ბეჭედს (ჩვენ მტკიცედ ვართ დაცულნი ღვთის სიყვარულში);
2. ავთენტურობის ბეჭედს (ჩვენ ვართ დანიშნულები, როგორც ღვთის საკუთრება);
3. უტყუარობის ბეჭედს;
4. ფლობის ბეჭედს;
5. შეთანხმების ბეჭედს;
6. სამართლიანობის ბეჭედს;
7. დაპირების ბეჭედს.[1]

„ისინი აფრთხილებენ ბნელ ძალებს, რომ ჩვენით ვერ იმანიპულირებენ“.

ეს ბეჭდები მეტია, ვიდრე ფალსიფიცირების სამხილი. ისინი აფრთხილებენ ბნელ ძალებს, რომ ჩვენით ვერ იმანიპულირებენ. ვერცერთ ბეჭედს, ჩვენ ვერ გავტეხთ, რადგან ისინი ქრისტეს მორჩილებაზეა მიბმული და არა ჩვენსაზე. ეს ბეჭდები არა მხოლოდ შეტყობინებაა სიტუაციიდან „ხელების დაბანაზე", ასევე თითოეული შრე არის ღვთაებრივი მტკიცება ღვთის ნიშნობის შესახებ. ჩვენ ჩვენით ვერ მივწვდებით მას და ვერ მოვათავსებთ ამ ბეჭდებს ჩვენს გულებში. სიყვარული მოგვწვდა და ბეჭედი დაგვასვა იმ დღემდე, სანამ სიყვარული გამოგვავლენს.

სიყვარულის მარადიული საჩუქრები

შენ და მე დავიბადეთ სულით, დავიბეჭდეთ სულით, ვცხოვრობთ სულით, მოვინათლეთ სულით, გავხდით ერთნი სულში მოგვეცა ნიჭები სულით და ჩავდექით მსახურებაში სულით. ყველაფერი, რაც გვჭირდებოდა, ღმერთმა უზრუნველყო, მან, ვისაც უსასრულოდ ვუყვარვართ.

სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომლითაც ეფესელთა წერილი თითოეულ ჩვენგანს არწმუნებს შემდეგ მუხლში:

> „მე ვწერ ამ წერილს ყველა ერთგულ მორწმუნეს, რომელიც წმიდა გახდა ქრისტესთან, ერთადერთ მირონცხებულთან ერთიანობით. დაე, თავად ღმერთმა, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ზეციერმა მამამ, გამოანთავისუფლოს მადლი თქვენზე და კეთილდღეობით აავსოს თქვენი ცხოვრება!" (1:2 Passion Translation)

ხედავ ჩვენი ზეციური მამის პირად ჩართულობას ამ პროცესში? ჩვენ ერთგული მორწმუნის ცხოვრებას ჩვენი გულის მიძღვნით ვეუბნებით: „კი". თავის მხრივ, ღვთის მადლი ჩვენზე არის, რათა მივიღოთ ღვთიური სისავსე ჩვენს ცხოვრებაში. ეფესელთა მიმართ წერილი აგრძელებს:

> „ყველაფერი, რასაც ზეცა მოიცავს, უკვე გულუხვად გამოვლინდა ჩვენზე, როგორც სიყვარულის ნიჭი ჩვენი ზეციერი მამისგან, ჩვენი უფალი იესოს მამისგან. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ის გვხედავს ქრისტეთი გარემოცულებს. სწორედ, ამიტომ ვხარობთ მისით მთელი გულით!" (1:3 Passion Translation)

ჩვენ ვხარობთ ახლა მომავლის იმედით. სწორედ მარადიულ სამეფოში იწყება ნამდვილი სიცოცხლე. სწორედ იქ ელოდება მთელი ზეციური სისავსე თავის პატარძალს, როგორც სამარადისო საქორწინო საჩუქარს. თუ შენ გეშინია, რომ ეს მუხლი გაზვიადებულად წარმოაჩენს სიყვარულის საჩუქრებს, რომელიც შენ გელოდება, ამ მუხლის თანამედროვე თარგმანი წაიკითხე:

„კურთხეულია ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთი და მამა, რომელმაც გვაკურთხა ქრისტეში *ყოველგვარი სულიერი კურთხევით ზეცაში“.*

არცერთი იმ კურთხევათაგანი, რომელსაც ზეცა გვთავაზობს, არ არის მიტოვებული და შეჩერებული. უსაზღვრო უზრუნველყოფა და უსაზღვრო სიყვარული მისი პატარძლისადმი განუყოფელია. და შენ ამ ერთიანობის ნაწილი ხარ.

როგორც მისი საპატარძლო, შენ და მე ვართ გარემოცულნი ქრისტეთი, ერთადერთი მირონცხებულით. ის, რაც მან გააკეთა, ფარავს იმას, რაც ჩვენ გავაკეთეთ. მისი სიკვდილი და აღდგენა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რასაც მასში მომავალში გავაკეთებთ. მისი მორჩილება, თავიდან გვაშორებს ვალს და სასჯელს ჩვენი დაუმორჩილებლობისთვის. ისევე როგორც, ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ მორჩილნი. თუ შენ ამ რწმენის ერთგული ხარ, მაშინ პავლეს ეს წერილი შენთვის დაიწერა.

როგორც ქრისტეს მორწმუნეები, ჩვენ, რომლებიც ბევრნი ვიყავით, გავხდით ერთნი, დაურღვეველ, წმიდა ქვაკუთხედში. ჩვენ არა მხოლოდ გარემოცულები ვართ ქრისტეთი, ჩვენი ცხოვრება ასევე შემკობილია მადლის სისავსით.

მრავალი გზით და მრავალი თვალთახედვით, მადლი იგავური ბაფთაა, რომელიც დაპირების პაკეტს რთავს. ღმერთმა დაგვლუქა თავის გულში, და დალუქა ჩვენი გულებიც მისი მოუდრეკელი ქვაკუთხედის სიყვარულში.

ძვირფასო, მომისმინე! შენ არ ცხოვრობ ქრისტეში არსებულ ღრმულში, რომელიც ეკონომიურადაა გამოთხრილი, შენთვის ოთახის გასაკეთებლად. ქრისტეში, მოუდრეკელ ქვაკუთხედში, შენ გაქვს წვდომა მთლიანთან. შენ არ ხარ მიმტაცებელი. შენ არ ხარ სტუმარი . . . შენ ხარ ოჯახი. რეალურად, ოჯახი არ არის საკმარისად პირადული. ჩვენ ერთნი ვართ ქრისტეში, როგორც ის არის ერთი თავის მამასთან. ჩვენ ვართ მთლიანში მთლიანის ნაწილი.

„ჰაერთა ძალების პრინცს არ ვუყვარვართ ჩვენ“.

უზრუნველყოფის გარდა, ჩვენთვის ადგილიც არის გამზადებული. ეს სიუხვე მოიცავს სულის ყველა ნაყოფს, ჩვენს ნიჭებს სულში: მშვიდობას, სამართლიანობას და სიხარულს. მოდი, სწორ ადგილას შევინახოთ ჩვენი გულები და განძი! მოდი, სხვა რამეებზე ზემოთ შემოვდოთ ისინი, რათა არ გაფუჭდეს და არ მოგვპარონ!

როცა ვფლობთ ცოდნას ამ სიყვარულის შესახებ, რატომ უნდა მოუვიდეს ნებისმიერ ჩვენგანს აზრად, შეხედოს მიწიერი სამეფოს მთხოვნელებს? ჰაერთა ძალების პრინცს არ ვუყვარვართ ჩვენ.

მას ვძულვართ . . . მოუდრეკლად.

ბნელი პრინცის ნებისმიერი დაპირება ტყუილია. ყველა ძალა, რასაც ის ფლობს დაკავშირებულია სუსტ, დაცემულ სამეფოსთან, რომელიც ნგრევისთვის არის განწირული. ნებისმიერი საჩუქარი თუ ნიჭი, რომლითაც სატანა გვაჯილდოებს, მპარავად გამოავლენს მას. მას არ შეუძლია გაცემა; მას არ შეუძლია შეცდომაში არ შეიყვანოს ყველაფერი, რასაც ეხება.

მაგრამ ჩვენ უკვე აღარ ვართ მისი სამეფოს დაქვემდებარებაში და ვიცით, რომ ყველა კარგი და ჭეშმარიტი საჩუქარი მოდის ჩვენი მამისგან. ჩვენ ასევე ვიცით, რომ ვერაფერი დაგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს.

დაცულნი მის სიყვარულში

> „ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს: ჭირი თუ შევიწროება, დევნა თუ შიმშილი, სიშიშვლე თუ საფრთხე, ანდა მახვილი? როგორც წერია: „რადგან შენ გამო გვხოცავენ ყოველდღე, დასაკლავ ცხვრებად ვართ მიჩნეულნი“. მაგრამ ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით. და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო და ვერც მომავალი, ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შესძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში“. (რომ. 8:35-39)

ვერაფერი დაგვაშორებს ქრისტეს მოუდრეკელ სიყვარულს. არ არსებობს არავინ, არ არსებობს არაფერი. მის სიყვარულს ვერ წაიღებენ, რადგან ქრისტეში ვართ მოთავსებულნი. შეტაკების სისასტიკე და ომის საშიშროება, ვერასდროს წარმართავს მას ჩვენ წინააღმდეგ. არ არსებობს იმდენად დიდი უბედურება, რომელიც შეძლებს, ჩვენი მშვიდობის პრინცის სიყვარული ტახტიდან ჩამოაგდოს. მისი სიყვარული უფრო ზუსტია, ვიდრე – სიკვდილი და უფრო რეალური, ვიდრე – სიცოცხლე. მისი სიყვარული ჩვენდამი ცვლის როგორც ანგელოზური, ასევე დემონური სფეროს სამფლობელოებს. არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ისეთი არაფერი, მთელი სამყაროს არსებობის განმავლობაში, რაც შეძლებს, ჩამოგვაშოროს ღვთის სიყვარულს ჩვენს უფალ იესო ქრისტეში. მისი სიყვარული ჩვენდამი იმდენადვე მოუდრეკელია, როგორც მისი სიყვარული ქრისტეს მიმართ. ღმერთს მოუწევს, უარყოს თავისი ძე იმისათვის, რომ უარგვყოს ჩვენ.

მანამდე შეგვიყვარა

> „და მან ამოგვარჩია რათა ვიყოთ მისნი, შეგვაერთა მასთან, მანამდე სანამ სამყაროს დააფუძნებდა. მისი უდიდესი სიყვარულის გამო, მან მოგვანიჭა ქრისტესთან ერთად მყოფის წოდება დასაწყისიდან, რათა ისეთივე წმიდა ვჩანდეთ მის თვალში, შეურცხვენელი უდანაშაულობით“. (ეფეს. 1:4 Passion Translation)

ყოველთვის ბედნიერი ვარ ვაჩვენო ხალხს ჩემი შვილები, ჩემი რძალი, შვილიშვილები. როცა ამ სიტყვებს ვკითხულობ, ისეთი განცდა მაქვს, რომ ღმერთი კიდევ უფრო აღფრთოვანებულია შენით, ვიდრე მე ჩემი ოჯახით. ის გიყურებს შენ და სიამაყით აცხადებს: „ის ჩემია!“ მან საკუთარი თავისთვის დაგადგინა და შემდეგ შექმნა სამყარო შენთვის, სადაც სამარადისოდ იცხოვრებ მასთან ერთად.

შენ იმ დღეს არ ამოურჩევიხარ, როცა ქრისტესკენ მობრუნდი – ამ დღეს შენ აირჩიე. არა, ჩემო მეგობარო, შენ არჩეული იყავი ქრისტეში ბევრად ადრე, ვიდრე წყალქვეშა დინებები შეიქმნებოდა. შენ იყავი ჩამოყალიბებული ქრისტეში, რათა გარდაქმნის ძალით მასაც შეძლებოდა შენში ჩამოყალიბება. შენ ამ ჭეშმარიტებისთვის გაცოცხლდი იმ დღეს, როცა ხელახლა იშვი. ღვთის ძის სიკვდილით, სიყვარულმა არა მხოლოდ

დაგიხსნა შენ, ასევე აღგადგინა მის საწყის იმედში.

შენ უბრალოდ კი არ დაინიშნე, წინასწარ იყავი დაჯილდოებული და განკუთვნილი იმისთვის, რომ ქრისტესთან ერთად ყოფილიყავი. არავის ძალუძს, ჩუმად შეინახოს ასეთი სიყვარული!

მისი სიყვარულის მოუდრეკელობაში, ღმერთმა გაგვახვია ქრისტეს შეურცხვენელ უდანაშაულობაში, ბევრად ადრე, ვიდრე ადამსა და ევას შანსი ექნებოდათ გაეშიშვლებინათ საკუთარი თავი სინათლისა და ჭეშმარიტებისთვის და შეემოსათ გველის სუდარაში ცოდვით და სიკვდილით.

რადგან ვიცნობ ჩემს თავს, ვიტყოდი, რომ ღმერთმა შავ ტანსაცმელში უფრო გამახვია, ვიდრე მბრწყინავ თეთრში. კოკო შანელის გამონათქვამი ზუსტად აღწერს ჩემს გადაწყვეტილებას გარდერობთან მიმართებაში: „როცა შავზე მუქ ფერს ვიპოვი, მის ტარებას დავიწყებ. მაგრამ მანამდე, შავით შევიმოსები!“

შავებში არ გიწევს ნერვიულობა ლაქებზე. ისინი შეიძლება იყვნენ, მაგრამ ვერავინ დაინახავს. სწორედ ამის გამო ძირითადად შავი სამოსით ვმოგზაურობ. შავებში გამოწყობილმა შემიძლია, თავდაჯერებულმა გავიარო აეროპორტები კვირიდან კვირამდე. შავ ზედაში, შემიძლია უჩინრად გავოფლიანდე, ვფლობდე შარფის (თინეიჯერთა ჯგუფის წევრი, რომელსაც აქვს მოკლე თმა და გამორჩეული ტანსაცმელი აცვია) ნიშნებს შიშის გარეშე და ჩავეხუტო ატირებულ ქალებს, იმის შიშის გარეშე რომ მათი მაკიაჟი ჩემს სამოსზე გადმოვა. მუდმივად შავის, შავის ტარება . . . ადვილია. მუდმივად თეთრის, თეთრის ტარება . . . სულაც არაა ასეთი მარტივი.

არცთუ დიდი ხნის წინ დამავიწყდა, რატომ არ ვმოგზაურობ თეთრებში. კოლორადოში გრძელი ზამთარი იყო და, როცა საბოლოოდ გაზაფხული მოვიდა, ჩემი თეთრი ჯინსი ჩავიცვი და უქმეების შორს გატარება გადავწყვიტე. თავს განახლებულად ვგრძნობდი და სწრაფი ნაბიჯით გავემართე მანქანისაკენ. ჩემმა სასიამოვნო სახლის მეპატრონემ გამომიწოდა ახლა უკვე ჩემთვის საყვარელი სასმელი . . . ბლანტი, თეთრი ქოქოსის რძე დარიჩინით. მხიარული მოლოდინით ამოვაძრე საწრუპი, რომელიც საცობის ფუნქციას ასრულებდა და უეცრად, დავიკოპლე. სასმლის დანარჩენი ნაწილი ჩემი ნაქირავები მანქანის ცენტრალურ ბრჯენზე გადაესხა. როგორც კი ეკლესიაში მივედი, ყავის ლაქებს ლაქების ამომყვანი კალმით შევუტიე. ვუყურებდი როგორ ტუტავდა ტოქსიკური ნივთიერებები ჩემს ჯინსს ბარძაყის ზედა მხარეს. ჩემი

თეთრი ჯინსი ლურჯი გახდა. იმის იმედით, რომ ეს ქიმიური რეაქციები ლაქების გაქრობის მომასწავებელი იყო, ბარძაყზე უხვად დავისხი წყალი. ყავის ხუთ სანტიმეტრიანი შხეფი ახლა ოცი სანტიმეტრი დიამეტრის წრედ გადაქცეულიყო ისე, რომ თითქმის მთელი ბარძაყი დამიფარა. ლაქა თითქოს გამქრალიყო, მაგრამ ვერასდროს იქნები ამაში დარწმუნებული, სანამ შარვალი არ გაშრება. ამასობაში, ჯინსის ის ნაწილი, რომელიც ჩემი ბარძაყის ზედა მხარეს ფარავდა გამჭვირვალე გამხდარიყო. სწორედ ასე გამოწყობილი ავედი სცენაზე.

ღმერთმა იცის, რომ ვერ შევინარჩუნებთ უმწიკვლო, ულაქო ცხოვრებას. ასე რომ, ქრისტეში, ის ირეცხება. ქრისტეში არ არსებობს დამალული ლაქა. ქრისტეში არ არსებობს ლაქების ამომყვანი კალმები. ქრისტეში არ არსებობს გამჭვირვალე შარვლები, რომელიც ბუსუსიან რაღაცებს გამოაჩენენ. ქრისტეში არის ძალა და ბრწყინვალება.

> „ეს *ყოველთვის* მის სრულყოფილ გეგმაში იყო, რომ ვეშვილებინეთ, როგორც მისი მომხიბლავი შვილები, თავისი მადლით, რომელიც გადმოჩქეფს ჩვენზე, განადიდებს მას, რადგან იგივე სიყვარული, რომელიც მისი საყვარელი ძის იესოსთვის აქვს, ჩვენთვისაც აქვს. რომელიც მადლით მოგვანიჭა თავის საყვარელ ძეში“. (ეფეს. 1:5-6 Passion Translation)

ოდესმე ვინმეს დაგვიანებით დაუპატიჟიხართ? მე, ცოტა ხნის წინ დამპატიჟეს. ან იქნებ თქვენ თვითონ დაიპატიჟეთ თავი, რადგან სახლის პატრონმა აღმოაჩინა, რომ იცოდი, რომ არ დაუპატიჟიხარ. ვიმეორებ, მეც აღმოვჩენილვარ მსგავს სიტუაციაში! ეს არასდროს არ ხდება აქ. შენ არ ხარ დანამატი, არ ხარ დამატებითად დაპატიჟებული, ვიღაც, ვინც ბოლო წუთას მიამატეს. შენ ყოველთვის მოპატიჟებული იყავი!

„ქრისტეში არის ძალა და ბრწყინვალება“.

ჩვენი შვილობა ღვთის ოჯახში, ყველაფრის დასაწყისიდან იყო დაგეგმილი. მან თავისთან ახლოს იმიტომ არ მიგვიყვანა, რომ შევეცოდეთ ან სხვას არავის ვუნდოდით. ის აღფრთოვანებულია ჩვენით, რადგან ქრისტეში ის გვხედავს არა ისეთებს, როგორებიც ვიყავით, არამედ როგორებიც ვიქნებით.

მიყვარს სიტყვა სკულპტურები . . . პატარა ჩანჩქერი. თვალწინ ყოველთვის ჩანჩქერი მიდგება. ოდესმე მდგარხართ მის ქვეშ? წყალი დაუოკებელი ძალითა და განუსაზღვრელი რაოდენობით გეცემა. თუ წყლის წყარო უხვია და მანძილი, საიდანაც წყალი ეცემა, მაღალია, გარშემო ბურუსი დგება. ღვთის უსასრულო მადლის ბურუსი, ჭრილობაზე მალამოს უსვამს მათ, ვინც მისი სიყვარულით მიუახლოვდებიან. და თუ მაინც ვცდუნდით და ეს ჩანჩქერი წარმოვიდგინეთ, როგორც პატარა ნაკადი, შემდეგი მუხლი გააბათილებს ამ წარმოდგენას.

> „რადგან ქრისტეს ნაწილნი ვართ, მოგვეცა ხსნის საგანძური მისი სისხლით, ჩვენი ცოდვების მთლიანად გაუქმება - ეს ყველაფერი მისი მადლის ჩანჩქერისებრი მიწვდომის საშუალებით“. (ეფესელთა 1:7 Passion Translation)

ჩანჩქერისებრი მადლი. ქრისტეს გარეშე მე მადლისა და წყალობის ერთ წვეთსაც ვერ დავიმსახურებდი. მხოლოდ სიმძიმეს და სირცხვილს დავიმსახურებდი მთელი ჩემი ჩადენილი ცოდვებისთვის, ისეთებისთვისაც, რაც არც კი მახსოვს. აი, ვინ ვარ მე ქრისტეს გარეშე.

და მაინც...

მისი სიყვარული ჩვენდამი ისეთი ახლოა, როგორც ჩვენი სუნთქვა და ისეთი შორს მიმწვდომი, როგორც ქარი, რომელიც დედამიწას ერტყმის გარს.

მისი სიყვარული ჩვენდამი ერთადერთი და განსაკუთრებულია.

მისი სიყვარული ჩვენდამი ყველაფრის მომცველია. არ არსებობს ნაწილი ჩვენში, რომელიც მისი სიყვარულის გარეთ დარჩება. მას ვუყვარვართ გამონაკლისების გარეშე.

სიყვარული არის ჩვენი დამაკავშირებელი ღვთის მარადიულ სამეფოსთან. როცა ღვთის სიყვარულს მოუდრეკელს ვუწოდებ, ვცდილობ, დაგარწმუნო, რომ ის არა მხოლოდ ურყევია, ასევე დაჟინებულიც. ღვთის სიყვარული მოგვყვება ჩვენ და დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან შემჩნევას. მისი სიყვარული რჩება თანმიმდევრული გამოდევნებისას. ის არ გადათქვამს თავის პოზიციას. ის ჩვენს მხარეზეა. არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად დამანგრეველია ჩვენი ქცევა, მისი სიყვარული ჩვენდამი დაუნგრეველია. ჩვენ შეგვიძლია, ვებრძოლოთ ღვთის სიყვარულს, მაგრამ საბოლოოდ, ის დაუძლეველია.

სიყვარულმა გაიმარჯვა

ამ ბოლო დროს ბევრი ე.წ. ჰეშთეგი მხვდება: #სიყვარული იმარჯვებს. მე არ შემიძლია, არ გავიმარჯვო, რადგან ღმერთი სიყვარულია. რადგან ეს მარადიული გამარჯვება უკვე მოხდა, უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: #სიყვარულმა გაიმარჯვა. სიყვარული იმარჯვებს, აღნიშნავს ახლანდელ ან მომავალ ტრიუმფს. ალბათ, გაგიკვირდებათ, რატომ მანაღვლებს ასე, რომელ დროში იქნება ეს ზმნა. როცა ვაკვირდები, რა ხდება მსოფლიოს გარშემო, შეიძლება, ჩანდეს, რომ სწორი ჰეშთეგია: #სიძულვილი იმარჯვებს. ძალიან უნდა დავიძაბო, რომ მეტი დავინახო, ვიდრე სიყვარულის უბრალო გაელვება. მაგრამ საბოლოოდ სიძულვილი ვერ გაიმარჯვებს, რადგან სიძულვილი არ არის მარადიული . . . სიყვარული – არის. „სიყვარული იმარჯვებს“ გულისხმობს თხევადად ყოფნას, როცა სიყვარულის გამარჯვება გამყარდა ჩვენს მფარველობაში დასაწყისამდე. „სიყვარულმა გაიმარჯვა“ – აცხადებს გამარჯვებას, რომელიც ჩვენს არსებობამდე მოხდა, და შესაბამისად ჩვენი ჩართულობის გარეშეც. „სიყვარულმა გაიმარჯვა“ – ვერ გაუქმდება ჩვენი ქმედებებით, მხოლოდ გამტკიცებული იქნება ჩვენი თაყვანისცემით.

სიყვარულმა გაიმარჯვა ჩვენზე, სანამ ჩვენ შევიყვარებდით.

სიმღერის „დაუფიქრებელი სიყვარული“ სიტყვები ატყვევებს ღვთის მოუდრეკელი სიყვარულის ქმედებებს:

სანამ სიტყვას ვიტყოდი,
შენ ჩემზე მღეროდი,
შენ ისეთი, ისეთი
კარგი იყავი ჩემდამი!
სანამ ჩავისუნთქავდი,
შენ შთამბერე შენი სიცოცხლე,
შენ ისეთი, ისეთი
კეთილი იყავი ჩემთვის!

ო, ღვთის წამლეკავი, უსასრულო, დაუფიქრებელი
სიყვარული!
ო, ის დამედევნა მე, იბრძვის, სანამ მიპოვის,
ტოვებს ოთხმოცდაცხრამეტს,
მე ვერ გამოვიმუშავებდი ამას,
მე არ დამიმსახურებია ეს,

ისევ შენ გაეცი შენი თავი,
ო, ო, ღვთის წამლეკავი, უსასრულო,
დაუფიქრებელი სიყვარული!

როცა შენი მეტოქე ვიყავი, კვლავ შენი
სიყვარული იბრძოდა ჩემთვის,
შენ ისეთი, ისეთი
კარგი იყავი ჩემდამი!
როცა უღირსად ვგრძნობდი თავს,
შენ გადაიხადე ყველაფერი ჩემთვის
შენ ისეთი, ისეთი
კეთილი იყავი ჩემდამი!

არ არსებობს ჩრდილი, რომელსაც ვერ გაანათებ,
მთა, რომელზეც ვერ აცოცდები,
ჩემი გამოყოლისას,
არ არსებობს კედელი, რომელსაც ვერ
ჩამოანგრევ,
ტყუილი, რომელსაც არ დაფლეთ
ჩემი გამოყოლისას. [2]

ძვირფასო ზეციერო მამა,
შენი სიყვარული განსაკუთრებულია! მადლობა, რომ შენს სიყვარულში დამლუქე, რომ აირჩიე გყვარებოდი, რომ გეგმავდი ჩემს სიცოცხლეს პირველივე ამოსუნთქვიდან! დღეს, ნება მომეცი, ამოვირჩიო, მიყვარდე ისე, როგორც შენ შემიყვარე! მადლობა, რომ იმდენად გიყვარდი, მოუდრეკლად მოაშორე ყველა დაბრკოლება ჩვენს შორის. წაშალე ყველა კედელი და ტყუილი, რაც ჯერ კიდევ დგას ჩვენს შორის. ამინ.

5

ანდამატივით იმაში, რაც გვიყვარს

„სიყვარული ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია მტერი მეგობრად აქციოს“.

მარტინ ლუთერ კინგ უმცროსი

ამინდა ერთი ამბავი გიამბოთ, რომელიც მოიცავს ღვთის პირადულ სიყვარულსაც და მის მუდმივ ზრუნვასაც. ცოტა ხნის წინ ერაყში ვიყავი. დუბაიში, ერთ-ერთ ღონისძიებაზე გამოსასვლელად მიმიწვიეს და ჩავთვალე, რომ ეს საუკეთესო შესაძლებლობა იქნებოდა, გავცნობოდი მსახურებას სახელწოდებით „უპირატესი სიყვარული“.

პირველ დღეს ჯესიკა და ჯერემი კორტნის ავედევნე, რომლებმაც იეზიდთა ლტოლვილთა ჯგუფები მოინახულეს. ისინი ეხმარებოდნენ მათ ცხოვრების თავიდან დაწყებაში, მას შემდეგ, რაც ISIS-მა ბევრი მათგანი დახოცა, დანარჩენები კი იძულებით გადაადგილებული პირები გახდნენ. რადგან არც არაბული ვიცოდი და არც რომელიმე ქურთული დიალექტი, ერთადერთი რაც შემეძლო, იყო მეყურებინა ჯესიკასთვის, როცა იმ ქალებს და ოჯახებს ესაუბრებოდა, რომლებიც საპნის დასამზადებელ ბიზნესში ჩართო.

ახლაც მახსოვს ამ საოცარი ხალხის რეაქციები. როგორ გაუნათდათ სახე, როცა ჯესიკა დაინახეს. ძალიან ბევრ დონეზე ის წარმოადგენდა იმედს; ის იყო ვიღაც, ვისაც სჯეროდა მათი.

ისინი თბილად მიესალმნენ მას და შესთავაზეს რა საკვები და სასმელიც კი მოეპოვებოდათ. ისინი ცხოვრობდნენ დროებით კარვებში, ბეტონის ბლოკების ოთახებში, კონტეინერებში და მიტოვებულ სატვირთო ტრაილერებში. იმ ღამით, ბოლოს შევიკრიბეთ თოთხმეტ ადამიანთან, რომლებმაც თავშესაფარი ნახევარ ტრაილერში იპოვეს. ბავშვები გამოიქცნენ ჯესიკას მისასალმებლად და გარს შემოეხვივნენ, თან შთაბეჭდილების მოსახდენად ინგლისურ ფრაზებს იმეორებდნენ.

თვალში მომხვდა პატარა გოგონა, რომელიც შორს დარჩა და სახეს გვარიდებდა. როცა ჯესიკა დაჯდა, რათა რამდენიმე ლტოლვილ ქალსა და მამაკაცს გასაუბრებოდა, ბავშვები გარს შემოერტყნენ. მაგრამ პატარა გოგონა შორს დადგა. გავიგე, რომ მამამისი ISIS-მა მოკლა, და დედამისი წასული იყო. ძალიან დავნაღვლიანდი ამ გოგონას გამო. ჯესიკას მის შესახებ ვკითხე და გავიგე, რომ ცალი თვალი ავთვისებიანი სიმსივნის გამო დაეკარგა. გული ამიჩქარდა. ჯესიკას ვთხოვე გოგონა ახლოს მოეხმო და გადაეთარგმნა რასაც ვეტყოდი. დაახლოებით, შვიდი წლის იქნებოდა. გარშემომყოფების შეძახილებით გამხნევებული ბორძიკით, გაუბედავად მოგვიახლოვდა.

კალთაში ჩავისვი, რადგან ვხვდებოდი, რა უცნაური და საშიში იქნებოდა, როცა სრულიად უცხო ადამიანი გამოგარჩევდა სხვებში.

მაგრამ მე და სარას ბევრად მეტი საერთო გვქონდა, ვიდრე მან იცოდა.

მოვუყევი სარას, როგორ დავკარგე თვალი სიმსივნით, როცა ხუთი წლის ვიყავი. შემობრუნდა და სახეში ჩამაცქერდა, უნდოდა შეემოწმებინა სიმართლე ვუთხარი თუ არა. შემდეგ ტრაილერში მყოფთა სახეებს დააკვირდა. მაინტერესებდა, თუ იტყოდა: „ვიპოვე, ვისაც ესმის ჩემი“.

ჩანთაში აიპედი მედო. ამოვიღე და სარას ჩემი ოჯახის ფოტოები ვაჩვენე. მე ყურში ჩავჩურჩულებდი მას და ჯესიკა ყველაფერს უთარგმნიდა.

„სარა, შენ შეგიძლია იოცნებო. სარა, შენ შეგიძლია, გქონდეს ოჯახი. სარა, შენ შეგიძლია ყველაფრის გაკეთება, რასაც ღმერთი შენს გულში ჩადებს“.

მინდოდა გაეგო, რომ თვალის დაკარგვა არ ნიშნავს ცხოვრების დაკარგვას.

იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მან გამოიარა, ალბათ, თვალის დაკარგვა დიდი არაფერი იყო. თუმცა, არ მინდოდა შემეზღუდა და რაიმე განმესაზღვრა მისთვის.

ჯესიკამ არ იცოდა, რომ მეც მქონდა თვალი დაკარგული. ის მიხსნიდა, რა რთული იყო, სუფთად შეენარჩუნებინათ სარას თვალი. ხელოვნური თვალი მტვრის ფენით იყო დაფარული. ფრთხილად ვცადე მისი ქუთუთოს ჩამოწევა. ეს შეუძლებელი იყო. ეს ხელოვნური თვალი გათვლილი იყო ზრდასრულ ადამიანზე და იმდენად დიდი იყო, ქუთუთოს მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. ჯესიკამ ამიხსნა რამდენი იწვალეს ამ თვალის მოსაპოვებლად. ეს იყო საუკეთესო, რომლის პოვნაც ერაყში შეძლეს.

სარას ხელი მეჭირა, როცა მანქანისკენ მივდიოდით.

ორივე ვდუმდით.

იმ ღამით კორტნის სახლის სარდაფში დავრჩი. ვერ დავიძინე, ჩემი ფიქრები მუდმივად მის გარშემო ტრიალებდა. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა, დაგეკარგა მამა ასეთი სასტიკი და ამავდროულად უაზრო სიკვდილით ან უკან მოგეტოვებინა ყველაფერი, რაც იცოდი. ვერაფერს გავაკეთებდი იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა. თუმცა იქნებ, მის თვალთან დაკავშირებით რაიმეს გაკეთება შეიძლებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ ჯესიკა შტატებში იყო. აღმოვაჩინე, რომ ერთსა და იმავე დროს ორივე კალიფორნიაში ვიყავით. აღმოჩნდა, რომ ჩემი თვალის ექიმი კოლორადო სპრინგზში მიშელ მაიო, ცოტა ხნით მუშაობდა იეზიდ ბავშვებთან და კარგად იცოდა ნიუანსები მათი თვალის ფერის შესახებ. ძალიან გაუხარდა, რომ შეეძლო, დამხმარებოდა და რამდენიმე ბავშვის ზომის ხელოვნური თვალი მომცა სარასთვის.

მე და ჯესიკა კალიფორნიაში შევხვდით ერთმანეთს, სადაც მოსაკითხად ვიდეოც ჩავწერე სარასთვის, რომელიც მოგვიანებით ჯესიკამ გადათარგმნა.

იმ დღეს ჯესიკას მთავრობისგან დახმარება უნდა აეღო მათ სამკურნალოდ. მე ვუსმენდი და ვტიროდი, როცა მიყვებოდა, როგორ შეეხო ჩემი სტუმრობა სარას. ამ საწყალი გოგონასადმი ყურადღების გამოჩენით, მე მისი სტატუსი პრინცესობამდე ავამაღლე.

ზუსტად ასე არ იქცევა ჩვენი უფალიც? ის გამოარჩევს მათ, ვისაც არ სურთ, რომ ვინმემ შეამჩნიოს და უიმედოს ოცნების შესაძლებლობას აძლევს.

ჯესიკა სარასთვის თვალებით დაბრუნდა ერაყში. მინდა ჯესიკას სიტყვებმა, რომელიც ინსტაგრამზე დაწერა, მოგიყვეთ, რა გააკეთა ამ საჩუქარმა სარას ცხოვრებაში:

„სარა უყურებდა ლიზას, როცა ეუბნებოდა, რომ ის ახსოვდათ ლამაზი, რომ მას ყველაფრის გაკეთება შეეძლო რაც კი უნდოდა და თუ რამდენად უყვარს ის ღმერთს! როცა ამ ყველაფერს ვუთარგმნიდი, ცრემლები ჩამოცვივდა. არ ვიცი რამდენჯერ დაუძახებიათ მისთვის ლამაზი, მოვლილი, ის, ვის შესახებაც იციან და ახსოვთ“.

მოგვიანებით ჯესიკამ ატვირთა ფოტო, სადაც სარას დედა მას ძველ თვალს ახლით უცვლის. მისი დიდი ოჯახი გარშემო მოგროვილიყო, რათა ენახათ როგორი იქნებოდა. ბიძამისი იმ სიყვარულსა და ზრუნვაზე ლაპარაკობდა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდათ. დეიდამისი ვერ მალავდა აღფრთოვანებას იმის შესახებ, რომ ასეთმა პატარა დეტალმა, ასეთი დიდი ცვლილება გამოიწვია. დანარჩენი ფოტოები მთელ ისტორიას ასახავდა: სარა სიცოცხლისათვის საშიში სიმსივნით, სარა იმ ხელოვნური თვალით, რომლის შოვნაც ერაყში მოახერხა, სარა ახალი თვალით და სარა ოჯახითა და მეგობრებით გარშემორტყმული.

ჯესიკას დიალოგი აღწერდა ცვლილებებს:

„ნეტავ, ყველას გენახათ ის ცვლილებები, რაც ამ პატარა გოგონამ განიცადა. როგორ ამაყად წევს თავს და ხტება კადრში, როცა ადრე მუდმივად გაურბოდა. ან როგორ უძღვებოდა საუბარს გუშინ, როცა ლანჩზე ვესტუმრეთ. და როგორ ვეღარ ვცნობ უკვე, რადგან მისი მანერები მთლიანად შეიცვალა. სიყვარული ცვლის ყველაფერს, ამ პატარა გოგონასაც და მთელ დასახლებებსაც“.

ღვთის სიკეთე მუდმივია და მისი სიყვარული მარადიულია. თავს მოკრძალებულად ვგრძნობ, რომ ღმერთმა ერაყში მხოლოდ იმიტომ გამაგზავნა, რომ შევხვედროდი პატარა გოგონას, რომელმაც ჩემსავით სიმსივნით დაკარგა თვალი. და ეს ყველაფერი იმიტომ გავაკეთე, რომ მასაც სცოდნოდა ღვთის სიყვარულის შესახებ.

სიყვარულის ნიმუში

იმის თქმა, რომ მე და დედას გარკვეული გამოწვევები გვქონდა ურთიერთობაში, ნაკლებად წარმოაჩენს სიტუაციას.

რაც თავი მახსოვს, ფარული დაძაბულობა ოყო ჩვენს შორის. ბოლო ათი წლის განმავლობაში, როცა არ უნდა დამერეკა, ჩვენი საუბარი მალევე წყდებოდა რაიმე სახის გაუგებრობის გამო. და ახლაც კი, ძალიან მამძიმებს ის სასტიკი სიტყვები, რომლებმაც ჩვენ შორის გაიჟღერა.

„რაც მე მახსოვს, არის სიტყვები, რომლებიც მე არ მითქვამს“.

რაც მე მახსოვს, არის სიტყვები, რომლებიც მე არ მითქვამს.

ნეტავ, მომეფიქრებინა, რომ მეტად მეჩვენებინა და მეთქვა მისთვის, რომ მიყვარდა. როცა საქმე სიყვარულის გამოხატვას ეხებოდა, მე და დედაჩემი ისეთი განსხვავებული ენით ვლაპარაკობდით, როგორც იტალიური და ინგლისურია. სამწუხაროდ, მანამდე უარვყოფდი ორენოვანი გავმხდარიყავი, სანამ ძალიან გვიანი არ იყო. დიახ, მისი სიცოცხლის ბოლო თვეს ვუთხარი ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა. ვუთხარი, რომ მიყვარდა. ვთხოვე, ეპატიებინა ყველა წყენა, დიდი იქნებოდა ეს თუ მცირე. საავადმყოფოში მის საწოლზე დავემხე, თან მისი სუსტი სხეული მეჭირა ფრთხილად, რათა ის მილები და სადენები არ დამეზიანებინა, რაც მას მეტალის ჩარჩოზე აბამდა. ის ახლოს გადმოიხარა და ჩურჩულით განაჩენი შემიმსუბუქა. სწორედ ამ დროს დაიმსხვრა ჯეტირი. ორივე ვტიროდით, რადგან ვაცნობიერებდით, რა ცოტა დრო გვქონდა დარჩენილი, მარადისობის ამ მხარეს რომ გვეცხოვრა ამ სიყვარულით. ერთი თვეც არ გასულა და ის წავიდა.

მარადისობის დაპირება ამსუბუქებდა რეალობის ამ ძლიერ დარტყმას. მაგრამ მაშინაც კი, სინანული, შეიძლება, სასტიკ ზედამხედველად იქცეს. წარსულში, მის ბრალდებებს და სინდისის ქენჯნას საკუთარი თავის დადანაშაულებით და გაკიცხვით ვპასუხობდი. მაგრამ წლების განმავლობაში განსხვავებული და უფრო რთული გზა ავირჩიე: ჩემი შეცდომები მე მეკუთვნის. თავიდან ამან უფრო მტკივნეული შედეგები გამოიწვია, თითქოს ჭრილობაზე ფეხს მადგამდა. ამის მიუხედავად, ის, ვინც მამაცია . . .შეძლებს. გპირდებით, რომ ეს ყველაფერი ხანგრძლივი და უმიზნო ტკივილისგან დაგიცავთ.

სიმართლე ისაა, რომ თავიდანვე უფრო მეტად უნდა მყვარებოდა დედა. უფრო ძლიერ პოზიციაში ვიყავი, რათა უკეთესად მყვარებოდა, თუმცა ასე არ მოვიქეცი. რადგან წარსულს ვეღარ შევცვლი, ჩემს ხელში მომავლის სწორი გადაწყვეტილებებია. შემიძლია ცუდად ვიგრძნო თავი და

მოწყენილობა დარჩება ჩემთან ან ჩემი შეცდომებით სხვებს გაკვეთილი ვუჩვენო. იცით, როგორც კი შენ ფლობ შენს შეცდომას, ის ველარ გფლობს შენ. ისწავლეთ ჩემგან. არასდროს ინანებთ დადებით სიტყვებს, სითბოს და გულუხვობის გამოვლენას, მაგრამ ინანებთ იმ სიყვარულს, რომელიც არასდროს გაგიციათ.

ძვირფასო მეგობრებო, გიყვარდეთ უკეთესად და უკეთესად იცხოვრებთ! სიყვარული არის ჩვენი გარდაქმნის მიზეზი. ჩვენი ზეციერი მამა, რომელიც მოუდრეკელია თავის სიყვარულში ჩვენდამი, არის მაგალითი ჩვენთვის, რომ ასეთივე მოუდრეკელი სიყვარულით გვიყვარდეს ერთმანეთი. უამრავი ადამიანი, ვისაც ჩვენ მტრად მოვიხსენიებთ, უბრალოდ გულს ტკენენ ადამიანებს, რომლებიც სიყვარულს იმსახურებენ. როგორც ქრისტეს მიმდევრებს, ჩვენ არ გვაქვს არჩევანი, რომ არ გვიყვარდეს ისინი. ერთმანეთის სიყვარული მცნება უფროა, ვიდრე შემოთავაზება: „ესაა ჩემი მცნება, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან.15:12).

ეს ოთხი სიტყვა არის გამოწვევა: „როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“.

იესო არის ნიმუში ჩვენთვის.

მე დავუშვი შეცდომა დედაჩემისადმი სიყვარულში, იმ ნიმუშის საპასუხოდ, თუ როგორ ვუყვარდი მას მე. მთელი ცხოვრების განმავლობაში მე და დედაჩემი უცნაურ ცეკვას ვასრულებდით – ორი ნაბიჯით წინ და ორი ნაბიჯით უკან, არც ერთი ვიძროდით ადგილიდან. მის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მან მითხრა, რომ ჩვენს შორის არსებული დაძაბულობა არ იყო ჩემი ბრალი. მან ამიხსნა, რომ უბრალოდ არასდროს იყო ჩემთან დაკავშირებული. ამ სიტყვებმა ძალიან მატკინა გული იმის მიუხედავად, რომ ვიცოდი, ჩემს დასახმარებლად თქვა. ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ მისი აღიარება მე შვებას მომგვრიდა.

ახლა ვხვდები, რომ ამ დედობრივი კავშირის ნაკლებობას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენ დაკავშირებულნი ვიყავით ქრისტეში.

რა სხვანაირად მოხდებოდა ყველაფერი, თუკი ისევე მეყვარებოდა, როგორც იესოს ვუყვარვარ მე.

რას ნიშნავს გაჰყვე ნიმუშს? ამის საპასუხოდ საშუალო სკოლაში უნდა დავბრუნდე. ამ დროს ვალდებულები ვიყავით გვესწავლა სახლის მეურნეობა, რაც გულისხმობდა მოკლე იერიშს კერვაზე. ნიმუშად ვიყენებდით თხელ, ღია-ყავისფერ

შესაფუთ ქაღალდს, რომელზეც მონიშნული იყო სწორი და წერტილოვანი ხაზები, რათა მაკრატლით და ქინძისთავით გავყოლოდით. იდეა იყო, რომ შეგვევსო ნიმუში, სანამ ქსოვილისგან ამოვჭრიდით.

მოგვიანებით, როცა ჩემი ხელით დავიწყე რაღაცების კეთება, წავიკითხე ინსტრუქციები და ვისწავლე ნიმუშის მოკლე გზით დასრულება. მინდოდა სწრაფად გამეკეთებინა, ამიტომ ნაწიბურის გაკეთება გამოვტოვე. გონიერი ადამიანები მიხვდებიან, რაც მოხდა. ტანსაცმელი რაღაც დროის განმავლობაში არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, თუმცა მალევე ან მოგვიანებით ნაკერები იხსნებოდა და ნახვრეტები ეტყობოდა. სიყვარულში და კერვაში არ არსებობს მარტივი გზები . . . ჩვენ გვასწავლეს, რომ უნდა გავყვეთ ნიმუშს.

როცა საქმე სხვების სიყვარულს ეხება, ბევრ ჩვენგანს არ აქვს დასრულებული ნაწიბურები, რადგან არ გვინდოდა დროის დახარჯვა ურთიერთობებისთვის ქსოვილის მოსამზადებლად. ჩვენ ვხურავთ ნახვრეტებს და ისეთ შეხედულებას ვაძლევთ, თითქოს დასრულებულია, მაგრამ შიგნიდან მოშვებული ძაფით და დაჭიმული ქსოვილით შექმნილი ერთი დიდი არეულობაა. მარტივი გზების ძებნით, ჩვენ თავის მართლებას ვურიგდებით, როგორიცაა: „მე არ შემიძლია კარგად მიყვარდეს - მე არ გავზრდილვარ ქრისტიანულ ოჯახში“.

გიყვარდეს, როგორც იესოს უყვარხარ შენ. ზოგჯერ ეს შეიძლება აბსტრაქტული ჩანდეს. რთულია ჩვენი ყოველდღიური მოგზაურობის შესაბამისი ბიბლიური ისტორიები იპოვო. აი, რა ვისწავლე: ძალიან არ შევცდები, თუკი ისე მეყვარება სხვები, როგორც მინდა, რომ მე ვუყვარდე.

ჩვენ არ ვართ შეზღუდულნი იმის მიხედვით, თუ რამდენად ვუყვარდით მშობლებს. ეს კარგი სიახლეა. დღის ბოლოს ისინი არ არიან მაგალითები ჩვენთვის, თუ როგორ გვიყვარდეს. იესო არის მაგალითი და მისი მაგალითი ხელმისაწვდომია ყველასთვის გასაყოლად. იესოს უყვარდა ხალხი ჭეშმარიტების ლაპარაკით, ავადმყოფის განკურნებით. სწორედ ამ გზით ავლენდა ის მამის გულს ყველგან, სადაც კი მიდიოდა.

სიყვარული - ჭეშმარიტების ლაპარაკით

არის მომენტები, როცა სიყვარული ნიშნავს სხვისთვის იმის თქმას, რაც აკლიათ. ყველას გვაქვს რაღაც გარღვევები და ბრმა ლაქები ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც ვერ ვხედავთ.

როცა ვთხოვთ იესოს, ის გვეტყვის სიმართლეს ჩვენი ცხოვრების შესახებ, რათა ჩვენი გულები სწორი იყოს.

როცა მდიდარმა და გავლენიანმა ახალგაზრდა კაცმა ჰკითხა იესოს, თუ რა უნდა გაეკეთებინა მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად, იესომ სიყვარულით უპასუხა:

> „იესომ შეხედა მას, შეუყვარდა და უთხრა: „ერთი რამ გაკლია: წადი, რაც გაქვს, გაყიდე, ღარიბებს დაურიგე და გექნება საუნჯე ზეცაში! მერე მოდი და გამომყევი!“ (მარკ.10:21)

ამ კაცის „ერთი რამ“ იყო ყველაფერი. იესომ იცოდა, რა იყო საჭირო ამ კაცის დატყვევებული გულის გასახსნელად. შენი *„ერთი რამ“* შეიძლება, ვიღაცისთვის პატიება იყოს ან ღვთის ზრუნვაზე მინდობა. რაც არ უნდა იყოს ეს, სულიწმიდამ იცის, რა არის საჭირო შენი გულის გასახსნელად. მრავალი ჩვენგანის მსგავსად, ეს მდიდარი მმართველიც დიდ პოტენციალს ფლობდა, მაგრამ მან თავისი განძი არასწორ ადგილას შეინახა. მის განძს უნდა გადაენაცვლა იმ ადგილას, საითკენაც მისი გული ასე მიიწევდა . . . მარადისობაში. იესომ დაინახა იგი, შეიყვარა, გაიგონა მისი გულის ღაღადი და დაელაპარაკა ჭეშმარიტებაში.

სიყვარული ვლინდება ჩვენს სიტყვებში; ეს აშკარაა როგორც იმაში, თუ რას ვამბობთ, ასევე იმაშიც, რის არ თქმასაც ვამჯობინებთ. სიყვარული ვლინდება ჩვენი ლაპარაკის ტონში. ყველას გვითქვამს სწორი რაღაც, არასწორი განწყობით. მე ისიც კი მომიხერხებია, რომ ცუდი რაღაც კარგი განწყობით მეთქვა, რაც ასევე *არაა კარგი.*

„სიყვარული ლაპარაკობს, შესაბამისად მისი მოსმენაც შესაძლებელია“.

სიყვარული ლაპარაკობს, შესაბამისად მისი მოსმენაც შესაძლებელია.

ზოგჯერ, სიყვარული ჩურჩულია, ზოგჯერ კი, ვნებიან შეძახილში გადაიზრდება. როცა გვიყვარს . . . ის თავის ჟღერადობას იპოვის.

სიყვარული სხვებს წამოწევს

სხვა შემთხვევებში სიყვარული გულისხმობს იმის გაშიშ-ვლებას, თუ რელიგიამ როგორ გადახლართა ერთმანეთში მამის სიტყვები და განზრახვები. მოდი, ლუკას მე-13 თავს ჩავხედოთ:

> „შაბათს ერთ სინაგოგაში ასწავლიდა იგი. და აჰა, დედაკაცი, რომელიც თვრამეტ წელიწადს უძლურების სულით იყო შეპყრობილი; დაკრუნჩხული, წელში ვერ იმართებოდა“. (10-11 მუხლები)

თვრამეტი მტანჯველი წლის განმავლობაში უძლურების სულმა შეამცირა ქალის მოძრაობის უნარი. შეიძლება მისთვის ნათქვამი ჰქონდათ მეტად ეცადა, უფრო დიდხანს ელოცა, ცოდვა მოენანიებინა. მას შერცხვა. საშინლად უნდოდა წამოწევა, მაგრამ ვერ ახერხებდა. იცოდა, რომ მისი იქ ყოფნა სინაგოგის ლიდერებს აწუხებდა, მაგრამ თვრამეტი წლის განმავლობაში, ის კვლავ მოდიოდა. მან იცოდა, რომ მისი ერთადერთი იმედი იყო ღმერთი. შეიძლება ხვდები კიდეც, რას გრძნობდა.

ახალგაზრდა რაბინი, იესო ასწავლიდა. ქალმა გაიგონა მისი სიტყვები იმის მიუხედავად, რომ წელში მოხრა ზღუდავდა მის უპირატესობას. იესოს სიტყვები მისწვდა მის სულს . . . ცრემლებმა დანამა მისი ძირსდახრილი სახე. იესო გაჩერდა. ქალი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა, მაგრამ სიყვარულმა სწორედ ამ დროს შეამჩნია იგი. რა ხდებოდა? ნუთუ ის მას ელაპარაკებოდა? ქალმა თავი აწია, რათა დაენახა. მისი თვალები ქალის სულის სიღრმეებს ჩასწვდა. მის გარშემო მყოფი ხალხი ორად გაიყო, როცა ქალმა ფეხების თრევით გაიარა მოჩურჩულეთა შორის.

> „დაინახა იგი იესომ, მოიხმო და უთხრა: „დედაკაცო, თავისუფალი ხარ შენი სნეულებისგან“ დაასხა ორივე ხელი, მაშინვე გაიმართა იგი და ადიდებდა ღმერთს“. (12-13 მუხლები)

იესოს არ უკითხავს მისთვის, უნდოდა თუ არა თავისუფლება. მას არც რელიგიური ლიდერებისთვის უთხოვია უფლება. ის

შეეხო მის გაღუნულ ზურგს. ქალის გული აჩქარდა, როცა ძალა გადმოვიდა მის სხეულში. მისი მკერდი გაიხსნა, მისი ჩაკეტილი ხერხემალი კვლავ მოქნილი გახდა, ის წელში გაიმართა და ხელები ზეცისკენ აღაპყრო. მისი ბაგეებიდან თავისთავად გადმოიღვარა ქების ღაღადი.

როცა სიყვარულმა დაინახა იგი, დაუძახა, თავისუფლებაზე, განთავისუფლებასა და იმედზე ელაპარაკა, და შემდეგ შეეხო მას. ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ იესო აკეთებდა იმას, რაც მამაში ჰქონდა დანახული, ეს განკურნება მამის გულის არაჩვეულებრივი გამოვლენაა. სამწუხაროდ, ყველა როდი იზიარებდა მის სიხარულს:

> „სინაგოგის უფროსი კი გაჯავრდა, შაბათს რომ განკურნა იესომ და უთხრა ხალხს: „ექვსი დღეა, როცა შეიძლება რაიმეს კეთება; ამ დღეებში მოდით და განიკურნეთ, ოღონდ შაბათს — არა“. (14 მუხლი)

ქალი ხარობდა, სინაგოგის უფროსი კი ყვიროდა. კეთება? როდის გახდა განკურნება კაცის საკეთებელი საქმე? ის ყოველთვის ღვთის საქმე იყო! რა იქნებოდა სინაგოგაზე უკეთესი ადგილი განკურნებისთვის? სიყვარული შეიჭრა მათ რელიგიურ მოდელში. იესომ კი გამძვინვარებულმა უპასუხა:

> „თვალთმაქცნო, განა ყოველი თქვენგანი არ უშვებს შაბათობით ბაგიდან თავის ხარს ან ვირს და არ მიჰყავს წყლის დასალევად? ეს კი აბრაჰამის ასულია, რომელიც აგერ უკვე თვრამეტი წელიწადია შეკრა სატანამ. განა არ შეიძლებოდა ამ ხუნდებიდან შაბათ დღეს მისი გათავისუფლება?“
> (15-16 მუხლები)

ამ ქალის გათავისუფლებით მათ რელიგიურ მაზოლზე დაადგა ფეხი. თქვენი აზრით ღმერთს ოდესმე განუზრახავს, რომ ხარებსა და ვირებს უფრო კარგად მოეპყრან ვიდრე მის შვილებს? შაბათი დასვენებისა და აღდგენისთვისაა. ჩაგვრის ნებისმიერი ფორმა, მოქმედებს ღვთის მიზნის საწინააღმდეგოდ, შაბათი დღის შესახებ. ეს აბრაჰამის ასული იყო. ღვთის გული აღიძრა სამოქმედოდ, რადგან იგი მოუდრეკელია, თავისი დატყვევებული შვილების გათავისუფლებისადმი.

„როცა ამას ლაპარაკობდა, მის ყველა მოწინააღმდეგეს რცხვენოდა. ხოლო მთელი ხალხი ხარობდა მის მიერ ქმნილი დიდებული საქმეების გამო“. (17 მუხლი)

სამწუხაროდ, ზოგჯერ რთულია, გიყვარდეს რელიგია და ადამიანები ერთდროულად. თუკი შენს თავს ამ გზაჯვარედინზე აღმოაჩენ, ადამიანების სიყვარული არჩიე დოქტრინალურ დოგმებს. სიყვარულს შეუძლია, დაამარცხოს ტყუილი და დაძლიოს თვალთმაქცობა, მაგრამ სხვების სიძულვილი და გასამართლება, გვერდზე გადაწევს მათ. რწმენა მოქმედებს სიყვარულით. არის მომენტები, როცა სიყვარული გულისხმობს, თქვა ჭეშმარიტება და არის მომენტები, როცა სიყვარული გულისხმობს იყო ჭეშმარიტება. ამ შემთხვევაში იესომ ორივე გააკეთა. ამ შებოჭილი ასულის განთავისუფლებით იესომ გვაჩვენა ღვთის ადამიანებისადმი სიყვარულის მაგალითი რელიგიური წესებისა და ჩვეულებების მიღმა.

„როგორც რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე, ასევე საქმეები სიყვარულის გარეშე უაზროა“.

როგორც რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე, ასევე საქმეები სიყვარულის გარეშე უაზროა.

მოქმედება სიყვარულის გარეშე

„თუ მე ადამიანთა და ანეგლოზთა ენებით ვლაპარაკობ, მაგრამ სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ მხოლოდ ჟღარუნა რვალი ვარ ან წკრიალა წინწილა. წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ვიცოდე ყველა საიდუმლო და მქონდეს მთელი ცოდნა, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი. მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი მაქვს“. (1 კორ.13:1-3)

ამ მუხლებში უამრავი კარგი რამაა ჩამოთვლილი, თუმცა სიყვარულის გარეშე, ისინი არაა სრულყოფილი. ეს სია მოიცავს ხმას, ცოდნას, რწმენას და გულუხვობას. ნებისმიერი

ნიჭი თუ უნარი, რაც კი გვაქვს, ჩვენი გულუხვი უფლისკენ უნდა მიუთითებდეს სხვებს და არა ჩვენკენ იზიდავდეს. თუკი უდიდესი საჩუქარი მიიღე, რისი წარმოდგენაც კი შეგიძლია: სახლი, მანქანა, სწავლის დაფინანსება - რას იგრძნობდით ან უპასუხებდით იმ დღეს, როცა ხელში გასაღები ან თანხა გეჭირებოდათ? ნუთუ ბუნებრივი არ იქნება, რომ ჩაეხუტო და მადლობა გადაუხადო მას, ვინც მოგცა? გვაქვს ჩვენ რაიმე კარგი, ისეთი რაც ღმერთს არ მოუცია ჩვენთვის? არა, არაფერი. აი, რატომ არის ჩვენი მდგომარეობა მადლიერება, ყველაფრის გაცემა, რაც კი გვაქვს . . . ჩვენი სიცოხლისაც კი. მაგრამ სიყვარულის გარეშე, ჩვენი ნიჭები არაფერს წარმოადგენს.

მოდი, განვიხილოთ ნიჭები, რომელთაც პავლე ახსენებს და ხმის ძალით დავიწყოთ!

ხმა

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც სავსეა ენერგიული, დამარწმუნებელი და მიმზიდველი კომუნიკატორებით. ისინი მოდიან ყველა ფორმასა და ფუნქციაში. უამრავი ხმა მუდმივად მეტოქეობას უწევს ერთმანეთს სხვადასხვა ფრონტზე იმისათვის, რომ მოისმინონ. რთულია, გაიგო, რა დგას ამ საუბრების, ბეჭდვისა თუ გადამცემების უკან.

ამოცნობა იწყება ჩვენი გულის ნიადაგის პირველი ყურისგდებით. როცა ვლაპარაკობთ, საჭიროა, საკუთარ თავს რთული კითხვები დავუსვათ.

„სიყვარულით ვლაპარაკობ, თუ უბრალოდ, მინდა, რომ დამინახონ და მომისმინონ?“ ჩვენ ყველას გვინდა, მოგვისმინონ. ჩვენ ყველას გვაქვს უფლება, რომ მოგვისმინონ. მაგრამ როცა წყენით, სიამაყით ან პოპულარობისკენ ლტოლვით ვლაპარაკობთ, მოსმენა ამ ყველაფრის ჯილდო ხდება.

ჩვენი გულისთვის ყურისგდება ნიშნავს, რომ სიყვარულის მოტივი არ დაიკარგება აზრის გადაცემის დროს. პავლე გვაფრთხილებს, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად ღრმად ან ღვთაებრივად შთაგონებულად შეიძლება მოგვეჩვენოს სიტყვები, სიყვარულის ფაქტორის გარეშე მალე ნამსხვრევებად და გამაღიზიანებელ ხმებად გადაიქცევა.

მხოლოდ ღმერთმა იცის, საიდან ვლაპარაკობთ. გარდა იმისა, რომ იგი ხედავს იმის მიღმა თუ როგორ გამოიყურება ჩვენი გული, მას ესმის მეტი, ვიდრე ჩვენი სიტყვები ... მას ესმის ამ სიტყვების წყაროს ხმა. მას ესმის მელოდიური,

ან შეუფერებელი ტონები იმ ყველაფერში, რასაც ჩვენ ვამბობთ. სიმფონიას ქმნის სიყვარულით შეკრული მარტივი წინადადებები. ეს ერთი სიტყვა: „მაპატიე!“ შეუდარებლად ძვირფასია მისთვის. მაშინ, როცა სიამაყესთან შეზავებული მჭერმეტყველური ფრაზები ისეთივე მოსასმენია მისთვის, როგორც დაფაზე ფრჩხილის ჩამოსმა ან მოჩვენების კივილი.

სწორედ ამაზე მიუთითებს ეს ნაწყვეტი საქმეების მე-12 თავიდან:

> „დაწესებულ დღეს ჰეროდემ სამეფო სამოსი ჩაიცვა, ტახტზე დაჯდა და მათ მიმართა. ხალხი კი ღაღადებდა: *„ღვთის ხმაა და არა კაცისა“.* მაგრამ მოულოდნელად უფლის ანგელოზმა დასცა იგი, ვინაიდან დიდება არ მიაგო ღმერთს და მატლებისგან შეჭმულს სული ამოხდა“. (21-23 მუხლები)

განდიდება მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. როცა მეფურად შემოსილმა ჰეროდემ დაუშვა შეცდომა და გადაწყვიტა ღვთის დიდება გაეზიარებინა, მისი მეფობა დამთავრდა. ანგელოზმა დასცა იგი მოულოდნელად და მატლებმა შეჭამეს. სიკვდილის რა საშინელი გზაა! ჯანმრთელობის დარგის ბევრი სპეციალისტი ამბობს, რომ უმრავლეს ჩვენგანს პარაზიტები გვყავს სხეულში . . . ვიცი, ვწუხვარ. თუ ეს სიმართლეა, მაშინ იმან, რაც უხილავი იყო მასში, თავისი გზა იპოვა მასთან. ამის ფონზე აღარაა გასაკვირი, რატომ შემოიხევდნენ ხოლმე მოციქულები სამოსელს, რათა მათი ადამიანურობა ეჩვენებინათ, როცა ღვთიურობაში სდებდნენ ბრალს. საქმეების 14:14-15-ში ჩვენ ვკითხულობთ:

> „ეს რომ მოციქულებმა, ბარნაბამ და პავლემ გაიგონეს, ტანისამოსი შემოიხიეს, ხალხში შეცვივდნენ და შეჰყვირეს: „კაცნო, ამას რას სჩადიხართ?! ჩვენც თქვენი მსგავსი ადამიანები ვართ და გახარებთ, რომ ამ ამაო კერპთაგან ცოცხალი ღვთისკენ მოიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა, დედამიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მათშია“.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ თუკი უკან დავუბრუნდებით რამდენიმე მუხლს საქმეების მე-12 თავში და ჰეროდეს საუბრის კონტექსტს დავაკვირდებით, დავინახავთ,

რომ ჰეროდე არა მხოლოდ მჭევრმეტყველურად საუბრობდა, ასევე აცხადებდა კეთილი ნების ქმედებას. ჰეროდეს უპირატესობა ჰქონდა ტვიროსთან და სიდონთან შედარებით, ამიტომ საკვების მარაგი შეუწყვიტა. დელეგაცია ტვიროსიდან და სიდონიდან მოვიდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისთვის და მიიმხრო ბლასტონი, ჰეროდეს პირადი დამხმარე. ამ ორ ქალაქს საოცრად სჭირდებოდა საკვები. ჰეროდემ შერიგება გამოაცხადა. ეს ნიშნავდა მშვიდობას და კვლავ აყვავებას. ჰეროდემ დაარწმუნა, მაგრამ მისი მოტივები არ იყო წმიდა.

ცოდნა

შემდეგი ნიჭი, რომელიც კორინთელთა მიმართ 1-ელ წერილშია ნახსენები, არის საოცარი უნარი, იწინასწარმეტყველო მომავალი, ამოხსნა სიცოცხლის საიდუმლოები, და ფლობდე მთელ ცოდნას. რამდენადაც საოცარია ეს ყველაფერი და რამდენადაც სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიოსთვის, იმდენად არაფრის მომტანია მისთვის, ვისაც არ უყვარს. 1 კორინთელთა მე-8 თავი აღწერს იმ დაძაბულობას, რომელიც სიყვარულსა და ცოდნას შორის არსებობს:

> „მაგრამ ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს. ვინც ფიქრობს, რომ რაიმე იცის, მან ჯერაც არაფერი იცის ისე, როგორც უნდა იცოდეს. მაგრამ ვისაც ღმერთი უყვარს, იგი შეცნობილია მისგან“. (1-3 მუხლები)

იმის ხაზგასასმელად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ბრძოლა, მინდა ეს მუხლები სხვა თარგმანიდანაც (The Passion Translation) წაიკითხოთ:

> „რა მარტივია გაამპარტავანდე შენი მოსაზრებების გამო! მაგრამ სიყვარული აშენებს ჩვენს ახალ სიცოცხლეს. თუ ვინმე ფიქრობს თავის თავზე, რომ ყველაფრისმცოდნეა, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი. მაგრამ, თუ ვინმეს მგრძნებარედ უყვარს ღმერთი, ის ფლობს ღვთის ცოდნას“.

თუკი ცოდნა, რომელსაც ვფლობთ, არ აშენებს სხვებს, ეს მიანიშნებს, რომ ჩვენი მოტივების გადამოწმების დროა. იცოდე მეტი, ეს შესაძლებლობაა, გიყვარდეს მეტი. იცნობდე ღმერთს

კარგად, ყოველთვის უნდა გადაიქცეს სხვების სიყვარულში.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთმა სულიერმა შვილმა მომმართა. ისინი არ მოდიოდნენ ჩემთან მხოლოდ კავშირისთვის ან საუბრისთვის. მათ მიმიწვიეს, რათა მათ ცხოვრებაში მელაპარაკა სიყვარულსა და სიცოცხლეზე. მათ არ ჰქონდათ მიზეზი, დაეშვათ იგივე შეცდომები, რაც მე დავუშვი. ამ მიზნით მე გამოვიყენე მთელი ჩემი გამოცდილება, რათა წამომეწია ისინი. სიყვარული წევს გულებს . . . გონების გაკიცხვის გარეშე. განათლება და გამოცდილება არ არის ღირსების ორდენები, რომელიც უფლებას გვაძლევს, სხვებს ჩვენზე დამცირებულად ვაგრძნობინოთ თავი. სწორედ ასეთი ცოდნით იყვნენ შემოსილნი რჯულის მასწავლებლები და ფარისევლები. ცოდნას სიყვარულის გარეშე დაბალი ღირსება აქვს.

„იცნობდე ღმერთს კარგად, ყოველთვის უნდა გადაიქცეს სხვების სიყვარულში“.

უდიდესი ცოდნა იმისა, თუ ვინ ვართ ქრისტეში, სწორედ მაშინ მოქმედებს ჩვენს ცხოვრებაში, როცა სხვებს წამოვწევთ. „იცოდე ისე, როგორც უნდა იცოდე!“ – ნიშნავს, გიყვარდეს სხვები ისე, როგორც ქრისტეს უყვარს ისინი.

სიყვარული არასდროს ამცირებს.

სიყვარული არასდროს ტრაბახობს.

სიყვარული ანგრევს ტყვეებით სავსე სიმაგრეს.

სიყვარული არ უტევს ტყვეებს, სიყვარული ათავისუფლებს ტყვეებს.

ჩვენ, შეიძლება ვიცოდეთ, სიყვარულის შესახებ და არ გვიყვარდეს. ჩვენ შეგვიძლია, სიყვარულის არსი შემოვიხვიოთ ადამიანების ნაცვლად.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ გვიყვარდეს ყველა. ჩვენ ვერ ავირჩევთ, გვიყვარდეს მხოლოდ ისინი, ვინც ჩვენსავით გამოიყურება და იქცევა. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისინი, ვინც არ გვეთანხმება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რწმენაში კომპრომისზე მივდივართ ან სხვებს ვაბნევთ ჩვენი ქმედებით. როგორღაც, ჩვენმა კულტურამ სიყვარული დათანხმებას გაუთანაბრა. არის მომენტები, როცა ჩვენს სიყვარულს ყველაზე მეტად სიყვარულით შედავებით გამოვხატავთ, ეს თოკზე გავლაა. ჩვენ ყოველდღე უნდა ავირჩიოთ, ვიცხოვროთ სხვების მგრძნობიარეობის გაცნობიერებით.

სიყვარული განსაზღვრულზე მეტად გამოხატული უნდა იყოს. არ არის რთული, ამოიცნო სიყვარული, როცა მას ხედავ. სიყვარული არ არის გრძნობა; ის არის ცხოვრების გზა. სიყვარული უდიდესი ჩვევაა, რაც კი შეიძლება განგვივითარდეს.

> „მივიდა მასთან ერთი მწიგნობარი, რომელიც ყურს უგდებდა მათ კამათს და დარწმუნებულმა, რომ კარგი პასუხი გასცა მათ, ჰკითხა: „რომელია უპირველესი მცნება?“ იესომ მიუგო: „უპირველესი ასეთია: ისმინე ისრაელო, უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთადერთი უფალია! შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით და მთელი შენი ძალით! ეს არის პირველი მცნება. მეორეა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი! ამათზე დიდი მცნება არ არსებობს“. უთხრა მას მწიგნობარმა: „კეთილი, მოძღვარო, ჭეშმარიტება თქვი, ვინაიდან ღმერთი ერთია და სხვა არავინ არის მის გარდა და უნდა გვიყვარდეს იგი მთელი გულით, მთელი გონებით, მთელი სულითა და მთელი ძალით; და უნდა გვიყვარდეს მოყვასიც, ვითარცა თავი ჩვენი, ეს ყველა სრულადდასაწველზე და შესაწირზე მეტია“. იესომ დაინახა, რომ მან გონივრულად უპასუხა, და უთხრა მას: „შორს არ დგახარ ღვთის სამეფოსგან“. ამის შემდეგ ვეღარავინ შებედა კითხვის დასმა“. (მარკ.12:28-34)

დღესაც კი, რაღაც მხრივ, არ ვართ შორს ღვთის სამეფოსგან. ჩვენ ვხედავთ მას მოშორებით, და მაინც, არსებობს ღრმა ნაპრალი იმას შორის, თუ რა გვჯერა, და როგორ იქცევა ეკლესია. სიყვარული არის პასუხი ყველა კითხვაზე. ის არის გამოსავალი ყველა პრობლემიდან.

> „არავისი არაფერი დაგედოთ ვალიდ, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს!“ (რომ.13:8)

სიყვარული ასრულებს რჯულს. სიყვარული გვათავისუფ-ლებს ყველა ემოციური, ფიზიკური და სოციალური ვალისაგან. ჩვენ ვალად გვედება მხოლოდ ის, რაც ასე უხვად მოგვეცა .... სიყვარული.

„იფხიზლეთ, იდექით რწმენაში, იყავით ვაჟკაცურნი, იყავით ძლიერნი. ყოველივე სიყვარულით გააკეთეთ!“ (1 კორ.16:13-14)

1 კორინთელთა ამ ორ მუხლში გადმოცემული იდეები ერთმანეთთანაა დაკავშირებულია. ის ქმნის: სიმწიფეს, რწმენას, მუდმივობას, სიფხიზლეს, ძალას, რათა დავრწმუნდეთ, რომ რასაც ვაკეთებთ, სიყვარულში ვაკეთებთ.

სიყვარული აღგვძრავს სამოქმედოდ. ცოტა ხნის წინ, კონცერტზე ვიყავი, სადაც ჩვენი თანადგომით შეგვეძლო მხარი დაგვეჭირა ბავშვისთვის. როგორც ორგანიზაცია, ჩვენ რეგულარულად ვთანამშრომლობთ ობლებთან. ამ შემთხვევაში, ვიგრძენი საჭიროება, პირადად მეპასუხა. ხელი ავიწიე და რაღაც პაკეტი მივიღე. ქვევით დავიხედე და გავაანალიზე, რომ ხელში მეჭირა გოგონას ფოტო, რომლის დაბადების დღეც ჩემსას ემთხვეოდა. განა რა შანსები იყო ასეთი დამთხვევის? ეს ფოტო ახლა ჩემს თაროზე დევს, ჩემი ლეპტოპის მაღლა. სიყვარულის ეს გამოვლინება მამის ლოყაზე კოცნას ჰგავდა.

„ყოველი დღე ახალი შანსია, გიყვარდეს!“.

ყოველი დღე ახალი შანსია, გიყვარდეს!

და რადგანაც ღმერთს უყვარს ადამიანები, მას არ სურს ჩვენმა თავისუფლებამ ხელი შეუშალოს მის სიყვარულს, რომ მოგვწვდეს. სიყვარული ყურადღებიანია იმის მიმართ, თუ რა გავლენას ახდენს ჩვენი არჩევანი სხვებზე. 1 კორინთელთა მე-8 თავში, პავლე ვრცლად გვიხსნის გამოცხადებას, რომ თუმცა კერპები არაფერს წარმოადგენს, კერპთშენაწირების ჭამამ, შეიძლება, დააბრკოლოს ახალმოქცეული, ვისაც ჯერ არ მიუღია ეს გამოცხადება. მე-11 და მე-12 მუხლებში ის განმარტავს, რა ნაყოფები შეიძლება მოჰყვეს უსიყვარულო გამოცხადებას:

„შედეგად, შენი თავისუფლების გაგების გამომ-ჟღავნებით, შეიძლება, დაჭრა უძლური მორწმუნე, შენი ძმა, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე და როცა აბრკოლებ უძლურ მორწმუნეს და აჭრილობებთ მათ უძლურ სინდისს, ამით ქრისტეს მიმართ სცოდავთ“. (The Passion Translation)

> და რა იყო სიყვარულის პასუხი ამ ყველაფერზე?
> „აქედან გამომდინარე, თუ რაიმე საკვების ჭამით ვაბრკოლებ ჩემს ძმას და ხელს ვუშლი მის განვითარებას ქრისტეში, უკუნისამდე აღარ შევჭამ მას. არ მინდა დამნაშავე ვიყო, ჩემი ძმის ან დის დაჭრილობებასა და დამარცხებაში“.
> (1 კორ.8:13 The Passion Translation)

ეს მუხლი განასახიერებს სიყვარულის არჩევანს, *იცხოვრო სხვებისთვის*. ცოდნა, თავის მხრივ იტყვის: „რადგან კერპი არაფერს წარმოადგენს, მე თავისუფალი ვარ, ვჭამო, რაც მომესურვება. მე არ ვარ პასუხისმგებელი ჩემი ძმის რეაქციაზე“. როცა ცოდნა გაერთიანებული იქნება სიყვარულთან, ის დაიწყებს გზების ძებნას, თუ როგორ განავითაროს სხვები. ორივე ერთად იტყვის: „ვიცი, რომ კერპი არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ჩემი ძმისა და დისთვის, მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა. მე მათზე უფრო ვზრუნავ, ვიდრე ჩემი თავისუფლების გამოვლენის უფლებაზე. არ მინდა ჩემმა თავისუფლების ქმედებებმა რისკის ქვეშ დააყენოს ისინი“. სიყვარული ავალდებულებს საკუთარ თავს, ააშენოს სხვები.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიყვარული შიშითა და სხვების აზრებით *გაკონტროლებულ* სიცოცხლეს გულისხმობს. პირიქით, სიყვარული ცხოვრობს შეგნებით. კერპთშენაწირი ხორცის ჭამა უცხოა ჩვენი კულტურისთვის, მაგრამ ადრეული ეკლესიებისთვის ეს საკმაოდ მგრძნობიარე და რეალური საკითხი იყო. ახალ რელიგიაზე მოქცევას საბერძნეთში გაუჭირდა მათი წინანდელი რიტუალებისა და მათი ახალი ცხოვრების შეთანხმება. მათ, ვისაც ჰქონდა ჭეშმარიტი ღვთის გამოცხადება, გააცნობიერეს, რომ სიყვარული სხვების მგრძნობიარეობის პატივისცემას გულისხმობს. სიყვარული არასდროს ფლობს თავისუფლებას, სუსტის დასაჭრელად.

„სიყვარული არასოდეს ფლობს თავისუფლებას, სუსტის დასაჭრელად“.

რწმენა

კლაივ ლევისმა თქვა: „ნუ გაფლანგავ დროს იმაზე დარდში, გიყვარს თუ არა შენი მეზობელი, იმოქმედე ისე, თითქოს გიყ-

ვარს! როგორც კი ასე ვიქცევით, ერთ-ერთ უდიდეს საიდუმ-ლოს ამოვხსნით, როცა ისე იქცევი, თითქოს გიყვარს ვინმე, ცოტა ხანში მართლა შეგიყვარდება“.[1]

როცა რწმენით გიყვარს, და ჩვენ გვიყვარს რწმენაში, სასტიკი სამყარო, ხედავს მამის გულს. უფრო მნიშვნელოვანია გიყვარდეს, ვიდრე შენ უყვარდე. ჩვენი რწმენის ჭეშმარიტი საზომი იმაში კი არაა, თუ რამდენად ვუყვარვართ, არამედ ჩვენ რამდენად გვიყვარს. დიახ, ჩვენ ყველას გვინდა, რომ ვუყვარდეთ. როცა ვღებულობთ მამის მოუდრეკელ სიყვარულს ჩვენდამი, მასში ჩვენ იმ პოზიციაში აღმოვჩნდებით, რომ გვიყვარდეს სხვები. ასეთ სიყვარულს რწმენა სჭირდება. ჩვენ ვიცით, რომ რწმენა არის რასაც ვიმედოვნებთ. ჩვენ ყველა ვიმედოვნებთ, რომ გვიყვარდეს და ვუყვარდეთ, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია ჭეშმარიტად უყვარდეს რწმენის გარეშე. გალატელთა 5:6 ამბობს: „ვინაიდან ქრისტეში ძალა არა აქვს წინადაცვეთას, არც წინადაუცვეთელობას, არამედ *სიყვარულით მოქმედ რწმენას*“.

შეუძლებელია რწმენის და სიყვარულის განცალკევება. . . ისინი არიან სამუდამოდ მჭიდროდ გადაჭდობილები. ღმერთმა იცოდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა, გავყოლოდით ქრისტეს და ისევე გვყვარებოდა, როგორც მას, მხოლოდ ჩვენი ძალებით და შესაძლებლობებით, ამიტომ მან თითოეულ ჩვენგანს მოგვცა რწმენის საზომი. სიყვარული არ არის გულის დასასუსტებლად. რწმენა ნიშნავს, გვიყვარდეს მაშინ, როცა ვერ ვგრძნობთ სიყვარულს.

> „გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათ-თვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით!“ (მათ.5:43-44)

ერთი შეხედვით, ძველი აღთქმის მიდგომა სრულყოფილ აზრს ქმნის: გძულდეს შენი მტერი და გიყვარდეს შენი მოყვასი! . . . შეამოწმე! მაგრამ, მოდი, უფრო ღრმად გამოვიკვლიოთ. თუკი წელიწადზე მეტხანს ყოფილხარ დაქორწინებული, ალბათ, გეცოდინებათ, რომ არის მომენტები, როცა რწმენაა საჭირო იმისთვის, რომ გიყვარდეს შენი მეუღლე. როცა მე და ჯონი დავქორწინდით, ხშირად, გვიან ღამით აბსურდულ თემებზე ვკამათობდით. ძალაგამოცლილები დასაძინებლად მივდიოდით და საწოლში ერთმანეთისგან რაც შეიძლება შორს

ვწვებოდით. და ჩვენი ღამე ამ სიტყვებით მთავრდებოდა: „რწმენით გპატიებ!“

ამ დროს, ამ სიტყვებში ვგულისხმობდით: „ვიცი, რომ უნდა გაპატიო, მაგრამ არ ვარ მზად ამისთვის, ამიტომ ამას რწმენით გავაკეთებ“. მე არ ვიყენებდი რწმენას; ეს იყო მეტი არაფერი, თუ არა რელიგიური მუჯლუგუნი ჩემი ქმრისთვის. ჩემი გული არასწორ მდგომარეობაში იყო, თუმცა, შესაძლოა, პრინციპი სწორი იყო.

აპატიო ვინმეს რწმენით, ეს არის თავდაჯერებული აღიარება, რომ წინ უკეთესი დღეებია. ამავდროულად, ეს არის დათმობის გამოხატულება. ჩვენ მივიღეთ პატიება რწმენით, შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია, ვაპატიოთ რწმენით.

თუ შენ ოჯახის ნაწილი ხარ, იქნება მომენტები, როცა მოგიწევს რწმენით გიყვარდეს შენი და-ძმები. თუ შენ დადიხარ ეკლესიაში, ნებისმიერ ეკლესიაში, ნებისმიერ ადგილას იქნებიან ადამიანები მრევლში, რომელთა შეყვარებაც რწმენით მოგიწევს. მე მყავს მეგობრები, რომლებიც რწმენით მიყვარს! (და საბედნიეროდ, ისინიც იგივეს აკეთებენ ჩემთვის). მაგრამ იესოს სიყვარული, არ ჩერდება ჩვენს მოყვასებზე.

იესო სირთულის სფეროს მიღმა წავიდა და ფართოდ გააღო *შეუძლებლის* კარი. მან გვითხრა, გვიყვარდეს ჩვენი მტრები.

ჩვენ ყველას გვყავს მტრები. ვისურვებდი, რომ ასე არ ყოფილიყო, თუმცა მტრები ცხოვრების თანმხლებია. ამის გაცნობიერება, სულაც არ ამარტივებს მათ შეყვარებას. მტრების შეყვარება უდაოდ მოითხოვს რწმენას. არ არის მარტივი, მეორე ლოყა შეუშვირო, როცა მტრის ხელი მზადაა, რომ ისევ დაგარტყას. შეიძლება პირველი სილა მოულოდნელი იყო, მაგრამ, როცა იცი, რა მოდის, რწმენა სჭირდება, რომ არ დაბლოკო მეორე დარტყმა, განსაკუთრებით, თუ ნახევრად სიცილიელი ხარ.

რწმენა სჭირდება, რომ კურთხევის სიტყვები ამოუშვა მის მიმართ, ვინც შურით თუ ჯინით გწყევლის, ცილსგწამებს და გაკრიტიკებს (ეს პრინციპები ეხება, როგორც რეალურ ცხოვრებას, ასევე სოციალურ მედიას!). რწმენა სჭირდება, კარგი გაუკეთო მათ, რომელთაც სძულხართ. რწმენა სჭირდება, რომ ნებისმიერი ფორმის გულწრფელობით ილოცო მათთვის, ვინც არასწორად გეპყრობა და გდევნის. მე არ მოგიწოდებთ, რომ ნება მისცეთ ყველას, არასწორად მოგექცნენ და შემოგიტიონ – ეს არ გააკეთოთ! მე გეუბნებით, რომ გიყვარდეთ ისინი უსაფრთხო დისტანციიდან, რწმენით, ლოცვის საშუალებით.

იესოს ყველა უყვარდა, მაგრამ ნუ აურევთ ერთმანეთში ყველას სიყვარულს და ნდობას ყველას მიმართ.

„ჩვენი სიყვარული ხსნის მათ გულებს სიყვარულისთვის“.

ეს დაგვეხმარება, გავაცნობიეროთ, რომ არ ვებრძვით ხილულს, არამედ ბნელ, უხილავ ძალებს. ეს იმის გაცნობიერებაშიც გვეხმარება, რომ ჩვენ მარტო არ ვიბრძვით.

ჩემი „ლოგოსის“ პროგრამის ღრმა სიბრძნეზე დაყრდობით საშუალება მომეცა, შემეგროვებინა ბერძნული სიტყვა *„აგაპეს“* კარგი განმარტება: ეს არის, აირჩიო სიყვარულის მოქმედება მაშინაც კი, როცა დაუმსახურებელია და უარყოფასთან და იმედგაცრუებასთანაა დაკავშირებული. სიყვარული ჩვენი სურვილებისა და უპირატესობებისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. ეს განმარტება არის სიყვარულის საფუძველი.

ადამიანები გრძნობენ, როცა ისინი გვიყვარს და ჩვენი სიყვარული ხსნის მათ გულებს ღვთის სიყვარულისთვის. მათ იციან, შემჩნეულნი არიან სიყვარულის მიერ, თუ ჩვენ უბრალოდ გვინდა მათი შეცვლა. მამის ასეთი მოუდრეკელი სიყვარულის მიღების შემდეგ, ჩვენ ვალდებულნი ვართ გვიყვარდეს ისე, როგორც ჩვენ შეგვიყვარეს.

უშიშრად, რადგან სიყვარულში არ არსებობს შიში.

უანგაროდ, რადგან სიყვარული არ არის ეგოისტური.

შეურაცხყოფის გარეშე, რადგან სიყვარული ადვილად არ ხდება შეურაცხყოფილი.

თრიუმფალურად, რადგან სიყვარული არასდროს ეცემა.

უსასრულოდ, რადგან სიყვარული მარადიულია.

თუკი ერებს ეყვარებოდათ თავიანთი მეზობლები, როგორც საკუთარი თავი, მაშინ ერი ერის წინააღმდეგ აღარ აღდგებოდა. აღარ იქნებოდა ომები და აღარც ჭორები ომის შესახებ. ჩვენი გამოწვევათა უმრავლესობა მწვავდება მაშინ, როცა ვცდილობთ მშვიდობა დავაფუძნოთ მშვიდობის უფლისწულის სამეფოს გარეთ.

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ერი რასიზმის სულმა დაფლითა. ყველა არასწორი აზრი ამძაფრებს ბრაზსა და უცოდინრობას, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სული რომელიც ამ ყველაფრის უკან დგას, სულელია. მას სტრატეგიული მიზანი გააჩნია და ისეთივე უძველესი წარმომავლობა, როგორიც ედემის ბაღს. როცა ადამი და ევა დაეცნენ, მათი ქმედებები

მთელ სერიად დაიყო. ერთ-ერთი მათგანი აღძრავს ძმას ძმის წინააღმდეგ. რასიზმი გველის ეშმაკობაა. მას არ უნდა მივცეთ ადგილი და შემწყნარებლობა. ყველა ქრისტიანი ყველგან უნდა ამხელდეს რასიზმის ნებისმიერ ფორმას და ყველაფერს აკეთებდეს მის დასამთავრებლად.

გულუხვობა

საბოლოოდ, 1 კორინთელთა 13:3-ში, პავლე თვლის შეუმსუბუქებელი გულუხვობის გამოვლინებებს, როგორიცაა: ყველაფრის ღარიბთათვის მიცემა და სხეულის დაუფიქრებლად გაცემა ცეცხლში მოწამეობისთვის. და ეუბნება ეკლესიას, რომ თუ ასეთი ქმედებები არ არის სიყვარულით მოტივირებული, არაფერს შემატებენ გამცემს.

მას მივყავართ მთავარ სათქმელამდე:

ყველაფერს - სიყვარული = არაფერს

სიყვარულის გარეშე, ჩვენ არაფერი ვართ.
სიყვარულის გარეშე, ჩვენ არაფერი შეგვემატება.

ღმერთი ანდამატია იმაში, რომ სიყვარული იყოს იმ ყველაფრის მიზეზი, რასაც ვაკეთებთ. ეს გამომაფხიზლებელი სურათია. ყველანაირი პატიოსნების დროს, მხოლოდ მარადიულობა გაზომავს ჩვენს მოტივებს ამ საკითხში. სიხარულით ვთანხმდები, რომ ჩემს ცხოვრებაში იყოს მარადიული ღირებულებების სიტყვების გროვა და დაუკავებელი ქმედებები. არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ისწავლო ჩემი შეცდომებიდან. როგორც ალმასი ორთქლდება სითბოს და ჟანგბადის ინტენსიური გაზრდისას, ჩვენი საქმეებიც ერთ დღეს გაიწმიდება ღვთის თანდასწრების სინათლის ინტენსიობით, როცა ჩვენი მოტივები გამომჟღავნდება.

„ღმერთი ანდამატია იმაში, რომ სიყვარული იყოს იმ ყველაფრის მიზეზი, რასაც ვაკეთებთ“.

ბრილიანტი არ არის სამუდამო

ახლა, როცა ჩემი ხელები კლავიატურაზე დაცურავენ, ჩემს მარცხენა ხელზე განსხვავებული ბრილიანტია. როგორღაც,

ჩემი გიჟური ცხოვრების განმავლობაში, მოვახერხე გამეტეხა პირველი. ასე რომ, სიცილიაში, ჩემს 48-ე დაბადების დღეზე, ჯონმა კვლავ გამაოცა. ამჟამად, ოვალური ფორმის ბრილიანტით.

ბზარმა საბოლოოდ დაამსხვია ჩემი ცრემლის ფორმის ქვა. ბუდიდან გადმომივარდა, როცა სადაზღვეო კომპანიიდან უკან მომქონდა. იმდენად სენტიმენტალური ვიყავი ამ ბრილიანტის მიმართ, რომ დამსხვრეული ქვა სახლში წამოვიღე. იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს კვლავ ჩასვამენ მას ბუდეში ჩემი ერთ-ერთი შვილიშვილისთვის და ახალ ისტორიას დაუდებს სათავეს.

ოცდათხუთმეტი წელი დიდი დროა ქორწინებაში.

მე არ მოგაჩვენებთ თავს, თითქოს სრულყოფილად მიყვარდა ჩემი ქმარი მთელი ამ დროის განმავლობაში . . .იყო რთული პერიოდებიც, როცა ჩვენ ორივე უიმედოდ ვგრძნობდით თავს. იყო ულმობელი სიტყვები და გაწელილი პერიოდები, როცა ჩვენი სიყვარული გატეხილ ბრილიანტს ჰგავდა. იყო პერიოდები, როცა ვუყურებდი ჩვენს სიყვარულს და სიკაშკაშისა და დაპირებების ნაცვლად, წვეტიან ბოლოებს ვხედავდი. მაგრამ ჩვენ არ დავრჩენილვართ სასოწარკვეთილებაში. ჩვენ გავიზარდეთ.

ჩვენ არც ახლა ვართ სრულყოფილები, მაგრამ ძლიერები და ჯანსაღები ვართ. ჩვენ მოუდრეკლად გვაქვს დავალებული ძალიან გვიყვარდეს ერთმანეთი. ჩვენ ვითხოვთ დახმარებას და დავდივართ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებზე იარაღის და შორსმჭვრეტელობის მისაღებად. გიყვარდეს ძალიან, ნიშნავს, შეცდომების დაშვებისას აირჩიო, ისწავლო მათგან და გააგრძელო წინ სვლა. როცა უკვე მოწიფულები ვართ, ვრწმუნდებით, რომ სიყვარულში ჩვენი ვალდებულებები მეტად განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობას, ვიდრე კონფლიქტები. როცა ვალს ვადებთ და გადახდას ვთხოვთ ერთმანეთს, სინამდვილეში არავის ემატება.

წლების განმავლობაში, ჩვენ ავირჩიეთ, სიამოვნებით მივიღოთ ის გაკვეთილები, რომელსაც სიყვარული გვასწავლის მაშინ, როცა წესებს ვარღვევთ. ისევე როგორც ნებისმიერ ურთიერთობაში, იყო მომენტები როცა ჯონი უფრო იყო დასადანაშაულებელი, და იყო მომენტები, როცა – მე. ურთიერთობაში არასდროს უნდა დავიწყოთ სასწორის ერთ ან მეორე მხარეს გადაწევა იმის გასაზომად, თუ ვინ უფრო დამნაშავეა. იშვიათად არის მომენტი თუ ურთიერთობა, როცა იმის გამო ვარ დასადანაშაულებელი, რომ ზედმეტად

მიყვარს. როცა საქმე სიყვარულს ეხება, ჩვენ ყოველთვის უნდა ვაფართოოთ მისი ტერიტორია.

მე მინდა მიყვარდეს ჩემი ქმარი უფრო მეტად, ვიდრე უბრალოდ შეყვარებული ვიყო მასზე (რა თქმა უნდა, ესეც ძალიან კარგი იქნება). ვისწავლე, რომ საშიშია, გრძნობებს ქმედებების მართვის უფლება მისცე. როგორც დაბმულ ძაღლს, ჩვენს გრძნობებსაც სჭირდებათ გაწვრთნა, რათა მიყვნენ ჩვენს მოქმედებებს. რაც საბოლოოდ ნიშნავს, რომ სიყვარული არჩევანია.

ჯონს უნდა, რომ ძალიან ვუყვარდე. ჩვენ გვინდა, რომ ღვთისადმი ჩვენი სიყვარული ერთმანეთის ძლიერი შეყვარებით გამოვხატოთ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ვიზიარებთ ამ სურვილს, ამ ყველაფერს არ ვახორციელებთ ერთმანეთზე მეტი მოთხოვნების დაკისრებით. მე ეს გაკვეთილი ადრეულ ასაკში ვისწავლე.

ჩემს მშობლებს რთული ქორწინება ჰქონდათ. მახსოვს, მოვდიოდი სკოლიდან და მაცივარზე კუპონებს, სკოლის ცხრილებსა და რუტინული საქმეების სიებს შორის ხელშეკრულება იყო გაკრული. ეს იყო პუნქტებად ჩამოწერილი სია ყველა იმ ცვლილებისა, რასაც დედაჩემი მამაჩემისგან მოელოდა. ნამდვილი გაყიდვების მენეჯერის უნარების გამოყენებით, მისი შედგენილი ხელშეკრულება კანონიერ, ვალდებულების დამკისრებელ დოკუმენტს ჰგავდა. საბოლოო თარიღიც კი იყო მიწერილი, რომლისთვისაც მამაჩემის ქცევები უნდა გამოსწორებულიყო. ჩემმა ორივე მშობელმა მოაწერა ხელი ამ დოკუმენტს. დედაჩემმა კრიტიკულ მომენტს მიაღწია და მისი პირობები ჯანსაღ ქორწინებაში გონივრულად მიიჩნეოდა. მაგრამ ჩემი მშობლების ქორწინებას საბოლოოდ ესვა იარა. უკვე ვახსენე, რომ მამაჩემი ალკოჰოლიკი და 100 %-ით სიცილიელი იყო? ეს დოკუმენტი დღემდე ინახება საჩვენებლად, როცა მეგობრები ან ოჯახის წევრები გვსტუმრობენ.

მე არ მჭირდებოდა, დავლოდებოდი მითითებულ დროს. თორმეტი წლის ასაკშიც კი ვიცოდი, რომ მამაჩემი ჩაფლავდებოდა ამ მიზნის მიღწევაში და დედაჩემი მას დააკისრებდა პასუხისმგებლობას, რათა ორივეს თავი დაეღწია ამ უსიყვარულო ქორწინებიდან. უკუთვლა დაიწყო და რამდენიმე თვეში ჩემი მშობლები გაშორდნენ.

სიყვარულის გარეშე, თვალნათელი კომუნიკაციური მოლოდინებიც კი ვერ განხორციელდება. მნიშვნელობა არ აქვს

ეს მეგობრობაშია, ოჯახურ ურთიერთობებში თუ ქორწინებაში – სიყვარული მოქმედებს მადლსა და წყალობაში. რჯული ვერ გახდებოდა უფრო გასაგები, როცა ის მამის მოლოდინებს და მის იმედებს მოიცავდა ჩვენდამი და მაინც, ჩვენ ჩავფლავდით. მიუხედავად ამისა, ყოველთვის იყვნენ ისეთებიც, ვინც დაწერილ რჯულს გასცდნენ და ღვთის სიკეთე განიცადეს. ისეთმა ქალებმა, როგორებიც იყვნენ რახაბი და რუთი და კაცებმა, როგორებიც იყვნენ დავითი და აბრაამი, შეძლეს, დაეცვათ ღვთის რჯული მათი გულებით მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს არ უცოცხლიათ. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ადამიანები რწმენის გმირები არიან, რადგან სწორედ რწმენა მოქმედებს სიყვარულით.

> „ხოლო იმედი არ არის შემარცხვენელი, ვინაიდან ღვთის სიყვარული ჩაგვეღვარა გულებში სულიწმიდის მიერ, რომელიც მოგვეცა ჩვენ“. (რომ.5:5)

როცა გვიყვარს, ეს მხოლოდ გაგონილი კი არ არის, დანახულიც ხდება.

სიყვარული აღწევს საზღვრებს

გენატრებათ სატელეფონო ზარები? მე მენატრება ადამიანების ხმის, მათი ინტონაციებისა და ხმის მოდულაციების მოსმენა. ცოტა ხნის წინ ძალიან მომინდა, ვინმესთვის დამერეკა. ეს იყო ახალგაზრდა ქალი, რომელთან ერთადაც კონფერენციის ჩატარებას ვაპირებდი. ტელეფონზე პასუხისას მივხვდი, რომ ტიროდა. ჩვენ ვილაპარაკეთ, ვილოცეთ. ამ მომენტში მას ცოცხალი, მსუნთქავი ადამიანი სჭირდებოდა. თუ მხოლოდ სოციალურ მედიაში ვნახავდი მას, ვერასდროს მივხვდებოდი მის ტკივილს. შენ ვერ მოისმენ ვინმეს ტირილს ფოტოში.

სოციალური მედია ქსელია. არასდროს ყოფილა ნაგულისხმები, რომ მას ადამიანური შეხება და საუბარი ჩაენაცვლებინა. გამოიყენეთ ისინი თქვენი ურთიერთობების გასაზრდელად და არა მათ ჩასანაცვლებლად.

აუდიტორიასთან სოციალური ქსელით საუბარი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვუგულებელყოთ პირისპირ საუბარი. ორივეს კარგად კეთება რთულია. თუკი ამ ორს შორის უნდა აირჩიო, ელაპარაკე ხალხს, ვისი დანახვაც შეგიძლია. დარწმუნებული

ვარ, რომ ეროტიკული სცენების მაყურებელ ცნობილ კულტურას ვქმნით, რომელიც ვირტუალურ კედლებს აშენებს და უამრავ ადამიანს თავს მიტოვებულად აგრძნობინებს.

მოდი, ავაშენოთ ღობეები და არა კედლები. ეს ნიშნავს, ავაშენოთ საზღვრები და არა ბარიერები. ფრაზა: „კარგი ღობე კარგ მეზობელს ქმნის“, გულისხმობს ერთმანეთის მიწის, საქონლის და საკუთრების საზღვრების პატივისცემას. ღობეები საქონლის დასაცავად შენდებოდა და არა ადამიანების გამოსაყრელად. გამყოფი შემოსაღობი ღობეები ყოფს მინდვრებს მაშინ, როცა ინარჩუნებს ერთ ღია ჰორიზონტს. როცა საქმე სოციალურ მედიას ეხება, ჩვენ გვჭირდება გამყოფი შემოსაღობი ღობეების დადგმა. ეს ისეთი საზღვარია, რომელსაც შეგვიძლია, გადავაცოცდეთ, შიგნით გავძვრეთ, ქვეშ გავძვრეთ მაშინ, როცა ამავდროულად ძლიერი ხარებისგან გვიცავს.

„სიყვარული სიახლოვეს მოითხოვს“.

მოდი, ნუ დავხარჯავთ ბევრ დროს მასებთან საუბარში, როცა ჩვენ ვკარგავთ ერთმანეთთან საუბრის ხელოვნებას! დაურეკე ვინმეს! დაუკაკუნე კარზე! ჩაეხუტე ვინმეს!

ელაპარაკე უცხოებს! . . . შენ ხომ უკვე აკეთებ ამას სოციალურ მედიაში. ელაპარაკე რეალურ, ცოცხალ ადამიანებს სურსათის მაღაზიაში! შეეხე მხარზე! მოეხვიე და აკოცე შენს ქმარს, შენს შვილს, შენს შვილიშვილს! მოულუტუნე მათ და ხელიდან გააგდებინე აიპადი ან მობილური ტელეფონი. როცა გადაცემის ყურებას გთხოვენ, სანაცვლოდ სასეირნოდ წაიყვანე! შეხედე ადამიანებს თვალებში და დაინახე ისინი! ადვილია, გძულდეს შორიდან, მაგრამ სიყვარული სიახლოვეს მოითხოვს. იესო ჩვენი ნიმუშია და მას არასდროს ეშინოდა მოახლოების.

გახდი მოუდრეკელი სიყვარულში

ვიცი, რომ ბევრი მუხლია, მაგრამ ქვემოთ მოცემული ნაწყვეტი რომაე ლთა წერილიდან შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს სხვები. იყავი: მოსიყვარულე, პატივისმცემელი, გულმოდგინე, იმედიანი, მომთმენი, მყარი, გულუხვი, სტუმართმოყვარე, ემპათიური, თავმდაბალი, მშვიდობისმყოფელი! არასდროს იყო შურისმგებელი და იცოდე შენი მტრების საჭიროებები! მოდი, გვიყვარდეს ღვთის დახმარებით ისე, როგორც მან შეგვიყვარა!

მოდი, დავუბრუნდეთ რომაელთა მე-12 თავს ჩვენს ლოცვაში და ვთხოვოთ სულიწმიდას გვაჩვენოს ადგილები, სადაც ჩვენს გულს გახსნა სჭირდება.

ძვირფასო ზეციურო მამა,
მე მსურს მიყვარდეს, როგორც შენ გიყვარს! მე ვირჩევ, რომ „ერთმანეთისადმი ძმურ სიყვარულში გულანთებულებმა, პატივისცემაში დაასწარით ერთურთს! გულმოდგინებაში ნუ გაზარმაცდებით! სულით აენთეთ, უფალს ემსახურეთ! იმედით იხარეთ, მომთმენნი იყავით გასაჭირში, ლოცვაში - მდგრადნი. მონაწილეობა მიიღეთ წმიდათა საჭიროებაში, ესწრაფეთ სტუმართმოყვარეობას! ლოცეთ თქვენი მდევნელები ლოცეთ და ნუ წყევლით! მოხარულებთან იხარეთ და მოტირალებთან იტირეთ! ერთსულოვნება გქონდეთ ერთმანეთში; ქედმაღლური ფიქრები ნუ გექნებათ, არამედ თავმდაბალთ მიჰყევით! დიდი წარმოდგენა ნუ გექნებათ საკუთარ თავზე! არავის მიაგოთ ბოროტის წილ ბოროტი! კეთილს ცდილობდეთ ყველა ადამიანის წინაშე. თუ შესაძლებელია, თქვენის მხრივ ყველა ადამიანთან მშვიდობიანად იყავით. შურს ნუ იძიებთ თქვენთვის, საყვარლებო, არამედ ადგილი მიეცით უფლის რისხვას, ვინაიდან წერია: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ - ამბობს უფალი“. ამიტომ, თუ შენი მტერი მშიერია, დააპურე იგი; თუ სწყურია, დაალევინე, ვინაიდან ამის გაკეთებით ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე! არ დაგძლიოს ბოროტმა, არამედ შენ სძლიე ბოროტს კეთილით!“ (რომ. 12:10-21)

6

ანდამატივით სიძულვილში

„შეუძლებელია, გიყვარდეს ღმერთი, თუ არ შეიძულებ მას, რაც ღმერთს სძულს“.

ჩარლზ სპურგეონი

ვიცი. საკმაოდ მტკიცეა. ნამდვილად გამაოცა, მაგრამ უბრალოდ შეუძლებელია გიყვარდეს ღმერთი, თუკი არ გძულს ის, რაც მას სძულს. მინდა გაგიზიაროთ, როგორ გახდა ჩემთვის რეალური ამ ორს შორის დაძაბულობა. ახალი დამთავრებული მქონდა წინა თავების დაწერა სიყვარულზე, როცა გავიგე სულიწმიდის ჩურჩული: „ლიზა, მე სიძულვილშიც მოუდრეკელი ვარ“.

ჩემმა გულმა ერთი წამით ფეთქვა შეწყვიტა.

როგორ შეუძლია ჩვენს ღმერთს, რომელიც სიყვარულია . . . სძულდეს?

და პასუხად, ჩემს გონებაში მოვიდა ფრაზა იგავებიდან: „ექვსი რამ სძულს უფალს“. აი, ყოფილა. ეს არ იყო ის ნაწყვეტი, რომელსაც ხშირად ვიმოწმებ ხოლმე. ამიტომ გავხსენი ჩემი ბიბლიის აპლიკაცია და დავაკოპირე ოთხი მუხლი იგავთა მეექვსე თავიდან, ჩავსვი ახალ დოკუმენტში და დავარქვი დღე.

ფლორიდაში ვიყავით არდადეგებზე თერთმეტ ადამიანთან ერთად, რომლებიც შეტენილები იყვნენ ერთ სახლში. ამიტომ, ჩემი მეგობრის მოძრავ სახლში ვწერდი და ტელეფონი

დატოვებული მქონდა. როცა სახლში დავბრუნდი, უამრავი ტექსტური შეტყობინება დამხვდა.

ერთ-ერთი მათგანი ჩემი მეგობრისგან, რები ბრაიანისგან იყო. მწერდა, რომ სულიწმიდამ აჩვენა მას, რომ ვწერდი და გამამხნევა ახალ ხაზს გავყოლოდი იმ აზრით, რომელიც დილით მომივიდა. იმის ცოდნის გარეშე, თუ რა იყო ეს აზრი, ის მარწმუნებდა: „ეს არის ანტიდოტი, რომელიც იმოქმედებდა იმ შხამის წინააღმდეგ, რომელმაც ღვთის სიტყვის სიბრძნის მაგივრად მარადიული ტყუილით აცრა ეკლესია“. ის აგრძელებდა: „ჩვენ არ გვაქვს დრო, ამ სასიცოცხლო და კრიტიკულ ჟამს, რომ ეგოისტური და არასანდო საჭიროებით ვიყოთ მოტყუებულნი, რომ მიგვიღოს ქვეყნიერებამ და მოვერგოთ საზოგადოების უფუნქციო განმარტებას, რომელიც აბამს მორწმუნეს იმის მაგივრად, რომ ნება მისცეს ღვთის ხატს განსაზღვროს, ვის ვგავართ და ღვთის მსგავსება განმარტოს იმის მიხედვით, თუ როგორ ვფუნქციონირებთ და ვმოქმედებთ დედამიწაზე.“ და, აი ისიც.

„ღმერთს სძულს ყველაფერი, რაც არ ქმნის სიყვარულს“.

მეორე დღეს სანამ დასაწერად ან მუხლების მოსაძებნად დავჯდებოდი, ვილოცე: „ზეციერო მამა, მე მჭირდება, რომ დამელაპარაკო! ჩემი პირვანდელი რეაქციით სიძულვილი შეუთავსებადია ღმერთთან, რომელიც სიყვარულია. თუმცა, იგავების წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ არის რაღაცები, რაც გძულს. მასწავლე. იესოს სახელით, ამინ“.

როგორც კი ჩემს ბაგეებს სიტყვა: „ამინ“ მოსწყდა, სულიწმიდამ დაიწყო ლაპარაკი. როგორც შემეძლო სწრაფად ვჯღაბნიდი ყველაფერს, რაც მესმოდა. აქ არის ის ძირითადი საკითხები, რასაც, იმედი მაქვს, ამ თავში გამოვიკვლევთ:

ღმერთს სძულს ყველაფერი, რაც არ ქმნის სიყვარულს.
ღმერთს სძულს, რაც არღვევს იმას, ვინც მას უყვარს.
ღმერთს სძულს, რაც ძირს უთხრის მის ხატს და ამახინჯებს ჩვენს ვინაობას.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენს მამას სძულს ყველაფერი, რასაც სიცრუეში შეჰყავს და ხრწნის სიყვარულს.

ღმერთს უყვარს ადამიანები. ღმერთს უყვარს დამსხვრეულები. ღმერთს უყვარს შეზღუდული. ღმერთს

უყვარს ცოდვილი. ღმერთი სიყვარულია და სიყვარულს არასდროს სძულს ადამიანები, რადგან ადამიანები არიან ისინი, ვინც უყვარს ღმერთს.

ღმერთს უყვარს *ყველა* . . . მაგრამ ღმერთს არ უყვარს *ყველაფერი*.

დაბადებაში, ღმერთმა შექმნა ყველაფერი კარგი ჩვენი კარგად ყოფნისთვის. სამწუხაროდ, საჭირო არაა გითხრათ, რომ უკვე დიდი ხანია აღარ დავდივართ ედემის უხრწნელ ნიადაგზე. მიწა ჩვენს ფეხქვეშ კვნესის, აღდგენა სწყურია. იგივენაირად, ყველა ადამიანის გული სავსეა სასოწარკვეთილი მისწრაფებით აღდგენისკენ და იმ ყველაფრის განხორციელებისკენ, რაც ჭეშმარიტია, სამართლიანია და მშვენიერია. ჩვენ გვსურს, ვიხილოთ სიყვარული, სიცოცხლის ყველა სფეროში მთელი გამოხატულებით. შესაძლებელია, რომ სიყვარული გაგვეღმერთებინა და ამ პროცესში იმ ყველაფრისთვის გვეწოდებინა სიყვარული, რაც სინამდვილეში არ არის? ხომ არ დავიჯერეთ, რომ ჩვენი ქცევები სიყვარულით არის გამოხატული მაშინ, როცა სინამდვილეში ასე არ არის? ღმერთი სიყვარულია, მაგრამ სიყვარული არ არის ღმერთი. ჩვენ თაყვანს ვცემთ ღმერთს და არა სიყვარულს. არაფერს შეუძლია დაგვაშოროს ღვთის სიყვარულს იესო ქრისტეში (რომ.8:39). მაგრამ საფრთხე მატულობს, როცა სიყვარულს ღვთის პარამეტრებს ვაშორებთ.

ღმერთი სიყვარულია (1 იოან.4:8). ღმერთი მჭამელი ცეცხლია (ებრ.12:29). მასში ვცოცხლობთ (საქმ.17:28). როცა ამ ჭეშმარიტებებს გავაერთიანებთ, გადამეტებული არ არის ვთქვათ: „ჩვენ ვცოცხლობთ ღვთის სიყვარულის მჭამელ ცეცხლში“.

რატომ სიძულვილი?

სიძულვილი ემოციურად დატვირთული ნეგატიური სიტყვაა. არაფერია ნეიტრალური სიძულვილში. ფიქრისას თავისთავად მომდის ასოციაცია: სიძულვილი დანაშაულს სჩადის. იმისთვის, რომ ჩემთან ერთად გამოიკვლიოთ ეს ბილიკი, მინდა რომ გამოაბიჯოთ თქვენი პირადი გამოცდილებიდან, რაც სიძულვილთან დაკავშირებით გაქვთ და ეს სიტყვა ადამიანებს მოაშოროთ. ამ გვერდების განმავლობაში ჭეშმარიტების ნავიგაციის მიზნისთვის თავი აარიდეთ სიძულვილის ქმედებებსა და ხატებს. მეთანხმებით, რომ სიყვარულის განმარტება

ჩვენმა კულტურამ და ადამიანების გამოცდილებამ გაამრუდა? მეთანხმებით, რომ ტერმინ *სიყვარულს* არასწორად იყენებენ? ძირითად შემთხვევებში, ადამიანები ამბობენ, რომ უყვართ საპასუხო ქცევებისა და სიყვარულის პირობების გარეშე. როცა სიტყვა ზედმეტად ხშირად გამოიყენება, იგი უფასურდება და იკარგება კიდეც. იმისთვის, რომ ჭეშმარიტად გვიყვარდეს, როგორც ღმერთს უყვარს, არ შეგვიძლია, გვიყვარდეს ის, რაც მას სძულს.

როგორც სიყვარულს ვერ განვმარტავთ შემოქმედის მარადიული პერსპექტივების გარეშე, ასევე წმიდა წერილში ჩახედვაა საჭირო სიძულვილის განსამარტადაც. მოდი, ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ ადამიანური *გამოცდილება* სიძულვილთან დაკავშირებით და განვიხილოთ მისი *მნიშვნელობა*!

როგორც არსებითი სახელი, ის მოიცავს ისეთ მტრულ სიტყვებს, როგორიცაა: შუღლი, ზიზღი, არასწორი დამოკიდებულება. როცა სიძულვილი იძენს ზმნის ფორმას, ეს ნიშნავს: შეგეზიზღოს, შეგეჯავროს, აბუჩად აიგდო, მოგერიებული იყო.

თვალის ერთი შევლებით, მარტივია, დაუშვა, რომ ამ თვისებათაგან არც ერთს აქვს საერთო ღმერთთან, ვისაც არა მხოლოდ უყვარს, არამედ თავადაა სიყვარული. თუმცა, როცა წმიდა წერილში დავიწყე ძებნა, აღმოვაჩინე, რომ ჩვენს მამას სძულს:

ყველაფერი, რაც ძირს უთხრის სამართლიანობასა და ჭეშმარიტებას;

როცა ქვრივები, ობლები და უცხოები არიან შევიწროებულნი;

უფროსების ლანძღვა და უარყოფა ოჯახიდან;

რაც ამახინჯებს მის სიკეთეს და ალპობს მის ნიჭებს;

როცა სიყვარული უერთდება ეგოიზმს და მეგობრები ხდებიან მტრები;

რაც ცვლის მის ხატს და ამახინჯებს ჩვენსას;

როცა ბოროტს ვუწოდებთ კეთილს და უდანაშაულო კვდება;

როცა ქედმაღლობა და სიამაყე გადაგვაგვარებს. . .

ეს პუნქტები ზოგადი მიმოხილვა უფროა, ვიდრე ამომწურავი სია. დასამოწმებლად საუკეთესო ჩონჩხია ის, რომ ღმერთს სძულს ყველაფერი, რაც ძირს უთხრის სიყვარულს, რადგან ყველაფერი, რაც აუფასურებს სიყვარულს, ფასს გვიკარგავს ჩვენც.

როცა წმიდა წერილში ვეძებდი იმის ახსნას, თუ რა სძულს ღმერთს, გაოცებული ვიყავი სამიათასზე მეტი სიტყვის აღმოჩენით, რომლებიც კონტექსტში ქმნიან იმას, რაც ანგრევს იმ ყველაფერს, რის აშენებასაც ცდილობს სიყვარული.

„ღმერთს სძულს ყველაფერი, რაც ძირს უთხრის სიყვარულს, რადგან ყველაფერი, რაც აუფასურებს სიყვარულს, ფასს გვიკარგავს ჩვენც“.

როცა სიყვარული გაუფასურებულია, ჩვენი გაგება ღვთისადმი, რომელიც სიყვარულია, ტრაგიკულად დაქვეითებულია. როცა ღვთის ხატი დამახინჯებულია, შვილები, რომლებიც ეძებენ მამას, იბნევიან. საბოლოოდ, ყველაფერი, რაც ღმერთს სძულს, არის იმის დასაცავად, რაც მას უყვარს. რატომ გავოცდი? ყველა მოსიყვარულე მშობელს სძულს ნებისმიერი მანკიერება, რომელიც მისი შვილის განადგურებას ეცდება. ძველი აღთქმა არ არის განრისხებული ღვთის სიტყვები; ეს არის მოსიყვარულე მამის გაფრთხილება უფროა, ვისაც უნდა თავისი შვილები საუკეთესო სიცოცხლით ცხოვრობდნენ. იესო არ ცვლის ღვთის აზრებს ახალ აღთქმაში. იესო მოვიდა მამის გულის გამოსავლენად.

არც ერთ მშობელს არ სურს თავისი შვილისთვის სიძნელეები. ბრძოლები და გამოწვევები არ არის ჩვენი უდიდესი მტერი. ამქვეყნიური განსაცდელები შეიძლება მძიმე გამოცდად მივიჩნიოთ, რომელსაც უფლის შვილები თავდამბლობასა და ლოცვისაკენ მიჰყავს. გამოწვევები გვაძლევს ახალ ხედვას, რომელიც ახალ პერსპექტივებში გამოვლინდება, რასაც უფლის სიტყვაში ვკითხულობთ.

ჩვენი რეალური მტერი ბუნებით მეტად რბილია, ესენი არიან მარწუხები, როგორიცაა: სიხარბე, სიამაყე, კომპრომისი, ამორალურობა, კერპთაყვანისმცემლობა და გარყვნილება. ეს ცხოვრების გამრუდებები აცდუნებს უფლის შვილებს იმით, რომ მათ შეუძლიათ ემსახურონ ორ ბატონს: უფალს და ამქვეყნიურობას.

მოდი, გულწრფელები ვიყოთ! თაობა მშიერი მივიდა უდაბურ ადგილას. ისინი, ისევ უძველეს ბილიკზე დახეტიალობენ, იმედგაცრუებულნი იმით, რაც ნახეს ქორწინებაში, ჩვენს ხელისუფლებაში და მათ სამლოცველო სახლებშიც კი. შიმშილის ამ პერიოდში, მტერმა შეიპყრო

ისინი, მაღალ მწვერვალებზე აიყვანა და დაპირდა მსოფლიოს იმ შემთხვევაში, თუ უბრალოდ ქედს მოიხრიდნენ და თაყვანს სცემდნენ თავის სამსხვერპლოზე. ჩვენი კულტურა ექოსავით იმეორებს მის ხმას, როცა მოგვიწოდებს შევქმნათ მშვიდობა იქ, სადაც ვერ იქნება მშვიდობა და ვუწოდოთ წმიდა იმ ყველაფერს, რაც არ არის წმიდა. ჩვენი კულტურა მოითხოვს ჩვენს ინტელექტს და მოგვიწოდებს, რომ უარვყოთ მოძველებული ტექსტი და უძველესი სიტყვები, რაც აღიქმება, როგორც ახლა დადუმებული ღმერთი.

„თაობა მშიერი მივიდა უდაბურ ადგილას“.

სინათლის სიძულვილი

იმისათვის, რომ ჭეშმარიტად გვიყვარდეს სინათლე, უნდა გვინდოდეს, გავრისკოთ, რომ სიბნელის მიერ შეძულებულნი გავხდეთ. იმისათვის, რომ ქვეყნიერებას ვუყვარდეთ, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ის, რაც მას უყვარს. მაგრამ თანხმობა აქ არ მთავრდება. ჩვენ ასევე უნდა გვძულდეს, რაც ქვეყნიერებას სძულს. თუ ორივეს არ შევასრულებთ, შეძულებულნი ვიქნებით. თუ ხელს არ მოვაწერთ, რაზეც ქვეყნიური სისტემა აწერს ხელს, წუწუნი მოგვიწევს.

> „მსჯავრი კი ის არის, რომ სინათლე მოვიდა წუთისოფელში და სინათლეზე მეტად ბნელი შეიყვარეს ადამიანებმა, ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი, რადგან ყველას, ვინც სჩადის დანაშაულს სძულს სინათლე და არ ისწრაფვის სინათლისკენ, რათა მხილებული არ იქნეს მისი საქმენი. ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი სინათლისკენ მიდის, რათა ცხადი გახდეს მისი საქმიანობა, ვინაიდან ღმერთშია ქმნილი“. (იოან.3:19-21)

როცა მხილების გვეშინია, ადვილია ავირჩიოთ ბნელის სიყვარული და დავადანაშაულოთ სინათლე მისი მამხილებელი მიდრეკილებებისკენ. ზოგიერთი ირჩევს, რომ ბნელს ნათელი უწოდოს. მე მესმის ეს. არ არის სასიამოვნო, იყო გაკრიტიკებული, თუმცა ამავდროულად ეს ჯანსაღია. საბოლოოდ, *ყველაფერი*, რაც სიბნელის კალთებზე იმალება, სინათლეზე იქნება გამოტანილი. უმჯობესია, ნება მისცე სულიწმიდას,

ახლავე მიგითითოს ყველა ბუნდოვან ადგილზე შენს გულში. ნუ შეგეშინდება! ჩვენ გვაქვს მტკიცე დარწმუნება იმისა, რომ მისთვის სიბნელეც კი ნათელია.

„თუ ვიტყვი: ნამდვილად ბნელი დამფარავს და
ღამე სინათლედ გადამექცევა.
წყვდიადიც კი არ იქნებოდა შენთვის ბნელი;
ღამე დღესავით გაანათებდა, რადგან
სიბნელეც სინათლეა შენთვის!“ (ფს.138:11-12)

სულიწმიდას შეუძლია, გაანათოს ჩვენი გზა და გაგვიძღვეს ჩვენს ბილიკებზე. შიშის დასაძლევად ერთადერთი გზაა, დავპატიჟოთ სინათლე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. როცა გადავწყვეტთ, შევიძულოთ ყველაფერი, რაც სინათლეზე ჩაჭიდებით ჩრდილს აყენებს ჩვენს სულს, ჩვენ შემოვტრიალდებით იმისკენ, რასაც ის გამოავლენს. სიყვარული იფურჩქნება განუყოფელ გულში; შესაბამისად, ღმერთს სძულს ყველაფერი, რაც ყოფს ჩვენს სიყვარულს. ადრეულ ეკლესიას ესმოდა ეს. წაიკითხეთ იესოს ძმის, იაკობის ვნებიანი განცხადება:

„თქვენ გახდით სულიერად ზრდასრულები, რომელთაც არაწმიდა ურთიერთობა აქვთ ქვეყნიერებასთან. განა არ იცით, რომ ქვეყნიურ ღირებულებებთან არშიყობით ღმერთს ეწინააღმდეგებით? ვინც გადაწყვეტს, იყოს ქვეყნიერების მეგობარი, ღვთის მტერი გახდება. ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი?“
(იაკ. 4:4-5 The Passion Translation)

„ზეცის ღირებულებითი სისტემა ძალიან განსხვავდება დედამიწისაგან“.

არიან ისეთებიც, ვინც იდავებენ, რომ ეს მუხლები არ გვეხება დღევანდელ დღეს. ისინი მიზეზად ასახელებენ, რომ ჩვენ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ვართ. და მაინც, როცა გარშემო მიმოვიხედები, ვერ ვიხსენებ დროს, როცა ადამიანურობა ამაზე ღრმად იყო ჩაძირული. ზეცის ღირებულებითი სისტემა ძალიან განსხვავდება დედამიწისაგან. ამიტომ გაფრთხილებულნი ვართ, რომ არც კი უნდა ვეარშიყოთ ამქვეყნიურ ღირებულებებს.

როცა დავიწყე გამოკვლევა იმისა, თუ რა სძულს ჩვენს სიყვარულის ღმერთს, ძებნა იგავთა მე-6 თავით დავიწყე, ასე რომ, მოდი, ერთად გამოვიკვლიოთ ის:

„ექვსი რამ სძულს უფალს და შვიდი რამ ეზიზღება:
ამპარტავანი თვალები, მატყუარა ენა,
უდანაშაულო სისხლის მღვრელი ხელები,
ბოროტების მზრახველი გული,
საბოროტოდ აჩქარებული ფეხები,
ცრუ მოწმე, სიცრუის გამავრცელებელი და ძმათა
შორის განხეთქილების მთესველი“. (16-19 მუხლები)

და აქ არის მოკლედ მოცემული მეშვიდე.

სიამაყე

ღმერთს სძულს სიამაყე, რადგან ის სიყვარულის გარდამქმნელი ძალის საწინააღმდეგო მდგომარეობაში გვაყენებს. იაკობის წერილი გვეუბნება, რომ ღმერთი რეალურად ეწინააღმდეგება და ედავება ამაყს, როცა ამკობს თავმდაბალსა და სწავლების მიმღებს. (იაკ. 4:6)

„რეალურ ქრისტიანობაში“ ლევისმა დაწერა: „სიამაყე სულიერი კიბოა: ის მთლიანად შთანთქავს სიყვარულის სულ მცირე შესაძლებლობასაც კი, თანხმობას და საერთო აზრსაც კი“.[1] რა თქმა უნდა, შეუძლებელია ღმერთს არ სძულდეს ჩვენი გარდაქმნის ასე სათითაოდ ძირის გამომთხრელი მტერი.

სიამაყის ვიზუალური სურათის დასახატად, იგავ.6:17 იყენებს სიტყვებს: „ამპარტავანი თვალები“. ეს არის აბუჩად აგდებით ზემოდან გადმოხედვა სხვებზე. ერთ-ერთი თარგმანი (The Passion Translation) უფრო ვრცლად განმარტავს მას: „სხვების დამცირება, როცა შენს თავს მათზე ზემდგომად მიიჩნევ“. და მაინც, ეს ის გამოხედვა არ არის, რომელიც ნიმუშად გვაქვს ნებისმიერი ფორმის რეკლამასა თუ მოდის ჟურნალში?

აქ მოცემულია რამდენიმე ნაწყვეტი, რომელიც სიამაყის დამანგრეველ მოქმედებას ავითარებს:

„უფლის შიში ბოროტების სიძულვილია; მძულს
სიამაყე, ქედმაღლობა, ბოროტი გზა და
უკუღმართი ბაგე“. (იგავ. 8:13)

საბოლოოდ, სიამაყე დაამახინჯებს ჩვენს ლაპარაკს და ჩაგიყვანს ბოროტის ბილიკზე.

„ზვიადი თვალები და ამაყი გული - უკეთურთა ლამპარი და ცოდვაა“. (იგავ. 21:4)

ეს მუხლი გვეუბნება, რომ ცოდვა სიამაყის განათლების მიღმაა, რომელიც აბუნდოვნებს სუსტის გაგებას.

„თუ ეცდები მქირდავის დარიგებას, დამცირებას ელოდე. და თუკი ცდი ბოროტი ადამიანის მხილებას, ნუ გაგიკვირდება, თუ მხოლოდ სახეში გარტყმას მიიღებ! ასე რომ, არც შეწუხდე მქირდავის სამხილებლად, რადგან შეგიძულებს ამისთვის. არამედ წადი წინ და შეაგონე ბრძენი და ისინი უფრო მეტად შეგიყვარებენ“. (იგავ. 9:7-8 The Passion Translation)

სიამაყე გვაყენებს თავდაცვის პოზიციაში, გვხდის აგრესიულებს და ბრმებს ჩვენი რეალური მდგომარეობისთვის. ცინიზმი და ქედმაღლობა, სიამაყის პარტნიორები არიან. სიამაყეს მიაჩნია, რომ ნებისმიერი ინსტრუქცია შეურაცხყოფაა. მხილება არასდროსაა სასიამოვნო, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ გვიყვარდეს დარიგების ნაყოფი – სიბრძნე.

იმისთვის, რომ გვიყვარდეს, რაც ჩვენს მამას უყვარს, პირველ რიგში უნდა დავუკეტოთ კარები სიამაყეს, რადგან ის მოქმედებს, როგორც კარიბჭე ნგრევისკენ.

ტყუილი

მატყუარა ენა გულისხმობს როგორც ტყუილის მოქმედებას, ასევე ჭორების გავრცელებას. ჩემო მეგობარო, ჩვენს დროში და ჩვენს ასაკში, ვერ ვიქნებით ძალიან ფრთხილად: თუ რას ვამბობთ, ვიმეორებთ და ვპოსტავთ. ტროლები უკვე აღარ არის წარმოსახვითები, ძალიან რეალურები გახდნენ. ისინი აღარ იმალებიან ხიდების ქვეშ - ისინი მოგზაურობენ ინფორმაციის მაგისტრალით და ძარცვავენ ადამიანებს კარგი სახელებისგან. უფრო მეტიც, კამათსა და უთანხმოებას თესავენ.

ერთ-ერთი პრაქტიკული მეთოდია: თუ არ იცი, უბრალოდ გაატარე. ღმერთს სძულს ინტენსიური ცილისწამების და ტყუილის მოქმედება. იგავების 12:22 გვეუბნება: „ცრუ ბაგეები სიბილწეა უფლის წინაშე, ერთგულნი კი ახარებენ

მას“. ეს ქმნის აზრს, რომ ტყუილი ხშირად ურწმუნოების დასაფარადაა. ღმერთი არის ჭეშმარიტების ავტორი და შემქმნელი. როცა ვიტყუებით, ჩვენ ვიქცევით, როგორც ჩვენი ყოფილი მეთვალყურე - სატანა, რომელიც არის ტყუილების მამა, რადგან ჭეშმარიტება არ ცხოვრობს მასში. ტყუილები წყევლის სიყვარულს. ტყუილი არ არის სიყვარული და ყველაზე საშიში რამ ტყუილის შესახებ არის ის, რომ როცა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვიტყუებით, ვკარგავთ შეხებას ჭეშმარიტებასთან და რეალურად ჩვენს თავს ვატყუებთ.

„ტყუილი არ არის სიყვარული“.

უდანაშაულო სისხლის ღვრა

ფრაზა „უდანაშაულო სისხლის დამღვრელი ხელები“ – აღწერს წინასწარგანზრახულ ან ჟინიან სურვილს, რომ მოკლა უდანაშაულო. იმ დროში, როცა იგავთა წიგნი იწერებოდა, ეს ფრაზა მიემართებოდა ფართოდ გავრცელებულ ბავშვთა მსხვერპლშეწირვის პრაქტიკას, რასაც ბაალ-მოლექის და აშტორეცის თაყვანისმცემლები ასრულებდნენ და ისრაელიანებზეც გადადიოდა (1მეფ.14). ეს თაყვანისცემა სექსუალურ ორგიებსაც მოიცავდა. ჩვილ ბავშვებს ცეცლხლის ალით სწირავდნენ მოლექს, მათი გულისგამგმირავი ყვირილი ახშობდა წარმართი მღვდლების მიერ დოლზე დარტყმის ხმას. წარმოუდგენლად ჟღერს, როგორ შეუძლია დედას თავისი ცოცხალი ჩვილი შეაგდოს ცეცხლის ალში, თუმცა წინასწარმეტყველი ესაია საუბრობს ამის პრაქტიკაზე:

> „კერპებით აღეგზნებით ყოველი აყვავებული ხის ძირში, ბავშვების შემწირავნო ხევებისა და კლდეთა ნაპრალებში. მაღალ და წარმოსაჩენ მთაზე გაიწყობ სარეცელს და იქაც მსხვერპლის შესაწირად ადიხარ. კარებისა და წირთხლის უკან ტოვებ სამახსოვრო ნიშნებს, რადგან გამშორდი, გაშიშვლდი და ამაღლდი, გაიფართოვე შენი სარეცელი და აღქმა დადე მათთან, რომელთა საწოლიც შეიყვარე და იხილე მათი კაცობა. (ეს. 57:5, 7-8)

ჩვენი სარეცელი ხომ არ გავიხადეთ თაყვანისცემის ადგილად, რათა უდანაშაულო ბავშვებს მოუწიოთ მსხვერპლის გადახდა?

დღეს აღარ არის დოლები და გამოქვაბულები. ჩვენ უფრო ცივილიზებულები ვართ, უდანაშაულო სისხლი მდუმარედ იღვრება დედის საშვილოსნოში. დედას აქვს არჩევანი ეძინოს ან ეღვიძოს „პროცედურის“ დროს. ჩვილის მოკვლა საშვილოსნოში ნიშნავს, რომ არც დედას და არც მამას არ სურთ გაიგონონ ან იხილონ ბავშვის სიკვდილი. დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ჩვენმა ერმა სანქცირებული გახადა აბორტის პრაქტიკის ფართოდ გავრცელება. ცნობილია, რომ აბორტის მომხრეები მას ქალის „წმიდა რიტუალს“ და „წეს-ჩვეულებას“ უწოდებენ.[2] კამათი იმაზეც იყო, რომ ეს „რელიგიური თავისუფლებაა“. ღმერთი გვეხმარება ჩვენ. ჩვენ ვირჩევთ შევიძულოთ ქმედება და არა ის ადამიანები, რომლებიც ჩართულნი არიან ამაში. სიყვარული მხარს უჭერს მამაც ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც ირჩევენ, გააჩინონ ბავშვები, ისევე როგორც იმ საქმეების გამოსასყიდად, ვინც უდანაშაულოთა სისხლი დაღვარა.

ბოროტების მზრახველი გული

ბოროტების მზრახველი გული მიემართება წინასწარგანზრახული, დაგეგმილი შინაარსისკენ იმისათვის, რომ ავნო სხვებს. ღმერთს აქვს გეგმა ჩვენს სიცოცხლეზე. ეს არის გეგმა სიკეთისათვის და არა საზიანოდ. სწორედ ამ მიზეზის გამო გვითხა, რომ უნდა ვაკურთხოთ და არ დავწყევლოთ ის, ვინც გვლანძღავს და არასწორად გვეპყრობა. როცა ბოროტს ვგეგმავთ სხვებისთვის, ვეწინააღმდეგებით ღვთის გეგმას მათ და ჩვენს ცხოვრებაზე.

საბოროტოდ აჩქარებული ფეხები

„თუნდაც ყველა თვალი დაბრმავდეს დედამიწაზე, არის ერთი, რომელიც კვლავ ხედავს“.

ბიბლია ნათლად გვეუბნება იმის შესახებ, რომ ბოროტებას უნდა გავურბოდეთ და არ უნდა მივიწევდეთ მისკენ. აჩქარების ნაცვლად, ერთ-ერთ თარგანში (The Passion Translation) იგავთა 6:18 ისეთი ტერმინებით აღწერს ამას, რომ უფრო მარტივი გასაგებია ჩვენთვის: „არაკეთილგანწყობა იმაში, რაც აშკარად არასწორია“. ზოგი ადამიანი

ამაყობს იმით, რომ შეუძლია დაუსჯელად გამოძვრეს მსგავსი სიტუაციებიდან. ისინი საკუთარ თავებს მარჯვედ წარმოიდ-გენენ, თუკი ვერ გამოიჭერენ. რასაც ვერ აცნობიერებენ, არის ის, რომ თუნდაც ყველა თვალი დაბრმავდეს დედამიწაზე, არის ერთი, რომელიც კვლავ ხედავს.

ცრუ მოწმე

გაოცებული ვიყავი იმის აღმოჩენით, რომ იგავთა მე-6 თავში ღვთის საძულველ საქმეებს შორის, ჩამოთვლილია როგორც მატყუარა ენა, ასევე ცრუ მოწმე. თითქმის ერთი და იგივე არაა? როცა განსხვავების ძებნა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ ცრუ მოწმე არის ის, ვინც ფიცის ქვეშ იტყუება. ისინი მხოლოდ ადამიანს არ ატყუებენ; ისინი ღმერთს ატყუებენ და ამ პროცესში რყვნიან მართმსაჯულების მიმართულებას. ჩვენს სამართლიან ღმერთს სძულს უსამართლობა. სწორედ ამ მიზეზის გამო, ეს ფიცი შედის ამერიკის სასამართლო სხდომებზე: „ვფიცავ, რომ რასაც ვიტყვი, იქნება სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა. დაე, ღმერთი დამეხმაროს!“ ღმერთი უზენაესი მოსამართლეა. ამიტომაც, როცა ვრყვნით სამართალს არასწორი დამოწმებით, ჩვენ ასევე ძირს ვუთხრით ღვთის სამართლიანი გეგმის საფუძველს ჩვენ მიმართ (იხ. ასევე გამოს.18:21; იგავ.17:15).

ძმათა შორის განხეთქილების მთესველი

ღმერთს ასევე სძულს ძმათა შორის განხეთქილების თესვა. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ იგავების მე-6 თავი ამბობს „ძმებს“, ეს სიტყვა დებსაც მოიცავს. განხეთქილების ანტონიმი არის შეთანხმება, რაც თანხმობას, ჰარმონიას და ერთიანობას ნიშნავს. მეფე დავითი გვთავაზობს, თუ როგორ დავაღწიოთ თავი მათ გარყვნილ ჟამს, ვინც თესავს განხეთქილებას:

„არ დავჯდები სიცრუის მოყვარულებთან და
  არ მივალ მზაკვრებთან.
მძულს უკეთურთა კრებული, ბოროტთა
  გვერდით არ დავჯდები.
უბიწოებით დავიბან ხელებს და გარს შემოვუვლი

შენს სამსხვერპლოს, უფალო.
რათა გიგალობო მადლიერებით და ყველა
შენი სასწაული გამოვაცხადო.
უფალო, მიყვარს შენი სახლის სამყოფელი და
შენი დიდების სამკვიდრებელი ადგილი!“
(ფსალ. 25:4-8)

ჩვენ თავს ვარიდებთ მატყუარების, ფარისევლების და ბოროტების მოქმედთა საზოგადოებას ღვთის და მისი სახლის სიყვარულის მეშვეობით. როცა ვიკრიბებით, მადლიერების მდგომარეობა იმატებს და ღვთის ერთგულება და საოცრება ცხადდება. ღმერთზე საუბარს შეუძლია ოთახების დასუფთავება ისევე სწრაფად, როგორც ის დანარჩენებს ავსებს.

ამით სრულდება იგავთა მე-6 თავში მოცემული სია, თუმცა ღმერთს კიდევ ბევრი რამ სძულს.

სექსუალური უზნეობა, სიბინძურე და კერპთაყვანისმცემლობა

„რადგან იცოდეთ, რომ არც ერთ მეძავს ან უწმიდურს ან ანგარს, რომელიც კერპთმსახურია, არა აქვს მემკვიდრეობა ქრისტესა და ღვთის სამეფოში. არავინ გაცდუნოთ ცარიელი სიტყვებით, ვინაიდან ამისთვის ღვთის რისხვა ეწევა ურჩ შვილებს“. (ეფეს. 5:5-6)

ღმერთს არ შეუძლია, არ სძულდეს ის, რაც ძირს უთხრის ჩვენს პირადულობას ან გვატყუებს, გვამცირებს, გვბილწავს და გვანადგურებს ჩვენ. ეს სამი სექსუალური უზნეობა (ნებისმიერი სექსუალური ურთიერთობა, რომელიც ეწინააღმდეგება ბიბლიურ პრინციპებს), სიბინძურე (გარყვნილება, უხამსობა, უწმაწური ენა და ქმედება) და კერპთაყვანისცემა (სიხარბე და გაუმაძღრობა) - ერთმანეთისგან განუყოფელია. ჩვენ ამ ყველაფერს ვხედავთ უხილავად ჩართულს უმრავლესობაში, იმ ყველაფერში, რასაც ჩვენი კულტურა გართობას ეძახის.

ერთხელ დატყვევებული ვიყავი ერთ კაცთან ერთად, რომელიც *„სამეფო კარის თამაშებს“* უყურებდა თოთხმეტი საათის განმავლობაში ლოს ანჯელესიდან სიდნეიმდე (ეს ერთ-ერთი ის შემთხვევა იყო, როცა მადლობელი ვიყავი, რომ მხოლოდ ცალი თვალით ვხედავდი). თავი ბინძურად

მაგრძნობინა იმან, რაც შემთხვევით თავის მიტრიალებისას დავინახე ან იმან, როცა ვცდილობდი გადავბობღებოდი, რათა სააბაზანოში გავსულიყავი. ეს კაცი უკიდურესად გულმავიწყი იყო. როცა ეს სამი შეფუთულია და ჩვენ წინ გამოდის ხშირად, ისინი ნორმალიზებულია. სამწუხაროდ, ჩვენ ვიწყებთ იმასთან შეჯიბრებას, რაც გვართობს.

სიხარბე

წმიდა წერილში სიხარბის მანკი გაუმაძღრობასა და კერპთაყვანისცემასთან არის დაკავშირებული. გამიგია, ის ამბობს, რომ ფულთან არაჯანსაღი ურთიერთობა (გაუმაძღრობა) ძალიან საშიშია, რადგან ფულს აქვს უნარი, თავი ღმერთებად გვაგრძნობინოს. ჩვენ საკუთარი თავი ძლევამოსილებად წარმოგვიდგენია და გვგონია, რომ, რასაც მოვისურვებთ, ყველაფერს ხელში ჩავიგდებთ. რატომ ვენდოთ ღმერთს, როცა ძალაუფლებაც ნაყიდი გვაქვს? სიხარბე და გაუმაძღრობა ხშირად შეფარულია დახვეწილ მანკიერებად და შესაბამისად, ძირითადად სოციალურად მიღებულია. ნუ გაისულელებ თავს! სიხარბე არის ბოროტი დამატყვევებელი, რომელიც ატყუებს ხალხს და თავს თავისუფლად წარმოადგენინებს (გამოცხ. 3:7-18). სიხარბის ტყვეები საკუთრებასთან და პოზიციასთან ურთიერთობას უფრო აფასებენ, ვიდრე ადამიანებთან ურთიერთობას. გულუხვობა და თავდაჭერილობა არის გაუმაძღრობის და კერპთაყვანისმცემლობის ანტიდოტი.

იესომ გააფრთხილა თავისი მოწაფეები: „არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს. ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც!“ (ლუკ. 16:13)

ფული გამოსაყენებლად არის . . . და არა შესაყვარებლად. ადამიანები შესაყვარებლად არიან . . . და არა გამოსაყენებლად - რასაც შემდეგ პუნქტამდე მივყავართ.

განქორწინება

„რადგან მძულს განქორწინება - ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი; ის, ვინც ძალადობით ფარავს თავის სამოსელს - ამბობს ცაბაოთ უფალი. მაშ, გაუფრთხილდით თქვენს სულებს და ნუ დაარღვევთ ერთგულებას!“ (მალ.2:16)

განქორწინების ტკივილი მწარეა და პირადულია. სწორედ ამიტომ სძულს ღმერთს იგი. ღმერთს არ სძულს ისინი, ვინც განქორწინდნენ . . . მას სძულს თვითონ განქორწინება. მალაქიას დღეებში ქალებს არ ჰქონდათ უფლება, გაყროდნენ ქმრებს. წარმოიდგინეთ ჩვენი ზეციური მამის შფოთვა, როცა მის გამოსყიდულ ასულებს მისი ძეებისგან უარყოფილსა და მიტოვებულს ნახავდა, რომლებზეც ეგონა, რომ შეიყვარებდნენ. ეს გადანაცვლება ხშირად ხდებოდა უცხოელი ცოლების ხელშეწყობით. ღმერთს სძულდა ძალადობა და სირცხვილი, რომელსაც ეს ყველაფერი ანიჭებდა მის ასულებს. ერთ-ერთი თარგმანი (The New International Version) ამბობს, რომ ქმარი, რომელიც ცოლს გაეყრება: „ძალადობს მასზე, ვინც უნდა უყვარდეს“ (მალ.2:16).

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა ქალებსაც ასევე შეუძლიათ გაეყარნონ ქმრებს. ზოგჯერ ღალატი და ცუდი მოპყრობით გამოწვეული ტკივილი აგრძნობინებს მეუღლეს (ქალს ან კაცს), რომ განქორწინება მათი ცხოვრებისა და ბავშვთა უსაფრთხოებისთვის ყველაზე ჯანსაღი გადაწყვეტილებაა. ამ შემთხვევაში, განქორწინება არის უზრუნველყოფა იმ ყველაფრისგან თავის არიდების, რაც ღმერთს ასევე სძულს . . . ქალი, რომელიც გათხოვილია და არ უყვართ (იგავ.30:23). როცა უფრო ღრმად ვთხრით, აღმოვაჩენთ, რომ ღვთის სიძულვილი განქორწინებისადმი დაკავშირებულია ჩვენს უგულო მოპყრობასთან ერთმანეთის მიმართ.

ქორწინებაში ღმერთი გვაკავშირებს თავისი სულით, რათა ერთი გაგვხადოს:

> „განა ერთ სხეულად არ გქმნათ უფალმა? სულიც და სხეულიც მას ეკუთვნის; რატომ გქმნათ ერთ სხეულად და რას ითხოვს კაცი? – შთამომავლობას ღვთისგან. ამიტომ გაუფრთხილდით თქვენს სულებს და ნუ უღალატებთ სიჭაბუკის ცოლს!“ (მალ.2:15)

ქორწინების კავშირი, მოასწავებს ქრისტეს კავშირს თავის საპატარძლოსთან. ეგოიზმით, ღალატითა და უარყოფით გამოწვეული განქორწინება ამახინჯებს ღვთის, როგორც ქმრის იდეას, რომელიც არასდროს დაგვტოვებს და უარგვყოფს.

ღმერთს არ სურს, რომ რაიმე სახის გაურკვევლობა იყოს ჩვენ მიმართ მისი მოუდრეკელი სიყვარულის შესახებ. მას არ აქვს განზრახული დამარცხდეს იმ ხელშეკრულების შესრულებაში,

რომელიც ჩვენთან დადო. ის არადროს მოგვიშორებს, და აგვავსებს ბოროტებით. არ აქვს მნიშვნელობა რამდენჯერ გავუცრუეთ იმედი, ის ვერასდროს გაგვიცრუებს იმედს.

მიუხედავად იმისა, რომ რჯულის ქვეშ იყო უზრუნველყოფა განქორწინებისგან, ჩვენი ღმერთი ერთგული ქმარია მისი საპატარძლოსთვის. განქორწინება ძირს უთხრის ქრისტესა და მისი ეკლესიის ხატს, ჩვენი სასიძოს, რომელიც მაშინაც კი ერთგულია, როცა ჩვენ არ ვართ.

ღმერთმა იცის და ჩვენ ვიცით, რომ განქორწინებას აქვს ოჯახებისა და გულების გაყოფის ისტორია. ღმერთი უზრუნველგვყოფს, რადგან მას სძულს ღალატისა და მიტოვების ბოროტი მოპყრობა, მაგრამ განქორწინება არასდროს ყოფილა მისი თავდაპირველი იმედი ქორწინების შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ორმაგი სტანდარტი და ფარისევლობა

„დაუწესო სხვას მაღალი სტანდარტები და შემდეგ შენ თვითონ არ იცხოვრო მათ მიხედვით, ეს ისაა, რაც ღმერთს ნამდვილად სძულს! მაგრამ მას არ სიამოვნებს, როცა სწორ სტანდარტებს ვიყენებთ ასაწონად“. (იგავ.11:1 The Passion Translation)

სძულს უფალს ორმაგი სტანდარტი. ეს თვალთმაქცობის ყველაზე ცუდი ფორმაა! (იგავ. 20:23 The Passion Translation)

იესო მუდმივად აკონტროლებდა ფარისეველთა თვალთმაქცობას. ის დაკავებული იყო თავისი მამის საქმით - ზეციური სამეფოს აშენებით, როცა ფარისევლები ადამიანთა სამეფოსთვის რჯულის დადგენით იყვნენ დაკავებულები. ისინი, ისეთ მაღალ სტანდარტებს უწესებდნენ ყველას, რომლითაც თვითონაც კი არ ცხოვრობდნენ. მათი ორპირობა ატალახიანებდა წყალს, რომელიც წესით სუფთა უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე ვისწავლეთ, მათ სჯეროდათ, რომ შაბათს განკურნება შეურაცხყოფა იყო. ერთი იყო შეთანხმების ნიშანი და მეორეს ლაპარაკობდა მისი სასწაული. იესომ გააფრთხილა მისი მიმდევრები მათეს 23:2-4-ში:

„მოსეს ტახტზე დასხდნენ მწიგნობარნი და ფარისეველნი. ამიტომ ყველაფერი, რასაც გეტყვიან, შეასრულეთ და დაიცავით, ოღონდ მათი საქმეებისამებრ ნუ იმოქმედებთ, ვინაიდან *ისინი ამბობენ* და *არ ასრულებენ*! კრავენ მძიმე და ძნელად საზიდ ტვირთს და ზურგზე ჰკიდებენ ადამიანებს; თავად კი თითსაც არ გაანძრევენ მათ სატარებლად“.

ყოველთვის განწირულები ვიქნებით პრაქტიკის შესაძლებლობის გარეშე ქადაგებისთვის, თუკი ჩვენი მოტივი სხვებისთვის დანახება იქნება და არა სხვების წამოწევა. სიამაყითა და თვალთმაქცობით გაჟღენთილი რელიგიები, ტვირთს ადებს მის მიმდევარს. თვალთმაქც ლიდერებს სჯერათ, რომ სხვების დამდაბლება აამაღლებს მათ. ეს არის იმის საპირისპირო, თუ როგორ მუშაობს ღვთის სამეფო. ჩვენ მუხლს ვიყრით მის წინაშე, რათა მან აგვამაღლოს. როცა ავმაღლდებით, კვლავ ვმდაბლდებით სხვების წამოსაწევად. გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემი შეცდომებიდან სწავლით უფრო მეტს უსარგებლია, ვიდრე ჩემი წარმატებებიდან.

სანამ ყველა გადავწყვეტთ, შევიძულოთ სხვების თვალთმაქცობა, მოდი, ვთხოვოთ სულიწმიდას, ჩვენში გამოავლინოს ამ სენის კვალი. თვალთმაქცობა ფარულად იპარება ჩვენს გულში. აღმოვაჩინე, რომ ერთადერთი, რაც მას აღმოფხვრის, არის ღვთის სიტყვა. მისი ჭეშმარიტების სინათლე სწორად გამოყოფს ჩვენს მოტივებს და ფარდას ხდის ყველა სიბნელეს, რაც ჩვენი უცოდინრობისას შეიძლება შემოპარულიყო ჩვენში. იყავი ფხიზელი ამ მტრის წინააღმდეგ! ის ცბიერია. თვალთმაქცობას სძულს გულწრფელობა, ასე რომ, მუდმივად გარსშემოიკრიბე სიმართლის მთქმელნი! იყავი მოწყვლადი სწორი ადამიანების მიმართ და სთხოვე მათ გულწრფელად შემოიტანონ წილი!“ (ბოდიში, მაგრამ ეს Facebook-ზე ვერ მოხდება).

„ჩვენ მუხლს ვიყრით მის წინაშე, რათა მან აგვამაღლოს“.

სიბრძნის უარყოფა

გიყვარდეს ან გძულდეს - ეს სიბრძნეა. გზა სიბრძნის სიყვარულის სწავლისკენ იწყება ჩვენი არჩევანით, შევიყვაროთ ის, რაც ბუნებრივად გვძულს – დისციპლინა. უსმინეთ სიბრძნის სიტყვებს:

„როდემდე გეყვარებათ, მიამიტნო, გულუბრყვილობა?! როდემდე დატკბებით დაცინვით, დამცინავნო?! როდემდე გეძულებათ ცოდნა ბრიყვებო?! მიუბრუნდით ჩემს შეგონებებს; აჰა, ჩემს სულს გადმოვღვრი თქვენზე, გამოგიცხადებთ ჩემს სიტყვებს!“ (იგავ. 1:22-23)

თუკი ოდესმე ყოფილა დრო, როცა სიბრძნის გადმოღვრა დაგვჭირვებია, ეს ახლაა! მე პირადად ისეთ კითხვებზე ვეძებ პასუხებს, რომელთა დასმასაც კი ვერასდროს ვიფიქრებდი. სამყაროში, რომელიც თითქოს თავდაყირაა, გვჭირდება, კვლავ დავუბრუნდეთ წმიდა წერილს, სიტყვებს, რომელმაც ჩვენი დედამიწა დააარსა.

იგავთა მე-8 თავში, სიბრძნის ხმა ლაპარაკობს და აღწერს უფლის შიშს, როგორც ბოროტის სიძულვილს: „უფლის შიში ბოროტების სიძულვილია; მძულს სიამაყე, ქედმაღლობა, ბოროტი გზა და უკუღმართი ბაგე“. (იგავ. 8:13)

33-ე ფსალმუნი ამბობს:

„მოდით შვილებო, მომისმინეთ; უფლის
  მოშიშებას გასწავლით თქვენ!
ვინ არის კაცი, რომელსაც სიცოცხლე სურს და
  უყვარს დღეგრძელობა სიკეთის სანახავად?
შეიკავე შენი ენა ბოროტებისგან და ბაგენი -
  მზაკვრული სიტყვებისგან!
ერიდე ბოროტებას და აკეთე სიკეთე;
  ეძიე მშვიდობა და მას მისდიე!“ (11-14 მუხლები)

ეს ნაწყვეტები ხაზს უსვამენ, თუ როგორ წამოწევს წინ ბოროტებას მზაკვრული საუბარი და სიამაყე.

იობის წიგნში უფლის შიში სიბრძნესთანაა დაკავშირებული: „აჰა, უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისგან განდგომა - გონიერება!“ (28:28)

სხვა ადგილები აღწერს უფლის შიშს, როგორც მისი სიტყვით მოცახცახეს. მე მჯერა, რომ ესეც თავმდაბლობის მდგომარეობაა, რომელშიც თავს ვაყენებთ ღვთის წყალობის გამოცხადებით მის სიწმიდეზე და აქედან გამომდინარე ჩვენი ნაკლოვანებით.

იესომაც კი სიხარული უფლის შიშით მიიღო. ესაიამ იწინასწარმეტყველა, როგორ გამოჩნდებოდა ღვთის სული იესოს ცხოვრებაში:

„და დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, სული ცოდნისა და უფლის მოშიშებისა. უფლის მოშიშებით აღივსება იგი, არც თავისი შეხედულებისამებრ განსჯის და არც თავისი ყურით გაგონილის მიხედვით ამხელს“. (ეს. 11:2-3)

თუ ჩვენი გზების და ფიქრების თავნებობას ვაღიარებთ, ის არ მოგვეპყრობა ჩვენი სულმდაბლური ქცევების მიხედვით. ის არ გვწონის ჩვენი ნაკლოვანების მიხედვით, არამედ მისი მოუდრეკელი სიყვარულის სიდიდით ჩვენ მიმართ.

ბოროტება

„სიყვარული იყოს უთვალთმაქცო; შეიძულეთ ბოროტება და მიეკარით კეთილს!“ (რომ. 12:9)

სიყვარულიც და სიძულვილიც – ორივე გაცნობიერებული გადაწყვეტილებებია. გიყვარდეს ყველა - რთულია, მაგრამ ღმერთთან ერთად შესაძლებელია. გიყვარდეს ყველაფერი – არაგულწრფელია და რეალურად შეუძლებელიც. ჩვენს დროში, ბოროტება გარდაუვალია. მე ვხვდები ამას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უფლება მივცეთ ჩვენ თავს, გათელილები და შეშინებულები ვისხდეთ სიჩუმეში. ეს არ არის ნეიტრალურობის დრო.

უნდა გვძულდეს სიღატაკე და გვიყვარდეს ღატაკი.

უნდა გვძულდეს ომი, მაგრამ გვიყვარდეს ის ქვრივები, ობლები და ლტოლვილები, რომელსაც ის ქმნის.

ბოროტის შეძულება არ გაძლევს ნებას, იყო საძულველი. ჩვენ არ ვართ ტერორისტები . . . ჩვენ ქრისტიანები ვართ. ჩვენ ვართ ის, ვინც ბოროტების სიკეთით გადასაფარადაა გაერთიანებული. ასე რომ, ჩვენ არ ვიტყუებით და ბოროტებას სიკეთეს არ ვუწოდებთ. ჩვენ ცარიელ სიტყვებთან არ ვკამათობთ. ჩვენ ვცხოვრობთ ჭეშმარიტებაში, ვლაპარაკობთ ჭეშმარიტებას და ჩვენი სიცოცხლით ვიბრძვით ჭეშმარიტებისთვის.

ეკლესია ყოველთვის ვერ ასრულებს ამას კარგად.

მეც ვერ ვასრულებ ამას კარგად და მსურს, რომ უკეთესად გავაკეთო.

დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ გვიცნობდნენ იმის გამო, თუ ვის წინააღმდეგ ვართ, და არა იმის გამო თუ რისთვის და

ვისთვის (იესოსთვის) ვართ. შკალაზე ბალანსის დაბრუნების მცდელობით ეკლესიამ თითქოს შეითვისა მსოფლიოს ტენდენცია - ყველაფრის გამოცხადება და მისთვის სიყვარულის დაძახება. და ისევ, ჩვენ ყველა გვიყვარს. მაგრამ, მოდი, იგივე გავაკეთოთ იმის გაცნობიერებით, რომ შუა ბრძოლაში ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ვერ გვეყვარება. როგორც ჩარლზ სპურგიონმა დაწერა: „ჩვენ შეზღუდული ვართ იმით, რომ გვიყვარდეს ჩვენი მტრები, მაგრამ არ ვართ შემოსაზღვრული იმით, რომ გვიყვარდეს ღვთის მტრები. ჩვენ უნდა ვუსურვოთ მათ, როგორც მტრებს, სრული დამხობა, მაგრამ როგორც ადამიანებს, შემწყნარებლური ცვლილება უნდა ვუსურვოთ, რადგან მათ შეიძლება მიიღონ ღვთის პატიება და გახდნენ მისი მეგობრები, მიმდევრები და მსახურები“.[3]

„მოდი, წინ წავიდეთ ჭეშმარიტებაში, თავმდაბლობაში და სიყვარულში და ავაშენოთ ის, რაც შეიძლება მომავალში იყოს!“.

იმდენად გვეშინია, განმკიცხაობაში არ დაგვადანაშაულონ, რომ ვამჯობინებთ დავმუნჯდეთ. ვერ ვიქნებით იმ ცოლის მსგავსად, რომელიც არასწორად მოქცევის გამო ქმართან პირველივე უთანხმოებისას სიჩუმეს ურიგდება იმის ნაცვლად, რომ ვალდებულება აიღოს, ისწავლოს, როგორ მოიქცეს უკეთ. ამ ცოლის სიჩუმე საბოლოოდ გაანადგურებს მათ ურთიერთობას და რისკის ქვეშ დააყენებს მის ზრდას. იმის ნაცვლად, რომ ჩვენს წარსულ შეცდომებს შევურიდგეთ, მოდი, წინ წავიდეთ ჭეშმარიტებაში, თავმდაბლობაში და სიყვარულში და ავაშენოთ ის, რაც შეიძლება მომავალში იყოს! ჩვენ ვიწყებთ ვალდებულებით, შევიძულოთ ჩვენი საკუთარი სიმპათიები იმ ყველაფრის მიმართ, რაც ღმერთს სძულს.

როცა ვიწყებთ ჭეშმარიტებით ცხოვრებას სიყვარულში, სხვებს შეეძლებათ, მოგვისმინონ, როცა ვილაპარაკებთ ჭეშმარიტებაზე სიყვარულში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან. . .

სიყვარული ჭეშმარიტების გარეშე ტყუილია.

რა გძულს შენ?

რაც გძულს შენ, არის სავარაუდოდ ის, რაც გაშინებს. მე არ ვარ გველების, ობობების და მორიელების მოყვარული. სამივე მძულს, მაგრამ ყველაზე მეტად – გველები. თუ

მორიელს ვხედავ, ვკლავ მას. მათი შეფიცული მტერი გავხდი, როცა ერთ-ერთმა ჩემი ოთხი წლის შვილი დანესტრა (გაფრთხილება: ისინი თავს გაჩვენებენ ვითომ მკვდრები არიან და შეიძლება, დაგნესტრონ). ობობები ცოტა რთულია ჩემთვის. მათი მოძრაობაც კი მზარავს და ჯონს ან რომელიმე ჩემს ვაჟს ვთხოვ ხოლმე, რომ მოკლან. თუ არც ერთი კაცი არაა სახლში, მაშინ თავად ვუტევ. გველები კიდევ სხვა ისტორიაა. გველს ფეხსაცმლით ვერ მოკლავ. ყოველშემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, თუმცა არასდროს მიცდია.

ჩვენი სარდაფის კუთხეში ვწერ. მაგიდაზე მდგარ სკივრზე მაჩეტე დევს. საკუთარი თავი ზედმეტად რომ არ შემეშინებინა, გადავწყვიტე, თუკი სახლში მარტო ვიქნებოდი და გველს დავინახავდი . . . თავს დავესხმებოდი. დანის პირს ავიღებდი ხელში და ხმამაღალი ლოცვით მოვკლავდი! ვალდებული ვარ ამაზე წავიდე, რადგან გველს ვერ მივცემ უფლებას, ჩემს სახლში იხეტიალოს და კვერცხები დადოს. რატომ? იმიტომ რომ ჩემს სახლში არიან ადამიანები, რომლებიც მიყვარს.

არსებობს სხვა რაღაცეებიც, რომლებიც მძულს. რაღაცები, რომლებიც ყველა ჩვენგანს გვემუქრება. მძულს სექსუალური ძალადობა ბავშვებზე. მძულს სექსუალური ტრეფიკინგი ნებისმიერი სქესისა და ასაკის ადამიანის მიმართ. და არასდროს დავლაპარაკებივარ ადამიანს, ვინც ამ ორ საკითხში კანონი დაარღვია. ვიცით, როგორ ქმნის ამის პრაქტიკა, როგორც მსხვერპლს, ასევე მტაცებლებს. მათი სისასტიკე და სიმახინჯე ჭრის და ამსხვრევს ყველა ჩართულს ღრმად გულში. რადგან ჩვენ გვიყვარს ადამიანები, ლოგიკურია ის, რომ შევიძულებდით ამ ორის ჩადენას. მაგრამ არაა საკმარისი გვძულდეს სექსუალური ტრეფიკინგი და სექსუალური შევიწროება. ჩვენ ასევე უნდა გვძულდეს პორნოგრაფია.

რატომ?

პორნოგრაფია არის კატალიზატორი, რომელიც დგას სექსუალური ტრეფიკინგის და სექსუალური შევიწროების მიღმა. არ შეიძლება გვიყვარდეს, მოგვწონდეს ან თუნდაც ვიღიმოდეთ პორნოგრაფიაზე და წრფელად გვძულდეს სექსუალური შევიწროება და სექსუალური ტრეფიკინგი. იმისთვის, რომ რეალურად გვიყვარდეს შევიწროების და ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ჩვენში ზიზღს უნდა იწვევდეს შევიწროებისა და ტრეფიკინგის კატალიზატორი . . . პორნოგრაფია. ძალიან რომ გვიყვარდეს, უნდა გვძულდეს ის, რაც სულებს შევიწროებაში ხვევს და მახეში აბამს ბავშვებს და ქალებს.

პორნოგრაფია ამცირებს სიყვარულს, ანგრევს ინტიმურობას და გადააგვარებს ღვთის კარგ და მშვენიერ საჩუქარს, სექსს. ის ატყვევებს მათ, ვისი გათავისუფლებისკენაც ილტვის ღმერთი. ამის ცოდნის შემდეგ გადავწყვიტე შემზიზღებოდა ყველაფერი, რაც პორნოგრაფიის შემცველი შეიძლება ყოფილიყო (ლიტერატურა, ფილმები, ნაბეჭდი თუ ონლაინ).

უნდა შევიზიზღო ის, რასაც პორნოგრაფია სიყვარულს უკეთებს, რადგან ეს ბოროტებაა. მე მეზიზღება, რასაც პორნოგრაფია ქორწინებას უკეთებს. უამრავი ისტორია მაქვს მოსმენილი, როცა ქალები წვანან საწოლში და უკვირთ, რატომ არ ეხებიან მათი ქმრები. ისინი თავიანთ თავს ნაკლებად სასურველად აღიქვამენ. ჰგონიათ რომ, თუკი ცოტა მეტად მიმზიდველები იქნებოდნენ, მათ ქმრებს მოუნდებოდათ ისინი. შემდეგ კი აღმოაჩენენ, რომ მტერი ჰყავთ - ვირტუალური სექსის აჩრდილი, რომელმაც დაამახინჯა მათი ინტიმურობა. მათმა ქმრებმა უკვე გადასცეს თავიანთი ვნება ვიღაცას ონლაინში ისე, რომ მათ არც კი შეხებიან.

სამწუხაროდ, უფრო და უფრო მეტი ქალი ხდება ამ ნგრევის ციკლში გამომწყვდეული. ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ სამიდან ერთი ქალი უყურებს პორნოს ყოველკვირეულად.[4] *Huffington Post* აცხადებს, რომ „პორნო საიტებს უფრო მეტი ადამიანი სტუმრობს ყოველთვიურად, ვიდრე ნეტფლიქსს, ამაზონს და ტვიტერს ერთად“.[5] Fight the New Drug -ის თანახმად „მხოლოდ გასულ წელს, 91,980,225,000 ვიდეო ნახეს პორნჰაბზე. ეს არის 12.5 ვიდეო მსოფლიოში თითო ადამიანზე“.[6]

ოჰ!

პორნო არ არის სიყვარული. პორნოგრაფია აუპატიურებს ჩვენს გონებას, რადგან ის საგნად აქცევს და ამცირებს ადამიანს, რომელიც მისი შემოქმედის სილამაზესა და მსგავსებაშია შექმნილი. შემდეგ მოდის სირცხვილი და ანადგურებს მათ, ვინც წარმოსახვის მიერაა დატყვევებული. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ტყვეები, ამავდროულად გვძულდეს ინდუსტრია, რომელიც ნელა და მტკიცედ აბამს მათ ხაფანგში.

როცა არ გვძულს ბოროტება, ჩვენი სიყვარული არ არის წრფელი.

ერთ-ერთი თარგმანი (The Passion Translation) უფრო პოეტურად გადმოსცემს რომაელთა 12:9-ს:

> „დაე, შენი გულის შინაგანი მოძრაობა, ყოველთვის იყოს ის, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი და არასდროს

ითამაშოთ ნიღაბს ამოფარებული მსახიობის როლი! შეიზიზღეთ ბოროტება და მიეკარით ყველაფერს, რაც კარგი და სათნოა!“

საცდური, რომ ჩუმად იყო, შეიძლება, გამანადგურებელი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიცით, რომ თუკი ხმამაღლა ავლაპარაკდებით, უმეცარს და უკიდურესს დაგვიძახებენ. რამდენჯერაც ამ საკითხზე ხმამაღლა ლაპარაკი დავიწყე, იმდენჯერ თავს დამესხნენ ქრისტიანები, რომლებიც დაობენ, რომ მათი პირადი მათი საქმეა და ისინი მართლები არიან. მაგრამ ამავდროულად მე ვერ დავრჩები ჩუმად, რადგან პორნოგრაფიის მეორე მხარეც მინახავს. მინახავს მისი მსხვერპლნი, რომლებიც ტრეფიკინგისა და სექსუალური შევიწროების მსხვეპლი ბავშვებიდან დამსხვრეულ ქორწინებებსა და სექსუალურ დამოკიდებულებებს შორის დახეტიალობენ. როცა ხმამაღლა ვლაპარაკობ, ჩემი სოციალური მედია ჰაკერების მიერ ტყდება და დამნაშავეების მიერ პორნოგრაფიული ფოტოებითა და ვიდეოებით ვარ დატბორილი.

„როცა არ გვძულს ბოროტება, ჩვენი სიყვარული არ არის წრფელი“.

უკვე აღარ შეიძლება ვუღიმოდეთ ბოროტებას უსაფრთხო დისტანციიდან. ველარ მივცემთ უფლებას, თვალი მოგვტაცოს ან ველარ დავრთავთ თავს ნებას, დიდი დრო ვატაროთ მის გარემოცვაში. ჩვენ ვერ გავჩუმდებით, რადგან არ გვინდა პრობლემების გამოწვევა. თუკი ჩვენ ხაფანგში ვართ გამომწყვდეულნი, გვჭირდება დახმარების თხოვნა. როცა სიყვარულის დაცვას ეხება საქმე, ვერ გავჩუმდებით. ჩვენ ვერ ვატარებთ ნიღაბს, თითქოს ამ ყველაფერს ვეთანხმებოდეთ.

მიყევი იესოს, ჩვენს მაგალითს

ჩარლზ სპურგიონმა თქვა: „რაც იესოს უყვარს, ჩვენც გვიყვარს; რაც იესოს სძულს, ძვენც გვძულს; რასაც იესო ეძებს, ჩვენც ვეძებთ; რასაც იესო თავს არიდებს, ჩვენც ვერიდებით. ეს არის ნამდვილი მეგობრობა, როცა ორ სხეულში ერთი გულია“.[7]

როგორც სპურგიონმა თქვა, იესო ჩვენი მაგალითია, როგორც სიყვარულში, ისე სიძულვილში. ვინ უყვარს იესოს? ხალხი. იესოს უყვარს და ეძებს ხსნას ყველა ადამიანისთვის.

იესოს უყვარდა თავისი მტრები და მეგობრებს უწოდებდა მათ. იესოსთან მეგობრობა არ მოიცავს ხალხის სიძულვილს.

რა სძულს იესოს? იესოს სძულს სიყვარულის მტრები . . . ფარისევლური რელიგია ერთ-ერთი პირველი და მოწინავეა. როცა ფარისევლობის მნიშვნელობის ძიება დავიწყე, აღმოვაჩინე სფეროები, რომელშიც ფარისეველი ვარ. სადაც ადამიანებთან ურთიერთობა უფრო მინდოდა, ვიდრე მათი ხსნა. სადაც ჩუმი უფრო ვიყავი, ვიდრე მოსიყვარულე. სადაც შორიდან ვფლირტაობდი იმის ნაცვლად, რომ სწრაფად გავცლოდი იქაურობას. რის შეძულებასაც ახლა უარვყოფ, ბუნებრივი გახდება ჩემი შვილიშვილების ცხოვრებაში.

გილბერტ კეიტ ჩეზტერტონმა თქვა: „ტოლერანტობა არის ადამიანის ღირსება მსჯავრდადების გარეშე“. ვშიშობ, ჩვენ ავირჩიეთ ვიყოთ ტოლერანტულები ისეთი რაღაცების მიმართ, რაც ერთ დღეს განადგურებით დაგვემუქრება. ჩვენ უნდა ვიყოთ ყოველთვის კეთილები და თავაზიანები, მაგრამ ტოლერანტული დუმილი, შეიძლება, სწრაფად გადაიზარდოს დასტურში.

რას ეძებს იესო? იესომ გვითხრა: „თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღმვთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ“. (მათ. 6:33)

რას ნიშნავს თავის არიდება და რას ერიდებოდა იესო? მორიდება ნიშნავს თავი აარიდო რამეს მისგან შემობრუნებით. ეს სწორედ ისაა, რაც უკვე აღვწერეთ. ჩვენ არ ვსხედვართ ბოროტებასთან, თვალს არ ვუკრავთ უკულმართობას, ჩვენ არ ვსაუბრობთ ფუჭი საგნების შესახებ. პავლე კარგად აღწერს ამას:

> „მათი თვალების ასახელად, წყვდიადიდან სინათლისკენ და სატანის ძალაუფლებიდან ღვთისკენ მოსაქცევად, რათა ჩემდამი რწმენით, მათაც მიიღონ ცოდვების მიტევება და ადგილი გაწმედილთა შორის“. (საქმ. 26:18)

ჩვენ ზურგს არ ვაქცევთ ადამიანებს. ჩვენ ვლოცულობთ, რომ მათ შეაქციონ ზურგი იმ ყველაფერს, რაც მათ სულს ჩრდილად დაჰყვება.

სანამ ხელახლა ვიშვებოდი, ქრისტეს მტერი უფრო ვიყავი, ვიდრე მეგობარი. როცა ჩემი გაუხეშებული გული მოლბა, ვიგრძენი, რა ტკენდა მას გულს. გაჰყვე იესოს მაგალითს, ეს ცხოვრების სტილია. ჩვენ ვტრიალდებით იმისგან, რაც

ძვირფასი იყო ჩვენთვის, რათა იმას ჩავეჭიდოთ, რაც მისთვისაა ძვირფასი.

საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩარლზ სპურგიონმა დაწერა: „ახლანდელი დრო ისეთი ქარაფშუტულია, რომ თუკი კაცს უყვარს მხსნელი, ის ფანატიკოსია და თუკი ბოროტების ძალები სძულს, ის ბრმა მიმდევარია“.[8]

ვერც კი წარმოვიდგენ, რას იტყოდა ჩვენს დროზე. ჩვენი კულტურა აღარ არის ქარაფშუტული - ის გარყვნილია.

ჩვენ *უნდა* გვიყვარდეს ჭეშმარიტება, რომელიც ადამიანებს ათავისუფლებს და ამავდროულად, გვძულდეს ტყუილები, რომლებიც მათ ბოჭავს.

როგორც ღმერთი სინათლეა სიბნელის გარეშე, ის ასევე კარგია ბოროტის გარეშე. ყველაფრით კარგი ღმერთი ვერ იქნება ნაწილობრივ ცუდი. არ არსებობს კავშირი ნათელსა და ბნელს შორის, არანაირი პარტნიორობა სწორს და მცდარს შორის, დემონური კერპები არ ეკუთვნის ღვთის ტაძარს. და რა იესოს? ებრაელთა წიგნი ციტირებს დავითის წინასწარმეტყველებას ფსალმუნის 44:6-7-ში:

> „ხოლო ძეზე: „შენი ტახტი, ღმერთო, უკუნითი უკუნისამდეა; შენი მეფობის კვერთხი სიმართლის კვერთხია. შენ შეიყვარე სიმართლე და შეიძულე ურჯულოება, ამიტომ გცხო ღმერთმა, შენმა ღმერთმა სიხარულის ზეთით, შენს თანამოზიარეებზე მეტად“. (ებრ. 1:8-9)

იესოს უყვარს სამართლიანობა და სძულს უზნეობა. შეგვიძლია ჩვენ, მის მოწაფეებს, სხვანაირად ვიმოქმედოთ? ეს ის დროა, როცა გვახსენდება, რომ დევნა ამ „პაკეტის“ ნაწილია.

> „ნეტარნი ხართ, როცა შეგიძულებენ ადამიანები, როცა მოგიშორებენ და გაგლანძღავენ, ხოლო თქვენს სახელს აბუჩად აიგდებენ, როგორც ბოროტს, ძე კაცისას გამო. იხარეთ იმ დღეს და გამხიარულდით, რადგან, აჰა, დიდია თქვენი საზღაური ზეცაში; ასევე ექცეოდნენ წინასწარმეტყველებს მათი მამები“. (ლუკ. 6:22-23)

ამოცნობა

ჩარლზ სპურგიონმა თქვა: „ამოცნობა არ არის სწორსა და არასწორს შორის განსხვავების ცოდნა, ეს არის განსხვავების ცოდნა სწორსა და თითქმის სწორს შორის“.[9]

უამრავი რამაა, რაც სწორად ისმის და ვგრძნობთ, რომ არასწორია. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც მოითხოვს წერილის სრულყოფილ ცოდნას სულიწმიდის გაძღოლით. წერილი გვაძლევს ჩონჩხს და უმაღლესი ღვთის სული მოგვცემს სიცოცხლის სიტყვას. ჩვენ გვჭირდება სულიწმიდა, რომ გაანათოს ღვთის სიტყვა, რათა შევძლოთ, ვიცოდეთ, როგორ გვიყვარდეს ვინმე და როგორ გვძულდეს რამე. საბოლოოდ, ძლიერად გადავიხარე ღვთის სიტყვისკენ, როცა ამ თავს ვწერდი. რეალურად, ძალიან ბევრი ნაწყვეტი იყო დასაფარი ამ გვერდებზე, ამიტომ უფრო მეტი თქვენთვის დასამოწმებლად *დანართ 1*-ში შევიტანე. გთხოვთ, ილოცეთ და ჰკითხეთ სულიწმიდას: როგორ უნდა გამოიყენოთ ეს პასაჟები თქვენს პირად ცხოვრებაში? იმაზე მეტად, რომ გითხრათ, რა იფიქროთ, მინდა სულიწმიდას მივცე ნება წარგიძღვეთ! სანამ შემდეგ თავზე გადავალთ, ილოცებ ჩემთან ერთად?

ძვირფასო ზეციურო მამა,
მინდა მიყვარდეს რაც და როგორც შენ გიყვარს. არ მინდა ვიყო ფარისეველი. არ მინდა უმეცრებაში ვიმოქმედო. გთხოვ, მასწავლო, რა გძულს, რათა შენი სიყვარული გაიფურჩქნოს ჩემს ცხოვრებაში! სულიწმიდავ, შთაბერე შენი სული ამ წერილების ნაწყვეტებს და გახადე პირადული ჩემთვის! მომეცი გამბედაობა, დავამსხვრიო სიჩუმე სიტყვებით, რომლებიც ტყვეებს ათავისუფლებს. იესოს სახელით, ამინ.

ანდამატივით ჭეშმარიტებისთვის

„სადაც ჭეშმარიტება ვიპოვე, ჩემი ღმერთიც იქ ვიპოვე, რომელიც თავადაა ჭეშმარიტება“.

ნეტარი ავგუსტინე

ვიუხედავად იმისა, რომ ყველას გვითქვამს ტყუილი, ჭეშმარიტების დევნა ღრმადაა ჩაქსოვილი ჩვენში. ჭეშმარიტების გარეშე, ჩვენ ვგავართ გემს, საჭის გარეშე, რომელსაც ყველა დოქტრინის ქარი და ემოციის ჟინი ატარებს, რომელსაც მხოლოდ ნგრევის კიდესთან შეუძლია ჩვენი მიყვანა. როცა ჭეშმარიტებას ავედევნებით, ის იპოვის თავის გზას ჩვენში. ჭეშმარიტება არ არის „რა“, ის არის „ვინ“.

იმაზე კამათზე მეტად, თუ რა არის ჭეშმარიტება, უნდა გვახსოვდეს, რომ ჭეშმარიტება მნიშვნელოვანია. და როცა გვემახსოვრება, ჭეშმარიტება იცოცხლებს, რადგან ის ცოცხალია. ჩვენ ვაცოცხლებთ ჭეშმარიტებას, როცა ავამაღლებთ ჩვენს სულებს ჩვენი უფლის და მხსნელის მიმართ, რომელმაც გვითხრა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ მიდის, თუ არა ჩემით“ (იოან.14:6).

იმისათვის, რომ ეს მტკიცება ჭეშმარიტი იყოს, მისი ყველა ელემენტი თავის ადგილზე უნდა იდგეს. თუკი იესო არის გზა, და არა უბრალოდ *ერთი გზა მრავალთაგან,* გამოდის, რომ ჭეშმარიტად ვერავინ მიდის მამასთან, თუ არა მისით. თუკი

იესომ მოიტყუა და არასწორად წარადგინა თავი და ის ერთ-ერთია მამასთან მიმავალ მრავალ გზას შორის, მაშინ ის ვერ იქნება ჭეშმარიტება.

იესო არის უდაოდ ყველაფერი, რასაც ის ამბობს, რომ არის, ან არის არაფერი. მისთვის შეუძლებელია ორივე იყოს. ბენჟამინ ფრანკლინის სიტყვებით, „ნახევრად ჭეშმარტება ხშირად უდიდესი ტყუილია“. ყველა ნაწილობრივ სიმართლეში დევს ტყუილის მარცვალი. თუკი იესო არის რეალურად გზა, მაშინ ის უნდა იყოს ჭეშმარიტებაც და სიცოცხლეც.

„იესო არის უდაოდ *ყველაფერი,* რასაც ის ამბობს, რომ არის, ან არის *არაფერი*“.

მაგრამ ჩვენი კულტურა ეწინააღმდეგება აბსოლუტებს. ჩვენ გვაჯერებდნენ, რომ ისინი შემზღუდავი და მკაცრია. შეუძლებელია ჭეშმარიტება ტყუილებს შეიცავდეს, ასე იმიტომაა, რომ ის არის ურყევი და სათუთი. ჭეშმარიტება უნდა იყოს თქმაში რბილი, ულმობელი და უცილობელი პრინციპებში. აბსოლუტები საფუძველია. და საფუძველი ურყევია. რადგან ასეთი აბსოლუტები არ არის მკაცრი და შემზღუდავი - ისინი დამცველობითი ფუნქციის არიან. აბსოლუტების გარეშე, რაც შეუცვლელი ჭეშმარიტებაა, ჩვენ განწირულები ვართ ქვიშაზე აშენებისთვის. აბსოლუტები ის პრინციპებია, რაც გვიცავს და ის მსჯავრდადება, რომელიც ღუზას უშვებს, მაშინ როცა ცხოვრების ქარიშხლები გვიტევენ ან ცდუნებები გვაცდენენ.

ყველა გზა რომში არ მიდის

უძველეს დროში ადამიანები ამბობდნენ: „ყველა გზა რომში მიდის“, რადგან იმ დროს რომი იყო რომაული საგზაო სისტემის ცენტრი. მაგრამ დროის გასვლასთან და რომის იმპერიის სიძლიერის სიმაღლიდან დაცემასთან ერთად, ეს გამოთქმაც აღარაა ჭეშმარიტი. ეს გახდა საუბრის ნაწილი, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა ბილიკს საბოლოოდ ერთ ადგილამდე მივყავართ. იმას, რაც ერთ დროს სიმართლე იყო რომისთვის, ვერ გამოვიყენებთ ღვთის სამეფოსთვის.

ღვთის ჭეშმარიტება არ მერყეობს და არ იცვლება, ისევე როგორც ადამიანური ძალების და აზრების ბალანსი იცვლება. ჭეშმარიტება მეტია, ვიდრე დროის მიღმა არსებული ... ის მარადიულია. გზა ღმერთამდე იწყება კარებთან: იესო

ქრისტესთან. რატომ გამოგზავნიდა ღმერთი მის ერთადერთ მხოლოდშობილ ძეს, თუკი სხვა გამოსავალიც არსებობდა? რატომ გამოგზავნიდა იესოს, თუკი ის უბრალოდ საუკეთესო გამოსავალი იყო? მე მოხალისედ არ გავუშვებდი არც ერთ ჩემს ძეს, თუკი ეს ერთადერთი გზა არ იქნებოდა. მხოლოდ იესოა ჩვენი გამოსყიდვა. სერიოზული შეცდომაა იმის დაჯერება, რომ ყველა გზას გადარჩენამდე მივყავართ მიუხედავად იმისა, რომ ყველა გზას იესოსთან მოულოდნელ შეჯახებამდე მივყავართ. წმიდა წერილი გვეუბნება:

> „ამიტომაც ღმერთმაც აღამაღლა იგი და მიანიჭა მას ყველა სახელზე უზენაესი სახელი, რათა იესოს სახელის წინაშე მუხლი მოიდრიკოს ყოველმა ზეციერმა, მიწიერმა და მიწისქვეშეთისამ; და ყოველმა ენამ აღიაროს, რომ იესო ქრისტე არის უფალი, მამა ღმერთის სადიდებლად“. (ფილ.2:9-11)

ეს „მიწისქვეშეთისა“ საუბრობს დემონურ სამეფოზე. მოვა დრო, როცა მათ მოუწევთ იესოს უპირატესობის აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ თავზე ვერ გამოცდიან იესოს, როგორც მხსნელს.

შეიძლება, მიიჩნიო, რომ ყველა ჭეშმარიტება შედარებითია და რომ არაა საჭირო ასეთი უკიდურესობა. შეიძლება, ფიქრობ, რომ ის, რაც ჩემთვისაა სიმართლე, შეიძლება არ იყოს სიმართლე შენთვის.

თუკი შენს გონებაში ესაა, მაშინ ერთსა და იმავე საკითხზე არ ვლაპარაკობთ. როცა აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე ვლაპარაკობ, მე არ ვლაპარაკობ ისეთ რამეებზე, რაც ჩემთვის იქნება ჭეშმარიტი და შენთვის არა. მაგალითად, მე ნახევრად სიცილიელი ვარ. მე დაქორწინებული ვარ. მე ვარ დედა და ბებია. ეს ყველა ასპექტი სიმართლეა ჩემთვის ახლა, მაგრამ არაა მართალი ყველასთვის. აქედან გამომდინარე, ეს არ არის ჭეშმარიტება, ეს უბრალოდ სიმართლეა. პირიქით, რაც სიმართლე იყო ჩემზე ათი წლის წინ, შეიძლება აღარ იყოს სიმართლე ჩემზე დღეს.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ რაღაც არის სიმართლე და ამავდროულად არაა სიმართლე, არის ის, რომ ცა ჩემი ფანჯრის მიღმა სუფთა კოლორადული ლურჯია. შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო: „ცა არის ლურჯი! და შემდეგი რამდენიმე საათის განმავლობაში ჩემი სიტყვები მართალი

იქნება. მაგრამ ეს არაა ჭეშმარიტი, რადგან ისინი არღვევენ იმ პარამეტერს, რომ ჭეშმარიტება მუდმივი უნდა იყოს. მზის ჩასვლისას ცა აღარ იქნება ლურჯი. შესაბამისად, ის, რაც სიმართლე იყო შუადღისას, აღარ იქნება სიმართლე შუაღამისას. ხშირად მეშინია, რომ ჩვენი ადმიანური სულების შუაღამეში ვართ.

„სიმართლეა რომ“ აღწერს თვისებებს, სეზონებს და ასპექტებს ჩვენს ცხოვრებაში. ის, რაც ერთ სეზონზე სიმართლე იყო, აღარ არის აუცილებლად მართალი შემდეგ სეზონზე. ამ ტიპის სიმართლეები ჩვენი პირადი სამყაროს სამფლობელოში ცხოვრობენ და ცვლილებებს ექვემდებარებიან. ნებისმიერი რამ, რაც მხოლოდ რამდენიმეს ეხება, ვერ იქნება საბოლოოდ ჭეშმარიტება. სიმართლე შეიძლება, იყოს შედარებითი; ჭეშმარიტება ვერადროს იქნება შედარებითი.

თუკი ყურადღებით არ მოვეპყრობით ჭეშმარიტებას, ის ჩვენს ახლანდელ კულტურაში შემთხვევითობად გადაიქცევა. აი, რატომაა საჭირო, ყველამ ვიცოდეთ უძველესი ტექსტები, რათა შეგვეძლოს თვითმყოფი ჭეშმარიტება განვასხვაოთ ხალხის მერყევი აზრისგან და ჩვენი გრძნობებისგან რაიმე საგანთან დაკავშირებით. როცა ჭეშმარიტება პერსპექტივაზეა დამოკიდებული, ამას რელატივიზმი (შედარებითობა) ეწოდება. რელატივიზმი არის რწმენა, რომ სხვადასხვა რამ მართალია, სწორია და ა.შ სხვადასხვა ადამიანებისთვის, სხვადასხვა დროს. ამ განმარტების თანახმად, სიმართლე მუდმივად უნდა იცვლებოდეს.

რელატივიზმის იდეოლოგია ძირს უთხრის ჭეშმარიტების ნამდვილ მნიშვნელობას. რადგან იმისთვის, რომ რაიმე ჭეშმარიტი იყოს, ის ნებისმიერ დროს უნდა *იყოს ჭეშმარიტი.* ასე რომ არ ყოფილიყო, ნებისმიერს შეეძლებოდა მოეტყუა და ეთქვა, რომ ეს მათი სიმართლეა. აღქმას არ უნდა მიეცეს ნება, განსაზღვროს ჭეშმარიტება. თუ მიეცემა, მაშინ ჩვენ ყველა სხვადასხვა ლინზით დავიწყებთ ყურებას. ჩვენ გვჭირდება ურყევი ანდამატი, ვინც განამტკიცებს ჩვენს სულებს ჩვენი შემოქმედის პერსპექტივით.

როგორც ქრისტიანებს, ჩვენ არ შეგვიძლია, დავიჯეროთ რომ ჭეშმარიტება შედარებითია, რადგან გვჯერა რომ ჭეშმარიტება ჩვენი ნათესავია, იესო ქრისტე, ჩვენი ძმა, ქვაკუთხედი, უფალი და ანდამატია. ღვთის სიტყვა (იესო) გარდაგვქმნის ჩვენ მაშინ, როცა რელატივიზმი ჩვენ შეგვესაბამება.

იყო ჭეშმარიტება ბევრად განსხვავდება იმისგან, რომ

ილაპარაკო ჭეშმარიტება ან თუნდაც აღწერო შენი თავი ზუსტად. თუკი ოდესმე შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ჩვენგანისთვის ვიყოთ სრულიად მართალი, ჩვენ მაინც ვერასდროს ვიქნებით ჭეშმარიტება.

ჩვენ შეგვიძლია, ვილაპარაკოთ ჭეშმარიტება;
ჩვენ შეგვიძლია, ვიცხოვროთ ჭეშმარიტებით;
ჩვენ შეგვიძლია, გვიყვარდეს ჭეშმარიტება;
ჩვენ შეგვიძლია, გვძულდეს ჭეშმარიტება;
ჩვენ შეგვიძლია, უარვყოთ ჭეშმარიტება;
ჩვენ შეგვიძლია, გვჯეროდეს ჭეშმარიტების.

მაგრამ მხოლოდ ქრისტეს შეუძლია განაცხადოს, რომ ჭეშმარიტებაა.

ბუდამ უამრავი ჭეშმარიტი რამ თქვა, მაგრამ მას არ დაუმტკიცებია, რომ ჭეშმარიტებაა. ბუდა აღიარებდა, რომ ის იყო კაცი, რომელიც მისდევდა ჭეშმარიტებას. ასევე მუჰამედმაც უამრავი რამ თქვა, რაც ჭეშმარიტი იყო, მაგრამ მას არ დაუმტკიცებია, რომ ჭეშმარიტებაა.

იესოს არ უთქვამს: „მე მივდევ ჭეშმარიტებას“ ან „მე ერთ-ერთი ვარ მრავალ ჭეშმარიტებათაგან“. მან თქვა: „მე ვარ ჭეშმარიტება“. და როცა ვამბობთ, რომ ყველა გზა რომში (გადარჩენამდე) მიდის, ჩვენ იესოს მატყუარას ვუწოდებთ.

რა არის ჭეშმარიტება?

ამ ყველაფრის შემდეგ რა არის ჭეშმარიტება? დასაბამიდან ადამიანებს გააჩნდათ ეს კითხვა. ჩვენ ვპოულობთ პასუხს იესოს სიტყვებში, იოანეს სახარებაში: „განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით; შენი სიტყვაა ჭეშმარიტება“. (იოან.17:17)

ეს მუხლი არ ამბობს, რომ სიტყვაშია ჭეშმარიტება, რაც რა თქმა უნდა არის, არამედ იმას, რომ ღვთის სიტყვაა ჭეშმარიტება. იესო არის ხორცშესხმული სიტყვა, ამრიგად, მისი ცხოვრება გამოხატავს როგორია ცოცხალი ჭეშმარიტება.

ჭეშმარიტება გვაკურთხებს და გვხდის მიძღვნილს ისე, რომ ვიყოთ შენახულნი მისი წმიდა მიზნებისთვის. იესოს გარეშე, რომელიც ჭეშმარიტებაა, ვერ იქნება სიწმიდე. თუკი ღვთის სიტყვა არის ჭეშმარიტება და იესო არის ხორცშესხმული სიტყვა, ე. ი. იესოა ჭეშმარიტება. საბოლოოდ, ჭეშარიტება არ არის სუბიექტური; თუმცა ერთ დღეს ჩვენ ყველანი ჭეშმარიტების სუბიექტები გავხდებით.

„ღვთის ყოველი სიტყვა ნაცადია; ფარია
იგი მათთვის, ვინც მას შეეფარება.
ნურაფერს მიუმატებ მის სიტყვებს,
თორემ გამხელს და მატყუარა გამოხვალ“.
(იგავ.30:5-6)

ბევრს სჯერა, რომ ჩვენ უკვე დავწინაურდით სიბრძნეში და განვვითარდით მსჯელობის უფრო მაღალ ფორმებში და უკვე დროა, ხელახლა განვმარტოთ წერილი. როგორ წარმოგვიდგენია ეს ყველაფერი გლობალური არეულობისას? ყოველდღე გვესმის სისასტიკის კიდევ ერთი ქმედების შესახებ.

თუ ჩვენ ვართ სიბრძნის საზომი, მაშინ თითქოს დედამიწამ აგვწონა და აღმოაჩინა, რომ სასურველები ვართ. იმის სანაცვლოდ, რომ ჩვენი თავები განათლებულებად წარმოვიდგინოთ, გვჭირდება ღმერთს ვთხოვოთ სინათლე.

„გამოგზავნე შენი შუქი და ჭეშმარიტება,
რათა გამიძღვნენ და მიმიყვანონ
შენს წმიდა მთასა და სამკვიდრებელთან“.
(ფსალ.42:3)

სინათლე და ჭეშმარიტება საიმედო წინამძღოლია. ღმერთი სინათლეა, მთელი ჭეშმარიტების წყარო. სინათლე ანათებს და ჭეშმარიტება დგას. ჭეშმარიტება შეიძლება სანიშნესთან და მაჩვენებელთან გავაიგივოთ, სინათლე კი არის, როგორ ვპოულობთ ჩვენს გზას. მაგრამ როცა სანიშნეები ადგილს იცვლიან, ადამიანებმა, შეიძლება, მარტივად დაკარგონ თავიანთი გზა.

„შედით ვიწრო კარიბჭით, რადგან ფართოა კარიბჭე
და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს და
მრავალნი არიან მასზე მოსიარულენი, რადგან ვიწროა
კარიბჭე და რთულია გზა, რომელსაც სიცოცხლისკენ
მიჰყავს და ცოტანი ჰპოვებენ მას“. (მათ.7:13-14)

იესო ვიწრო კარიბჭეა, რომელსაც სიცოცხლისკენ მივყავართ. ეს გზა ზუსტია, თუმცა რთული. დაობენ იმაზე, რომ ღვთის სიყვარული ყველას მოიცავს. ეს ასეა. ის ყველას მოიპატიჟებს. გზა შექმნილია, მაგრამ ჩვენ დაგვტოვეს, რათა ავირჩიოთ, რომელ ბილიკს გავყვებით. იესო არ დაგვაძალებს,

რომ ვიწრო კარიბჭით ვისარგებლოთ. ის არ მოგვატყუებს იმ შედეგების შესახებ, რაც ჩვენს არჩევანს მოჰყვება. ის არ გვეტყვის, რომ ეს მარტივია, მაშინ როცა ასე არაა. ის ჩვენ წინ წავიდა და გვეპატიჟება, რომ გავყვეთ: „თუ ვინმეს სურს გამომყვეს, უარყოს თავი, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს“. (მარკ.8:34)

მათეს 7:13 კიდევ ერთ ჭიშკარს აღებს. მას ფართო შესასვლელი აქვს და ვრცელი და მარტივი სავალი გზისკენ მიგვიძღვის. სიტყვები მის შესასვლელთან გვამხნევებს, რომ ვიცხოვროთ ჩვენი თავებისთვის, გავყვეთ ჩვენს ოცნებებს. ფართო შესასვლელი ნებას გვაძლევს თან წავიღოთ რამდენიც მოგვესურვება. ეს უფრო პოპულარული ჭიშკარია, რომელსაც ნგრევამდე მივყავართ.

ამ სამეფოში ჩვენ მხოლოდ ბნელი სარკიდან შეჭვრეტით შეგვიძლია შეხედვა, სწორედ ამიტომ გვჭირდება, რომ სინათლე და ჭეშმარიტება მოგვყვებოდეს თან, რათა მივყვეთ უმაღლეს და წმიდა ცხოვრებას, რომელშიც ღმერთმა მოგვიწოდა. სინათლე გაფანტავს სიბნელეს, რომელიც მაშინ მოდის, როცა ჩვენ ჩვენი გაგების ბნელ სამეფოში ვცხოვრობთ.

ის ფაქტი, რომ ჭეშმარიტება, შესაძლოა, მოუხერხებელი და არაპოპულარული იყოს, არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ის ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტება მარადიულია, რომელიც სიტყვაშია ჩაგრეხილი და აკანონებს უმაღლეს ღმერთს. ჭეშმარიტება არ აყენებს საკუთარ თავს ასარჩევ მოსაზრებებს შორის და არც შეჯიბრში პოპულარულობისთვის.

მართალი შეიძლება ქვეშ-ქვეშა იყოს

ყველას გვითქვამს ტყუილი. ზოგიერთს მოგვიტყუებია მაშინ, როცა ვფიქრობდით რომ სიმართლეს ვამბობდით. ზოგჯერ, ვიცოდით რასაც ვაკეთებდით და უბრალოდ, ჩვეულებრივად მოგვიტყუებია. ჩვენთვისაც, ყველასთვის უთქვამთ ტყუილი ისევე, როგორც ჩვენ მოგვიტყუებია შემთხვევით, სხვებსაც მოვუტყუებივართ უნებლიეთ, როცა ეგონათ, რომ სიმართლეს ამბობდნენ. და იყო შემთხვევები, როცა ტყუილს განზრახ ვამბობდით. არა მხოლოდ ჩვენ მოგვიტყუებია სხვები და ჩვენც მოვუტყუებივართ, მაგრამ ასევე ჩვენ ყველას დაგვიჯერებია ტყუილი. კარგით, მარტო ჩემ თავზე ვიტყვი. მე დამიჯერებია ტყუილისთვის.

ტყუილის უამრავი მიზეზი არსებობს. ტყუილებს იმისთვის ამბობენ, რომ ადამიანები გულისტკენისგან დაიცვან. ადამიანები იტყუებიან, როცა ეშინიათ. ტყუილებს დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ამბობენ. ადამიანები იტყუებიან, როცა მათ არ სურთ, დაკარგონ ურთიერთობა, საკუთრება ან პოზიცია. ტყუილები ამ ყველაფრის მოსაპოვებლადაც შეიძლება, ითქვას.

„ტყუილი ვრცელდება მანამ, სანამ სიმართლეს იტყვიან“.

შენ ჭეშმარიტებისთვის შეიქმენი. ასე რომ, არ აქვს მნიშვნელობა რამდენად შემაძრწუნებლად შეიძლება გამოიყურებოდეს ზოგჯერ, ჩვენ ყოველთვის მართლები უნდა ვიყოთ ჩვენი თავის მიმართ. როცა ჩვენ თავს ვატყუებთ, თავს უხერხულად ვგრძნობთ. არის სფეროები ჩემს ცხოვრებაში, სადაც წლების განმავლობაში ვიტყუებდი თავს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოოდ სიმართლე დაგვიცავს.

არა მხოლოდ ჩემ შესახებ არსებული სიცრუით ვიყავი გარშემორტყმული, არამედ მომისმენია ტყუილებისთვის სხვების შესახებაც. ვერც კი დავიწყებ იმის დათვლას, თუ რამდენჯერ ვიყავი დარწმუნებული რაღაცის სიმართლეში, როცა მოგვიანებით აღმომიჩენია, რომ ვცდებოდი.

თუ მხოლოდ ჩემი მექანიზმების ანაბარა დავრჩები, ჩემი მსჯელობის უნარი ლოგიკური და კარგად დაფიქრებულისგან ემოციურ და უკიდურესად სასაცილოში გადაიზრდება. ჩემმა გრძნობებმა ჩემი ამოცნობის უნარი გაიტაცეს მეტჯერ, ვიდრე ამის აღიარებას ვისურვებდი და ტყუილის დიქტატურამ ჩაიგდო მძევლად. სანამ ტყუილი სააშკარაოზე გამოვა და ჭეშმარიტების სიმართლე გამოიკვლევს მას, ის თავაწყვეტით გაიზრდება. ტყუილი ვრცელდება მანამ, სანამ სიმართლეს იტყვიან.

ჭეშმარიტებაში ცხოვრება

> „მაშინ იესომ იმ იუდეველებს მიმართა, მისი რომ ირწმუნეს: „თუ ჩემს სიტყვაში დარჩებით, ჭეშმარიტად ჩემი მოწაფეები ხართ. შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“. (იოან.8:31-32)

როცა ჭეშმარიტებაში (ღვთის სიტყვაში) ვცხოვრობთ, ჭეშმარიტების პირადად შეცნობამდე მივალთ და ჭეშმარიტება, რომელშიც ვცხოვრობთ, გაგვათავისუფლებს ჩვენ. ჭეშმარიტებაში ცხოვრება ამსხვრებს ტყვეობის ბორკილებს ისევე, როგორც ტყუილში ცხოვრება გვბოჭავს. იესო გვეპატიჟება ჭეშმარიტებისკენ ისევე, როგორც ყველანი საქონწინო ნადიმზე იყვნენ მიწვეულები.

„ამიტომ გადით გზაჯვარედინებზე და ყველა შემხვედრი მოიწვიეთ ქორწილში! გავიდნენ მონები გზებზე და ყველა შეკრიბეს, ვინც კი შემოხვდათ, ბოროტი თუ კეთილი; და სტუმრებით აივსო საქორწინო დარბაზი. შევიდა მეფე სტუმრების სანახავად და ნახა იქ კაცი, რომელსაც საქორწინო სამოსელი არ ეცვა. უთხრა მას: მეგობარო, როგორ შემოხვედი აქ საქორწინო სამოსელის გარეშე?! ის კი დუმდა. მაშინ უთხრა მეფემ თავის მსახურებს: გაუკარით მაგას ხელ-ფეხი და გადააგდეთ გარესკნელის ბნელში. იქ იქნება მოთქმა და კბილთა ღრჭენა, რადგან მოწოდებული ბევრია, რჩეული კი — ცოტა“. (მათ.22:9-14)

ყველაა მოპატიჟებული ჭეშმარიტებაში საცხოვრებლად, მაგრამ არსებობს დრესკოდი. ჩვენ მოვდივართ ქრისტეში და მის სამართლიანობაში შემოსილნი და არა ჩვენს ჭუჭყიან ძონძებში. კრავი არის ჩვენი საქოწინო სამოსელი, ჩვენი მოუდრეკელი გზა და დამცველი ქვაკუთხედი.

ჭეშმარიტება, შეიძლება, შეურაცხმყოფელიც იყოს. თომას პეინმა თქვა: „ის, ვისაც სხვების განაწყენების ეშინია, ვერასდროს იქნება პატიოსანი“. მირჩევნია სიმართლემ გამანაწყენოს, ვიდრე ტყუილის გზით შევიდე მარადისობაში. შესაბამისად, მირჩევნია, გავრისკო ადამიანების წყენინება, ვიდრე მოვატყუო მათ.

იესომ მისი უახლოესი მოწაფეებიც კი გაანაწყენა. იოანეს სახარებაში ჩვენ ვკითხულობთ:

„ამის მოსმენისას, მის მოწაფეთაგან ბევრი ამბობდა: „მძიმე სიტყვაა, ვის შეუძლი მისი მოსმენა?“ იესომ იცოდა, რომ მისი მოწაფეები დრტვინავდენენ ამის გამო და უთხრა მათ: „ეს გაცდუნებთ თქვენ!“ (იოან.6:60-61)

რატომ ცდუნდნენ? იესომ ახლახან ჩამოაგდო მათ შორის საკმაოდ ძლიერი ჭეშმარიტების ბომბი. რამდენიმე მუხლით ადრე, იესომ განაცხადა: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ არ ჭამთ ძე კაცისას ხორცს და არ სვამთ მის სისხლს, არ გაქვთ სიცოცხლე თქვენში“. (იოან.6:53)

კარგი. ეს იყო სტანდარტული ჩარჩოდან გამოღწევის ერთადერთი გზა. იესომ იცოდა, რომ იმ დროისთვის ამ სიტყვებს არანაირი აზრი არ ექნებოდა მისი მოწაფეებისათვის. მან ასევე იცოდა, რომ მოგვიანებით, ყველაფერს მიხვდებოდნენ. მგონი ყველამ უნდა დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა: გავყვებით იესოს (ჭეშმარიტებას) მაშინ, როცა საერთოდ არ გვესმის აზრი?

„გავყვებით იესოს (ჭეშმარიტებას) მაშინ, როცა საერთოდ არ გვესმის აზრი?“

ამ კითხვას მრავალ დონეზე სჭირდება პასუხის გაცემა. ჩვენ უნდა ვუპასუხოთ მას, როგორც: მშობლებმა, მეგობრებმა, მეუღლეებმა, ლიდერებმა, მომხმარებლებმა, და რაც მთავარია, როგორც ცოცხალი ღვთის მსახურებმა.

მაგალითად, თუკი არაჯანსაღი ურთიერთობა მაქვს და არასოდეს ვამბობ ამას, მე ნებას ვრთავ არაჯანსაღ ქცევას. ჩუმად ყოფნა არ არის ქრისტიანობა; ეს დამაბნეველია. ჯანსაღი კონფრონტაციებისა და საუბრების დროს ყველას გვაქვს შანსი, გავიზარდოთ. თუ არაფერი იქნება ნათქვამი და დინამიკა გაგრძელდება, წყენა გაძლიერდება და უცებ ხიდს ვამტვრევთ და ველარასდროს ვიხილავთ ჩვენკენ მომავალ ადამიანს. იშვიათად გვაქვს კარგი შედეგი ცუდ საწყისებზე. და იგივეა საწყისების არ არსებობის შემთხვევაშიც.

თუ რაიმეს არ მივუთითებთ, ის მოწონებული ხდება. როცა რაღაცაზე არ მივუთითებთ, ვამბობთ: „მე დიდად არ მაინტერესებ არც შენ და არც ჩვენი ურთიერთობის სამომავლოდ აშენება“. როცა ჩვენ გვაინტერესებს, ჩვენ ვიზიარებთ. ჩვენ ისე ვამბობთ რაღაცეებს, რომ მისი მოსმენა სამომავლოდ კომუნიკაციის სათანადო არხების აშენებას მოემსახუროს. თუ ჩვენ მართლა გვადარდებს ქრისტეს სხეული, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი მოქმედებაც და უმოქმედობაც, სიტყვებიც და სიჩუმეც, ყოველთვის პატივს სცემდეს სიმართლეს.

ცხოვრება გამხნევებითა და რწმენით

ღვთის ხელის არსებობა ჩვენზე, ნათლად ჩანს ჩვენს ცხოვრებაში. როცა ღვთის სიტყვა გამბედაობასთან ერთად თავდაჯერებულობით იქადაგება, ატმოსფერო ცვლილებებს მოასწავებს. რაღაც იცვლება. ჩვენ უბრალოდ კი არ გვესმის სიმართლე ... ჩვენ ვცხოვრობთ სიმართლით. როცა სულიწმიდა გამოგვაცოცხლებს, ჩვენ ყურადღებას ვიკრებთ, წელში ვსწორდებით და უფრო მეტად ვაცნობიერებთ, რომ ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ვატარებთ ღვთიურია. როცა ღვთის სიტყვა ჩვენი ცხოვრებიდან იქადაგება, სულიწმიდა გვამტკიცებს რწმენით.

ვისაც ყური აქვს სასმენად, შესაბამისად მიიღებს სიბრძნესა და სიმამაცეს ჭეშმარიტებაში ცხოვრებით. ღვთის სიტყვა კარგ ნიადაგზე ეცემა და პირველად, უწინარესად ჩვენს ცხოვრებაში გამოიღებს ნაყოფს. ეს ხდება პირველად ჩვენში და შემდეგ შეიძლება, მოხდეს ჩვენი მეშვეობით.

ცოტა ხნის წინ მიმოწერა მქონდა ახალგაზრდა, ლამაზ და მამაცი რწმენის ასულთან. მან მკითხა: როგორ შევურიგდი ფაქტს, რომ ცნობილ ადამიანებს საოცარი სულიერი ნიჭებით, ქაოსური პირადი ცხოვრება აქვთ. მათი პირადი ცხოვრება დაავადებულია ღალატითა და ალკოჰოლზე დამოკიდებულებით დაწყებული, ფინანსური გამჭვირვალობის ნაკლებობით დამთავრებული. მე ავუხსენი, რომ მჯერა ჩვენი ცხოვრება უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს, ვიდრე ჩვენი ნიჭები. ღვთის ნიჭები, სულის ნაყოფებით უნდა იყოს გარემოცული, რომელიც მაშინ მრავლდება, როცა საშუალებას ვაძლევთ ჭეშმარიტებას, ჰქონდეს თავისი გზა ჩვენში.

როცა ვიცით სიმართლე, ისე ვერ მოვიქცევით, თითქოს არაფერი არ ვიცით.

თუ არ ვიცნობთ ჭეშმარიტებას, ჩვენ მოპატიჟებულნი ვართ მის საძებნელად. ჩვენ ვეძებთ მას ღვთის სიტყვაში და ვხედავთ მას იესოს ცხოვრებაში. და როცა უკვე აღმოჩენილი გვაქვს, ყურს ვერ ავარიდებთ ჭეშმარიტების გამაყრუებელ ღაღადს, იმ ტყუილს დამონებული კულტურისთვის, რომელიც თავისთავს უთხრა. ახლაც კი, ადამიანები აღმოაჩენენ, რომ, რაც მათ თავისუფლება ეგონათ, სინამდვილეში ჯაჭვია. იესო არის ჩვენი ჭეშმარიტება სიცრუის სამყაროში.

ჭეშმარიტება არის ლომიც და კრავიც;

ჭეშმარიტება მოუდრეკელია, ტყუილისთვის შეუღწევადი და დროის მდინარისთვის ურყევი;

ჭეშმარიტება ისე ხმამაღლა ლაპარაკობს ჩურჩულისას, როგორც ყვირილისას;

ჭეშმარიტება არც ძლიერდება და არც სუსტდება მოსაზრებით;

ჭეშმარიტება მკაცრია, თუმცა არასდროს — სასტიკი;

ჭეშმარიტება არ კამათობს, რადგან ის საბოლოო სიტყვაა;

ჭეშმარიტება დროის მიღმა არსებულზე მეტია, ის მარადიულია;

ჭეშმარიტება ამრავლებს რწმენას.

ჩვენ მოუდრეკლად ვეწინააღმდეგებით ჭეშმარიტების ნებისმიერ გადაგვარებას, ჭეშმარიტების სიტყვაში ცხოვრებით. ჭეშმარიტება ცხადი უნდა იყოს ჩვენს პირად ცხოვრებაში. ჩვენ ვერ ავირჩევთ, დავრჩეთ ჩუმი კომფორტის მდგომარეობაში, როცა ამდენი ადამიანი ცხოვრობს ტყუილებით შეწუხებული.

ძვირფასო ზეციერო მამა,
დაე, შენი ჭეშმარიტება იყოს ცხადი ჩემს ცხოვრებაში. გთხოვ მომცე ძალა, რომ ვიცხოვრო რწმენით გამხნევებულმა, რომ ვილაპარაკო შენი ჭეშმარიტება და ვიცხოვრო შენი ჭეშმარიტებით! დაე, ჩემი სიტყვები იყოს ნაზი და არასდროს — სასტიკი! დაე, ჩემი ცხოვრების ყველა ასპექტი გამოხატავდეს შენს ჭეშმარიტებას სიყვარულში!

8

ანდამატივით სიტყვაში

„როცა ქვა ნასროლი გაქვს, უკან ვეღარ დააბრუნებ, მაგრამ ამის მიუხედავად, ქვის აღებასა და ტყორცნაზე შენ ხარ პასუხისმგებელი, რადგან ამ ქმედების დასაწყისი შენში იყო“.

არისტოტელე

ჩვენი სიტყვები ბგერით ტალღებს ქმნიან, რომლებიც სამყაროდ წოდებულ ოკეანეში შორს გატყორცნილი ქვის ეფექტს ტოვებენ. სხვების გულებთან და ყურებთან წვდომასთან ერთად იზრდება პასუხისმებლობისა და სიბრძნის საჭიროებაც ჩვენში.

ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ წყნარ ოკეანეში უზარმაზარი ნაგვის მორევია. ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით ის მექსიკაზე დიდიც კი არის; კიდევ ერთი წყაროს მიხედვით კი ის ტექსასის შტატის ზრდას უშლის ხელს. ამ კონკრეტულ შემთხვევას „ჩრდილო წყნარ-ოკეანურ ნაგვის ლაქად“ მოიხსენიებენ. ის მოიცავს დაახლოებით 2.5 მილიონ კვადრატულ კილომეტრს და მისი წონა 8.3 მილიარდ ტონას აღწევს. პლასტმასის ეს მასა ტივტივებს ოკეანეში და მის დინებებს მიჰყვება. პლასტმასის ქილას დაახლოებით ოთხასი წელი სჭირდება დასაშლელად, შესაბამისად არსებობს მოსაზრება, რომ 2050 წლისთვის პლასტმასის რაოდენობამ შეიძლება, ზღვის ცხოვრება ჩაანაცვლოს. რადგან პლასტმასი იმსხვრევა პატარა

ნაწილებად, მას თოლიები და სხვადასხვა ზღვის ქმნილებები მოინელებენ. პლასტმასის ნაწილაკები, საბოლოოდ, თევზებში აღმოჩნდება, რომელსაც შემდეგ ადამიანები ჭამენ. გარდა ოკეანის ქმნილებების დახოცვისა და ადამიანთა პოტენციური მოწამვლისა, ამ ჯანმრთელობისთვის საშიშმა ნივთიერებამ შესაძლოა, გაართულოს ოკეანეში ნავიგაციაც. ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში არის ის, რომ პლასტმასი არასდროს ქრება სრულყოფილად და დროსთან ერთად მისი ნაწილაკები უფრო და უფრო ამოუცნობი და საშიში ხდება.[1] არ შემიძლია პარალელი არ გავავლო პლასტმასის ნარჩენების ამ ეპიკურ რაოდენობასა და ჩვენს ნაყარ-ნუყარ, ზიანის მომტან და დამაბინძურებელ სიტყვებს შორის.

ლეონარდო დავინჩმა გაიმეორა არისტოტელეს წინჭვრეტა:

> „თუკი გუბეში ქვას ისვრი . . . ტალღები, რომლებიც ნაპირისკენ მიემართებიან, უკან ბრუნდებიან იმ წერტილისაკენ, სადაც ქვა აღმოჩნდა და სხვა ტალღებთან შეხვედისას, არასდროს უჭრიან გზას ერთმანეთის სვლას. . . . პატარა გუბეში, ერთი და იგივე დარტყმა შობს გავრცელების და განზე გახტომის მრავალ მოძრაობას“.[2]

გავრცელება და განზე გახტომა. ავრცელებენ ჩვენი სიტყვები ქრისტეს გავლენას, თუ სხვების განზე გახტომას იწვევენ? ნეტავ, ჩვენი ქვები უბრალოდ პატარა გუბეებში ყოფილიყვნენ იზოლირებული! მაგრამ აფსუს, ისინი ცვივიან და ქმნიან ტალღებს წყლის სამყაროში. ჩვენ ვცხოვრობთ დროში, როცა არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად შორს ისვრი ქვას, მისი შედეგი დაბრუნდება უკან და ჩვენს ნაპირზე ვიგრძნობთ მას. თუკი ჩვენ მიერ გადაცემული შეტყობინება არის ჩვენი რწმენა ღვთის სიყვარულისადმი, მაშინ სიკეთის ერთიანობა მოძრაობაში მოვა. მაგრამ, თუკი ჩვენ ჭორაობისა და ცილისწამების ქვებს ვისვრით, იგივე სახის ტალღები დაგვიბრუნდება.

სიტყვები შემოქმედის წმიდა იარაღია. არავის აქვს უფლება, მოსაზრებების ოკეანეში გაისროლოს, რასაც არ უნდა გრძნობდეს მოცემულ მომენტში და შემდეგ სხვებს დააკისროს უხეიროდ შერჩეული შეტყობინებების დახარისხების პასუხისმგებლობა. ასეთი ქცევა არაფრით განსხვავდება დანაგვიანებისგან. როცა ჩვენი სიტყვები წარმოთქმულია, . . . ისინი უკვე წარმოთქმულია.

ჩვენ პასუხისმგებლები ვართ იმაზე, რასაც ჩვენი სიტყვებით ვაკეთებთ. ეს მოიცავს იმას, თუ რას ვწერთ, ვლაპარაკობთ, „ვპოსტავთ“ თუ ხელახლა ვგზავნით. მადლი არ აბათილებს ახალი აღთქმის გაფრთხილებებს. მოუსმინეთ იაკობს:

> „ჩემო ძმებო, ბევრნი ნუ გახდებით მასწავლებლები, რადგან იცოდეთ, რომ ასეთები უფრო მეტად განვისჯებით!“ (იაკ.3:1)

სწავლება მოიცავს: შეტყობინების გადაცემას, კომუნიკაციას, ახსნას, ჩვენებას, განათლებას, განმარტებას და მითითებას. ეს მუხლი არ არის განკუთვნილი მხოლოდ მასწავლებლებისთვის. თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს მაინც ვაკეთებთ, ეს გაფრთხილება ჩვენც გვეხება. სოციალურ მედიაში „დაპოსტვა“, ბლოგის წერა და ჩვენს ადგილობრივ ეკლესიაში სწავლება უნდა მოხდეს ჭეშმარიტებისა და სიბრძნის სულით და მიმართებითი და თეოლოგიური პასუხისმგებლობით. ყველაფერს, რასაც ვწერთ, ვასწავლით და ვამბობთ, უნდა იყოს სახარებისეულ დარიგებასთან თანხვედრაში.

მოსაზრება რწმენის წინააღმდეგ

სიტყვაში მოუდრეკლად ყოფნა მოითხოვს მოსაზრებისა და ჭეშმარიტების განსხვავების უნარს. ძალიან მარტივია მოსაზრების ჩამოყალიბება და ამავდროულად ძალიან რთულია მისი ჩვენთვის დატოვება. თუ ფრთხილად არ ვიქნებით, მოსაზრებების მიღება და გაცემა შესაძლოა, გამომწვევი გახდეს. თითის გაწვდენაზე გვაქვს წვდომა სხვების ფიქრებსა და გრძნობებზე. ამავდროულად, ჩვენ გვაქვს უნარი, გამოვთქვათ მოსაზრება, რომელიც წამებაში შეიძლება, აღმოჩნდეს მოსაზრებების ოკეანეში. საინტერესოა, იმის მოსმენა, თუ რას ამბობენ სხვები, განსაკუთრებით, თუკი ჩვენ გვესაუბრებიან. მაგრამ სწორედ აქ უნდა გაგაფრთხილოთ: ნუ მისცემთ უცნობთა მოსაზრებებს დიდ ძალაუფლებას თქვენზე!

„ძალიან მარტივია მოსაზრების ჩამოყალიბება და ამავდროულად, ძალიან რთულია მისი ჩვენთვის დატოვება“.

ნუ მისცემთ უცნობებს უფლებას, ჭრილობა მოგაყენონ თავიანთი დაუფიქრებელი სიტყვების ისრებით! ნუ უბოძებ შენს ვირტუალურ საზოგადოებას მეტ წვდომას შენზე, ვიდრე შენს რეალურ გარემოცვას! შენ მთების გასაზომად ხარ შექმნილი და არა უბრალოდ ტელეფონის სკანირებისთვის. შენ პირისპირ ურთიერთობისთვის დაიბადე და არა „სმაილებით“ საკონტაქტოდ. უფრო ხშირად ილაპარაკე ღვთის სიტყვა, ვიდრე „ლაიქებში“ და „პოსტებში“ გამოიყენებ მათ. ეს ყველაფერი არ არის არასწორი, მაგრამ ისინი ძალიან შორს არიან საკმარისისგან. შენ ჩართულობისთვის შეიქმენი.

ნუ გაებმები მსგავს მახეში, როცა შინაგანად მეტი გწყურია! შენ სადენებით ხარ დაკავშირებული შენს შემოქმედთან. რატომ უნდა უსმინო უცხოებს, როცა ყველაზე ამაღლებულთან ხარ პირად საუბარზე მიწვეული? ღმერთი მის თანდასწრებაში გეპატიჟება. ის აქ არის, შედარებებისა და დაბნეულობებისგან თავისუფალი, გეუბნება, რომ სულიწმიდა შთაგბერავს სიცოცხლეს, ფეხზე დაგაყენებს და შენს ბაგეს მისი სიტყვით აავსებს. გამოათავისუფლე ადგილი შენს ცხოვრებაში ღვთის სულისთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, სადაც მოსაზრება დარწმუნებულობაზე მეტია - რაც არასწორია. მოსაზრებები ჩვენს ამოთხრასა და ამოძირკვას ემსახურება, როცა დარწმუნებულობა გვაფუძნებს ჩვენ. დარწმუნებულობა რწმენასთანაა მიბმული. მოსაზრებები თავისუფლად მიედინება, როგორც უამრავი პლასტმასის ბოთლი ტივტივებს ოკეანეში. მოსაზრებები ვინმეს ან რამეს შესახებაა და იმის მიხედვით იხრება აქეთ-იქით, თუ რა ხდება კულტურაში. როგორც ქრისტიანებს, სახარებისეულად ფორმირებული დარწმუნებულობა უნდა გვქონდეს და ეს დარწმუნებულობა უნდა აყალიბებდეს ჩვენს მოსაზრებებს. ნუ მისცემ მოსაზრებებს უფლებას, ამოძირკვოს შენი დარწმუნებულობა!

ძლიერი

> „იფხიზლეთ, იდექით რწმენაში, იყავით ვაჟკაცურნი, იყავით ძლიერნი!“
>
> (1 კორ.16:13)

რას ნიშნავს იყო ძლიერი? ეს ნიშნავს იყო მოუდრეკელი, ურყევი, უკომპრომისო და უდრეკი.

როგორც ექსტრავერტული, ინტუიციური, მგრძნობიარე და აღქმითი პიროვნულობის ტიპის ადამიანისთვის (ცნობილი როგორც ENFP), ეს დიდი გამოწვევაა ჩემთვის. ჩემი ვალდებულებაა, ჩემი ცხოვრების მძღოლის სავარძელზე მოვათავსო ჩემი და სხვების გრძნობები. მინდა ყველა იყოს სამართლიანი, იგრძნოს სამართლიანობა, იყოს ბედნიერი, მოუსმინონ მას და იყოს ჩართული. ამავდროულად შემიძლია, საოცრად თავდაჯერებული და ძალიან მგზნებარე ვიყო ყველაფრის მიმართ, დაწყებული ჩემი დილის ესპრესოთი, დამთავრებული საზოგადი სამართლის საკითხებით (დიახ, ეს ძალიან დამქანცველია!). ალბათ, გავგიჟდებოდი ეს ყველაფერი ღვთის სიტყვისთვის რომ არ იყოს. ამის გარეშე უთოკო ფრანს დავემსგავსებოდი, რომელიც ერთ წუთს ნავარდობს და მეორე წუთს რაღაცას შეეჯახება. გააზრებულად უნდა გადავწყვიტო, რომ ჩემი მოსაზრებები ჩემს დარწმუნებულობას იქნება დაქვემდებარებული. თუ ასე არ იქნება, ნებისმიერ პოპულარული კულტურის ახირებას შეეძლება, ჩამისაფრდეს.

სოციალურ მედიას შეუძლია, გამადიდებელი ლუპით აჩვენოს ჩვენი სისუსტეებიც და ძლიერი მხარეებიც. წლების წინ, წინ და უკან ვიყავი გახლართული ფეისბუქში. ვფიქრობდი, რომ შესაძლოა, მე ვერ განვმარტავდი ჩემ თავს საკმარისად კარგად და თუ უფრო გასაგები ვიქნებოდი, ჩემთან მოკამათეებს გონება გაუნათდებოდათ. პროგრესის ნასახიც არ მქონდა, რადგან გაუცნობიერებლად ტროლთან კამათით ვიყავი დაკავებული (მე გითხარით, რომ ისინი ნამდვილები იყვნენ!).

მხოლოდ იმიტომ გავჩერდი, რომ ერთ-ერთმა ჩემმა ვაჟმა შემთხვევით ნახა ჩვენი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ტელეფონს დასტაცა ხელი და ამიხსნა: „დედა, მათ არ უნდათ გაგება. მათ უნდათ, დიდი აუდიტორიის წინაშე გებრძოლონ. შენს პლატფორმას შენზე თავდასასხმელად იყენებენ. შეწყვიტე მათთან ლაპარაკი! უბრალოდ დაბლოკე ისინი!“

ვერ წარმომედგინა, როგორ შემეძლო ვინმეს დაბლოკვა. უნამუსობა არ გამოვიდოდა? არა - ამ შემთხვევაში, ეს იყო ჩემი პლატფორმისა და მისი მნახველი ხალხის დასაცავი გზა. უზარმაზარი განსხვავებაა სოციალურ მედიასა და მტრულ მედიას შორის.

გამოცხადება სწორედ ეს იყო, რომ ყველაზე ნაკლები მეთქვა.

ჩვენი განხილვის საგანი არ იყო მარადიული მნიშვნელობის. ეს მოსაზრების საკითხი უფრო იყო, ვიდრე დარწმუნებულობის

არსი. ყველას გვინახავს, რა სწრაფად შეიძლება იქცეს სოციალური მედიის მომხმარებელი ბრბოდ. შედეგად, ვისწავლე, მქონდეს მტკიცე დარწუნებულობა და უწყინარი მოსაზრებები.

სოციალური მედია ნადვილად ერთ-ერთია იმ სფეროთაგან, სადაც ყველაზე დიდია ბრბოს გამოწვევა. შენ გაქვს უფლება, დაპოსტო და წახვიდე. გამოიყენე შენი სიტყვების ნიჭი საკურთხებლად, გასაძლიერებლად, გასამხნევებლად და წინ წასაძღოლად. მიჰყევი ადამიანებს, რომლებიც იგივეს აკეთებენ. ამტკიცე ის, რაც იმსახურებს დამტკიცებას, ჯანსაღ საკითხებთან გქონდეს ურთიერთქმედება, მოკრძალებით დასვი კითხვები, მაგრამ იცხოვრე ღვთის და არა ადამინების საამებლად. წმიდა წერილი გვაფრთხილებს ჩვენ:

> „უნდა იცოდე, რომ ბოლო დღეებში, იმდენად ჩაიძირება გადაგვარებაში საზოგადოების კულტურა, რომ ძალიან გაუჭირდებათ ღვთის ხალხს“. (2 ტიმ.3:1 TPT)

სხვა თარგმანში წერია: „ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი“. ამ მუხლის აზრი ასე ჟღერს: „ნუ იქნები მიამიტი, წინ უფრო რთული დრო გველის“.

ვფიქრობ, რომ სირთულეები უკვე დაიწყო. გადაგვარება ყოველთვის სტრუქტურისა და ჭეშმარიტების ძირის გამოთხრით იწყება. რადგან მოუდრეკელი ვხდებით ქრისტეში, როგორც ჭეშმარიტ გზაში, მოდი, ვისწავლოთ, ასევე მოუდრეკლები ვიყოთ ჩვენს დარწმუნებულობაზე დაფუძნებულ სიტყვაშიც!

მოდი, პავლეს შეტყობინება პირველი ეკლესიისადმი, მივიღოთ, როგორც ჩვენი:

> „ვინაიდან ვიცით თქვენი რჩეულება, ღვთის საყვარელო ძმანო. რადგან ჩვენი სახარება მხოლოდ სიტყვით კი არ გეუწყათ, არამედ ძალით, სულიწმიდით და სრული დამაჯერებლობით; თუმცა თვითონვე იცით, რანი ვიყავით თქვენს შორის თქვენთვის. თქვენ თვითონ გახდით ჩვენი და უფლის მიმბაძველები, რადგან დიდ გასაჭირში მიიღეთ სიტყვა სულიწმიდის სიხარულით“. (1თეს.1:4-6)

ეს ის დროა, როცა მოვუსმინეთ და გავბედავ თქმას, რომ დავემორჩილეთ იმ ერთადერთს, რომელმაც სიტყვის თავისუფლება მოგვცა. იმ ერთადერთს, რომელმაც დიდი

ხნის წინ, ბაბილონის კოშკთან აურია ენები, შეეძლო საერთოდ დავემუნჯებინეთ, მაგრამ ამის ნაცვლად, მან არჩია, ესწავლებინა ჩვენთვის მისი მეტყველების ნიჭი.

როცა ვწერდი წიგნს *„კონკურენციის გარეშე“*, ვმუშაობდი თავზე, რომელიც ისეთ თემას მოიცავდა, ვერასგზით ვერ დავრჩებოდი ნეიტრალური, ეს თემა იყო სქესი. მონახაზში სისტემატურად ვუპირისპირდებოდი მეორე ლიდერის დეზინფორმაციებს იმაში დარწმუნებული, რომ ყველა შესაძლო გზა უნდა მეცადა. ჩემი პროზა წინ და უკან სიარული გახდა, სანამ მოსაზრებათა ტყეში არ დავიკარგე, ამიტომ წიგნის ეს თავი ერთ ჩემს სანდო მეგობარს გავუგზავნე.

„რადგან მოუდრეკელი ვხდებით ქრისტეში, როგორც ჭეშმარიტ გზაში, მოდი, ვისწავლოთ ასევე მოუდრეკლები ვიყოთ ჩვენს დარწმუნებულობაზე დაფუძნებულ სიტყვაშიც!“

მან სიყვარულით მითხრა, რომ ჩემი სიტყვები ტრაბახში იყო გადაზრდილი. სადღაც, ხაზის ბოლოს წერიდან ბრაზის გადმონთხევაზე გადავედი და ასე მოქცევით, ჩემს აუდიტორიას კამათში ვითრევდი. მან მიმითითა, რომელი ნაწილი იყო თავიდან მოსაშორებელი ... და ეს თავის ნახევარი იყო. მე მოვუსმინე, ჩავასწორე. და მოხარული ვარ, რომ ასე მოვიქეცი. არავინ უნდა გარისკოს მიჰყვეს დინებას მოსაზრებების სამყაროში. ყველას გვჭირდება ისეთი ადამიანები ცხოვრებაში, რომლებიც იმას გვეტყვიან, რისი მოსმენაც არ გვინდა. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებთანაც რეალური ურთიერთობა გვაქვს. ადამიანები, რომლებიც ადვილად მისაწვდომები არიან და ჩვენი ტელეფონის ნომერიც აქვთ. ადამიანები, რომლებსაც ვემორჩილებით. დიახ, სწორედ ეს ვთქვი. თუკი ვინმეს ძალაუფლების ქვეშ არ ვართ, შესაბამისად არც ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტი ძალაუფლება. „ფოლოვერების“ გარკვეული რაოდენობა ვერ გვმატებს ვერანაირ ძალაუფლებას, პასუხისმგებლობების მჭიდრო წრე კი – გვმატებს.

კულტურაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შეუმოწმებელი აზრები გამუდმებით დაფრინავენ აქეთ-იქით, სიტყვები შუშხუნებივით ეშვებიან უცხოებისკენაც და მეგობრებისკენაც. ეს პირდაპირ წინააღმდეგობაშია იმ გაფრთხილებასთან, რომელსაც იაკობის წიგნში ვპოულობთ (იყავით მოსმენაში

„ყველას გვჭირდება ისეთი ადამიანები ცხოვრებაში, რომლებიც იმას გვეტყვიან, რისი მოსმენაც არ გვინდა“.

მარდი, სიტყვაში - მძიმე და რისხვაში - ნელი. [იაკ.1:19]). ადამიანები ხშირად ნებას აძლევენ სიტყვებს, ფრთები გაშალონ იმის გაცნობიერების გარეშე, თუ რა გამოანთავისუფლეს ეჭვმიუტანელ სამყაროში. ამ დროში, როცა წვდომა მარტივია და პასუხისმგებლიანობა დაბალი, შეუძლებელია ვიცოდეთ, რას მიაღწევს ჩვენი სიტყვები, ან გავზომოთ მისი ეფექტი. ჩვენ ვერ მოვიცავთ იმას, რისი გაზომვაც არ შეგვიძლია.

გარკვეული ფორუმებისგან შორს ვიჭერ თავს, რადგან ღვთის სიტყვას სურს: „სულელურ და უმეცარ პაექრობებს მოერიდე, იცოდე, რომ ისინი მხოლოდ უთანხმოებებს ბადებენ!“ (2ტიმ.2:23). თუკი სრული ინფორმაცია არ მაქვს, არ მჭირდება საკითხის აწონ-დაწონვა. თუ მე არ ვარ პასუხისმგებელი, მართლა საჭიროა, რომ ვუპასუხო? ჩემი მოსაზრებები შეიძლება ვინმეს ან რაიმეს მიმართ ჩემი გრძნობების მიხედვით გადმოდინდეს. მე ვცდილობ, (როგორც შემიძლია) არ მივცე რაიმეზე ჩემს მოსაზრებებს უფლება, ფეხქვეშ გათელონ ჩემი დარწმუნებულობა.

იმისათვის, რომ ჭეშმარიტებით ვიყოთ მართულნი და არა მოსაზრებით, უნდა ვიცნობდეთ ჭეშმარიტებას, რომელიც წმიდა წერილში შეგვიძლია, ვიპოვოთ და ზოგჯერ მისი გარჩევისთვის დახმარებაც გვჭირდება. მეგობარმა გამიზიარა, როგორ კითხულობდა რაღაცას, რაც ცოტა ხნის წინ გადახდა თვითონ. მაგრამ უკვე იმდენად იყო ემოციურად ჩართული ავტორის ნააზრევში, რომ თავის ქმარს წაუღო წიგნი. მან ყურადღებით წაიკითხა თითოეული ხაზი და მიუთითა, სად გადადიოდა ტექსტი ბიბლიური ჭეშმარიტებიდან ავტორის გამოცდილებაში. თვით მოციქული პავლეც კი დაუპირისპირდა პეტრეს, როცა იგი სხვადასხვანაირად ეპყრობოდა წარმართებს და ებრაელებს. ჩვენ ყველას გვჭირდება ადამიანები, რომლებიც სიმართლეს გვეტყვიან.

სიტყვის ძალა

სიტყვა მარცვალია, რომელიც ნაყოფად ან სიცოცხლეს გამოიღებს ან სიკვდილს. სიტყვა ქვაა, რომელსაც შეუძლია,

ააშენოს ან მოკლას. მოდი, ნუ ვიტყვით, რომ გვიყვარს ღვთის სიტყვა, თუკი შემდეგ მას ჩვენი სიტყვებით დავუპირისპირდებით! სიტყვა ძვირფასია და საშიში.

შუა აღმოსავლეთში ჩაქოლვა იყო და არის სიკვდილით დასჯის გზა, რომელიც იმიტომ შემოიღეს, რომ არავინ გახდეს დადანაშაულებული დამნაშავის სიკვდილში. ჩაქოლვა ჩვენს დასავლურ სამყაროშიც ხდება. ჩვენ არ ვისვრით ქვებს . . . ჩვენ ვისვრით სიტყვებს. და რაც უფრო მეტი ადამიანი მონაწილეობს სიტყვების სროლაში, მით უფრო ნაკლებად ვგრძნობთ თავს დამნაშავეებად. თუკი ყველა ამბობს რაღაცას, მაშინ არავინაა დამნაშავე, არა?

შეიძლება ჩვენმა კულტურამ მოიწონოს ასეთი გამართლება, მაგრამ ჩვენ არა. ჩვენ უფრო მაღალი მიზნით და სტანდარტით უნდა ვუპასუხოთ. ჩვენ არ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები. ჩვენ გვესმის სიტყვის ძალა მაშინაც კი, თუ ამ სამყაროს არ ესმის. ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას, ჩავქოლოთ სხვა, რადგან მეტი ვიცით და ვინც მეტი იცის, უფლებამოსილია, უკეთ მოიქცეს.

ღვთის სიტყვის სინათლე და სულიწმიდის წაძღოლა აუცილებელია თუკი გვინდა გზის გაგნება ამ მოსაზრებების სამყაროში. ტყუილები მწვავდება დაბნეულობით. მე არ მაქვს ყველა პასუხი და შეუძლებელი იქნებოდა, შენს პირად სიტუაციაში მელაპარაკა. არ მინდა, გითხრა, როგორ მოიქცე; მე უნდა მიგითითო წყარო და პოზიცია, რომელსაც უნდა უსმინო და ისწავლო!

ჭორაობა

მოდი, ყურადღებით ვიყოთ იმის მიმართ, თუ რას ვამბობთ და აღარ დავანაღვლიანოთ ღმერთი! ჭორაობას არასდროს განუდიდებია ღმერთი და ამავდროულად ჭორაობა არის ყველაფერი, რაც სოციალური მედიაა. როცა პირველად დავანაღვლიანე სულიწმიდა, მაშინვე ვიგრძენი. არავის სჭირდებოდა ჩემთვის ამის თქმა. მე თვითონ ვიცოდი. არ მახსოვს, რა ვთქვი. მახსოვს, რა ვიგრძენი. უცებ დამანგრეველი კანკალი ვიგრძენი შინაგანში . . . როგორც სიგნალიზაციის წინათგრძნობა, რომელიც მოახლოებულ საფრთხეს გამცნობს.

იგივე ვიგრძენი, როცა ბავშვობაში მშობლები მოვატყუე. წლები იყო გასული მას შემდეგ რაც ეს გრძნობა დამეუფლა. რეალურად, ბოლო ათწლეული იმის თქმაში გავატარე, რაც

მინდოდა. აქამდე არ შევუწუხებივარ, როცა ვინმეს შესახებ მლიქვნელურად მითქვამს რაიმე. იგივეს არ ვიმეორებდი, რაც ვნახე ან მოვისმინე? რატომ ვგრძნობდი ამას, როცა ჩემი ცოდვები ნაპატიები იყო?

ჩემი ქრისტიანული გზის დასაწყისში არ მესმოდა, რომ ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც სულიწმიდა ჩემი ცხოვრების წინამძღოლად მოვიპატიჟე. ის თავის საქმიანობას სრული სერიოზულობით ეკიდება.

უმრავლესობა ჩვენგანი არასდროს მოიპარავს, მოკლავს ან დაწყევლის ვინმეს წინასწარგანზრახვით, მაგრამ ჭორაობას შეუძლია, ამ ყველაფერშიც გაგვხადოს დამნაშავე. ვიცი, რომ ჩემს ბაგეს უფრო მეტი პრობლემა გამოუწვევია ჩემს ცხოვრებაში, ვიდრე ნებისმიერ სხვა რამეს. სამწუხაროდ, ჩემს ნალაპარაკებს სხვებისთვისაც გამოუწვევია პრობლემები. მე გული მიტკენია ჩემი ქმრისთვის დაუფიქრებელი სიტყვებით უფრო მეტჯერ, ვიდრე ამის აღიარებას ვისურვებდი. მილაპარაკია ისეთ საკითხებზე, რაზეც ხმის ამაღლების არანაირი უფლება არ მქონდა. და მაშინ ვყოფილვარ ჩუმად, როცა ჩემი პოზიცია უნდა გამომეხატა. ასევე ვიცი, რომ სხვების სიტყვებსაც გამოუწვევია ჩემთვის იმაზე მეტი პრობლემები, ვიდრე მე წარმოვიდგენდი.

სიტყვები, რომლებიც კურნავს

სიტყვა შეიძლება იყოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი აღმაშენებელი და დამანგრეველი ძალა ამ პლანეტაზე. ისევე როგორც ადამიანების სიტყვებს დავუჭრივარ, ღვთის სიტყვას განვუკურნივარ. ეს ხდებოდა, როცა ადამიანები, ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებით ლაპარაკობდნენ ჩემს ცხოვრებაზე და ჩემს ცხოვრებაში. ეს ხდებოდა, ჩემი პირადი მორჩილებისა და ლოცვის დროს, როცა რაღაც პასაჟი ან მუხლი მულოდნელად იპყრობდა ჩემს გონებას. ერთ წამში ყველაფერი იცვლება და თვალებს ვახელ. როცა ვუსმენთ და გვწამს ჩვენი შემოქმედის სიბრძნის, ჩვენ გვაქვს შანსი, ვისწავლოთ სწორი მარტივად.

> „ღვთისა და მამის წინაშე წმიდა და უმწიკვლო მსახურება ის არის, რომ მიხედო ქვრივ-ობლებს მათ გასაჭირში და შეურყვნელად დაიცვა თავი ქვეყნიერებისგან“. (იაკ.1:27)

ჩვენ გვიყვარს ეს მუხლი. მაგრამ რამდენად ხშირად ვისმენთ სიტყვებს, რომელსაც წინა მუხლი გადმოსცემს?

„თუ რომელიმე თქვენგანს ჰგონია, რომ ღვთის მსახურია, ენას კი არ აილაგმავს, არამედ ატყუებს თავის გულს, მისი მსახურება ფუჭია“. (იაკ.1:26)

თაღლითური სიტყვები

ნუ გარისკავ შენი საქმეების სიტყვებით შელამაზებას! იაკობი ამბობს, რომ თუკი სწორად ვიქცევით, მაგრამ არასწორად ვლაპარაკობთ, ჩვენი რელიგია ცრუ და არაფრისმქმნელია. რატომ? – რადგან არაფერი ისე არ წარმოაჩენს ჩვენი გულის მდგომარეობას, როგორც ჩვენი სიტყვები.

ბოდიში მეგობრებო, მაგრამ სამუშაო გვაქვს!

იაკობის წიგნი აგრძელებს ამ საკითხს:

„ვინაიდან ჩვენ ყველანი ბევრს ვცოდავთ. ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც. აჰა, ცხენებს ლაგამს ამოვდებთ, რათა დაგვემორჩილონ და ვმართავთ მათ მთელ სხეულს“. (იაკ. 3:2-3)

„ნუ გარისკავ შენი საქმეების სიტყვებით შელამაზებას!“.

იესო იყო ის ერთადერთი სრულყოფილი ადამიანი, ვინც მხოლოდ იმას ლაპარაკობდა, რასაც მამისგან ისმენდა. იაკობი, იესოს ძმა, აქ ძალიან საინტერესო არჩევანს იყენებს. აქ არის ურთიერთქმედება იმ სიტყვებისა, რომლებსაც ვლაპარაკობთ ან არ ვლაპარაკობთ და იმ მიმართულებას შორის, რომლითაც ვცხოვრობთ. შემდეგ გზებზე სიარულიდან, ზღვაში ნავიგაციაზე გადადის.

„აჰა, ხომალდები. როგორი დიდებიც არ უნდა იყვნენ და როგორმა ძლიერმა ქარმაც არ უნდა მიმოიტაცონ, პატარა საჭე იქით მიაბრუნებს მათ, საითაც მესაჭე მოინდომებს“. (იაკ.3:4)

მაშინაც კი, როცა ძლიერი ქარი უბერავს და ცხოვრება გადაულახავი გვეჩვენება, ღვთის სიტყვის ლაპარაკი მიგვიძღვის ცხოვრების ქარიშხლების ჟამს.

„ასევეა ენაც. პატარა ასოა და ბევრს იქადის. აჰა, რა მცირე ალი ჰბუგავს დიდ ტყეს!“ (იაკ.3:5)

მოდი, ნუ გადავბუგავთ ყველაფერს და ნურც რელსებიდან გადავაგდებთ ჩვენს თავს, ან ჩვენ ძმებსა და დებს!

მეორე მსოფლიო ომის დროს ფრაზა: „ფართო ტუჩები ძირავს ხომალდებს“, გამოიყენებოდა, რათა ადამიანებისთვის გაეხსენებინათ გაუფრთხილებელი საუბრების პოტენციური საფრთხე. ადამიანები ყურადღებიანები უნდა ყოფილიყვენენ, რათა გაუფრთხილებლობით რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ ეთქვათ, რისი გამოყენებაც შემდეგ ფარულ მტერს შეეძლებოდა. ომის დროს ვერასდროს ვიქნებით იმაში დარწმუნებული, თუ ვინ გვისმენს.

სურს ღმერთს რაიმე ისეთის დაშვება შენს ცხოვრებაში, რომ შენმა სიტყვებმა შენი ჩაძირვა დაიწყოს? არასწორი მიმართულებით ხომ არ მიაჭენებ ცხენს?

იქნებ, რაიმე დაწინაურება ან შესაძლებლობაა, რისი იმედიც გაქვს!

იქნებ, არსებობს ურთიერთობა, რომლის განკურნებაც და აღდგენაც გინდა!

იქნებ, ლოცულობ, რადგან შენს სიტყვებს და საქმეებს ძირი ეთხრება!

იქნებ, სიჩუმის ჟამს ლაპარაკობ!

იქნებ, შენი ტონი არასწორია!

იქნებ, სწორი საუბარი, არასწორ ადამიანებთან წამოიწყე!

იქნებ, სწავლის პერიოდში ხარ!

იქნებ, უფრო მეტი კითხვა გაქვს ვიდრე პასუხი!

მათეს 12:36-37 გვპირდება ჩვენ: „თქვენ კი გეუბნებით, რომ ყოველი ფუჭი სიტყვისთვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს; რადგან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით იქნები მსჯავრდადებული“.

ჩვენ ვსამართლდებით იმის მიხედვით, თუ რას ვამბობთ და როგორ ვპასუხობთ იმას, რაც იესომ თქვა. მინდა ჩემმა სიტყვებმა პატივი მიაგონ მის ცხოვრებას. დღის ბოლოს მინდა დავიმოწაფო ადამიანები და არა მოვხიბლო რელიგიური ტურისტები.

სწორი კითხვები, არასწორი აუდიტორია

რამდენიმე მამაკაცთან ერთად ვცხოვრობ, რაც იმას ნიშნავს, რომ რთულია ტელევიზორის პულტის ხელში ჩაგდება. ცოტა ხნის წინ არდადეგებზე ვიყავით და ვეძებდით რაიმეს, რის ყურებასაც მთელი ოჯახი შევძლებდით, როცა ის, ვისაც პულტი ეჭირა, შეჩერდა ფილმის *„ნათლიას“* ერთ-ერთ სცენაზე. ჩემი სიცილიელი წინაპრებისგან განსხვავებით, მე ვიზიარებ აზრს, რომელიც გავიგონეთ: „არასდროს უთხრა ოჯახის გარდა არავის, რასაც ფიქრობ“.

„არასდროს“, ალბათ, მხოლოდ მაფიის სამფობელოში მოქმედებს, მაგრამ აქაც გვჭირდება სიბრძნის პოვნა. ჯანსაღი ოჯახი საუკეთესო ადგილია, სადაც ჩვენი ფიქრების გამოთქმა შეგვიძლია. არ არსებობს სრულყოფილი ოჯახები - მხოლოდ ჯანსაღი ოჯახები, სადაც ყველა წევრს მხარს უჭერენ გაზრდაში.

შეიძლება ფიქრობ, მოიცადე ლიზა. *ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არაა ქრისტიანი.* მინდა, თავისუფლად იფიქრო შენს ოჯახზე უფრო ფართო განსაზღვრებით. შენ შეგიძლია რაღაცეების წარმოთქმა რწმენის ოჯახში. ოჯახი ის ადამიანები არიან, რომლებიც შენს მხარეზე არიან. შეიძლება, ის ადამიანები იყვნენ, ვისთან ერთადაც თაყვანს სცემ, შენი პატარა ჯგუფი, ან ის ქრისტიანი თანამშრომლები, ვისთან ერთადაც მუშაობ. სოციალური მედია არ არის ოჯახი. სოციალური მედია ძალიან კარგია რაღაცის გავრცელებისთვის, მაგრამ არა განხილვისთვის.

ფილმში ასევე მოვისმინეთ: „არასდროს დაუჭირო მხარი მას, ვინც ოჯახს ეწინააღმდეგება! არასდროს!“

ჩვენი რწმენის ოჯახს აქვს საჭირბოროტო საკითხები. სჭირდება ეკლესიას გაზრდა, როცა საქმე ქალებისთვის უფლებამოსილების მიღებას ეხება? დიახ! გამოსწორდა სიტუაცია? დიახ! კიდევ არის საკითხები, რომელზე დაფიქრებაც საჭიროა? დიახ! მაგრამ რას ვიღებთ შედეგად, როცა ღვთის საპატარძლოს წინააღმდეგ ვუჭერთ მხარს?

ცოტა ხნის წინ ტვიტერმა მოიწვია ქალბატონები, რათა ეკლესიის ლიდერთა გუნდისთვის გაეზიარებინათ თავიანთი მწუხარებები და ის, თუ როგორ ექცეოდნენ ქალებს. ეს პროცესი ვირუსული გახდა. უამრავმა ქალბატონმა აიმაღლა ხმა ამ საუბარში, მასში ჩართვა ყველას შეეძლო. შევამჩნიე, რომ თუკი ვინმე ამბობდა, რომ მისი გამოცდილება ეკლესიასთან მიმართებაში დადებითი იყო, მას აჩუმებდნენ.

საჭირო იყო ეს საუბარი? დიახ. მაგრამ რამდენად იყო სოციალური მედია ის შუამავალი, რომელსაც პრობლემებზე უნდა მიეთითებინა მიუხედავად იმისა, რომ სურვილი გამოთქვა გამოსავლის პოვნისა.

თუ გაქვს პასუხი, განაცხადე ის ნებისმიერი სოციალური მედიის პლატფორმიდან! მაგრამ თუკი შენ წუწუნი, გაკრიტიკება და სტრატეგიის დასახვა გსურს, დარწმუნდი, რომ სწორი ადამიანების ყურადღებას მიიპყრობ. როცა სოციალური მედიით მუშაობ, მნიშვნელოვანია იცოდე, ვინ ნახულობს ამას. მოდი, სწორ ადამიანებს ვესაუბროთ სწორი კითხვების შესახებ!
ბრბოს ფორუმები, რომლებიც სოციალურ მედიაში ცილს სწამებენ ეკლესიას, ან ნებისმიერი სახალხო ფორუმი, დაკავშირებულია საპატარძლოს გაშიშვლებასთან, მაშინ, როცა იციან, რომ არასწორად იქცევიან. გვეხმარება ეს, როცა წერილი ამბობს, რომ არსებობს მსოფლიო სისტემა, რომელსაც უკვე ვძულვართ? რაიმე სარგებელს აძლევს ეს იმ ადამიანებს, რომლებიც გადაწყვეტილების უდაბნოში დგანან და ვისაც ჩვენთან კამათისთვის არანაირი კონტექსტი არ აქვს?

სახალხოდ უნდა დავიმდაბლოთ თავი და ვაღიაროთ, რომ მტკიცე სიყვარულში დავმარცხდით. შემდეგ ერთად უნდა ავდგეთ და ავლაპარაკდეთ იმაზე, რაც მსჯავრის დადების მაგივრად უნდა ხდებოდეს.

ძალიან ხშირად, ჩვენ სწორი საუბარი გვაქვს არასწორ ადამიანებთან. როცა ასე ვიქცევით, ყველანი სულელურად გამოვიყურებით.

ვირუსული

ზოგჯერ, როცა ვინმე ვირუსულად იყენებს ინტერნეტს, ადამიანები ამით ინფიცირდებიან, გავლენის ქვეშ კი არ ექცევიან. მოდი, ფრთხილად ვიყოთ, რომ ჩვენმა პოსტებმა ხანგრძლივი ცვლილებები გამოიწვიოს და არა უბრალოდ დაამკვიდროს სახელი, რომელმაც დაპოსტა. მოდი, ნელი ვიყოთ იმაზე თავდასხმაში, თუ სხვამ როგორ და რა ააშენა! მოდი. ვიყოთ არა თაყვანისცემის სახლების დამანგრევლები, არამედ მშენებლები. მეც ვყოფილვარ ქალთა მიმართ ყველა სახის ზიანის მიყენების მსხვერპლი. უკვე თითქმის სამოცი წლის ვარ და კვლავ ვხდები ვიღაცების თავდასხმის ობიექტი იმისთვის რომ მაცდუნებელი და თამამი ვარ. მე არ ვაპირებ შევაჩერო ის,

რასაც ვაშენებ იმისათვის, რომ ვიღაცების უაზრო კომენტარებს ვეკამათო. მე ცხებული ვარ წინასწარმეტყველებისთვის და არა გასაკრიტიკებლად, ასაშენებლად და არა დასანგრევად. და შენზეც იგივეა!

სწორი პასუხის მისაღებად, საჭიროა სწორი ადამიანები შემოვიკრიბოთ მაგიდის გარშემო. სწორედ ამიტომ ჩვენ ვიწვევთ სხვადასხვა რასის და სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს სასაუბროდ. როცა მსგავს საუბრებს ვაწყობთ ჩვენს რეალურ საზოგადოებაში, ჩვენ ვიღებთ ქალიშვილების კითხვებს, გამოცდილი დედების პასუხებს და ბებიების სიბრძნეს და პერსპექტივას. ეს იქნება სამმაგი ალყა, რომელიც ადვილად არ დაეცემა.

ჩვენი სიტყვების გაზომვა

სოციალური მედია შესაძლოა, უამრავი კარგი რამისთვის აღმოჩნდეს იარაღი. ჩვენ გამხნევება გვაქვს თითის წვერებზე. ინფორმაცია სწრაფად შეიძლება გავრცელდეს. შეიძლება, ლოცვა ითხოვო ნებისმიერი საკითხისთვის, დაწყებული პირადი საჭიროებიდან, დამთავრებული ეროვნული კრიზისით. ბევრმა თქვენგანმა გამოიჩინა სიკეთე, ელოცა ჩემთვის, როცა ამ წიგნს ვწერდი. მრავალი საშუალებით, სოციალური მედია, შესაძლოა: სასარგებლო, გამამხნევებელი, გამომწვევი, ინფორმაციული და საგანმანათლებლოც კი იყოს.

„მოდი, ვიყოთ არა დამანგრეველები, არამედ მშენებლები!“.

მე მარტივად არ ვუყურებ სოციალური მედიის პრივილეგიას ან პასუხისმგებლობას. ყოფილა დრო, როცა შეცდომები დამიშვია და ვერ მომიზომია ჩემი სიტყვები. ამის თქმისას ასევე აღმოვაჩინე, რომ შეიძლება, ფრთხილად შევარჩიო სიტყვები, მაგრამ მაინც არასწორად გამიგონ. ეს იმიტომ ხდება, რომ რეალურად არ ვიცით, ვის ველაპარაკებით, რა არის ეფექტური კომუნიკაციის ერთ-ერთი უპირველესი გასაღები. ყველა ადამიანს თავისი ინდივიდუალური ფილტრი აქვს, რომლის მეშვეობითაც ხედავს და ისმენს.

მე ვცდილობ, სოციალური მედია გამოვიყენო, რათა მოვემსახურო ადამიანებს, რომლებმაც მათ ცხოვრებაზე წვდომის პატივი მომცეს. ზოგიერთი ჩემი პოსტი უბრალოდ სასაცილო და სულელურია, მაგრამ დანარჩენები სერიოზულია.

ეს არის ცხოვრების რიტმი. ზოგჯერ სოციალურ მედიაში „ცეკვას“ უფრო კარგად ვახერხებ, ვიდრე სხვა დროს. მე ვისწავლე ჩემი მოსაზრებების შეზღუდვა (მიუხედავად იმისა, რომ მე ნამდვილად მაქვს ისინი). რამდენადაც შესაძლებელია, ვცდილობ არ ვთქვა ისეთი რამ, რაც ეწინააღმდეგება წმიდა წერილს ან ჩემი ცხოვრების სტილს. მე ვჩუმდები მაშინ, როცა არ შემიძლია ვინმეს ან რაიმეს შესახებ რაიმე სასიამოვნო ვთქვა (ეს არ არის ადვილი).

ჩვენი გულის სადარაჯოდ ერთ-ერთი საუკეთესო გზაა, ვუდარაჯოთ სიტყვებს, რომლებსაც ჩვენ ცხოვრებაში შემოღწევის უფლებას ვაძლევთ. არის პერიოდები, როცა სხვები ნაკლებად არიან კეთილები. დარწმუნებული ვარ, თქვენც გამოგიცდიათ სოციალურ მედიაში ჩხუბისთავების და ტროლების შედეგი. ერთი დღის განმავლობაში, შეიძლება, ყველაფერი მიწოდონ, დედა ლომიდან დაწყებული, ერეტიკოსი ქალით დამთავრებული, რომელმაც სიჩუმე უნდა შეინარჩუნოს (და ეს კარგი სახელებია). ამ ყველაფერში ვისწავლე სქელკანიანი გავმხდარიყავი და სათუთი გული შემენარჩუნებინა.

ემოციების იმ ფართო სპექტრში, რომელიც სოციალურ მედიაში არსებული და ხელმისაწვდომია როგორც ერთისათვის, ისე ყველასათვის, განზრახ ვზღუდავ პირად დრამებს, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში შემოღწევის საშუალებას ვაძლევ. მოდი, დღევანდელი დღის კონტექსტით დავუბრუნდეთ 2 ტიმოთეს 2:23-26-ში დაწერილ სიტყვებს:

> „სულელურ და უმეცარ პაექრობას მოერიდე, იცოდე, რომ ისინი მხოლოდ უთანხმოებას ბადებენ. მონას ღვთისას კი ჩხუბი არ მართებს, არამედ შემწყნარე უნდა იყოს ყველას მიმართ და მოთმინებით დამმოძღვრავი. სიმშვიდით არწმუნებდეს მოწინააღმდეგეთ, იქნებ, მისცეს მათ უფალმა მონანიება ჭეშმარიტების შესაცნობად, რათა გონს მოეგონ და გათავისუფლდენენ ეშმაკის მახიდან, რომელმაც საკუთარი ნებისამებრ დაატყვევა ისინი“.

ყველა და ყველაფერი როდი იმსახურებს პასუხს. ზოგჯერ პასუხი მათ უგუნურებას ამტკიცებს. არაა საჭირო ყველამ იცოდეს, რომ არასწორად მოგვექცნენ. ჩვენ მათზე მეტი ვართ. ჩვენი ტკივილი, ჩვენი მამის უამღლეს სასამართლოში უნდა მივიტანოთ და არა უსახური ბრბოს მსაჯულებთან.

პოპულარული თუ გავლენიანი?

ცოტა ხნის წინ, ვიგრძენი როგორ მეკითხებოდა სულიწმიდა: „ლიზა, რა გინდა იყო - პოპულარული თუ გავლენიანი?“

მე ვუპასუხე: „გავლენიანი“.

ამ ჯიუტ სამყაროში გზის წარმატებით გასაკვლევად რეგულარულად უნდა დავუსვათ თავს კითხვა: პოპულარული თუ გავლენიანი? შეიძლება, შენ იმიტომ კითხულობ ამ წიგნს, რომ იცი, მოწოდებული ხარ დადებითი გავლენის მოსახდენად. ეს ნიშნავს, რომ ზოგჯერ მოგიწევს პოპულარულზე დაბალ რანგს დასჯერდე. უკეთ გაგებისთვის, მოდი, განვმარტოთ ეს ტერმინები და ხაზი გავუსვათ, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

პოპულარული ნიშნავს: იმას, რაც ძალიან მოსწონთ, ფართოდაა გავრცელებული, მიღებულია, მოდურია, საზოგადოა და ტრენდულია. პოპულარულობაში ცუდი არაფერია, თუკი მას ჩვენზე კონტროლის აღების უფლებას არ მივცემთ. პოპულარულობასაც შეიძლება ჰქონდეს მისთვის დამახასითებელი აღმასვლები და დაღმასვლები, ამის შესახებ ყველამ იცის, ვინც სკოლაში დადიოდა.

პოპულარულობა იმაზე ბევრად მარტივი დასამკვიდრებელი და დასაკარგია, ვიდრე გავლენიანობა. ჩვენ შეგვიძლია, წავაქეზოთ ადამიანები და მოვიპოვოთ პოპულარულობა. შეგვიძლია ის ვუთხრათ ადამიანებს, რისი მოსმენაც მათ სურთ და გავხდეთ პოპულარულები. შეგვიძლია, ვუთხრათ ადამიანებს ის, რაც არ უნდათ მოისმინონ და კვლავ პოპულარულები ვიყოთ.

გავლენიანი, მეორეს მხრივ, ნიშნავს: ძლევამოსილს, მნიშვნელოვანს, დამარწმუნებელს, ეფექტურს, დამაჯერებელს და მოწინავეს. ნებისმიერი პრაქტიკული მიზნისთვის, ჩვენ შეიძლება ვიყოთ გავლენიანები და მაინც, შედარებით არაცნობილები ჩვენი კულტურის პოპულარულ წრეებში. დარწმუნებული ვარ ზეცაში აღმოვაჩენთ, რომ მათი უმრავლესობა, ვინც ზეციურ სამსჯავროზე ყველაზე დიდი გავლენის მქონეა, შედარებით უცნობები იყვნენ დედამიწის ქუჩებში. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ცდილობენ დაფარულში დაეთესათ, ვინც „სელფების“ გადაღებაზე მეტ დროს ღმერთთან საუბარში ატარებდა. ამ მიზნით, მე ჩემს გულს გავლენიანობისკენ მოვმართავ.

იდეალურ შემთხვევაში არაჩვეულებრივი იქნებოდა, ორივე რომ იყო. მე რამდენიმე მეგობარი მყავს, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ეს ურთულესი ცეკვა. მაგრამ მათ არ დაუწყიათ პოპულარულობის სურვილით; მათ უბრალოდ სურდათ, რომ ერთგულები ყოფილიყვნენ. სწორედ ამით უნდა დაიწყოს ყველამ, ვისაც ქრისტეს მოწმედ გახდომა სურს. იყო ერთგული და გავლენიანი – ნიშნავს, თითოეული სიტყვა აირჩიო ფრთხილად, მადლის გასაოცარი საჩუქრით და არ გამოიყენო სიტყვის თავისუფლება ცოდვის ლიცენზიად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რაც გვსურს, საბოლოოდ ჩვენ უფრო მაღალი ხელისუფლის წინაშე მოგვიწევს პასუხისგება. რატომ უნდა იყოს ნებისმიერი ჩვენგანი თავისუფალი მოსაზრებებში, როცა ჩვენ მოგვენიჭა დაუოკებელი წვდომა ყველაზე ამაღლებული ღვთის სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობაზე? ღვთის სიტყვა არის ფიქრების და ზრახვების წინასწარმეტყველი და არა მხოლოდ ფიქრების, ზრახვების. ჩემი ცხოვრების განმავლობაში მრავალჯერ დამიმტკიცებია იგავთა სიბრძნე, რომ მრავალსიტყვაობას ხშირად აცდენამდე მივყავართ.

„ვინც ბევრს ლაპარაკობს, ცოდვას ვერ
ასცდება, თავისი ენის მომთოკველი
კი ბრძენია“. (იგავ.10:19)

იმედი მაქვს, მეთანხმებით რომ, სოციალური მედია ყოველთვის ჯანსაღი არ არის და ის ნამდვილად არ არის ოჯახი. მისი მეშვეობით მხოლოდ იმას ვხედავთ, რაც ხალხმა აირჩია, რომ გვანახოს. ზოგჯერ ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მათ საუკეთესოს, ზოგჯერ კი – ყველაზე ცუდს. ზოგჯერ ყველაფერი რასაც ისინი ამბობენ და გვაჩვენებენ, ტყუილია. ვერც კი დავიწყებ იმაზე საუბარს, თუ რამდენ ადამიანს წარმოუჩენია თავი, ვითომ მე ვიყავი და შემდეგ არარსებული ობოლთა თავშესაფრისთვის უთხოვიათ ფული.

ვირტუალური რეალურის წინააღმდეგ

წრფელად რომ ვთქვათ, ბევრად მარტივია, დააბანდო ვირტუალურ საზოგადოებაში, ვიდრე დათესო რეალურში. წინადადებების აკრეფა სმარტფონზე ბევრად მარტივია, ვიდრე რთული საუბრები მეგობრებთან და ოჯახთან. ბლოგის წერა

გვაძლევს საშუალებას, დავთესოთ სიტყვა, რომელიც გამოიღებს დაუყოვნებლივ ყურადღებას და დადებით უკუქცევას, მაშინ როცა ჩემი რეალური საზოგადოება მოითხოვს მოთმინებას, რადგან რეალური საუბრები განსხვავებულად მიედინება. ერთი ძირითადი განსხვავებაა, მისცე სხვებს ნება, ილაპარაკონ.

ვირტუალური საზოგადოება შეიძლება იყოს კარგი: ან ცუდი, ჯანსაღი ან შეურაცხმყოფელი. ჯანსაღი ვირტუალური საზოგადოება ხელს უწყობს ჩვენს კავშირს და ურთიერთობას ჩვენს რეალურ საზოგადოებასთან. თუ შენი ვირტუალური საზოგადოება ამას აკეთებს, მაშინ კარგად იქცევა.

არასდროს ყოფილა ამდენი მიმზიდველი და დამარწმუნებელი ბლოგერი. რამდენიმე კონკრეტული სფეროს ბლოგს ვადევნებ თვალს, როგორიცაა ჯანსაღი კვება და ლიდერობის გამჭრიახობა. ამასთან, ძალიან ფრთხილი ვარ იმ საკითხში, თუ ვის ვაძლევ უფლებას, გავლენა იქონიონ ჩემს აზრებზე. მინდა ვიცოდე, რომ ისინი პასუხისმგებლები არიან ვინმეს ან რამეს წინაშე. პოპულარულობა აუცილებლად არ უთანაბრდება პასუხისმგებლობას.

როცა მარტონი ვართ ან ბრძოლებში ვართ, მარტივად ვეხვევით ისეთ წრეებში, სადაც ადამიანები ასევე მარტო არიან და იბრძვიან. შეიძლება, მშობიარობის შემდგომ დეპრესიას ან კვების დარღვევას ვებრძვით. ჩვენ ვუკავშირდებით ერთმანეთს, რადგან საერთო ნიადაგი გვაქვს. კარგია იმის ცოდნა, რომ მარტო არ ხარ და ვიღაცას ესმის შენი. ასეთი კავშირები შესაძლოა იყოს ჯანსაღი და განკურნოს, სანამ ჯანმრთელობაზე და ჩვენი სიძლიერის ჭეშმარიტ წყაროზე მიგვითითებენ. ასეთი საზოგადოებები არასწორი ხდება მაშინ, როდესაც სხვებს ნებას ვაძლევთ, ჩვენს მაგივრად იფიქრონ.

„პოპულარულობა აუცილებლად არ უთანაბრდება პასუხისმგებლობას“.

შეიძლება, ვინმეს დავუკავშირდით ონლაინ და ეს ყველადერი საკმაოდ ჯანსაღად დაიწყო. ჩვენ მოგვწონდა: მათი საყვარელი თვისებები, მოწყვლადობა და წარმოდგენელი სინატიფე. ჩვენ მოგვწონდა, როგორ ამბობდნენ ისინი ხმამაღლა, რაზეც სხვები მხოლოდ გაფიქრებას ბედავდნენ. მოგვწონდა, როგორ იყო მათი სიტყვები ამგვარ გრძნობებთან გადაჯაჭვული. მაგრამ, თუკი ჩვენი ცხოვრების ღუზას საზოგადოებაში და წმიდა წერილში არ ჩავუშვებთ, დიდი ხანი არ გავა მანამ, სანამ ის, თუ რას გრძნობენ ისინი, გახდება, თუ რას ვგრძნობთ ჩვენ.

იმაში არაფერია ცუდი, თუკი მათი კითხვები ჩვენიც გახდება, რადგან ვიცით, სად უნდა წავიდეთ პასუხებისთვის.

მაგალითად, თუკი ქალი ჩივის, რომ სიამოვნებას ვერ იღებს ქმართან სექსით, ჩვენც უბრალოდ კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ ჩვენს სიამოვნებას, თუ ვცდილობთ ინტიმურობის გაძლიერებას?

შეიძლება ბლოგერის ქორწინება დასრულდა. ურთიერთობის მზის ჩასვენება პოეტურადაა გადმოცემული და უკვე ახალი დასაწყისის, ახალი მეწყვილის დაპირებაა. იმის მაგივრად, რომ განქორწინება ორი სულის გახლეჩვად დაინახოს, ბლოგერი მას ჭეშმარიტებისა და სიყვარულის გამარჯვებად აქცევს. როცა ვირტუალურ ადამიანთან ურთიერთობაში უფრო ვართ ჩართულები ემოციურად, ვიდრე ჩვენს საკუთარ ქმართან, ჩვენ იმის რისკზე მივდივართ, რომ შეიძლება ჩვენი ქორწინებაც მათი გამოცდილების სინათლეზე დავინახოთ. ვინტერესდებით, რამდენად იქნება ქმრის მიტოვება ჭეშმარიტად ყველაზე პატიოსანი და მამაცური საქციელი.

კარგით, პაუზის ღილაკს დააჭირეთ. მართლა?

ქორწინება არის შეთანხმება ღვთის წინაშე. თუ არ მოგწონს შენი ქორწინება, დაამუშავე ის. გადადე ტელეფონი, დახურე ნოუთბუქი და უკან მოიტოვე ტყუილები სხვასთან შედარების შესახებ. გაატარეთ დრო ერთმანეთთან.

არასდროს ვუჭერ მხარს ქორწინებაში დარჩენას, თუკი თქვენ ან თქვენი შვილები რისკის ქვეშ ხართ ან თქვენი მეუღლე მოღალატეა. მე ვსაუბრობ ისეთ სიტუაციებზე, როცა მხოლოდ „გრძნობა გაქრა“ არ არის მიზეზი. ამ შემთხვევაში მიტოვება, შეიძლება, უფრო მარტივი ჩანდეს, ვიდრე მძიმე სამუშაოების შესრულება, რათა გაზარდოთ თქვენი ურთიერთობა. მაგრამ, როცა ღმერთი ჩვენ მოუდრეკელ, ურყევ და დაუძლეველ, სიყვარულით სავსე ადამიანებად გადაქცევის პროცესშია, მარტივი ის გზა არ არის, რომელსაც ის ირჩევს. მას უნდა, რომ აგვაშენოს სიტყვასა და ჭეშმარიტებაში.

ნუ გახდები საჯარო

უთანხმოებები ქრისტეს სხეულში ახალი არ არის. კორინთელთა ეკლესიის მიმართ პირველ წერილში, პავლე წერს:

„როგორ ბედავს ვინმე თქვენგანი, მეორესთან რომ აქვს დავა, უმართლოთაგან განიკითხოს და არა წმინდათა-გან? ნუთუ არ იცით, რომ წმიდათაგან განიკითხავენ წუთისოფელს? ხოლო, თუ თქვენგან განიკითხება წუთისოფელი, განა მცირე საქმეთა განკითხვის ღირსნი არ ხართ?“ (1 კორ.6:1-2)

დღეს ვინმეს სასამართლოში წაყვანა იგივეა, რაც პირადული საუბრის გასაჯაროება. ძირითადი მოდელი წერილში არის ის, რომ მივდივართ მასთან, ვინც არასწორად მოგვექცა, ჯერ – ერთი-ერთზე და შემდეგ – მეგობართან ერთად. თვინიერებით უნდა მივიდეთ, ჩვენი საუბრის მიზანი კი აღდგენა და ჭეშმარიტება უნდა იყოს. სოციალური მედიის სასამართლოს სისტემად გამოყენება არაბიბლიური ღამის კოშმარია. ბრბო არ ითვალისწინებს არც უდანაშაულობას და არც სიზუსტეს.

პავლეს წერილი ტიმოთესადმი ჭეშმარიტ და სასწრაფო შეტყობინებას შეიცავს დღევანდელი დღისთვის.

„ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში დადგება საზარელი ჟამი, ვინაიდან ადამიანები იქნებიან: სა-კუთარ თავზე შეყვარებულნი, ვერცხლის მოყვარენი, მკვეხარანი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი, ერთმანეთის მოძულე-ნი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, გასასტიკებულნი, კეთილის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, გაბღენძილნი, ღმერთზე მეტად სიამეთა მოყვარულნი, გარეგნულად ღვთისმოსავნი, სინამდვილეში კი – ღვთის ძალის უარმყოფელნი. ასეთებს ერიდე!“ (2 ტიმ.3:1-5)

ნაცნობად ჟღერს? საკუთარ თავზე შეყვარებულნი და ვერცხლის მოყვარულნი. შეამოწმე. მკვეხარანი და ამპარტავანნი. შეამოწმე. მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უწმიდურნი. შეამოწმე. ვშიშობ ჩემთვის არც ერთი არ არის გამოსატოვებელი პავლე აგრძელებს ტიმოთეს გაფრთხილებას, თუ რა დგას რისკის ქვეშ, როცა ამ ტიპის კულტურა უკვე ნორმა ხდება:

„რადგან ამათთაგან არიან, სახლებში რომ იპარებიან და ატყვევებენ უგუნურ ქალებს - ცოდვებში ჩაფლულებსა

> და სხვადასხვაგვარი გულისთქმებით მართულებს; რომლებიც მუდამ სწავლობენ, თუმცა ვერასდროს აღწევენ ჭეშმარიტების შემეცნებას“. (2 ტიმ.3:6-7)

ეს პასაჟი რთული მოსასმენია . . . განსაკუთრებით ქალისთვის. პავლეს გაფრთხილების ყურადსაღებად, საჭიროა, ღრმად ჩავისუნთქოთ და ნება მივცეთ სულიწმიდას ამ ჩარჩოში ჩაგვსვას. ვფიქრობ, სამართლიანი იქნება, თუკი ვიტყვი, რომ ეს მუხლი აღწერს ქალებს, რომლებიც ჯანსაღი საზოგადოებისა და ღვთის მიერ მიცემული მიზნის მიღმა ცხოვრობენ. როცა ნებისმიერი ჩვენგანი (ქალი თუ კაცი) იზოლირებულია და თავს უსარგებოდ თვლის, ადვილი მოსანადირებელი ხდება მათ მიერ, ვისაც ჩვენზე უპირატესობის მოპოვება შეუძლია.

ყველამ ვიცით, რომ ბევრად მეტისთვის ვართ შექმნილნი, ვიდრე მხოლოდ ამქვეყნიურობაა. მოწყენილობა და დეპრესია ცხოვრებას პასიურად, მხოლოდ სხვების ყურებაში გაგვატარებინებს. ჩვენ ვწერთ კომენტარებს ბლოგებზე, ვატარებთ საათებს სოციალურ მედიაში და ვერთვებით დრამაში, რომელიც ჩვენი არ არის. მოდი, წრფელები ვიყოთ: უფრო მარტივია, დაპოსტო შენი მოსაზრება, ვიდრე ილოცო. როცა ვიცით, რომ რაღაცის ასაშენებლად ვართ მოწოდებულნი, მაგრამ შესაძლებლობა გვაკლია, ჩვენ მოწყვლადები ვართ შესაძლებლობებისთვის.

მეორეს მხრივ, ზოგჯერ მერყეევები და უბედურები ვხდებით, როცა ზედმეტად ვართ საზოგადოებაში ჩართულნი და დრო არ გვრჩება საკუთარი სულისთვის. ვერ გეტყვით რამდენი ისტორია მაქვს მოსმენილი, ქალისგანაც და კაცისგანაც, როცა საოცრად დატვირთულმა ცხოვრებამ უკიდურესად გამოფიტა და ბევრმა მათგანმა შემდეგ ონლაინ დაიწყო ურთიერთობების გაბმა.

ჩემი პირველი რეაქცია იყო: ვის ჰქონდა ამის დრო? იმის დროც კი ძლივს გაქვს, რომ შენს მეუღლეს ელაპარაკო; როგორ ხდება, რომ ვიღაც უცხოს ესსეებს წერ? შემდეგ აღმოვაჩინე, რომ ონლაინ ურთიერთობები თავის დაღწევაა. ეს იმ ადგილად წარმოჩნდება, სადაც მათ არ სჭირდებათ იყვნენ პასუხისმგებლიანები. იმის ნაცვლად, რომ ცხოვრების სტილი შეცვალონ დროის გამოსანთავისუფლებლად, ისინი საკუთარ თავს ანადგურებენ.

რთული ოჯახური საუბრების დროა. დახურე ნოუთბუქი! გადადე ტელეფონი! ელაპარაკე შენს შვილებს! გაატარე დრო

შენს მეუღლესთან ერთად! შეხვდი მეგობრებს ყავის დასალევად! ესაუბრე მათ ტელეფონით! დარწმუნდი, რომ დროს გამოყოფ ინვესტიციის ჩასადებად იმაში, რაც რეალურია.

დიახ, ეკლესიას სჭირდება, მოუსმინოს მისი ქალიშვილების საჭიროებებს. ქალებს სტკივათ. ქალთა ყოველწლიური შეკრება კარგია, თუმცა საკმარისისგან ძალიან შორსაა. ქალები მეუბნებიან, რომ დაიღალნენ სწავლით და არასდროს კეთებით, მაგრამ ონლაინ უსაქმურობაც არ არის კეთება. იმ რაღაცების გაკიცხვა, რაც არ მუშაობს, არ არის საკმარისი. მოდი, ქრისტეს სხეულისთვის ჯანსაღი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნაწილი ვიყოთ. მოდი, გავყვეთ იესოს პირველი მიმდევრების მაგალითს, ვინც ერთად ჭამდნენ და ერთად სწავლობდნენ. სამყაროში გასვლა და დამოწაფება ჩვენი ახლანდელი სამყაროთი იწყება.

„სამყაროში გასვლა და დამოწაფება ჩვენი ახლანდელი სამყაროთი იწყება!“.

მრავალ ეკლესიაში ქალებს აქვთ ნებართვა, მაგრამ არა პოზიცია. ამის შესაცვლელად საჭიროა, დავსხდეთ და სწორი საუბარი გვქონდეს სწორ ადამიანებთან. ონლაინ ასოციაციები კარგია, მაგრამ მწერალი, ბლოგერი, ფეისბუქ „მეგობარი“, თვალებში ვერ ჩაგხედავს. ვიღაც ტვიტერზე, მკლავებში ვერ მოგიქცევს. ჩვენ გვჭირდება ადამიანები ახლოს, პირადად. მრავალი სიტყვით, ჩვენ ვართ დეპერსონირებული იმ ადამიანებისგან, ვისაც იესო სჭირდება.

ამ თავზე მუშაობისას, იგავთა და ეკლესიასტეს წიგნები მიმიძღოდნენ სიტყვის მოუდრეკლობაში. დანართ 2-ში, 50 იგავი მაქვს შეტანილი, რომელიც დაგეხმარებათ სიტყვების შერჩევაში, და რომელიც ისე შემოაღწევს შენს გონებაში, რომ შეგეძლება ბრძნულად მოაქციო შენი ცხოვრება ჩარჩოში.

ძვირფასო ზეციურო მამა,
დაე, სიბრძნით გავხსნა პირი და კეთილი დარიგება იყოს ჩემს ენაზე! (იგავ. 31:26-ის თანახმად). დამანახე ჩემი ოჯახი, ვისთანაც შემიძლია ღრმა საუბრები მქონდეს იმ თემებზე, რაც მაწუხებს! მაპატიე, რომ დავივიწყე, რომ შენ ერთგულად წმენდ და ამზადებ შენს საპატარძლოს! მე გამოვიყენებ ჩემს სიტყვებს ასაშენებლად და არა დასანგრევად, განსაკურნავად და არა ჭრილობის მისაყენებლად, წინასწარმეტყველებისთვის და არა კრიტიკისთვის. ამინ.

ადამანტურად ტრანსფორმაცია

„თაყვანისცემა არის მთელი ჩვენი ბუნების ღვთისადმი დამორჩილება. ეს არის ცნობიერების მისი სიწმიდით გაცოცხლება, გონების მისი ჭეშმარიტებით კვება, წარმოსახვის მისი სილამაზით განწმენდა, გულის მისი სიყვარულისთვის გაღება, სურვილის მისი მიზნისთვის დამორჩილება“.

ვილიამ ტემპლი

ბოტა ხნის წინ ჩემი სამი შვილიშვილი ალუბლის საკრეფად წავიყვანე სამეზობლოში. არ ვიცი, იმიტომ მოხდა, რომ მხოლოდ ერთ თვალში მაქვს მხედველობა, თუ იმიტომ, რომ დამავიწყდა, რას ნიშნავს, თვალი ადევნო სამ პატარას, მაგრამ დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ერთ-ერთი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. როცა ტოტი ძირს დავხარე, რათა სოფიას თავისი ხელით დაეკრიფა ალუბლები, მან დაიყვირა „ლიზი!“ და ქუჩისკენ მიმითითა. იმ წამსვე მოვტრიალდი ორი წლის ლიზის დასანახად, რომელიც გზაზე მიბაჯბაჯებდა. ტოტს ხელი გავუშვი და გავიქეცი. მანქანა მიემართებოდა მისკენ.

„გაჩერდი! ლიზი, დაბრუნდი!“ -დავიყვირე. ლიზი შემობრუნდა, თვალებში სიცელქე უკრთოდა. მომაჯადოებლად გაიცინა და გაიქცა. იფიქრა, რომ დაჭერობანას ვთამაშობდით.

ხელების ქნევით გადავუდექი მომავალ მანქანას წინ, ვეჭვობდი, რომ ლიზის პატარა პუტკუნა სხეულს ვერ დაინახავდა და მძღოლს ვანიშნებდი, გაჩერებულიყო, რადგან ცხადი იყო, რომ ლიზი შენელებას არ აპირებდა.

გზის შუაში დავიჭირე, როცა მეორე ხაზის გადასაკვეთად ემზადებოდა. ხელში ავიტაცე და მისი მოფართხალე სხეული ჩემს ლამის ამოვარდნილ გულთან ახლოს მივიკარი. უსაფრთხოდ ველოდით შუა გზაზე, სანამ ორმხრივი მოძრაობა გაივლიდა, რათა გზაზე გადავსულიყავით და მის დასთან და ძმასთან მივსულიყავით.

ლიზი სიცილს აგრძელებდა იმაში დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი საუცხოო თავგადასავალი იყო. ყველაფრის შემდეგ საიდან ეცოდინებოდა ორი წლის ბავშვს, როგორ გამოიყურება მანქანასთან შეჯახება? სოფიას, მის ხუთი წლის დას, არასდროს გამოუცდია მანქანასთან შეჯახება, მაგრამ იცოდა, რომ ეს ცუდი იყო, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საშიში და პოტენციურად მომაკვდინებელიც კი იყო. დარწმუნებული იქნებით, რომ დანარჩენი დღე ლიზიმ ჩემს ხელში მჭიდროდ მოკრულმა გაატარა.

დარწმუნებული ვარ, ყველა მიხვდებით ჩემს მიდგომას ლიზისთან . . . უსაფრთხოდ ჩემს მკლავებში ან მჭიდროდ ჩემს ხელებში. ყველამ ვიცით, რა ზიანის მოყენება შეუძლიათ მანქანებს. ჩემმა ცოდნამ განაპირობა ჩემი გავარდნა გადატვირთულ ტრასაზე და ლიზის გადარჩენა.

ამ თავში მე ვაპირებ, მივატოვო გვერდზე მოსიარულის უსაფრთხოება და შევვარდე ორმხრივი გზის საფრთხეში. იმედი მაქვს, მოუსმენთ ჩემს გულს, რადგან თუკი ჩვენს უფალს არ მივცემთ ნებას, შეცვალოს ის გზა: რომლითაც ვფიქრობთ, ვცხოვრობთ და გვიყვარს, მრავალი ადამიანი ვერასდროს იხილავს მის სიყვარულს და სინათლეს ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. არ გვინდა გავრისკოთ და ფარისეველივით ვიცხოვრით და ტვირთი დავადოთ ჩვენს შთამომვალობას, რომლის სატარებლადაც ჩვენ არაფერი გვიკეთებია (მათ. 23:4).

„ჩვენ აქ ვართ, რათა გამოვაცხადოთ თავისუფლება ყველა ტყვედ წაყვანილზე“.

ჩვენ ვცხოვრობთ დროში, რომელიც სიბრძნესა და თანაგრძნობას მოითხოვს. ჩვენ აქ ვართ, რათა გამოვაცხადოთ თავისუფლება ყველა ტყვედ წაყვანილზე. ჩვენ გათავისუფლების აგენტები ვართ.

ჩვენ არ ვართ ციხის დაცვა, ზედამხედველი ან მოსამართლე, რომელიც არჩევს, ვის მიანიჭოს თავისუფლება. პირიქით, ჩვენი დღევანდელი გაურკვევლობის პასუხს თავისუფლების ადგილისთვის ციხის დაძახებაში ვერ ვიპოვით.

დირე

> „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხოთ! რადგან, როგორც თქვენ განიკითხავთ, იმგვარადვე განიკითხებით და რომელი საწყაოთიც მიუწყავთ, იმავეთი მოგეწყვებათ. რატომ უყურებ ბეწვს შენი ძმის თვალში, საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ? ან როგორ ეუბნები შენს ძმას: მიმიშვი, თვალიდან ბეწვი ამოგიღოო, და აჰა, შენს თვალში კი დირეა! თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე და მერე დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან!“ (მათ.7:1-5)

როგორც ჩვეულებრივმა გადასახადების შემგროვებელმა, მათემ ზუსტად იცოდა რას ნიშნავდა როცა სხვები განგსჯიან. რაც უნდა დავიმახსოვროთ ამ ნაწყვეტიდან, არის: *ნუ განსჯი!* ეს კარგია, მაგრამ ამ ნაწყვეტისთვის არასრულყოფილი განმარტებაა. მოდი, უფრო მეტად დავაკვირდეთ, რას ვამბობთ. როცა პირველად გავხდი ქრისტიანი, ისეთ განსჯას ვგრძნობდი სხვა ქრისტიანებისგან, რომ ვცადე, მათ კონტრგანსჯით დავპირისპირებოდი. მაგალითად, ჩემი ორგან გახვრეტილი ყური სკანდალურად და თვითდასახიჩრების ფორმად მიიჩნეოდა. მე ასეთ ქრისტიანებს რელიგიური ფანატიკოსის დაძახებით დავუპირისპირდი. მადლობა ღმერთს, ბლოგთან არ მქონდა წვდომა! ჩემი იარლიყები ჩემს გონებაში რჩებოდა. და ვისი განსჯა უფრო სასტიკი იყო? ჯობია პასუხისმგებლობა ჩემ თავზე ავიღო და ვთქვა, რომ ჩემი უფრო სასტიკი იყო.

ჩემმა ორგან გახვრეტილმა ყურმა დააბნია ისინი, მე კი ჩემი ბრალმდებელნი გავკიცხე.

მათ პატარა ხიჭვი ქონდათ, როცა ჩემს თვალში იმხელა ხე იყო, რომ გასართობ ცენტს ააშენებდა. ჩემი დირე ხელს მიშლიდა მათი ხიჭვის დანახვაში. ამის შესაცვლელად რამდენიმე რაღაც უნდა მომხდარიყო. პირველი ნაბიჯი: უნდა მეღიარებინა, რომ დირე მქონდა.

დირე თვალში თვალის ახვევის ფუნქციას ასრულებს . . . ერთადერთი, რასაც ვხედავთ, არის სიბნელე სხვებში. მოდით,

უფრო ღრმად განვიხილოთ! არავის სურს, ბრმა ადამიანმა ჩაუტაროს რაიმე სამედიცინო პროცედურა. მოდი, მოვიშოროთ ჩვენი თვალის სახვევები და ჩვენს საკუთარ პრობლემებს გავუმკლავდეთ, შედეგად დახმარებას შევძლებთ და არა სხვების გულისტკენას.

იცით, ჩვენი განმკითხავი მეგობარი მართალი იყო მათეს მე-7 თავში: მის ძმას მართლა ჰქონდა ბეწვი თვალში, რომელსაც მოშორება სჭირდებოდა. უბრალოდ იესომ მას თვალთმაქცი უწოდა, რადგან სხვის არასწორზე მიუთითებდა, მაშინ როცა თვითონ იყო ბრმა თავის მდგომარეობაში. სხვების დახმარება ამ მდგომარეობაში კონტრპროდუქტიულია. ეკლესია თითს იშვერს ქვეყნიერებისკენ, როცა ღმერთს სურს ნება მივცეთ მის სიტყვას, რომ გამოგვაფხიზლოს.

სადმე მიგვიყვანა დღევანდელი დღის ბოროტებაზე ტირილმა?

ბიბლია ცხადად ამბობს, რომ ცვლილება მოდის, როცა ჩვენ ვცვლით პოზას.

> „და ჩემი ხალხი, რომელიც ჩემი სახელით იწოდება, ქედს მოიდრეკს, ილოცებს, ჩემს სახეს მოძებნის და შემობრუნდება თავისი ბოროტი გზიდან, მაშინ მოვუსმენ ზეციდან, ცოდვას მივუტევებ და განვკურნავ მათ მიწას“. (2 ნეშტ. 7:14)

ღმერთი უყურებს თავისი ხალხის პოზიციას. ეს ნაწყვეტი ხაზს უსვამს დამოკიდებულებას თაყვანისცემისკენ და მონანიებისკენ. სიყვარულის გარეშე, შეიძლება, ვიყოთ უკიდურესად მართლები და ამავდროულად, საშინლად არასნორები.

ჩვენს მიწას განკურნება სჭირდება.

ეს განკურნება ჩვენით იწყება.

იგი იწყება, როცა ღვთის ხალხი თავს დაიმდაბლებს, ილოცებს, ზურგს აქცევს თავის მანკიერებებს და ღვთის სახის ძიებას იწყებს. აცნობიერებ, რამდენად ძლევამოსილია ეს ყველაფერი? არ აქვს მნიშვნელობა, ვის აქვს ძალაუფლება. არ აქვს მნიშვნელობა რომელი კანონმდებლობა მოქმედებს. ჩვენ არ ვართ ვალდებულები, ყველა ადამიანი შემოვაბრუნოთ მათი ბოროტი საქციელებისგან . . . ჯერ ჩვენი საკუთარი დირე უნდა მოვიშოროთ და შემდეგ ვიმოქმედოთ შესამაბისად.

ტრანსფორმაცია იწყება, როცა თავად ვფლობთ ჩვენს პრობლემებს და ვირჩევთ ჭეშმარიტებაში ცხოვრებას. ტრანსფორმაცია იმ ჭეშმარიტების მიხედვით არ იზომება, რომელიც ვიცით, არამედ იმითაა არეკლილი, რომელშიც ვცხოვრობთ. სიყვარული არის ჩვენი ტრანსფორმაციის პროცესის გასაღები. რწმენის, იმედის, და სიყვარულის ფაქტორების გარეშე, ტრანსფორმაცია შეუძლებელია. სიყვარულის ნაკლებობაა სწორედ ის უმთავრესი მიზეზი, რომელიც სიწმიდეს და ტრანსფორმაციას გვაშორებს.

„ტრანსფორმაცია იწყება, როცა თავად ვფლობთ ჩვენს პრობლემებს და ვირჩევთ ჭეშმარიტებაში ცხოვრებას“.

სწორედ ამიტომ არ არის ახლა პოპულარული იმის თქმა, რომ ნებისმიერი რამე ან ვინმე შეიძლება იყოს მცდარი. ეკლესიამაც კი პოლიტიკურად უფრო სწორი პოზიცია შეითვისა იმის სათქმელად, რომ არ არსებობს აბსოლუტები, და ის რაც ჩემთვის არასწორია, შესაძლოა სწორი იყოს შენთვის. ეს არ არის საკმარისი. თაობა მსჯავრდადების გარეშე, არის თაობა ტრანსფორმაციის გარეშე.

მე მინდა შევიცვალო. ამ წუთისოფელს სჭირდება, რომ მე შევიცვალო. ყოველი დღე არის ახალი შანსი მიჰყვე იესოს და შეიცვალო მის მსგავსებაში. მადლიერი ვარ, რადგან ღმერთმა ჩამომაშორა სირცხვილი, რომელიც მფარავდა, რათა სამართლიანობით შევემოსე. იესო არ მაშორებს უღელს ჩემი სამარცხვინო საქციელებისთვის სამართლიანის დარქმევით. ის არც ჩემს ბინძურ ტანისამოსს უწოდებს სუფთას, მან გაწმიდა ის თავისი სიტყვით.

სირცხვილი არასდროსაა ის, რაც ვართ, მაგრამ არის მომენტები, როცა სირცხვილი არის ის, რასაც ვგრძნობთ. არის მომენტები, როცა ჩვენს ქმედებებს მხოლოდ სამარცხვინო შეიძლება ეწოდოს. მე მოვქცეულვარ სამარცხვინოდ. ეს ნიშნავს, რომ მე მითქვამს და მოვქცეულვარ ისე, რისიც მრცხვენია. როცა ნებას ვაძლევთ სირცხვილს, ზურგი გვაქცევინოს ღვთისთვის ვცდილობთ, საკუთარი თავი ლეღვის ფოთლებით დავფაროთ, და შედეგად, ჩვენს გარშემო მყოფთ ვადანაშაულებთ. ჩვენ გვაქვს არჩევანი, შეგვიძლია, ნება მივცეთ სირცხვილს, დაგვაშოროს ღმერთს ან მოვტრიალდეთ სიბნელიდან და ნება მივცეთ მის სინათლეს და სიყვარულს უფრო მიგვაჯაჭვოს ჩვენს შემოქმედს.

მისი სიყვარულისა და სიწმიდის სინათლეში, ღმერთი საბოლოოდ გვაშორებს სირცხვილს.

ჩემი სირცხვილი არ გამქრალა, ჩემი საცოდავი საქციელებისა და ცოდვებისთვის საბაბების გამოძებნით. მე უკან ვერ მივიხედები და ჩემს სამარცხვინო ქმედებებს პატივსაცემს ვერ ვუწოდებ ჩემი გარემოებებისს გამო. ჩემი სირცხვილი გაქრა, როცა ზურგი ვაქციე ტყუილით ცხოვრებას და ავირჩიე ჭეშმარიტებაში ცხოვრება.

ტრანსფორმაცია არ იტყუება და არ უარყოფს ჩვენს სიშიშვლეს.

ის არ უწოდებს შიშველს შემოსილს.

ის არ ემალება ღვთის თანდასწრებას ლეღვის ფოთლებისა და ხეების მიღმა.

ტრანსფორმაცია იწყება, როცა ვაღიარებთ ჩვენს სიშიშვლეს.

ის აღიარებს ჩვენს დამარცხებებს, როცა ვცდილობდით, ჩვენი თავი დაგვეფარა მუდმივი მახეებით და ამქვეყნიური ლეღვის ფოთლებით.

ის აღიარებს, რომ ეს ყველაფერი რეალურად არასდროს გვფარავდა.

ის გვერდზე დებს ყველანაირ ფუჭ, ადამიანურ მცდელობებს და სთხოვს ჩვენს წმიდა მამას, რომ შეგვმოსოს ჭეშმარიტებაში.

როცა ქრისტეს უფლობაში მოვდივართ, გვერდზე ვდებთ ჩვენს სამარცხვინო, თვითნებურ საქმეებს და გზას ვაგრძელებთ, როგორც სინათლის შვილები. ეფესელთა 4:21-25 აღწერს ამ გაცვლას:

> „რადგან მოგისმენიათ მისთვის და მასში ხართ განსწავლულნი, ვინაიდან იესოშია ჭეშმარიტება, რათა განიშოროთ ძველი კაცის წინანდელი ცხოვრება, მაცდური გულისთქმებით რომ იხრწნება და განიახლოთ თქვენი გონება სულით და შეიმოსოთ ახალი კაცით, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში. ამიტომ განიშორეთ სიცრუე და თითოეულმა ჭეშმარიტება ელაპარაკოს თავის მოყვასს, ვინაიდან ერთიმეორის ნაწილები ვართ“.

თავიდან მოიშორე! მადლის სულიწმიდა უფლებამოსილს გვხდის, მოვიშოროთ ჩვენი უწინდელი დაცემული ბუნება და თვითსამართლიანობის ტალახიანი სუდარა, თითქოს ისინი სიკვდილის სუდარები იყოს. (რადგან არიან!) ვის ენდომება

ახალი შესამოსლის ჩაცმა ძველ, ტალახიან სუდარაზე? ადრე თუ გვიან, ბინძური შესამოსლის ლაქა და სიმყრალე გაჟონავს და ახალსაც გააფუჭებს. და ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აიტანს ორივეს ჩაცმის სიმძიმეს. ჩვენ თავიდან ვიშორებთ ძველ ბუნებას თავისი ძველი მაგალითებით, როცა ვანახლებთ ჩვენს გონებას და დამოკიდებულებას ღვთისმოსავისა და წმიდას მიმართ.

როცა უკეთ *ვიცით*, უკეთ *ვაკეთებთ*.

როცა *ვიცით* ჭეშმარიტება (იესო), ჩვენ უფლებამოსილები ვართ *ვაკეთოთ* ჭეშმარიტება.

გულისთქმას აღარ აქვს უფლება, დაამახინჯოს ჩვენი მისწრაფებები. სიმდიდრის სიხარბეს და თვალთმაქცობას აღარ აქვს უფლება, დაჩრდილოს ჩვენი გონება. იმის მაგივრად რომ ძველს ახალი დავუძახოთ, ჩვენ ვანახლებთ.

კიდევ ერთი შეხედვა შემწყნარებლობაზე

შემწყნარებლობა, თავისთავად, ჰუმანურად ჟღერს. მაგრამ, რასაც ვითმენთ ჩვენს თავებში, არ შეიცვლება; რასაც ვირჩევთ, რომ განზრახ არ შევიწყნაროთ, ის შეიცვლება.

ცოტა ხნის წინ, ჩემი ვაჟის სახლში ვიყავი, და ერთ-ერთმა ჩემმა შვილიშვილმა (რომელიც უსახელოდ დარჩება) წარმოიდგინა, რომ კარგი იდეა იქნებოდა, თუკი ხელის სადენზინფექციო საშუალება გამოყენების გზებს განავრცობდა. მან აჭამა ის თავის დას, რომელმაც დიდად ვერ ისიამოვნა ამით, და დაუყოვნებლივ მამამისს აცნობა. როცა მამამისმა ამის შესახებ გაიგო, ძალიან მომთმენი აღმოჩნდა ამ საქციელის მიმართ. მართალია, მაშინვე სიყვარული გამოხატა, თუმცა მაინც ჩაატარა სერიოზული საუბარი ხელის სადენზინფექციო საშუალების გამოყენებაზე. მის შვილს მარაგი ჩამოერთვა მანამ, სანამ დარწმუნდებოდნენ, რომ ხელი პირში აღარ აერეოდა.

„რასაც ვითმენთ ჩვენს თავებში არ შეიცვლება; რასაც ვირჩევთ, რომ განზრახ არ შევიწყნაროთ, ის შეიცვლება“.

მამამისი ძუნწი იყო? რა თქმა უნდა, არა! ის, რაც *იცავს* ჩვენ ხელებს გარედან, შეიძლება, *მომწამვლელი* აღმოჩნდეს ჩვენს შიგნით. ის ცდილობდა, რომ ეს ყველაფერი უსაფრთხოდ შეენახა სახლში. მან იცოდა უკეთ, და არა მისმა

ქალიშვილმა. როცა ჩვენ უკეთ ვიცით, ჩვენ ვასწავლით სხვებს. არ უნდა ველოდოთ, როცა ბავშვი გაიგებს, რომ ყველა სითხე, რასაც კარგი სუნი აქვს, არ შეიძლება, პირში გავიქანოთ. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ უპირველესად, რათა უკეთ იცოდნენ მომავალში.

გთხოვ, მამაცი იყავი ამ მომენტში და ნუ იფიქრებ ამ ჭეშმარიტებაზე სხვების გადმოსახედიდან! მასში გაეხვიე!

რას მოითმენდი ან მიიღებდი შენს პირად ცხოვრებაში?

რომელ სფეროებში გჭირდება, რომ ნაკლებად დამთმობი იყო ან საერთოდაც არ იყო მომთმენი?

რა გიშლის ხელს ტრანსფორმაციაში?

ღვთის მიბაძვა

ეფესელთა მე-5 თავი გვარიგებს:

„მაშ, მიბაძეთ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა; იარეთ სიყვარულში ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირად და მსხვერპლად, სასიამოვნო კეთილსურნელებად“. (ეფ.5:1-2)

ძალიან მომწონს როგორ გამოხატავს ამ მუხლს სხვა თარგმანი (The Passion Translation):

„მიყევი ღმერთს და მიბაძე ყველაფერში, რასაც ის აკეთებს, რათა წარმოადგინო შენი მამა, როგორც მისმა საყვარელმა ძემ და ასულმა! და განაგრძე სიარული მის უზომო სიყვარულზე მიძღვნილმა, რადგან მან მიუძღვნა თავისი სიცოცხლე ჩვენთვის მსხვერპლად! მისი უდიდესი სიყვარული ჩვენდამი იყო ღვთის საამებლად, როგორც თაყვანისცემის სურნელება — ტკბილი, მაკურნებელი კეთილსურნელება ზეცაში და მიწაზე“.

ეს პირველი ორი მუხლი ცოტა საკამათო საკითხს მოიცავს. პავლეს ახალი დამთავრებული ჰქონდა სიკეთის მნიშვნელობაზე საუბარი. ჩვენ ყველას გვსურს მივბაძოთ ღმერთს იმით, რომ მოვიქცეთ მისი ძესავით, იესოსავით. ეს უპირველესად გულისხმობს სიყვარულში სიარულს. იესო სიყვარულის

უსუფთავესი გამოხატულება იყო, იესოსთვის მიბაძვა ასევე ნიშნავს: სისუფთავეში, დათმობაში და მორჩილებაში სიარულს. შემდეგი მუხლი აგრძელებს იმის აღწერას, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ყოფაქცევა დროში, რომელიც უწესობითა და სიბინძურითაა გაჟღენთილი:

> „ოღონდ სიძვა, ყოველგვარი უწმიდურება და ანგარება აღარ იხსენებოდეს თქვენ შორის, როგორც წმიდათ შეშვენით. ასევე არ შეგფერით ბილწსიტყვაობა, ლაქლაქი და დაცინვა, არამედ, პირიქით – მადლიერება“. (ეფ. 5:3-4)

აი, როგორ გადმოსცემს ამ მუხლებს სხვა თარგმანი (The Passion Translation):

> „ამ სიყვარულს არაფერი აქვს საერთო სიძვასთან, გულისთქმებთან და ანგარებასთან, რადგან თქვენ მისი წმიდანი ხართ. დაე, ვერავინ დაგადანაშაულოთ ამ ყველაფერში! აკონტროლე შენი ლაპარაკი! მიატოვე უხამსობა და უსარგებლო შეურაცხყოფა! ეს უაზრო სიტყვებია, რომელთაც შერცხვენა მოაქვთ და არაფერშია საჭირო. ნაცვლად, დაე, თაყვანისცემამ აავსოს შენი გული და გადმოიღვაროს შენს სიტყვებში, როცა ერთმანეთს ღვთის სიკეთეზე გაახსენებთ!“

მგონი, ყველამ ვიცით, რომ ეკლესიაში, შეიძლება, ადამიანები ზოგჯერ სულიერად ძალიან გაღარიბებულები იყვნენ. იმის მაგივრად რომ ეს მუხლები ჩვენს განსაწმენდად გამოვიყენოთ, მათ იმ ადამიანების დევნისთვის ვიყენებთ, ვისაც თავი მეტად დამნაშავეებად მიაჩნიათ. სიყვარულის და პასუხისმგებლობის ლიმიტები ბუნდოვანი გახდა. ძირითადად, ეს ხდება, რადგან ადამიანებმა (ქრისტიანებმა) არ შეიყვარეს და არ იცხოვრეს ჭეშმარიტებაში კარგად. ვიცი, რომ გინდათ ეს ცვლილება იხილოთ.

იმისათვის, რომ ჭეშმარიტების შეყვარებაში და მასში ცხოვრებაში დაგეხმაროთ, მინდა რომაელთა წიგნიდან სამი იდეა მოგაწოდოთ:

1. ჩვენი ღვთის რეალურობა
2. ჩვენი დროის რეალურობა
3. ჩვენი რეალურობა

მესამე პუნქტი არის სწორედ ის, რომელზეც ჩვენი სწავლების ძირითადი ნაწილის დათმობას ვაპირებ. სწორედ ესაა ადგილი, სადაც ჩვენი გულები უნდა გამოვიკვლიოთ, და დირეები მოვიშოროთ.

ვაპირებ თითოეული მუხლი ორი თარგმანის მიხედვით განვიხილო - the English Standard Version და the Message- რადგან ის, რაც ერთში ბუნდოვანი ჩანს, შეიძლება მეორეში ცხადი იყოს. მოდით პირველ რიგში ხელში ჩავიგდოთ ღვთის რეალურობა.

ღვთის რეალურობა

„იმიტომ, რომ ცხადია მათთვის, რაც შეიძლება იცოდნენ ღმერთზე, რადგან ღმერთმა განუცხადა მათ. ვინაიდან ქვეყნიერების დასაბამიდან ქმნილებათა განხილვით შეიცნობა უხილავნი ღვთისა - მისი მარადიული ძალა და ღვთაებრივობა. ასე რომ, ვერ გამართლდებიან ისინი“. (რომ.1:19-20)

„ვინაიდან ღვთის ძირითადი რეალურობა ძალიან მარტივია. თვალი გაახილე და მასაც იხილავ! იმ ყველაფერზე ღრმა დაკვირვებით, რაც ღმერთმა შექმნა, ადამიანები ყოველთვის ხედავდნენ, რაც მათი თვალისთვის უხილავია: მარადიულ ძალას, მაგალითად, მარადიულ ძალას მისი ღვთაებრიობის საიდუმლოებას. ასე რომ არავის აქვს კარგი გასამართლებელი“. (Message)

ყველაფერი, რასაც ვხედავთ, აცხადებს უხილავი ღვთის არსებობაზე. ყველაფერი, რაც ვიცით, ავლენს უცნობის რეალობას. ქმნილება ავლენს ღვთის საოცარ და უსაზღვრო შემოქმედებითობას. არავის არასდროს რომ არ ეთქვა შემოქმედის არსებობის შესახებ, ბუნების სიმფონია აგვიხელდა თვალს და ყურს მის არსებობაზე. ყველაფერი

„ყველაფერი რაც კი შექმნილია, ავლენს მას, ვისაც არ ჰყავს შემოქმედი“.

რაც კი შექმნილია, ავლენს მას, ვისაც არ ჰყავს შემოქმედი. მხოლოდ ჩვენი ღმერთია უზენაესი. ის არის უფალთ უფალი, ერთადერთი და ყველაზე ამაღლებული.

ფსალმუნები საოცრად ხატავენ ღმერთს:

„რადგან დიადია უფალი და დიდად საქებარი, ყველა ღმერთზე საშიშია იგი. რადგან ხალხთა ყველა ღმერთი კერპებია, უფალმა კი ცანი შექმნა. სიდიადე და ბრწყვინვალეებაა მის წინაშე, ძალა და მშვენიერებაა მის საწმიდარში“. (ფსალ.95:4-6)

და:

„მის წინ დადის ცეცხლი და სწვავს მის მტრებს ყოველი მხრიდან. მისი ელვანი სამყაროს ანათებენ, ხედავს დედამიწა და თრთის. ცვილივით დადნა მთები უფლის წინაშე, მთელი ქვეყნიერების უფლის წინაშე“. (ფს. 96:3-5)

შეუძლებელია, წაიკითხო ეს მუხლები და მოკრძალებული შიში არ გაგიჩნდეს.

ჩვენი დროის რეალურობა

აღმოვაჩინე რომ, როცა ვჩერდები და ვფიქრობ დღევანდელი დღის რეალობაზე, მუდმივად ამ კითხვას ვსვამ: „მამა, რა მოხდა?“

როცა რომაელთა წერილის კითხვას ვაგრძელებთ, შემდეგი მუხლები აცხადებენ, როგორ მოხდა ეს ცვლილება:

„რადგან შეიცნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლობდნენ, არამედ ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული. თავიანთ თავს ბრძენთ უწოდებენ და გამოსულელდნენ“. (რომ.1:21-22)

და სხვა თარგმანიდან:

„და აი, რა მოხდა: ადამიანები შესანიშნავად იცნობდნენ ღმერთს, მაგრამ მაინც არ ეპყრობოდნენ ისე, როგორც ღმერთს, უარყოფდნენ მის თაყვანისცემას, დაწვრ-

ილმანდნენ სისულელეში და დაბნეულობაში ისე, რომ არც გრძნობა დატოვეს და არც მიმართულება თავიანთ ცხოვრებაში. თავს აჩვენებდნენ, რომ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ უცოდინრები იყვნენ ცხოვრების შესახებ“.

როცა არ ვცემთ პატივს ღმერთს და ძირს ვუთხრით მის არსებობას ჩვენი ცხოვრების გამოხატვით, ჩვენ ცხადად ვაწვრილმანებთ ჩვენს თავს უცოდინარ ცხოვრებაში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვკითხულობთ, მაგრამ ჭეშმარიტად ვერასდროს ვიგებთ. მაშინ როცა ყველა ქმნილება აცხადებს მის რეალობაზე, რთულია, არ აღიარო რომ არსებობს შემოქმედი, მაგრამ ღვთის შესახებ ცოდნა, ძალიან განსხვავდება ღვთის თაყვანისცემისგან. ერთია, აღიარო მისი არსებობა, და საერთოდ სხვაა, მუხლი მოიყარო. ჩვენ მხოლოდ მისი თაყვანისცემისას შეგვიძლია გავიცნოთ ღმერთი. როცა არ ვცემთ პატივს მას, ვის პატივსაცემადაც შევიქმენით, ჩვენი აზროვნება გადაგვარებული ხდება. სტანდარტულ თარგმანში გამოყენებულია სიტყვა „*ამაო*“, რაც უსარგებლოს, ფუჭს, უნაყოფოს ნიშნავს. ეს აღწერს ფიქრს - სარგებლიანობისა და შენების უნარის გარეშე. სხვა თარგმანში ეს მუხლი ასე ჟღერს: „თავს აჩვენებდნენ რომ ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ უცოდინრები იყვნენ ცხოვრების შესახებ“.

ყველას ძალიან გვადარდებს დღევანდელი დღის რეალობა. არასდროს ყოფილა თაობა, ამაზე დიდი წვდომით ინფორმაციასთან, და მაინც ამაზე, მცირე მიზნის სიცხადით. უამრავი გამოწვევის წინაშე ვდგებით, როცა საქმე ჯანსაღ ურთიერთობებს ეხება. ჩვენი ფაქტობრივი კავშირის ხარჯზე ვირტუალურ პიროვნებას ვავითარებთ. ვისწავლეთ ერთი საკითხიდან მეორეზე გადახტომა და იშვიათად ვყოვნდებით საკმარისად დიდხანს ერთ ადგილას, სანამ გავეცლებით. ყურადღების გამახვილება და შეჩერება თაყვანისცემისთვის დაკარგულ უნარად იქცა.

„ყურადღების გამახვილება და შეჩერება თაყვანისცემისთვის, დაკარგულ უნარად იქცა“.

რომაელთა წიგნი აგრძელებს იმაზე საუბრით, თუ რა მოხდება, როცა უარვყოფთ ღვთის თაყვანისცემას და ჩვენთავს სხვა რაღაცებზე გავფლანგავთ:

„და უხრწნადი ღვთის დიდება გაცვალეს ხრწნადი: ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში. ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა მათივე გულისთქმების უწმიდურებას, რათა თვითონვე შეებილწათ თავიანთი სხეულები ერთმანეთში. რომელთაც ღვთის ჭეშმარიტება სიცრუით შეცვალეს, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილებას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე, ამინ!“ (რომ.1:23-25)

და სხვა თარგმანში:

„ისინი ყიდნენ ღვთის დიდებას, რომელიც მთელ სამყაროს თავის ხელებში ფლობს, იაფიან ფიგურებზე, რომელთა ყიდვა ნებისმიერ გზისპირა გაჩერებაზე შეგიძლია. და თქვა ღმერთმა: „თუ ეს არის, რაც გსურს, ეს არის, რასაც მიიღებთ“. დიდი ხანი არ გასულა, რაც ისინი ტალახიან საღორეში ცხოვრობდნენ. და ყველაფერი ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ჭეშმარიტი ღმერთი ყალბ ღმერთებზე გაყიდეს და მათ მიერ შექმნილ ღმერთს სცემდნენ თაყვანს იმის მაგივრად, რომ მათი შემოქმედი ღმერთი განედიდებინათ, ღმერთი, რომელსაც ვაკურთხებთ, გვაკურთხებს ჩვენ. დიახ!“

ჩვენმა დასავლურმა კულტურამ მარადიული სამეფოს დიდება გაცვალა ახლანდელ კმაყოფილებაში, რისი ყიდვაც, შეხებაც და კონტროლიც შეგვიძლია. ჩვენ მასიურად ხელი ვკარით შემოქმედს, რომელსაც უნდა ავემაღლებინეთ და მისი ქმნილების თაყვანისცემა დავიწყეთ, რაც გვამცირებს ჩვენ. გულების ამბიციის და სიხარბის კერპად ქცევით, ჩვენ გავხრწენით ჩვენი თავი სექსუალური სიბილწით.

სანამ დასკვნას გამოიტან იმის შესახებ, რომ ეს მხოლოდ შემოფარგლულ სექტორს აღწერს, დაფიქრდით, რას ამბობს ავტორი, პრესტონ სპინქლი თავის წიგნში „ადამიანები, რომლებიც უნდა უყვარდეთ“: „მითითება: „სექსუალური სიბილწე“ აქ მხოლოდ ერთსქესიანთა ურთიერთობას არ მოიაზრებს. ეს ზოგადი დებულება მოიცავს სექსს ქორწინების მიღმა: მრუშობას, გაუპატიურებას და სხვა სექსუალურ ცოდვებს, რომლებიც სრულდება გეი ან ჰეტეროსექსუალი ადამიანის მიერ“.[1]

ჩემი დანაშაული ვიპოვე ამ სიაში. მრუში კაცების შთამომავალი ვარ. წრფელად რომ ვთქვათ, პორნოგრაფია და გარყვნილება ნებისმიერი ფორმით გახდა პოპულარული. დასავლურმა სამყარომ საღორეში გამოიღვიძა და გაოცდა, როგორ აღმოჩნდა ესეთ მდგომარეობაში.

როცა ღმერთს ზურგს ვაქცევთ, მისი შემზღუდველი ხელი აღარ არის ჩვენზე და თავისუფლება გვაქვს, ჩვენი გზით ვიაროთ. ეს ჭეშმარიტება არ განსხვავდება იმისგან რაც ისრაელიანებს დაემართათ უდაბნოში ხეტიალისას. მათ დაკარგეს ღვთისგან სასწაულებრივი უზრუნველყოფა მანანით და მოთხოვნილი ხორცით. მათ ჩათვალეს, რომ ხორცი მათ სხეულებს გააძლიერებდა. ღმერთმა მისცა მათ მწყერი, მაგრამ ამან სულის სიმყიფემდე მიიყვანა. როცა ვითხოვთ ჩვენი გზით წასვლას, ხშირად საკუთარ თავს ვკარგავთ.

„როცა ვთხოვთ ჩვენი გზით წასვლას, ხშირად საკუთართავს ვკარგავთ“.

როგორც პავლე წერს:

„ამიტომ გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს, რადგან მათმა ქალებმაც კი შეცვალეს ბუნებრივი ურთიერთობის წესი ბუნების საწინააღმდეგოთი. ასევე მამაკაცებმაც მიატოვეს ქალის ბუნებრივი ურთიერთობის წესი და ავხორცობით გახურდნენ ერთიმეორის მიმართ. მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სამარცხვინოს და მიიღეს საკადრისი საზღაური თავიანთი ცდუნებისათვის“. (რომ.1:26-27)

და:

„უარესი მოჰყვა. რადგან უარყვეს რომ იცნობდნენ ღმერთს, მათ მალე აღარც ის იცოდნენ როგორ ყოფილიყვნენ ადამიანები: ქალებმა აღარ იცოდნენ, როგორ ყოფილიყვნენ ქალები და კაცებმა აღარ იცოდნენ, როგორ ყოფილიყვენ კაცები. სექსუალურად დაბნეულებმა, მათ შეურაცხყვეს და წაბილწეს ერთმანეთი, ქალი ქალთან და კაცი კაცთან - მხოლოდ ვნება, არანაირი სიყვარული. და შემდეგ მათ ამ ყველაფრისთვის გადაიხადეს, ოჰ, როგორ გადაიხადეს

ამისთვის - ღმერთისგან და სიყვარულისგან დაცლით, უღმერთო და უსიყვარულო უბადრუკებად იქცნენ“. (Message)

საზარელი სიტყვებია ამ მუხლებში, მაგრამ თითოეული წინადადება მიუთითებს ფაქტზე, რომ არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის როგორ იყოს ადამიანი, თუკი შემოქმედის სიბრძნის გარეშე დარჩება. ღვთის ცოდნით ვპოულობთ ჩვენს ადამიანურობას. სწორედ ღვთის ცოდნა გვიცავს საკუთარი თავის წაბილწვისგან, არ აქვს მნიშვნელობა, რა სახის დამდაბლებაა ეს (მრუშობა, სიხარბე, ბოროტება, სიძვა ა.შ.).

და მაინც ვშიშობ, რომ ჩვენმა კულტურამ საწყისი დაივიწყა. ამერიკული ფილმების უმრავლესობა ძალადობის ზეიმია და შემდეგ გვიკვრის, როცა ძალადობას ჩვენს სახლებში, სკოლებში და ქუჩებში ვხედავთ. სატელევიზიო პროგრამები, რეკლამებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ხელს უწყობს ყველა სახის სექსს. მეტად დაუცველები ვართ, ვიდრე უნდა ვიყოთ და ამ დაუცველობამ ისეთი რაღაცები მოიტანა, რასთან გამკლავებაც არასდროს უწევდათ წინა თაობას თავიანთ ყოველდღიურობაში.

ჩვენი სახელმწიფო განათლების სისტემები ზეწოლის ქვეშ არიან, მოუწოდონ საშუალო სკოლის ასაკის ბავშვებს, მოახდინონ საკუთარი სქესის იდენტიფიცირება, ალბათ, მათი ცხოვრების ყველაზე დაბნეულ პერიოდში. ყველას დაგვავიწყდა როგორი მკაცრი იყო საშუალო სკოლა? (დიდი ხნის წინ იყო, თუმცა მაინც მახსოვს, რამდენად ტრამვული იყო).

ვინმეს რომ ამ ასაკში ჩემთვის თვითიდენტიფიკაცია მოეთხოვა, ვიტყოდი რომ ზღაპრული პონი ვარ. მე უბრალოდ ვცდილობდი, მივმხვდარიყავი, რა ხდებოდა ჩემს სხეულში და იმის მიზეზს, თუ რატომ არ მეზრდებოდა მკერდი. უფრო მეტად მენდომებოდა გოგოების გასახდელ ოთახში შემეხედა, ვიდრე ბიჭებთან, რათა ამ დაბნეულობის პერიოდში გავრკვეულიყავი.

ნორმალურია, რომ საკუთარ სქესთან დაკავშირებით ინტერესი გაგიჩნდეს ამ პერიოდში; ყველა ცდილობს, მიხვდეს, რა ემართება მის სხეულს. რატომ არ ვიცავთ ამ პროცესს? რატომ ვხდით სექსუალურ საკითხებში ასე ჩართულებს ჩვენს ახალგაზრდებს?

შენ არ უნდა ჰკითხო ადამიანს, რომელიც ბიჭიდან – კაცად ან გოგოდან – ქალად ქცევის პროცესშია, რომ საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინოს. მართლა ვაძლევთ

უფლებას სასკოლო სისტემას და კულტურას, რომ ბავშვები სექსუალურები გახადონ და ხელი შეუშალონ მათ სექსუალურ მომწიფებას? ზოგიერთი სკოლები ბავშვებს ერთსქესიანთა ურთიერთობის შესახებაც კი აჩვენებენ, მაგალითად, როგორ კოცნის გოგო გოგოს, და ბიჭი- ბიჭს, და ეუბნებიან ბავშვებს, რომ თუკი სექსუალური რეაქცია აქვთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რასაც ხედავენ, ეს იმიტომ, რომ ისინი ჰომოსექსუალები არიან.

არა. თუ მათ სექსუალური რეაქცია აქვთ, ეს იმიტომ, რომ ღმერთმა ჩადო ჩვენში რომ სქესობრივ ურთიერთოებებზე სექსუალური რეაქცია გვქონდეს. როცა რაიმე სქესობრივს ვხედავთ, ჩვენს სხეულს სქესობრივი რეაქცია აქვს. ეს ასეა იმის მიუხედავად: დაქორწინებული ვართ თუ მარტოხელა, ჰომოსექსუალი ვართ თუ ჰეტეროსექსუალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს მეწყვილეებს ვუღალატებთ ან იმას რომ, იმ ადამიანებთან გვინდა სექსი, ვისაც ვხედავთ, რომ სექსი აქვთ.

ქორწინების შეთანხმების თანახმად ვნება კაცსა და ქალს შორის დასაშვებია. ქორწინების მიღმა დასაშვები ხდება დაუშვებელი. სწორედ ამიტომ ითვლება მრუშობა და სიძვა შეთანხმების დარღვევად. ასევე არსებობს ვნებები, რომლებ-საც ბიბლია სხვადასხვა თარგმანებში არაბუნებრივად და მი-უღებლად მიიჩნევს. ეს მოიცავს: ჰომოსექსუალიზმს, ინცესტს, პედოფილიას და ზოოფილიას. და სწორედ, აქ უნდა გავჩერდე! რომაელთა პირველი თავი გვახსენებს, რომ ყველამ შესცოდა. სიხარბე და ჭორაობა ისეთივე მძიმეა, როგორც მრუშობა და ჰომოსექსუალიზმი.

ცოდვის საზღაური

რომაელთა 1:27 ახსენებს სასჯელს ან საზღაურს, მათთვის ვისაც გონებაში არეულობა აქვს. მინდა ცხადად ვთქვა, რომ ღმერთი *არასდროსაა* ის, ვინც გადაგვახდევინებს. ღმერთი სწორედ ის არის, ვინც ტრანსფორმაციისკენ მოგვიწოდებს, რათა ავირჩიოთ სიცოცხლე და კურთხევა, სიკვდილის და წყევლის ნაცვლად. ის ეპატიჟება ყველა იმ მხარჯველს, ვინც მფლანგველი ცხოვრების შემდეგ საღორეში იღვიძებს და მამასთან დაბრუნება სურს, სადაც შესამოსელი, ბეჭედი და ნადიმი ელოდება სახლში. ის არის ჩვენი *მარადიული* ღმერთი, რომელიც ამბობს: „მერე მოდით და ვიდავოთ . . . მეწამულივით

რომ იყოს თქვენი ცოდვები, თოვლივით გასპეტაკდება და ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლივით გათეთრდება“ (ეს. 1:18). არ აქვს მნიშვნელობა,რა გაგიკეთებია ან ვისთან ერთად გაგიკეთებია. ის გამოგვისყიდის ჩვენ.

„არ აქვს მნიშვნელობა, რა გაგიკეთებია ან ვისთან ერთად გაგიკეთებია. ის გამოგვისყიდის ჩვენ“.

მაგრამ, როცა ჩვენს ცხოვრებას ვაშენებთ: კერპთაყვანისმცელობაზე, სექსუალურ ცოდვაზე, სიხარბეზე, საბოლოოდ ჩვენი ცხოვრება ინგრევა და ნგრევა საფასურს მოითხოვს. როცა ყველაფერს იმის იმედით ვხარჯავთ, რომ სხვა ადამიანი, სხვა სქესი, სხვა ნარკოტიკი, სხვა მანქანა, სხვა სახლი, ან სხვა დამოკიდებულება საბოლოოდ დაგვაკმაყოფილებს, ჩვენ საკუთარ თავებს დამარცხებისთვის ვწირავთ. დღევანდელი დღის დამსხვრეული ადამიანები იმდენად იმედდაკარგულები არიან სისრულისადმი, რომ სურვილი აქვთ, უფრო დიდ უკიდურესობებში გადავარდნენ და ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ კარგად არ ვახდენთ ჩვენი ტრანსფორმაციის მოდელირებას.

რომაელთა მიმართ წერილი აგრძელებს:

> „და რაკი არ ეცადნენ, რომ გონებით ჩაწვდომოდნენ ღმერთს, ღმერთმა უკუღმართ გონებას გადასცა ისინი, რათა დაუწესებელი ეკეთებინათ“.
> (რომ.1:28)

და სხვა თარგმანიდან:

> „რადგან არ შეიწუხეს თავი, რომ გონებით ჩაწვდომოდნენ ღმერთს, ღმერთმაც შეწყვიტა მათი შეწუხება და მისცა თავისუფლება თავისი გზით ევლოთ“.

ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც ჩვენი გზით დავდივართ. ჩვენ გავრბივართ მამის სიმკაცრისგან მხოლოდ იმიტომ, რომ დაღუპვისთვის განწირული თავი აღმოვაჩინოთ. ჩვენ ისრაელიანებს ვგავართ, რომლებიც ისე იქცეოდნენ, როგორც მათ თვალში იყო სწორი.

„ჩვენ გავრბივართ მამის სიმკაცრისგან, მხოლოდ იმიტომ, რომ დაღუპვისთვის განწირული თავი აღმოვაჩინოთ“.

რომაელთა წერილის შემდეგი მუხლები დეტალურად აღწერს, როგორ გამოიყურებიან ღვთის სიმკაცრის მიღმა დარჩენილი ადამიანები:

„აღვსილნი არიან: ყოველგვარი უმართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღრობით. ცილისმწამებელნი, ღმერთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგანმზრახველნი, მშობლების ურჩნი, უგუნურნი, ვერაგნი, არასანდონი, არამოყვარულნი და ულმობელნი“. (რომ.1:29-31)

და სხვა თარგმანში:

„და შემდეგ მთელი ჯოჯოხეთი გამოეყო: გაშმაგებული ეშმაკი, ხარბი და მიმტაცებელი, ბოროტი, ზურგს უკან მოლაპარაკე. მათ დედამიწაზე ცხოვრება ჯოჯოხეთად აქციეს თავისი შურით, ახირებული მკვლელობით, კამათით და ტყუილით. შეხედეთ მათ: სულით მდაბალნი, გესლიანები და ბასრენიანი ღვთის მახარებლები. ჩხუბისთავები, მკვეხარები, აუტანელი მოლაყბეები! ისინი ახალ და ახალ გზებს პოულობენ, თავიანთი ცხოვრების დასაღუპად. ისინი ძირს უთხრიან მშობლებს, როცა ხელს უშლიან ამ ყველაფერში. სულელები, ცბიერნი, სასტიკები და ცივსისხლიანები“.

ამ გულისდამჭრელი სიის შემდეგ, თუ როგორ გამოიყურება კულტურა, რომელიც უარყოფს ღმერთის პატივისცემას და თაყვანისცემას, პავლე თავის აღწერას 32-ე მუხლში აჯამებს:

იციან მათ ღვთის სამართალი, რომ ამის მოქმედნი სიკვდილს იმსახურებენ; მაგრამ არა მარტო აკეთებენ ამას, არამედ გამკეთებლებსაც უწოდებენ.

„ეს ისე არაა, რომ მათ არ იცოდნენ უკეთესად. მათ არაჩვეულებრივად იციან, რომ სახეში აფურთხებენ

ღმერთს. და მათ არ ადარდებთ, უარესიც, ისინი პრიზებსაც კი აძლევენ მათ, ვინც ყველაზე ცუდ რაღაცას ყველაზე კარგად შეასრულებს“. (Message)

ჭეშმარიტება ისაა, რომ ჩვენ ყველა ვიმსახურებდით სიკვდილს. მაგრამ აქამდე იმაზეც კი ვერ ვიოცნებებდით, რომ ვინმესთვის გვეთხოვა, მოეწონებინა და, მით უმეტეს, დაეჯილდოებინა ჩვენი უწინდელი ცხოვრების გადაწყვეტილებების (სიხარბე, ამორალურობა, სიამაყე, ჭორი, ეჭვიანობა, და ა.შ.) დამანგრეველი ნიმუში. როცა ჩვენ მივიღეთ ქრისტე, მადლმა მოგვცა უფლება, მიგვეტოვებინა ეს გამოცდილება, რაც ღვთის რისხვის ქვეშ გვწამლავდა. ჩვენ არ შეგვიძლია, არასწორად გამოვიყენოთ წმიდა წერილის ადგილები მადლის შესახებ, რათა დავამტკიცოთ ის, რამაც წარსულში ჩვენი კომპრომისზე წასვლა გამოიწვია. ეს ასრულებს ჩვენი დღის რეალურობას. ახლა მოუდრეკლად მნიშვნელოვან ნაწილზე.

ჩვენი რეალურობა

მაგრამ ჩვენ საბოლოოდ ჩვენი დღის შვილები კი არ ვართ, ჩვენ მარადიულობის შვილები ვართ. ასე რომ, იქიდან, რაც არის, იმაზე გადავინაცვლოთ, რაც შეიძლება იყოს, თუკი შევებრძოლებით ჩვენს რეალობას, რაც რომაელთა მეორე თავში იხსნება ჩვენ წინ:

„ამიტომ თავს ვერ გაიმართლებ შენ, ადამიანო, ყოვლის განმკითხველო, რადგან რის გამოც სხვას განიკითხავ, შენს თავს სდებ მსჯავრს, ვინაიდან იმასვე სჩადიხარ, რისთვისაც განიკითხავ! ჩვენ კი ვიცით, რომ ჭეშმარიტების მიხედვით არის ღვთის სამსჯავრო ამის ჩადენისათვის. შენ კი, ადამიანო, რომელიც ასამართლებ ამის ჩამდენთ და თვითონ იმასვე აკეთებ, ნუთუ გგონია, თავი დააღწიო ღვთის სამსჯავროს?“ (რომ.2:1-3)

და სხვა თარგმანი:

„ეს ადამიანები ქვევითკენ მიემართებიან ბნელ სპირალზე. მაგრამ თუ ფიქრობ, რომ ეს შენ მაღალ მიწაზე გტოვებს, საიდანაც შეგიძლია, თითი გაიშვირო სხვებისკენ, კიდევ დაფიქრდი. ყოველთვის, როცა ვინ-

> მეს აკრიტიკებ, შენ მსჯავრს დებ შენს თავს. ერთის ცოდნას ერთი სჭირდება. სხვების განკიცხვადი კრიტიკა ცნობილი გზაა შენი პირადი დანაშაულებებისა და ცუდი საქციელების გამოვლენისგან თავდასაღწევად. მაგრამ ღმერთი ასე მარტივად არ იცვლის მიმართულებას. ის ხედავს სწორს ყველა დაბურული ეკრანის მიღმა და გიჭერს იმაში, რაც გააკეთე. შენ არ გიფიქრია, ნუთუ იფიქრე რომ შენი სხვებისადმი თითის გაშვერით, ღმერთს ყურადღებას გადაატანინებდი შენი არასწორი ქცევებისგან და შენზე მძვირვარებისგან?"

არანაირი თავის გამართლება

და ისევ ეს. ჩვენ არასდროს არ ვართ მოსამართლის პოზიციაზე. არასდროს. დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით, ღვთის ყურადღება ჩვენი შეცდომებიდან სხვა თემაზე გადაგვეტანა იმის ნაცვლად, რომ ჩვენი ტრანსფორმირებული ცხოვრებით იესო ავამაღლოთ. მხოლოდ ღმერთია ყველას და ყველაფრის მოსამართლე. შეიძლება ჩვენი ცოდვები სხვადასხვა ბუნებისაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ღმერთი არ დაგვიჭერს იმაში, რაც გავაკეთეთ. შეიძლება სექსუალურ ცოდვაში არ გაქვს წილი . . . მაგრამ რას იტყვი სიის დანარჩენ ნაწილზე? რას იტყვი ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა: ცილისწამება, შური, უთანხმოება, ჭორაობა, ტრაბახი, და სიხარბე? ეს ყველაფერი არაა გავრცელებული ეკლესიაში?

„ჩვენ არასდროს არ ვართ მოსამართლის პოზიციაზე. არასდროს".

ჩვენ ყველას გვჭირდება წყალობა, მოდი, გავავრცელოთ წყალობა!

ჩვენ ყველას გვჭირდება სიყვარული, მოდი, გავავრცელოთ სიყვარული!

ჩვენ ყველას გვჭირდება იმედი და ის ადამინები, ვინც ჩვენში იმის პოტენციალს დაინახავენ, ვინც შეიძლება ვიყოთ. ადამიანების სიყვარული და წყალობის გავრცელება ტრანსფორმაციაში გვეხმარება.

პავლე აგრძელებს იმის ახსნას, თუ როგორ ხდება ტრანსფორმაცია:

„თუ უგულებელყოფ მისი სახიერების, მოთმინებისა და სულგრძელობის სიმდიდრეს და ვერ შეგიგნია, რომ ღვთის სახიერებას მონანიებისკენ მიჰყავხარ?“ (რომ.2:4)

და:

„ხომ არ იფიქრე, რომ, რადგანაც ის ასეთი კარგი ღმერთია, პასუხისმგებლობას მოგხსნიდა? მაშინ ჯობია თავიდან დაიწყო ამაზე ფიქრი. ღმერთი კეთილია, მაგრამ ის არ არის რბილი. სიკეთეში, ის მჭიდროდ აგვიყვანს ხელში და მიგვიძღვის რადიკალური სიცოხლის ცვლილებისკენ“. (Message)

„ღმერთის სიკეთე ყოველთვის მოპატიჟებაა ჩვენთვის, რათა ჭეშმარიტებას დავუბრუნდეთ და არა ცოდვის დადასტურებას“

ღვთის სიკეთე ყოველთვის მოპატიჟებაა ჩვენთვის, რათა ჭეშმარიტებას დავუბრუნდეთ და არა ცოდვის დადასტურებას. ლევისი წერს: „ღმერთის სისასტიკე უფრო კეთილია, ვიდრე ადამიანის სირბილე და მისი იძულება ჩვენი თავისუფლებაა“.[2] საბოლოოდ, ღმერთს სურს, მტკიცედ წაგვიძღვეს თავისუფლებაში ჭეშმარიტების ბილიკით. იესო მკვდრეთით აღდგა, რათა ჩვენ შეგვეძლოს გამოვიდეთ უმეცარი ცხოვრებიდან და პატივი მივაგოთ მის მსხვერპს (საქმ. 17:30-31).

მოდი, ამ იდეაზე ვილაპარაკოთ - ხელში მჭიდროდ აყვანაზე და რადიკალური ცვლილებების ცხოვრებისკენ გაძღოლაზე! არ ვიცი ეს შენთვის რას ნიშნავს, ამიტომ იმ დღეზე მოყოლით დავიწყებ, როცა ღმერთმა მჭიდროდ ამიყვანა თავის ხელში.

ხელახლა შობა

მე ოცდაერთი წლის ასაკში ვიშვი ხელახლა, როცა სახლში, პერდიუში ვიყავი, ზაფხულის ბანაკში. მანამდე ჩემი ცხოვრება ქვევით და ქვევით მიერმართებოდა, იმ ბნელ სპირალზე, რომელიც რომაელთა მიმართ წერილშია აღწერილი. ვიყავი: ძუნწი, ჯიუტი, უწესო და ურჩი. შემდეგ ერთ დღეს პიკნიკზე, რომელიც ბიბლიის სწავლაში გადაიზარდა, უცებ თვალი ამეხილა. სიმღერისას ხელაპყრობილი ადამიანებით

გარემოცულმა არ ვიცოდი, საით გამეხედა. მათ გულწრფელ სახეებს და აპყრობილ ხელებს რომ გავქცეოდი, სიმღერის ტექსტში ჩავიხედე. წინასწარ წავიკითხე შემდეგი სიმღერის სიტყვები: „სიმართლის სამოსელი“. ერთ-ერთ ხაზზე წავიკითხე, რომ ღმერთს შეეძლო, შემოეხედა ჩემთვის, თუმცა ჩემ მაგივრად იესო დაენახა.

ამ მომენტში გავიგე სულიწმიდის ჩურჩული: „მე ვერ შემოგხედავ შენ“. როცა ეს სიტყვები წავიკითხე, გავაცნობიერე, რომ იესო იყო ის საფარი, რაც მჭირდებოდა. ამ დრომდე ჩემი ყველა ქმედება და არჩევანი უამრავი გამართლებითა და ბრალით მქონდა განხილული.

იმ ღამეს ვილოცე, რომ ხელახლა ვშობილიყავი და ჩემი ცხოვრება ღვთის სულიწმიდის გაძღოლას დავუქვემდებარე. ოთახში დაბრუნებულს ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ჩემს ოთახში არსებული ნივთები შეუსაბამო იყო ჩემს ახალ ცხოვრებასთან. დრო არ დამიკარგავს და მაშინვე ნაგვის ურნაში ჩავუძახე ამ ყველაფერს.

ჩემთვის არავის უთქვამს რომ ეს გამეკეთებინა. როცა ღვთის სულმა ამავსო, ისეთი რაღაც ვიგრძენი, რაც არასდროს მიგვრძნია. ქცევები, სიტყვები და ხასიათი, რომელიც ადრე ნორმალურად მიმაჩნდა, ახლა უცნაურად და დამამწუხრებლად მეჩვენა. ეს არ იყო სირცხვილის ან მსჯავრის ბატონობა ჩემს სიცოცხლეზე. ეს იყო ახალი გავლენის თანდასწრება და წმიდა ღვთის გაცნობიერების გრძნობა.

ჯონი (ჩემი მომავალი ქმარი) გამუდმებით მიმეორებდა მოციქული პავლეს სიტყვებს. მახსოვდა, რომ კოლეჯში ოთახში დამხვდა „გზის“ ასლი და ახალი აღთქმის გამოცემა. ის ღამე პავლეს ამ წიგნის ძებნაში გავატარე. ბიბლია ყუით დავდე და ვილოცე რომ პავლეს წიგნზე გადაშლილიყო. გვერდები გადაიფურცლა, რათა 2 კორინთელთა 5:17 გამოევლინა:

> „მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა;
> ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“.

როცა მივხვდი, რომ ეს პავლეს სიტყვები იყო, მეგონა, იმ ერთადერთ თავს მივაგენი, რომლის ავტორიც იგი იყო! და პირველად წლების განმავლობაში, მშვიდად ჩამეძინა.

რაღაც მოხდა

მეორე დილით ადრე გამეღვიძა იმის გაცნობიერებით, რომ ჩემი სული ცოცხალი იყო. საწოლის თავისკენ მივცოცდი, რათა წავსულიყავი და დედაჩემისთვის მეთქვა, რაც მოხდა. უცებ გამყინავი სიტყვები გავიგე: „წუხელ არაფერი მომხდარა. შენ არ შეცვლილხარ“. ამ სიტყვებმა ადგილზე გამაშეშა. შემდეგ ამ კითხვის ჩემი თავისთვის დასმა დავიწყე. ვის დავცინოდი . . . მე და ქრისტიანი? შემდეგ ის მშვიდობა გამახსნედა რაც განვიცადე, და როგორ დავიძინე პირველად წლების განმავლობაში ალკოჰოლის გამოყენების გარეშე, და როგორი კვანძები ვიგრძენი მუცელში ლოცვის შემდეგ, როცა ღვთის სიყვარულის მკურნალი სითბო შემოვიდა ჩემს სხეულში.

ამის შემდეგ ვიცანი მისი ხმა.

ეს გამანადგურებლის ხმა იყო.

ეს სწორედ ის ხმა იყო, რომელმაც მოუწესრიგებელ კვებამდე მიმიყვანა. ეს ის ხმა იყო, რომელმაც შიშით და დაუცველობით დამფარა. ეს ის ხმა იყო, რომელმაც გამომაცალკევა და დამადანაშაულა. ეს ის ხმა იყო, რომელმაც ცოდვაში შემიტყუა.

როდესმე უთქვამს ამ ხმას რომ მე არ ვიყავი ქრისტიანი? არასდროს. ერთხელაც კი არ წამოუჭრია ჩემში ეს კითხვა. ამ მომენტში, გავაცნობიერე, რომ მატყუარები და ქურდები იმის მოსაპარად არ მოდიან, რაც არ გვაქვს. ეს პირველი დილა იყო მას შემდეგ, რაც დახსნილი ვიყავი, სწორედ ამიტომ მესმოდა ეჭვის ჩურჩულები.

მაგრამ ამ სიტყვებს საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდა ჩემზე. იმის მაგივრად, რომ ძირი გამოეთხარა წინა ღამით მომხდარისთვის, ისინი მხოლოდ ჭეშმარიტების დამტკიცებას მოემსახურნენ.

რაღაც მოხდა! კინაღამ ძალიან გამეცინა. მტრის ყოფნა ჩემი ღვთის რეალურობის გამოვლენას მოემსახურა.

ისეთ კიდესთან მიმყავდა ჩემი ცხოვრება, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა აღარ იყო. ვერც კი წარმოვიდგენდი ცვლილებას ჩემს ცხოვრებაში. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, რომ ყოველთვის ღმერთთან უნდა ვყოფილიყავი. ორ კვირაში წყლით მოვინათლე.

ერთი თვის შემდეგ, როცა შემოდგომის სემესტრისთვის კოლეჯში, არიზონაში დავბრუნდი, ჩემს ჯგუფელებს მოვუყევი, რა მოხდა ზაფხულში ჩემს ცხოვრებაში. საჭირო არაა ვთქვა, რომ ყველას არ უხაროდა და არ სჯეროდა.

კაკუნი ჩემს კარზე

ერთ დღეს, ხმამაღლა ვკითხულობდი ბიბლიას ჩემს ოთახში, როცა მძიმე ფეხის ხმა გავიგონე დერეფანში, რომელსაც ჩემს კარზე კაკუნი მოჰყვა. კარი გავაღე და ერთ-ერთი კოლეჯის ჯგუფელი დამხვდა, რომელმაც მითხრა: „შეწყვიტე ხმამაღლა კითხვა!“ ის ისეთივე გაოცებული ჩანდა საკუთარი სიტყვებით, როგორც მე ვიყავი. ამის შემდეგ ვიცოდი, რომ დემონები რეალურები იყვნენ. მე პატივი ვეცი ჩემს ჯგუფელებს, სახანძრო კიბეზე ავცოცდი და ჭერში დავიწყე ბიბლიის ხმამაღლა კითხვა.

ამ უპირატესობით ღვთის დაპირებები განვაცხადე: კოლეჯზე, სახლზე და ჩემს მომავალზე. არაერთ ღამეს მიგრძვნია წაძღოლა, რომ მევლო დერეფნებში და ჩუმად მელოცა ჩემი ჯგუფელებისთვის, გამოვიხმობდი მათ ბნელეთის სამფლობელოდან სინათლის სამეფოში.

დიდი დრო არ გასულა, რომ კიდევ გაისმა კაკუნი ჩემს კარზე. პირველკურსელ გოგონას უნდოდა გაეგო, რა მომივიდა. ისინი ხედავდნენ როგორი ვიყავი და დაინახეს როგორი გავხდი ახლა და მათ სურდათ ის, რაც მე მქონდა. ხელში კოლეჯის ლაშქრობიდან შემორჩენილი ბროშურა ჩავბღუჯე, ხმამამღლა ვიმეორებდი ამ ბროშურას სიტყვა სიტყვით.

მახსოვს როცა პირველად ვუქადაგე ჩემს ჯგუფელებს. ეს მოულოდნელ დროს მოხდა. რაღაც მიზეზების გამო ჩავთვალე რომ საერთაშორისო ეკონომიკა კარგი არჩევანი იყო ძირითადი სპეციალობისთვის. პირველი რამდენიმე წელი საკმაოდ მარტივი იყო, თუმცა მოგვიანებით პროფესორებმა სუსტების გამოხშირვა დაიწყეს.

რამდენიმე ჯგუფელი ღამეებს ვათევდით შუალედური გამოცდებისთვის მოსამზადებლად. ახლა სასაუზმე მაგიდასთან ვისხედით და ერთმანეთს მასალას ვეკითხებოდით. ენერგიას „ნოდოზით“ (აბები) და ყავით ვიდგენდი, როცა ერთ-ერთმა კურსელმა ჩაგვიარა, რომელსაც ძირითად სპეციალობად ისეთი რამ ჰქონდა არჩული, რასაც მე, როგორც ოთხი შვილის დედა, უნდა გავყოლოდი: დაწყებითი განათლება. ერთი შემოხედვით გვაგრძნობინა, რომ საშინლად გამოვიყურებოდით. ჩვენ შევჩერდით მისი ჩართვის მისაღებად, და სწავლას დავუბრუნდით. მაგრამ ის ვერაფერს მიხვდა. აიღო თავისი საჭმლის ლანგარი და შემოგვიერთდა. დაახლოებით ასეთი რამ მითხრა: „ლიზა, ისე გამოიყურები, თითქოს მანქანამ გადაგიარა“

ერთადერთი, რაც მახსოვს, იყო კანკალი და ძველმა ლიზამ ზედაპირზე ამოსვლა დაიწყო. და შემდეგ ჩემი პირიდან ის კითხვა გამოვიდა, რომელზეც ბოლო რამდენიმე წლის განმვალობაში ვფიქრობდი: „რატომ ხარ ასეთი (*) ამ დილით?“

სასადილო გაიყინა . . . ხელახლა ნაშობმა შეიგინა. სანამ ქრისტიანი გავხდებოდი, მუდმივად ვილანძღებოდი, მაგრამ, როგორც ახალმა მორწმუნემ, მოვახერხე მხოლოდ ჩემს გონებაში შემეგინა. ახლა კი გარეთ გამოვიდა, საჯაროდ და ჩემი ჯგუფელების უმრავლესობამ არ იცოდა, რა ექნა. მაგრამ ამ გოგომ იცოდა. ის ადგა, თითი ჩემკენ გამოიშვირა და განაცხადა: „ასეც ვიცოდი! ვიცოდი რომ შეუძლებელი იყო შენ ქრისტიანი გამხდარიყავი. შენ უბრალოდ ძალიან ცუდი ხარ!“ და გავარდა ახლა უკვე დადუმებული ოთახიდან.

მე დავიწყე წამოდგომა, მაგრამ ჩემმა საყვარელმა ჯგუფელმა ხელი მომკიდა მკლავზე და დამარწმუნა: „ახლა მეც იგივეს თქმას ვაპირებდი“.

გავიღიმე და ფეხზე ავდექი; ახლა ყველას თვალი ჩემზე იყო. ჩემი შემდეგი სიტყვები იყო: „ყველას პატიებას გთხოვთ. სრულიად გამოვედი წყობიდან“.

„ჩვენ ყველა დავუშვებთ შეცდომებს, მაგრამ უფლება არ გვაქვს, თავი ვიმართლოთ“.

მოგვიანებით ბევრმა მეგობარმა მითხრა, რომ სწორედ იმ მომენტში მიხვდნენ, რომ მე მართლა ქრისტიანი გავხდი. ხედავთ, მათ არ გაუგიათ ჩემი ლოცვა შხაპქვეშ, ან ჭერში ბიბლიის ხმამაღლა კითხვა. მათ არ დაუნახავთ ღამით ჩემი დერეფნებში სიარული და მათთვის ლოცვა. ამ დღეს პირველად დაინახეს, როგორ დავიმდაბლე თავი.

ნუთუ შესაძლებელი არაა, რომ სწორედ ეს პოზა - თავმდაბლობის პოზიცია -არის ის, რაც ყველას გვჭირდება მოუდრეკელი ტრანსფორმაციისთვის? ჩვენ ყველა დავუშვებთ შეცდომებს, მაგრამ უფლება არ გვაქვს, თავი ვიმართლოთ. რადგან ვიცით, როგორ ვაკეთოთ უკეთესი, უნდა ვაკეთოთ უკეთესი. და როცა უარესს ვაკეთებთ, ჩვენი პასუხისმგებლობაა.

ჩარლზ სპურგიონმა თქვა:

> „შენ ვერ იქადაგებ ცოდვის მსჯავრზე, თუკი არ დატანჯულხარ მისით. შენ ვერ იქადაგებ მონანიებაზე, თუკი არ გამოგიცდია. შენ ვერ იქადაგებ რწმენაზე, თუკი არ გაგივარჯიშებია. ნამდვილი ქადაგება არტეზიულია,

ის სულის სიღრმეში თხრის ჭას. თუ ქრისტე არ გააკეთებს ჭას ჩვენში, ვერასდროს აღმოჩქეფს იქიდან ვერაფერი“.[3]

მე მომწონს ეს. ჭეშმარიტი ქადაგება არტეზიულია - ეს არის ცოცხალი წყლის ნაკადული. წყალობა უნდა იღვრებოდეს დაუბრკოლებლად თითოეული ჩვენგანიდან!

ძვირფასო ზეციურო მამა,
მტკიცედ ამიყვანე ხელში და წამიძეხი ცხოვრების რადიკალური ცვლილებებისკენ! მინდა ჩემი ცხოვრების ყველა ნაწილი იყოს შეტყობინება, რომელიც სხვებს შენზე მიუთითებს. მინდა იმით ვიყო ცნობილი, რაც ხარ, და არა იმით, რისი წინააღმდეგიც ვარ. აღარ გავიმართლებ თავს ჩემი გამოწვეული არეულობის გამო. გამასამართლე იმ სფეროებში, რომელიც შენს მუშაობას ეწინააღმდეგება ჩემს ცხოვრებაში.

10

ანდამატივით სიწმიდეში

„სიწმიდე ღვთის ყველა სხვა თვისების სრულყოფაა. მისი ძალა არის წმიდა ძალა, მისი წყალობა წმიდა წყალობაა, მისი სიბრძნე წმიდა სიბრძნეა. ყველა თვისებაზე მეტად სწორედ მისი სიწმიდე ხდის მას ღირსს, ჩვენ თაყვანისცემისა“.

ჯერი ბრიჯისი

მახსოვს, როგორ ვკითხულობდი „სიწმიდის გამოდევნებას, როცა დაახლოებით 20 წლის ვიყავი. თითოეული გვერდი ჩემში განუხორციელებელ ლტოლვაზე ლაპარაკობდა. მესმოდა, რომ ღმერთი წმიდა იყო, მაგრამ იდეა, რომ შემეძლო გამოვდევნებოდი სიწმიდეს, ჩემში დაკარგული იყო. ამის გაცნობიერებით შეიცვალა სიტყვები ჩემს დღიურში, ფოკუსი თაყვანისცემის დროს, მეგობრებიც კი სხვანაირად ავირჩიე. ეს იმიტომ არ ხდებოდა, რომ ჩემი თავი სხვებზე უკეთესად წარმოვიდგინე. სინამდვილეში ვიცოდი, უფრო სუსტი ვიყავი და მეტად ვიდრიკებოდი ყოველგვარი უწმიდურობის რხევებისას.

ამის გამო დიდ ტკივილებში დამჭირდა გავლა, რომ დამეცვა ის, რაც ჩემში გამოვლინდა, რათა წმიდა ღმერთი გამოვლენილიყო ჩემგან. ყოველთვის ველურ მხარეს ვიხრებოდი. მხოლოდ მე შემეძლო აღმომეჩინა, რომ ეს იყო ცხოვრების გზა რომელიც ნელ სიკვდილს ნიშნავდა. საპირისპიროდ, რეპრე-

სიულად მორჩილი გავხდი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და ჩემი თავი წესებში და წარმოდგენებში ჩახლართული აღმოვაჩინე. იმ დროისთვის, როცა პირველი შვილი გავაჩინე, ღრმა სურვილი მქონდა, რომ ის წმიდა და თავისუფალი ყოფილიყო, ეს ნიშნავდა, რომ მის დედასაც უნდა გამოეცადა ზუსტად იგივე.

„ლტოლვა სიწმიდისკენ - ჩვენი შვებაა“.

ნუ შეგეშინდება! სიწმიდის არსში გახვევა წესების სიას არ გვიმატებს ჩვენს შესაკავებლად . . . ლტოლვა სიწმიდისკენ - ჩვენი შვებაა. ეს იმაში დარწმუნებაა, რომ ქრისტიანული ცხოვრება სამართლიანობის აღიარებაზე ბევრად მეტია. სიწმიდე არის მოპატიჟება ღვთის მოუდრეკელ სისრულეში.

შოტლანდიელი თეოლოგი სინკლაირ ფერგუსონი წერს:

> „ღვთის სიწმიდე ნიშნავს, რომ ის გამოცალკევებულია ცოდვისგან. მაგრამ სიწმიდე ღმერთში ასევე სისავსესაც ნიშნავს. ღვთის სიწმიდე მისი ღმერთობაა. მისი ღმერთობა ჩანს ყველაფერში, რაც ნიშნავს, რომ ის ღმერთია. იმისათვის, რომ შეხვდე ღმერთს სიწმიდეში, ყველაფერთან ერთად გარემოცული უნდა იყო იმ აღმოჩენით, რომ ის ღმერთია და არა ადამიანი“.[1]

ღმერთი განცალკევებულია ცოდვისგან, თუმცა ქრისტეთი ის ისეთივე ახლოა, როგორც ჩვენი სუნთქვა. როცა ვჩერდებით მის წმიდა თანდასწრებაში, ვიღებთ გამოცხადებას, თუ რამდენად არაა ის ჩვენი მსგავსი და ამავდროულად ღრმად ვაცნობიერებთ, რამდენად ვუყვარვართ. სიწმიდეში სიარულის არჩევა ჩვენი პასუხია მისი გამართლების საჩუქარზე. მან სიკაშკაშით შეგვმოსა. რატომ უნდა ვატაროთ ის, თუკი კვლავ ტალახში უნდა ვიგორაოთ? ჩვენ იმ მეფემ შეგვიყვარა, რომელმაც თავისი ძე გაიღო, რათა თავი აგვეწია ჩვენი სიბნელიდან და დაგვენახა მისი სინათლე. რატომ უნდა გვინდოდეს, რომ ხელახლა ვესტუმროთ ჩრდილთა სამეფოს?

ღმერთი წმიდაა და ის წმიდად იქცევა.

მისი სიყვარულის მსგავსად ღვთის სიწმიდეც მოუდრეკელია: დაუძლეველი, მიუვალი, განუყოფელი, შეუღწევადი, მუდმივი, ურყევი, მტკიცე.

მისი სიწმიდე შეუპოვარი და მიმზიდველია, რადგან ღვთის სიწმიდე შიშშიც ისეთივე მშვენიერია, როგორც სინაზეში.

ღმერთი წმიდა სინათლეა. ღმერთი წმიდა სიყვარულია. ღმერთი წმიდა მჭამელი ცეცხლია.

სიწმიდე ვერ განცალკევდება ღვთის უდიდესი ბუნებისაგან.

ღმერთი ჩვენი წმიდა მამაა, რომელიც მეფობს სიწმიდეში და არაჩვეულებრივ, წმიდა საოცრებაში. ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმამდე ცხადდება ღვთის სიწმიდე:

> „ვინ არის ღმერთთა შორის შენი მსგავსი, უფალო? ვინ არის შენსავით დიდებული სიწმიდეში, მოშიშებით საქებო, სასწაულმოქმედო?“ (გამოს.15:11)

და:

> „ვინ არ შეშინდება, უფალო, და არ განადიდებს შენს სახელს? რადგან მხოლოდ შენა ხარ წმიდა. ამიტომ ყველა ერი მოვა და თაყვანს გცემს შენ, ვინაიდან გამოჩნდა შენი სამართალნი“. (გამოც. 15:4)

რა არის სიწმიდე?

წინ რომ წავიდეთ ღვთის მოუდრეკელი თვისებით, პირველ რიგში, საჭიროა გვესმოდეს ის. სიტყვა „წმინდა“ განმარტებულია, როგორც „სრულყოფილი სიკარგეში“ და „სამართლიანობაში“. ყველაზე ზოგადად, სიწმიდე აღნიშნავს უპირატესად განსხვავებულს, ქცევას, რომელიც ბევრად აღემატება ადამიანის ზოგად საქციელს. რადგან ღმერთი წმიდაა ყველაფერში რაშიც არის, ის წმიდაა ყველაფერშიც, რასაც აკეთებს. ერთადერთი წმინდა ღმერთის ქცევა სიწმინდეა. სხვა სიტყვები, რომლებიც წმინდას გამოხატავენ, არის: ნაკურთხი, მიძღვნილი, განწმენდილი, მიცემული, ღვთიური და სულიერი.

“რადგან ღმერთი წმინდაა ყველაფერში რაშიც არის, ის წმინდაა ყველაფერშიც, რასაც აკეთებს.“

ნიკოლოზ თომას რაიტის სიტყვებით: „ადამიანები ხშირად სიწმიდეს უარყოფით თვისებად მიიჩნევენ - მორალური დანაშაულის არარსებობას - მაგრამ სინამდვილეში დადებითია, კაშკაშა ანარეკლია, რომელიც ადამიანის ხასიათში მაშინ ჩნდება, როცა პრაქტიკულად ვსწავლობთ, რას ნიშნავს იყო ღვთის ხატი“.[2]

მე მომწონს ეს. სიწმიდეს ვსწავლობთ, როცა პრაქტიკით გამოვიმუშავებთ რას ნიშნავს იცხოვრო, როგორც ყველაზე ამაღლებული ღვთის შვილმა.

ღმერთი წმიდაა მადლში, წმიდაა ძალაში, წმიდაა რწმენაში, წმნდაა სიყვარულში, წმიდაა ჭეშმარიტებაში, წმიდაა ცოდნაში და წმიდაა გასამართლებაში. ჩვენი ღმერთი ყოველთვის იყო წმიდა, არის წმიდა და ყოველთვის იქნება წმიდა. და ის გვეპატიჟება ჩვენ, რომლებიც არ ვიყავით წმიდები, რომლებიც არც ახლა ვართ, ალბათ, წმიდები, რათა მომავალში ვიყოთ წმიდები. ეს არ არის მოპატიჟება ჩვენთვის, რათა ვცადოთ და ჩავფლავდეთ ადამიანურ სიკეთეში. რადგან ჩვენ ვეკუთვნით მას, ჩვენ მოგვენიჭა ღვთიური პრივილეგია, რომ ვიყოთ მისი წმიდა ბუნების ნაწილის მატარებელნი.

2 პეტრეს 1:3-4-ში მოცემულია პირობა:

> „ისე, როგორც მისმა ღვთაბრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვიწოდა, რომელთა მიერაც მოგვეცა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამოწვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე“.

მისი ღვთიური ძალა მოგვმადლა ჩვენ *ყველაფრით*, რათა ღვთისმოსაობასა და სიწმიდეში დავდიოდეთ. არაფერი გვაკლია. ჩვენ მისი დაპირება გვაქვს, რომ *ყველაფრით* ვართ აღჭურვილები, რაც გვჭირდება, რათა სიწმიდით ვიცხოვროთ. ქრისტემ მოგვცა პირობა, იმასთან ერთად რომ დაგვიყენა ნიმუში. ჩარლზ სპურგიონი წერს: „სიწმიდეში ყველაზე ნათლად ჩანს ღმერთი, დაიუნჯე უფალ იესო ქრისტეში, რომლის ასეთი წმიდა ცხოვრება არაფერია თუ არა გამეორება“.[3]

იესომ გამოამჟღავნა მამის სიწმიდე. როცა საქმე სიწმიდეს ეხება, იესო არის როგორც ჩვენი ნიმუში, ასევე მღვდელმთავარი. რადგან ის და ღმერთი ერთნი არიან, იესო აკეთებდა და ამბობდა მხოლოდ იმას, რასაც მისი მამისგან ხედავდა და ესმოდა. ეს არის ნიმუში თაყვანისცემისთვის, ჩვენს ცხოვრებაში.

აი, რატომ გვეკითხება პავლე:

„რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ცოცხალი ღვთის ტაძარი ხართ, როგორც თქვა ღმერთმა: „დავმკვიდრდები და ვივლი თქვენ შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი და იქნებით ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! - ამბობს უფალი - უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი - ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი". (2 კორ. 6:16-18)

პავლეს პირველ კითხვას რომ ვუპასუხოთ: არანაირი. არ არსებობს შესაბამისობა. არამეულის გამოყენებით, ერთ-ერთი თარგმანი (the Passion Translation) უკეთესად სვამს ამ კითხვას: „რა მეგობრობა აკავშირებს ღვთის ტაძარს დემონებთან?" პასუხი მარტივია . . . არანაირი!

პავლე უფრო ღრმად გვარიგებს:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე!" (2 კორ.7:2)

ცოტა ხნის წინ წავიკითხე შორსმჭვრეტელური სტატია, რომელიც ვესლიანური ეკლესიის აზროვნებას, მისი დამაარსებლის გონების სინათლეზე იწვევს. აი, ამონაწერიც:

ქრისტიანებმა ვესლიანურ/მეთოდისტურ ტრადიციაში უნდა უარყონ არჩევანი პატიებასა (გამრთლებას) და სიწმიდეს (კანონით მოწესრიგებას) შორის, რადგან თვითონ ვესლი მოუდრეკელი იყო იმაში, რომ ორივე ქრისტიანული ცხოვრების ნაწილია. მის ბოლო წიგნში „ქრისტიანული სიწმიდის აღმოჩენა": „ვესლიანური-სიწ-მიდის თეოლოგიის გული", დიანა ლეკლერკი ამბობს, რომ ვესლიანთა ბოლო თაობა კარგად აღარ ემსახურება სიწმიდის შეტყობინებას. ის მიუთითებს კრიზისზე, რო-მელიც არ არის სიწმიდესთან ურთიერთობის კრიზისი, არამედ უფრო დამანგრეველი - სიჩუმის კრიზისი, „სიწ-მიდის გამოთქმის სიმცირე". შედეგად, ლეკრერკი აღ-მოაჩენს, რომ ქანქარა კანონიერებიდან პესიმიზმისკენ გადაიხარა, გამარჯვებიდან - ცოდვისკენ. ჩემი სტუ-

> დენტებიდან ბევრს სჯერა, რომ ცოდვა ქრისტიანის ცხოვრებაში გარდაუვალი, ყოვლისმომცველი და გამ-ძლეა. სამწუხაროდ, მათ თითქოს არ იციან ცხოვრების სხვადასხვა გზების შესახებ".[4]

ამის წაკითხვისას, იმედი გაცოცხლდა. სიწმიდე მოიცავს ორივეს - გამართლებას და კანონებით მოწესრიგებას, და ამ ორის ერთიანობას მოაქვს სისრულე.

წმიდად ცხოვრება

სიწმიდე, იმაში, რასაც ვაკეთებთ

> „ეცადეთ მშვიდობა და სიწმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. გაფრთხილ-დით, რომ რომელიმე თქვენგანს არ მოაკლდეს ღვთის მადლი, რათა რაიმე მწარე ფესვი არ აღმოცენდეს, ზიანი არ მოიტანოს და ამით ბევრი არ შეიბილწოს; რომ არ იყოს თქვენ შორის მრუში ან უღვთო, როგორც ესავი, რომელმაც ერთი შეჭამანდისთვის გაყიდა პირმ-შოობა". (ებრ. 12:14-16)

დავა არ უწყობს ხელს სიწმიდეს. ღვთის წმიდა თანდას-წრება არ შეართებს დანაწევრებულებს და აზრთა სხვადასხ-ვაობას. მის სიწმიდეში, ის ვერ აკურთხებს განაწყენებულს და უპატიებლობის მქონეს მიუხედავად იმისა, რომ ამისკენ ის-წრაფვის. სექსუალური ამორალურობა, თავისი ყველანიარი ფორმით, გამოგვყოფს ჩვენ. იქნებ ესავის გაკვეთილმა, რო-მელმაც მას დიდი დანაკარგი მოუტანა, გვასწავლოს, რომ კანონიერება უფრო დავაფასოთ, ვიდრე წამიერი სიამოვნება.

რადგან ღმერთი წმიდაა ყველაფერში, ის მოგვიწოდებს ჩვენ, რომ ვიყოთ წმიდები ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ.

სიწმიდე იმაში, რასაც ვფიქრობთ

> „ამიტომ ამას ვამბობ და ვმოწმობ უფალში, რათა აღარ დავდიოდეთ ისე, როგორც სხვა წარმართნი დადიან თავიანთი გონების ამაოებაში, დაბნელებულნი აზროვნებაში და ღვთის სიცოცხლისგან გაუცხოებულნი, თავიანთი უმეცრებისა და გულქვაობის გამო, ისინი,

> რომელთაც სირცხვილის გრძნობა დაკარგეს და გარყვნილებას მიეცნენ, რათა ყოველგვარი უწმიდურება ჩაიდინონ გაუმაძღრობით“. (ეფ. 4:17-19)

როგორც ვისწავლეთ, ამაოება სარგებლიანობის საპირისპიროა. ჩვენი გონება განსჯის იმის მიხედვით, თუ რა ვიცით და გამოგვიცდია; ამან რეალურად, შესაძლოა ტრანსფორმაციის მიზნის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ჩვენ ვერ დავუბრუნდებით იმ ნიმუშს, რომელიც მაშინ განვავითარეთ, როცა ღვთის ცხოვრებისთვის უცხოები ვიყავით. ჩვენ ვიღუპებოდით, როცა გავუთამამდით კერპთაყვანისმცემლობას და თავაშვებულობას იმ იმედით, რომ ისინი თავს ცოცხლად გვაგრძნობინებდნენ. მათ, ვისაც მგრძნობელობა აქვთ შემცირებული, უფრო ღრმად და ღრმად უნდა ჩაყვინთონ გრძნობადი სამეფოს სიბნელეში. ეფესელთა მიმართ წერილი კვლავ იესოზე მიგვითითებს:

> „ხოლო თქვენ ასე როდი გისწავლიათ ქრისტე, რადგან მოგისმენიათ მისთვის და მასში ხართ განსწავლულნი - ვინაიდან იესოშია ჭეშმარიტება, რათა განიშოროთ ძველი კაცის წინანდელი ცხოვრება, მაცდური გულისთქმებით რომ იხრწნება, და განიახლოთ თქვენი გონება სულით, და შეიმოსოთ ახალი კაცით, რომელიც შექმნილია ღვთისამებრ, ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში“. (ეფ. 4:20-24)

აი ისევ. ჩვენ გვირჩევენ მოვისროლოთ ჩვენი ძველი „მე“, მისი ცხოვრების სტილი, და ყველა მისი თანმხლები ძლიერი სურვილები, რათა შეგვეძლოს ახალ ჭეშმარიტ „მეს“ დავუთმოთ გზა. ახალი „მე“ სწორედ ისაა, რომლის ჩვენში გამოვლენისკენაც სულიწმიდა ილტვის ჭეშმარიტ გამართლებაში (სწორ დგომაში) და ჭეშმარიტ სიწმიდეში (როგორ ვიცხოვროთ მისი სიმართლის სინათლეში). ნიკოლოზ თომას რაიტი ამტკიცებს ამას მის კომენტარებში პავლეს ციხის წერილებზე:

> „და განიახლოთ თქვენი გონება სულით“ (ეფ.4:23): სწორედ, ეს არის საიდუმლო. თუ გული სწორია, დროა გონებაც გავასწოროთ. ამის შემდეგ გექნება ენერგია და ძალა, რათა სწორი საქმეები აკეთო. ძველის გამორთვით, და ახლის ჩართვით![5]

და როგორ ვანახლებთ ჩვენი გონების სულს? ეს არის კითხვა, რომელსაც ყოველთვის მისვამენ, მაგრამ ჩემი პასუხი ყოველთვის ის არ არის, რისი მოსმენაც ხალხს სურს. ჩვენი გონება განახლდება ღვთის სიტყვის ჭეშმარიტების მორჩილებით. მოდით ჩავყვინთოთ 1 პეტრეს წერილში, რათა ეს მითითება კონტექსტით გარემოვიცვათ.

სიწმიდე მორჩილებაა

„ამიტომ შემოისარტყლეთ თქვენი გონების წელი, იფხიზლეთ და იესო ქრისტეს გამოცხადებით თქვენთვის მოსაცემი მადლის სრული იმედი იქონიეთ. როგორც გამგონე შვილები, ნუ აჰყვებით უმეცრების დროინდელ გულისთქმებს. არამედ ისეთი წმიდა იყავით ყოველ საქციელში, როგორი წმიდაცაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. ვინაიდან დაწერილია: „იყავით წმიდანი, რადგან წმიდა ვარ მე“.
(1 პეტრ.1:13-16)

როცა ვსწავლობდი მომემზადებინა გონება მოქმედებისთვის, მასთან ერთად ვიპოვე ფრაზაც: „მოამზადე შენი გონება სირთულეებისთვის“. ეს მოწოდებაა, რომ განვაახლოთ და აღვჭურვოთ ჩვენი გონება ღვთის სიტყვით, რათა ჩვენი იმედი მტკიცედ დავდოთ მადლის უფლებამოსილებაზე. ამ მადლს მოაქვს ორივე - გამოცხადება და მზადყოფნა, რომ მიჰყვე იესო ქრისტეს.

მორჩილება მოითხოვს, რომ ავირჩიოთ ვის და რას დავემორჩილებით. ჩვენს ვნებებს დავემორჩილებით თუ ღვთის სიტყვას, რომელმაც ჩამოაყალიბა ჩვენი ცხოვრება? ჩვენი სულები მზადყოფნაში არიან, მაგრამ ხორცი სუსტია და ცოდვა აქვს ჩვევად. შესაბამისად, ჩვენ გააზრებულად უნდა ავირჩიოთ რომ ყველა დონეზე, მორჩილებისკენ მივდიოდეთ. როცა ვკითხულობთ სიტყვას, ვლოცულობთ, რომ სულიწმინდამ გამოავლინოს მორჩილების და კომპრომისის ყველა სფერო, სადაც, შეიძლება ტოლერანტულები ვართ ჩვენი ქცევების ან უცოდინრობის მიმართ.

„ღმერთი წმიდაა . . . ჩვენ წმიდად ვიქცევით“.

როცა ვიცით, ვაკეთებთ.

მე ამას გასამხნევებლად გიზიარებთ; იშვიათად მაქვს სურვილი, დავემორჩილო. მე ვემორჩილები, რადგან ვირჩევ ღვთის პატივისცემას. აქ არის რჩევა, რომ რადგან ის, ვინც მოგვიწოდა ჩვენ წმიდაა, ჩვენც უნდა ვიყოთ წმიდები, ჩვენს ყველა საქმეში. ღმერთი წმიდაა ყველაფერში. ჩვენც უნდა ვიყოთ წმიდები ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ცხოვრების სტილი უნდა აჩვენებდეს სხვებს ჩვენს დამორჩილებას ჩვენი უხილავი ღმერთისადმი.

ღმერთი წმიდაა. . . ჩვენ წმიდად ვიქცევით.

„და რაკი ჭეშმარიტებისადმი მორჩილებით განიწმიდეთ თქვენი სულები - უპირფერო, ძმური სიყვარულისთვის, მტკიცედ და სუფთა გულით გიყვარდეთ ერთმანეთი. რადგან ხელახლა ხართ შობილნი არა ხრწნადი თესლისგან, არამედ უხრწნადისგან - ღმერთის ცოცხალი და საუკუნო სიტყვის მიერ“. (1 პეტრ.1:22-23)

ჭეშმარიტებისადმი მორჩილება წმედს ჩვენს სულს. ეს განწმედა ხდება კეთებით და არა უბრალოდ მოსმენით. ჩვენ დახსნილნი ვართ უმანკო კრავის მსხვერპლად შეწირვით და ჩვენი გონება განახლებულია ღვთის სიტყვით და ჩვენი სული განწმედილია ჭეშმარიტების მორჩილებით. ეს ყველაფერი მზარდია.

როცა ჭეშმარიტებას ვემორჩილებით, ჩვენი გულები იხვეწება და შეგვიძლია, ძლიერად გვიყვარდეს ერთმანეთი. სიყვარული ვერ გაღრმავდება, თუკი გულში ადგილს არ გამოვყოფთ მისთვის. ღვთის სიტყვაში მტკიცედ ყოფნა ზრდის ჩვენს სიღრმეს და შესაძლებლობას, რათა ჭეშმარიტად გვიყვარდეს. გულს, რომელიც ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, მხოლოდ ზედაპირულად შეუძლია უყვარდეს. ქრისტე არის მთელი ჭეშმარიტების უხრწნადი თესლი და მოუდრეკელი ქვაკუთხედი. ჭეშმარიტების გარეშე სიყვარული შეუძლებელია.

„ღმერთის სიტყვაში მტკიცედ ყოფნა ზრდის ჩვენს სიღრმეს და შესაძლებლობას, რათა ჭეშმარიტად გვიყვარდეს“.

ღვთის სიტყვის უხრწნადი თესლი ძლებს სამუდამოდ. სიწმიდისადმი ლტოლვაც კი შეუძლებელია ღვთის სიტყვის გარეშე. ეს ლტოლვა არ არის ჩვენი ინტერპრეტაციის საგანი. როცა სიტყვას აქვს

თავისი გზა ჩვენში, ჩვენ გვიყვარს და გამოვიღებთ ნაყოფს, რომელიც რჩება, რადგან ის წმიდა და ჭეშმარიტია. იქნება პერიოდები, როცა ჭეშმარიტების მორჩილება ამ სამეფოში სიკვდილს გაუტოლდება. მაგრამ გახსოვდეთ, მეგობრებო, ჩვენი დღეები დედამიწაზე მხოლოდ ილუზიაა. ჩვენ ჩვენი რეალური სიცოცხლის აღმოსაჩენად შემდეგ გავიღვიძებთ.

სიწმიდე არის ჩვენი კავშირი მარადიულ პერსპექტივასთან.

სიწმიდე არის ჩვენი სხვა სამყარო.

ეს მუხლები გვაბრუნებს ქვაკუთხედთან და იმასთან, თუ რას ნიშნავს იყო ცოცხალი ქვის და წმიდა ერის ნაწილი.

სიწმიდე აშენებს ცხოვრებას, რომელიც პატივს მიაგებს ღმერთს

„ამრიგად, მოიშორეთ: ყოველგვარი ბოროტება, ყოველ-გვარი მზაკვრობა და პირფერობა და შური და ყოველ-გვარი ავსიტყვაობა; როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სულიერი, სუფთა რძე, რათა იმით გაიზარ-დოთ ხსნისათვის. რადგან იგემეთ, რომ კეთილია უფა-ლი“. (1 პეტრ.2:1-3)

ხსნა უფასო საჩუქარია (და არა გამომუშავებული), რომელშიც ვიზრდებით ყოველდღიურად. ეს იმას ჰგავს, ყველა ჩვენგანისთვის რომ მოეცათ ცარიელი სახლი. ჩვენ ვართ სახლში (დახსნილები), მაგრამ გვჭირდება ავეჯის დადგმა, რათა კომფორტულად ვიცხოვროთ და სხვების მოპატიჟებაც შევძლოთ. როცა ღვთის სიკეთეს გემოს გავუგებთ, ჩვენ ვიზრდებით სიკეთეში. და შემდეგ პეტრე ამბობს:

„რომელთანაც მიხვედით: ცოცხალ ქვასთან, ადა-მიანებმა რომ დაიწუნეს, ღვთისგან კი რჩეული და ძვირფასია“. (1 პეტრ.2:4)

სიწმიდე ნიშნავს, რომ ჩვენ ვაკონტროლებთ ჩვენს სხეულებს

„ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი გაწმედა: სიძვას განე-რიდეთ! რათა თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით და არა გარ-

ყვნილების ავხორცობით წარმართების მსგავსად, რომ-ლებიც ღმერთს არ იცნობენ. რათა არავინ გადავიდეს ზღვარს და ანგარებით არ მიუდგეს თავის ძმას საქმეში, ვინაიდან შურისმგებელია უფალი ყოველივე ამის გამო, როგორც ადრეც გითხარით და დაგიმოწმეთ. რადგან ღმერთმა უწმიდურებისკენ კი არა, სიწმიდისკენ მოგვი-წოდა. ამიტომ უგულებელმყოფელი ამისა, არ უგულე-ბელყოფს ადამიანს, არამედ - ღმერთს, რომელიც გაძ-ლევთ თქვენ თავის სულიწმიდას“. (1 თეს.4:3-8)

ეს არის ღვთის ნება, რომ ჩვენ მხოლოდ დახნილები კი არ ვართ, არამედ ნაკურთხებიც. როცა ვიცნობთ ღმერთს, ნებას ვაძლევთ მის სიტყვას, რომ მართოს ჩვენი ცხოვრება და ჩვენ აღარ ვცხოვრობთ ჩვენი წარსული მიდრეკილებებით ან ჩვენი კულტურის კარნახით. თესალონიკელები ცხოვრობ-დნენ ძალიან აღრეულ კულტურაში; საყვარლები, რიტუალური სექსი, ჰომოსექსუალები და მეძავები ნორმალური იყო მათი კულტურისთვის. ცოდვის ასეთი თარეშისას რომ ძლიერებად დარჩენილიყვნენ, მორწმუნეები უნდა ყოფლიყვნენ ღვთისმო-შიშების მაგალითები ერთმანეთისთვის. პავლე არ ამართლებს თესალონიკელებს მათი კულტურის გამო; მას სჯეროდა, რომ ღვთის მადლი საკმარისად ძლიერი იყო მათთვის, რათა სიწ-მიდეში ეარათ.

ჩვენ მუდმივად გვიყურებენ. როგორ ვცხოვრობთ, აჩვენებს იმას, რისიც გვწამს. თუ ჩვენი ცხოვრების სტილი მაცდუნებე-ლია სხვებისთვის, რათა შესცოდონ, ღმერთი მათ დაუჭერს მხარს.

ტიმოთეს მიმართ მეორე წერილში წერია:

„დიდ სახლში მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ჭურჭე-ლი არ არის, ასევეა ხისა და თიხისაც, ზოგი საპატიოდ სახმარი, ზოგიც - არასაპატიოდ. ამრიგად, ვინც ამათ-გან გასუფთავდება, ის იქნება პატივდებული ჭურჭე-ლი, განწმედილი და ხელმწიფისთვის სახმარი, გამზა-დებული ყოველი კეთილი საქმისთვის. ყმაწვილკაცურ გულისთქმებს გაექეცი! მისდიე სიმართლეს, რწმენას, სიყვარულს, მშვიდობას ყველასთან, ვინც სუფთა გუ-ლით მოუხმობს უფალს!“ (2 ტიმ.2:20-22)

ჩვენ სახლში ვართ. მაშინ რატომ არ გავხდით ჩვენს თავს რაც შეიძლება გამოსადეგს და ძვირფასს ბატონისთვის?

ჩემს ცხოვრებაში უამრავი სფერო მოითხოვდა მომზადების ხანგრძლივ პროცესს. მაგალითად, დიდი ხანი დამჭირდა სანამ ქორწინებაზე დავიწყებდი ლაპარაკს. ამ და სხვა სფეროებში ჯერ არ ვიყავი მზად; ჯერ არ ვიყავი გამოსადეგი ჩემი ბატონის მიზნებისთვის. ამ სფეროებში მე პროცესში მყოფი საქმე უფრო ვიყავი, ვიდრე კარგი საქმისთვის სარგო. ერთადერთი ჯილდო, რაც მიმიღია, იყო ათი წლის ასაკში. ეს იყო ყველაზე გაუმჯობესებულისთვის. აი ასეთია ჩემი ცხოვრების ისტორია. ძირითადად, ჩვენ გვავიწყდება, რომ გაუმჯობესებაც გამარჯვებაა.

ჩემი გული ხედავს ახალგაზრდა თაობას, რომელიც უფრო სწრაფად ემზადება. ისინი უნდა გაექცნენ თავიანთ ახალგაზრდულ ვნებებს. უნდა გაექცნენ, როგორც რაღაც საფრთხეს. მიატოვონ: გულისთქმა, სიამაყე, შედარება და შეჯიბრი მტვერში. რაღაცისგან გაქცევა საკმარისი არაა. ჩვენ უნდა გავიქცეთ რაღაცისკენ. დროა, გავიქცეთ: მოუდრეკელი გამართლებისკენ, რწმენისკენ, სიყვარულისკენ და მშვიდობისკენ. მინდა, ახალგაზრდა კაცები და ქალები იმათ შორის ითვლებოდნენ, რომლებიც უფალს წმიდა გულით მოუხმობს. მინდა, რომ უფლის სახელი იყოს ძლიერი კოშკი ყველა თაობისთვის და მისი სახელი არის წმიდა.

„რაღაცისგან გაქცევა საკმარისი არაა. ჩვენ უნდა გავიქცეთ რაღაცისკენ“.

სიწმიდე ნიშნავს, რომ ჩვენ ვუახლოვდებით ღმერთს მისი ტერმინებით და არა ჩვენით. ჩვენი კულტურა მიეჩვია ღვთის მადლის აღებას და მის ცოდვის ლიცენზიად გამოყენებას. ებრაულ რჯულში იყო ორივე - მორალური კოდი და საუკეთესო პრაქტიკაც. მადლის შეთანხმება არასდროს გულისხმობდა მორალური კოდისთვის ძირისგამოთხრას. სიწმიდე და სიყვარული უფრო მაღალ სტანდარტზე აყენებს მორალურ კოდს. ახალ აღთქმაში, ღალატი დაიწყო მხოლოდ გულისთქმით ქალისადმი; ძველ აღთქმაში ცოდვა არ არსებობდა, სანამ უშუალოდ ღალატის მოქმედებით არ გამოიხატებოდა. ისევ ნიკოლოზ თომას რაიტის სიბრძნეს დავუბრუნდები, რათა დღევანდელ დღეს შევხედოთ:

> „ჩვენი თანამედროვე სამყარო სექსუალურ სურვილად გადაიქცა, მჯობინება და პრაქტიკა ყველასთვის თავისუფალ მორალში, სადაც ერთადერთი წესი არის,

> რომ ხალხს უფლება ჰქონდეთ, გამოხატონ სურვილები, რომლებიც მათში იბადებიან. პავლესთვის, ისევე როგორც ყველა ებრაელისთვის და მორალური ქცევის მასწავლებლისთვის ადრეული ქრისტიანებისთვის, ეს იგივეა, რომ ნება მისცე ცხენს ან ვირს, გაუხედნავს და მოუთვინიერებელს, რომ გაიქცნენ და გადახტნენ ნებისმიერი მიმართულებით, საფრთხეში ჩააგდონ მხედარი და მაყურებლები და უსარგებლო საქმე აკეთონ. სექსუალურობა არის ბრძენი შემოქმედის კარგი საჩუქარი, მაგრამ როგორც ყველა კარგი საჩუქარი, მოცემულია რაღაც მიზნისთვის; მხოლოდ ისეთ სამყაროში, სადაც ერთადერთი მიზანი თვითდაკმაყოფილებაა, შეიძლება, ვინმე მოელოდეს, რომ არაა საჭირო ბევრი შრომა ისეთი ძლიერი სურვილების გასაწვრთნელად და მოსარჯულებლად, როგორიცაა სექსუალური სურვილები“.[6]

თვითკმაყოფილება არასდროს უნდა იყოს მიზანი მათთვის, ვინც იესოს მიჰყვება. ჩვენ ვერც მივცემთ ნებას ჩვენს მიდრეკილებებს და სექსუალურ სურვილებს რომ ჩვენს ბატონად იქცეს. იესო მთლიანად ადამიანი იყო და მასაც ჰქონდა ცდუნებები, ისევე როგორც ჩვენ. ეს ნიშნავს, რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა, გამოეცადა იგივე მისწრაფებები, რასაც ჩვენ ვებრძვით. და მაინც, ის უცოდველი იყო. როგორი ცდუნებაც არ უნდა იყოს შენს ცხოვრებაში, იესომ გადალახა ის, ასე რომ, ცოდვა ვერ გახდება შენი ბატონი. მე არ ვამბობ, რომ ცდუნებების გადალახვა მარტივი იქნება. ეს რთული იქნება, მაგრამ თავისუფლება ღირს ბრძოლად.

სიწმიდე ნიშნავს სიმართლის თქმას

> „თუ სძულხართ წუთისოფელს, იცოდეთ, რომ თქვენზე უწინ მე შემიძულა. თქვენ რომ წუთისოფლისანი ყოფილიყავით, წუთისოფელსაც ეყვარებოდა თავისიანები. და რაკი არა ხართ წუთისოფლისანი, არამედ მე გამოგარჩიეთ წუთისოფლიდან, ამიტომ სძულხართ წუთისოფელს“. (იოან.15:18-19)

ჩვენ უნდა ვიდგეთ ქაოსის შუაგულში და ჭეშმარიტება გამოვაცხადოთ. ჩვენ შეგვიძულებენ, თუკი ავირჩევთ ჩვენი თავის მარადიულ ფასეულობებთან გათანაბრებას. იყო

წმიდა ღვთისთვის, არ ნიშნავს რომ ადამიანები მუდმივად ბედნიერები იქნებიან იმით, რასაც ვიტყვით. იესო იმეორებს მის პასუხისმგებლობას შემდეგ მუხლებში:

> „გაიხსენეთ სიტყვა, რომელიც გითხარით: მონა არ არის-მეთქი თავის ბატონზე დიდი. თუ მე მდევნიდნენ, თქვენც დაგიწყებენ დევნას; თუ ჩემი სიტყვა დაიცვეს, თქვენსასაც დაიცავენ. მაგრამ ყოველივე ამას ჩემი სახელის გამო გიზამენ, რადგან არ იცნობენ ჩემს წარმომგზავნელს“. (იოან.15:20-21)

ჩვენ დევნას დაგვპირდნენ და არა პოპულარობას. ‍ოპულარულია, ფეხი აუწყო ყველაფერს, რასაც მსოფლიო ამბობს. პოპულარულია თქვა, რომ ჭეშმარიტება სუბიექტურია და ბიბლია ძველმოდურია. პოპულარულია თქვა, რომ იესოს ესმის შენი ტკივილის და არაპოპულარია იმის თქმა, რომ მას შეუძლია, მოგცეს ძალა რათა იარო კოჭლობით, ვიდრე შენი სუსტი გაგებით. არ არის პოპულარული იმის თქმა, რომ ეს ის ღმერთია, რომელიც უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პასუხი ცოდვაზე იცვლება.

> „მე რომ არ მოვსულიყავი და არ მელაპარაკა მათთან, ცოდვა არ ექნებოდათ. ახლი კი არ გააჩნიათ გამართლე-ბა თავიანთი ცოდვებისთვის“. (იოან.15:22)

ჩვენ დანაშაულს ვერ მოვიშორებთ ცოდვისთვის საბაბის მოძებნით და ნორმალიზებით. ჩვენ უნდა მოვიდეთ საქმის ფესვამდე და მოვაცილოთ დანაშაულის და სირცხვილის წყარო - გაყოფილი გულები.

როგორც ქრისტეს მიმდევრები, ვერასდროს მივემხრობით ქურდებისთვის ხელების მოჭრას, მოღალატეების მოკვლას ან მათ სიკვდილით დასჯას ვინც ინცესტი ჩაიდინა ან გააუპატიურა ვინმე. ჩვენი მიზანი არ არის კანონის გაძლიერება; ჩვენი მიზანია მივუთითოთ ქრისტესკენ გზაზე. ქრისტეში ყველა ცოდვა ნაპატიებია და ჩვენ ვაშორებთ ჩვენს თავს დანაშაულს. თუმცა ვინმეს სიყვარული არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვაძლიერებთ მათ დარღვევებს (სიხარბე, ღალატი, მკითხაობა, თუ ამორალურობა). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვაცნობიერებთ მათ ადამიანურ ღირებულებებს და ვლაპარაკობთ სინათლეს მათ მომავალში.

არც ერთი ჩვენგანი არ არის ცოდვის გარეშე, მაგრამ

ეს გამოცხადება არ ნიშნავს, რომ არასწორი ცვილებები სწორია. მოდი, დავუბრუნდეთ იმ ადგილს, როცა იესომ ჰკითხა ღალატში გამოჭერილ ადამიანს, თუ დარჩა ვინმე, რომ დაედანაშაულებინა ის:

> „ქალმა უპასუხა: „არავინ, უფალო!“ იესომ უთხრა: „არც მე გდებ მსჯავრს. წადი და ამიერიდან ნულარ შესცოდავ!“ (იოან.8:11)

იესო არ პატიების წყალობით არ შემოფარგლულა („არც მე გდებ მსჯავრს“); მან დაამატა მონანიება და მადლი („წადი და ამიერიდან ნულარ შესცოდავ“). მას არ დაუმძიმებია ქალის მრუში ცხოვრების სტილი. მას არ უთქვამს: „ნუ ღელავ ამაზე, პატარა გოგონა. ყველა შენი მომავალი ცოდვა ნაპატიებია“ (მიუხედავად იმისა, რომ ასეც იყო.) მას არ უთქვამს: „მესმის რომ შენ საჭიროებები გაქვს“. მან თქვა: „მიატოვე შენი ჩრდილით სავსე ცხოვრება და იარე ჩემს სინათლეში“.

„იმის ნაცვლად, რომ სიბნელე სინათლისთვის მივატოვოთ, ჩვენ ხშირად ვიცვლით ხედვას და ბნელს ნათელს ვუწოდებთ“.

> „კვლავ ელაპარაკა ხალხს იესო; უთხრა: „მე ვარ სინათლე ქვეყნისა, ვინც მე მომყვება, ბნელში არ ივ-ლის, არამედ სიცოცხლის სინათლე ექნება“. (იოან.8:12)

იმის ნაცვლად, რომ სიბნელე სინათლისთვის მივატოვოთ, ჩვენ ხშირად ვიცვლით ხედვას და ბნელს ნათელს ვუწოდებთ. მოდი. ვიაროთ ემპათიაში, რომელიც ძალას მისცემს სხვებს, რათა თავისუფალი ცხოვრებით იცხოვრონ. მოდი, მოვიპატიჟოთ სხვები, რომ იცხოვრონ თავიანთი ბნელი წარსულის მიღმა და გაჰყვნენ იესოს მის სინათლეში. მაგრამ ეს ერთ-ერთი ის საუბარია, რომელიც უმჯობესია პირადად გაიმართოს და არა მიაჭრა სოციალურ ქსელში, სწორედ ამიტომ მოგმართავთ მე თითოეულ თქვენგანს.

> „ნუ მისცემთ წმიდას ძაღლებს და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს, რათა ფეხით არ გათელონ და შემობრუნებისას თქვენც არ დაგგლიჯონ“ (მათ.7:6)

სიწმიდის იდეასთან ასეთი ურთიერთობა არ მექნებოდა, წმიდა წერილის მოსწავლე რომ არ გავმხდარიყავი. ღვთის სიტყვა მოსიყვარულე მამის კონტექსტის გარეშე ძალიან სასტიკად გამოიყურება. მე არ მინდა, გითხრათ, რა იფიქროთ. თქვენ უკვე ძალიან ბევრი ადამიანი გყავთ გარშემო, ვინც ამას აკეთებს. მინდა რომ დაფიქრდეთ და თქვენს თავს მოუსმინოთ! სწორედ ამიტომ გთხოვთ, რომ შეისწავლოთ ეს ადგილები წმიდა წერილიდან და დარწმუნებით გაიმეოროთ ეს სიტყვები იესოს ლოცვიდან ჩვენს შესახებ:

„მე მივეცი მათ შენი სიტყვა და წუთისოფელმა შეიძულა ისინი, რადგან არ არიან წუთისოფლისანი, როგორც მე არა ვარ წუთისოფლისა. არ გთხოვ, რომ წუთისოფლიდან წაიყვანო ისინი, არამედ, რომ დაიცვა ბოროტისგან. წუთისოფლისგან არ არიან ისინი, როგორც მე არა ვარ წუთისოფლისგან. განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით; შენი სიტყვაა ჭეშმარიტება. როგორც შენ მომავლინე წუთისოფელში, მეც ასევე მივავლინე ისინი წუთისოფელში. ჩემს თავს განვწმედ მათთვის, რათა ისინიც განწმედილნი იყვნენ ჭეშმარიტებით“. (იოან.17:14-19)

ძვირფასო ზეციურო მამა,
განმწმინდე შენი სიტყვით და გამხადე წმიდა ჭეშმარიტებაში! მომეცი ძალა უკან მოვიტოვო სიბნელის ყველა სამეფო! მე მინდა ვიცხოვრო და მიყვარდეს შენი გაძღოლის სინათლეში. რომ ვიყო წმინდა ყველაფერში, რასაც ვაკეთებ რათა სხვებმა იცოდნენ, რომ მე შენ გეკუთვნი.

მე ანდამატი ვარ

„მოუდრეკელი სხეული, ცეცხლის სული, ვერანაირი საფრთხე ვერ შეაშინებს მას, და ვერაიანაირი საქმე ვერ დაღლის“.

სამუელ ჯონსონი

ამისათვის, რომ გითხრათ, როგორ დაიწყო ჩემი მოგზაურობა მოუდრეკლობისაკენ, დაახლოებით ათი წლით უნდა გადავინაცვლო წარსულში.

ყველაფერი დაიწყო უშტატო რედაქტორის უხეში ზარით, რომელიც გამომცემელმა დაიქირავა, რათა ერთი წლის განმავლობაში ჩემთან ერთად ემუშავა ერთ-ერთ ჩემს წიგნზე. ჩვენ ორი, წინ და უკან მიმოვდიოდით წიგნის არსსა და სტილს შორის. სამწუხაროდ, რამდენიმე მის მიერ დარედაქტირებულ თავში საკუთარ ხმას ვეღარ ვცნობდი. თავდაჯერებულობის სიმცირის გამო, ნება მივეცი კედელთან მივემწყვდიე. გავაცნობიერე, რომ ვეღარ შევეწინააღმდეგებოდი და მხოლოდ მორჩილება დამრჩენოდა, უნდა დამეწერა, რასაც მეტყოდა.

ვიცოდი, რომ ამ წიგნში ის შეტყობინება და დავალება იყო, რომელიც ღმერთმა მე მომანდო და საბოლოოდ მე მომიწევდა პასუხისგება იმაზე, თუ როგორ შეასრულებდა ეს წიგნი თავის მიზანს. მე მჯერა, რომ წიგნები გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვათა თავმოყრა ფურცლებზე. ისინი ატარებენ ავტორის ხმას თუ ტონს და პოზიციას. დარწმუნებული ვარ, რომ, როგორ კითხულობ თუ ისმენ წიგნს, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას კითხულობ. თუკი სწორი რამ არასწორი ფორმითაა

ნათქვამი, იდეა შეიძლება დაიკარგოს მკითხველისთვის.

რაღაც მიზეზით ამ რედაქტორმა ჩემი ტონი სიბრაზით შეცვალა და ჩემი პოზიცია ავტორიტარულით. ეს არ ყოფილა ის პოზიცია, რომლის მიღებაც მინდოდა. ძირითად თემებთან მიმართებაში, მე ვარ ახალგაზრდა ბიბლიის მსწავლელი, ვისაც სურს, შექმნას სასაუბრო თემები. მე ვამჯობინებ, ვილაპარაკო როგორც დამ, დედამ, და ახლა უკვე როგორც ბებიამ, თუმცა ჩემი უდიდესი იმედია, რომ დამდებთ პატივს, და ამ გვერდების განმავლობაში მეგობარს მიწოდებთ.

ჩემი რედაქტორი არ ეთანხმებოდა ამ მიდგომას. ის იყო ძლიერი და ნიჭიერი ქალი, განსაზღვრული აზრებით. მე ვცდილობდი, მიმენიშნებინა მისთვის, მაგრამ არ მისმენდა. ამ ზარისას ყველანაირი მინიშნება დამთავრდა. ჯონმა შემთხვევით მოისმინა საუბარი, როცა ჩემს პოზიციაზე მივუთითებდი და მის რედაქტირებებს სიტყვა-სიტყვით, სათითაო წინადადებით მივყვებოდი.

ყურმილი დავკიდე და ამოვიოხრე. საოცრად ენერგიაგამოცლილი ვიყავი ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდგომ. წიგნზე სასადილო ოთახში, ჯონის ოფისის მოპირდაპირედ ვმუშაობდი.

„უხეში სატელეფონო ზარი?“ – ჯონმა ივარაუდა.

„კი“, – დავეთანხმე.

„გამოდის?“

“არ ვიცი“, – გულწრფელად ვუპასუხე.

ჯონმა იცოდა რომ რედაქტორთან დისკუსიისას საკმაოდ დამთმობი ვიყავი ხოლმე.

„ნუ, ახლა შენ თითქოს . . . მოუდრეკელი იყავი“, ჯონმა ეს სიტყვა თავდაჯერებულობისთვის ამოირჩია.

მე თავი დავუქნიე.

და უცებ, მისმა სიტყვამ თითქოს რაღაც ჩემში ღრმად დაფლული გააღვიძა.

ავდექი და მისი სიტყვები დავამტკიცე: „მე მოუდრეკელი ვარ!“

და შემდეგ უფრო პირადული რომ გამეხადა ეს განცხადება, ჯონის ოფისისკენ წავედი და გავიმეორე: „მე მოუდრეკელი ვარ!“

ჯონმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია: „კარგი, მაშინ მუშაობას დაუბრუნდი“.

სიცოცხლე შემოვიდა ჩემში.

დავუბრუნდი ჩემს კომპიუტერს და განვაახლე წიგნის ის

თავები, რომლებზეც უკვე დავნებდი და თავიდან დავიწყე მათზე მუშაობა, და წიგნში ჩემი ხმა თავიდან გავაჟღერე. ვიგრძენი, რომ ღვთის ხედვა ამ წიგნის მიმართ გამოცოცხლდა. როცა ვმუშაობდი, თითქოს ჩემი თითის წვერებიდან სიტყვები მოფრინავდნენ.

მოგვიანებით, იმავე საღამოს ჩემი ასისტენდი დაბრუნდა, რაღაც შეკვრით ხელში.

„შენ უჩვეულო საჩუქარი მიიღე“, – მითხრა და შეფუთვა მაგიდაზე დადო. იგი გვერდზე იდგა და გახსნისას ჩემს რეაქციებს აკვირდებოდა.

ეს იყო შავი მარკუთხა ყუთი, რომელიც კუთხეებში ოქროსფერი დეტალებით იყო გაფორმებული. როცა გავხსენი, ხუფის ქვეშიდან დეკორატიული გლობუსი გამოჩნდა. ყუთი შიგნიდან ოქროსფერი ხავერდით იყო ამოფენილი, მათ შორის კი ერთი ცალი ფურცელი იდო. თუმცა ფურცლის წოდება მისთვის დამამცირებელია. ეს იყო პერგამენტის ქაღალდი, ოპალისებრი ბოლოებით. ბეჭდური წარწერა ისეთი შრიფტით იყო შესრულებული, რომელსაც საქორწინო მოსაწვევებში ან ღირსების სერტიფიკატებში ვიყენებთ. ქაღალდი დათარიღებული იყო 2005 წლის 12 დეკემბრით, და მსხვილი შრიფტით ეწერა „ალმასი“, ქვევით კი მისალმება იწყებოდა - „ჩემს მოუდრეკელს, ჩემს ძვირფას ლიზას, ჩემს მოუდრეკელს“.

ამაკანკალა. ის ფაქტი, რომ რამდენიმე საათის წინ იგივე სიტყვებით ვირწმუნებდი თავს, ჯერ კიდევ არ დაკარგულიყო. დატყვევებული დავჯექი იმის გაცნობიერებით, რომ რაც, ხელში მეჭირა, ჩვეულებრივი წერილი არ იყო. ღრმად ამოვისუნთქე, დავმშვიდდი და კითხვა დავიწყე.

ხელში მეჭირა ლექსი, რომელიც აცხადებდა ღვთის სიყვარულის ძალას ჩემს ცხოვრებაზე. თითოეული წინადადება გადახლართული იყო სიტყვებში: „მე ვარ“ ამ ერთ ფურცელზე, სიტყვა მოუდრეკელი ხუთჯერ შემხვდა. ეს სიტყვები იმდენად ახლოს იყო ჩემთან, რომ ვგრძობდი მამა მიყურებდა. ფურცლის ბოლოში არანაირი სახელი არ ეწერა. ამოვატრიალე. ისევ არაფერი.

„ვისგან არის?“ – ვიკითხე მე.

„არ ვიცით!“ – მიპასუხა ასისტენტმა. „სადად შეფუთული მოვიდა ჩვენთან, და არც გამომგზავნის მისამართი არაა“.

დამდაბლებურად ვიგრძენი თავი, რომ ვიღაცამ მოუსმინა ღმერთს და დრო გამოყო, რათა ეს სიტყვები ჩემთვის დაეწერა. ვიღაცამ, ვინც არ იცოდა, რამდენ კითხვას ვუსვამდი საკუთარ

თავს და რა ბრძოლებში გავდიოდი წიგნის დასაწერად. ღმერთმა აკურთხოს. საჩუქარი მივიღე როგორც ნიშანი და დასტური იმისა, რომ ხელნაწერის კურსსა და მიმართულებას უნდა გავყოლოდი, რომ არ უნდა შემშინებოდა წერის და ჩემი დებისთვის მეთქვა, რომ ღმერთმა თქვენ შეგქმნათ, რათა იყოთ პასუხები პრობლემებით სავსე სამყაროში.

„ღმერთმა თქვენ შეგქმნათ, რათა იყოთ პასუხები პრობლემებით სავსე სამყაროში“.

არასდროს გამიგია ვინ გამოაგზავნა ეს შეფუთვა. მიუხედავად ამისა, ყუთი და წერილი ჩემი მაგიდის თავზე, ზანდუკში შევინახე. ის მახსენებდა შემობრუნების მომენტს. ეს სიტყვები იმ მომენტს აღნიშნავდა, როცა გადავწყვიტე: მოუდრეკელი, უძლეველი, ურყევი ვყოფილიყავი იმ ყველაფრის მიმართ, რაც ღმერთმა მითხრა და როგორც მითხრა. მომავალში ჩემს უფლებებს გამოვიყენებდი და კომპრომისზე აღარ წავიდოდი.

შემდეგ წელს წერილები ყუთში ჩავალაგე (გახსოვთ ისინი?). ეს ძირითადად იყო დამოწმებები ახალგაზრდა გოგონებისგან და ქალებისგან, ვისაც ეს წიგნი შეეხო. ყუთი დიდი არ იყო, და უცებ გაივსო. შემდეგი ათი წლის განმავლობაში კი გაუხსენელად ინახებოდა და მტვერს აგროვებდა.

ალმასები

ცოტა ხნის წინ, დავიწყე ალმასების დანახვა ყველგან. თითქოს ეს იყო ის ძაფი, რომელიც აკავშირებდა ყველა იმ კონფერენციას, რომელზეც წლის განმავლობაში სიტყვით გამოვდიოდი. გულწრფელად რომ ვთქვა, დავიწყებული მქონდა, რა კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან ანდამატს და ალმასს. მსოფლიოს მდგომარეობის გათვალისწინებით, იმ აზრზე ვიყავი, რომ ალმასების გარშემო არსებული ყველა ღონისძიება იაფფასიანი და ზერელე იყო.

მაგრამ იყო კიდევ ერთი „ალმასის“ კონფერეცია. ცოტა გაღიზიანებული ვიჯექი ჩემი სასტუმროს ოთახში სესიებს შორის და გულში ვწუწუნებდი თემის შესახებ, როცა სულში გავიგე: „ერთ დროს შენ გაიხარე, როცა ჩემი ალმასი, ჩემი ანდამატი გიწოდე“.

გაოცებულს, ლექსი გამახსენდა. დავჯექი და ბიბლიის აპლიკაცია გავხსენი ჩემს აიპადში. დავიწყე ალმასების და

ქვების შესახებ ადგილების ძებნა. როცა 1 პეტრეს 2:4 წავაწყდი, მივხვდი რომ საგანძურამდე მივიდოდი - „რომელთანაც მიხვედით, ცოცხალ ქვასთან“.

დაახლოებით ერთი კვირის გამნავლობაში არაერთი ცნობა ვიპოვე უძველეს ტექსტებში, სადაც საუბარი იყო სიტყვა მოუდრეკელზე. ერთ-ერთი საინტერესო ხელნაწერი, დაწერილი იყო 1600-იან წლებში. ის მიუთითებდა ეზეკიელის მესამე თავზე და ამბობდა, თუ როგორ გახადა ღმერთმა მისი ძის სახე მოუდრეკელი, როგორც ეზეკიელს დაპირდა.

გამელიმა ქრისტეზე ამ ადგილის წაკითხვისას, რომელმაც (კაჟივით) ანდამატივით გაიხადა სახე, რათა მომკვდარიყო რომ ჩვენ გვეცოცხლა.

ავტორი აღწერდა ანდამატს იმ ტერმინებით, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ. ანდამატი ყველაზე მაგარი ქვაა: ცეცხლი ვერ დაწვავს მას, სითბო ვერ შეაღწევს მის გულამდე, ჩაქუჩი ვერ გატეხავს მის გარსს, წყლის დიდი ჭავლის ძალაც კი ვერ დაშლის მას. ანდამატი არ მცირდება, არ შედრკება და ფერს არ იცვლის. ანდამატი მუდმივია. ავტორი თავის აზრებს ასე აჯამებდა: „კარგი ქცევა ქრისტიანს ანდამატად აქცევს, ის გახდის მას დაუძლეველს და უცვლელს“.[1]

„შენი სახელი ამოტვიფრულია მის გულზე“.

რადგან მალე ერთმანეთს დავემშვიდობებით, ვფიქრობ, სწორი იქნება თუკი მიღებული ლექსის ნაწილს გაგიზიარებთ, რადგან ეჭვი არ მეპარება, ის შეიცავს დაპირებებს, რომლებიც სხვებსაც უნდა გავუზიარო. თითოეული ხაზი არის პირადი და უნიკალური მოწოდება თითოეული ჩვენგანისთვის.

„ჩემო მოუდრეკელო,
ვიღიმი, როცა შენზე ვფიქრობ.
შენ ისმენ და ცნობ ჩემს ხმას.
შენ იღიმი ჩემს დიდებულებაზე.
როგორც ვამბობ, შენ ძლიერი ხარ.
და მაინც, ჩემი ანდამატი.
შეიძლება შენი გული შევატოკო?
მე ძალიან მიყვარხარ შენ.
სიკეთით ვლაპარაკობ მე.
როგორიც მე ვარ, შენც ესეთი ხარ. მე აღძრული ვარ.
ჩემს გულზე შენი სახელია ამოტვიფრული.

პატივი მომაგე შენი, ლამაზი ღიმილით და ძლიერი გულით, ჩემო მოუდრეკელო!

გაიღიმე, რა საყვარელია! შენი სახელი ამოტვიფრულია მის გულზე და მისი სიტყვები სიკეთიდან ლაპარაკობენ. პატივი მიაგე, მამაცო ძეო და ასულო, შენი გულის სიძლიერით და შენი დღეების ხანგრძლივობით. უთხარი სხვებს მისი მოუდრეკელი სიყვარულის შესახებ. პატივი ეცი მის ხელებს შენს ცხოვრებაზე მისი სიტყვის სამეფო ხელმწიფებით და მისი სულიწმიდის ზეთის ცხებით.

პოეზიის ძარღვის მიყოლით, საშუალება მომეცა სამუელ ჯონსონის სიტყვები, რომლებიც თავის დასაწყისში მაქვს მოტანილი გადმომეტანა და პირადულად მიმეღო. ძვირფასო დაო და ძმაო ქრისტეში:

> შენ გაქვს ადამანტის სხეული,
> და ცეცხლის სული,
> ვერანაირი საფრთხე ვერ შეგაშინებს,
> რადგან გაჭირვება აგამაღლებს.

ჩვენი ანდამატის სხეული გამჭვირვალეა, გაბრწყინებულია, მიმზიდველია, სინათლეზეა გამოტანილი და მაინც ისეთი მაგარია, როგორც ალმასი. ჩვენ ქრისტეს ურღვევ საქმეში ვართ გახვეულნი. ქრისტეს სული ცოცხლობს ჩვენში, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეში, ჩვენს ანდამატში.

და მოდი, ახლა ამ ცეცხლის სულზე ვილაპარაკოთ:

> „იოანე ყველას პასუხობდა: „მე წყლით გნათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის თასმის გახსნის ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით“. (ლუკ. 3:16)

ჩვენ მოვინათლეთ მის სულიწმიდაში და მისი წმიდა ცეცხლით. იოანეს ნათლობა იყო იმის წინასწარი გამოვლენა, რასაც იესო ჩვენს შორის მოიმოქმედებდა. როცა ხელახლა ვიშვით, ჩვენი უსიცოცხლო გული გამოცოცხლდა მისი მარადიული სიყვარულის ცეცხლოვანი ბრწყინვალებით. ჩვენი წმიდა ცეცხლის ღმერთი შთანთქავს ჩრდილის ნარჩენებს, რომელსაც შეუძლია დაასუსტოს მისი სიყვარულის გამოხატულება ჩვენ მიმართ და ჩვენ მიერ. მისი ცეცხლი გარემოგვიცავს ჩვენ.

ზაქარიას 2:5 ამბობს: „მე ვიქნები მისთვის - ამბობს უფალი - ცეცხლის გალავნად გარშემო და დიდებად მის წიაღში“. სხვა თარგმანი ამ ცეცხლს ღვთის ბრწყინვალე თანდასწრებით გამოხატავს. მე მჯერა, რომ ეს მუხლი ლაპარაკობს როგორც იერუსალიმის ასევე – სიონის ეკლესიაზე. ღმერთი როგორიც არის ისრაელისთვის, იგივე არის ჩვენთვის. შესაბამისად, ჩვენ გარემოცულები ვართ ღმერთის ცეცხლოვანი, დამცველი თანდასწრებით. დავითი ანგელოზურ ჯარზე საუბრისას ამბობს: „სულებად ქმნის თავის ანგელოზებს და მოგიზგიზე ცეცხლად - თავის მსახურებს“ (ფსალ.103:4)

ზაქარიას მე-13 თავში, ცეცხლი განწმედის იარაღია:

> „ცეცხლში გავატარებ ამ მესამედს და გავწმედ, როგორც ვერცხლი იწმიდება და გამოვცდი, როგორც ოქრო გამოიცდება; მოუხმობენ ჩემს სახელს და მე ვუპასუხებ მათ, ვეტყვი: ეს არის ჩემი ხალხი! იტყვიან: უფალია ჩემი ღმერთი“. (ზაქ. 13:9)

ცეცხლში ჩვენ მოვუხმობთ და ის გვპასუხობს. სწორედ იქ გვიწოდებს თავისას და ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ უფალი ჩვენი პირადი მხსნელია.

დაბადების 15:17-ში ჩვენი რწმენის მამა, აბრაამი უყურებდა მბოლავ ღუმელს და ცეცხლოვან ლამპარს, რომელიც მის შესაწირს შორის მიმოდიოდა. ჩვენი ღმერთი არ გვთხოვს შესაწირის დაყოფას: ხბოდ, თხად, ცხვრად და ჩიტად. ის გვთავაზობს, რომ ჩვენი გულები მისი სიწმიდის ცეცხლით გარემოვიცვათ.

„არასდროს დააიგნორო საჩუქარი შენს ცხოვრებაში“.

მეორე ტიმოთეს 1:6 საჩუქარს, რომელსაც ღმერთი ჩვენს ცხოვრებაში ათავსებს, ადარებს ალს, რომელსაც მიმართვა სჭირდება. გაიხარე ამით ჩემო მეგობარო! იმღერე! იცეკვე! წაიკითხე! ილოცე! დარჩით მოზიარეობაში! დაამოწმეთ! შედით შემსწავლელ ჯგუფში! იპოვეთ ხელძღვანელი! დაისვენეთ! შეჩერდით და ჩაუფიქრდით! მაგრამ **ა**რასდროს დააიგნორო საჩუქარი შენს ცხოვრებაში! ეს უფრო ძვირფასია, ვიდრე ბრილიანტი. მოუარე მას უფრო ფაქიზად, ვიდრე ბაღს. გამოყავი დრო მისთვის და უყურადღებოდ ნუ დატოვებ.

პირად ცხოვრებაზე გადმოტანილი შემდეგი სტრიქონია: „ვერანაირი საფრთხე ვერ შეგაშინებს“. ჩვენ დაცულნი ვართ მის გარეშე და განწმედილნი ვართ მისით. ასეთ პოზიციაში მყოფებს, როგორ შეიძლება რაიმესი მართლა შეგვეშინდეს? დიახ, ჩვენ შეიძლება ველოდეთ, რომ იქნებ შეგვეშინდეს ან გავოცდეთ, მაგრამ თუკი ვცხოვრობთ გაცნობიერებულად, შეშინება უბრალოდ შემხვედრი ფრაზა იქნება და არა ცხოვრების სტილი.

და ბოლო ხაზი: „რადგან გასაჭირი აგამაღლებს“ ამის საილუსტრაციოდ მინდა, ერთი ამბავი გაგიზიაროთ, რომელიც ჩემმა მეგობარმა მომიყვა.

თუ აქამდე არ იცოდით, ახლა უნდა იცოდეთ: ძალიან მიყვარს ყავა. სინამდვილეში, ესპრესოა საკითხი, რაშიც მოუდრეკელი ვარ. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მისი მუქი სატყუარა ღრმადაა ჩახლართული ჩემი იტალიური გენების ხასიათში.

იცით, რომ ღმერთს შეუძლია გამოიყენოს, რაღაც, რაც გიყვარს იმისათვის, რომ შეტყობინება მოიტანოს შენამდე? და თუკი ყავას მოყვარული არ ხარ, მჯერა რომ ეს ყავის მაღაზიის ისტორია შენთვისაცაა.

ცოტა ხნის წინ, ტექსასში, ქალაქ ამარილოში დავრჩი. ქალთა კონფერენციაზე გამოვდიოდი და შაბათ-კვირის მსახურებებისთვის დავრჩი. ყოველთვის, როცა რომელიმე სასტუმროში ვრეგისტრირდები, მაშინვე ახლომდებარე ყავის მაღაზიების შესახებ ვეკითხები. ჩემდა საბედნიეროდ, გავიგე რომ განსაკუთრებული მაღაზია იყო ერთი შენობის იქით . . . პრიზიორი ყავის კომპანიის სასახლე.

პარასკევს გვიან ღამით ჩავედი მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ შესანიშნავი მიმოხილვის მოსმენის შემდეგ, ჩემი მაღვიძარა შაბათ დილისთვის ერთი საათით ადრე დავაყენე, ვიდრე მჭირდებოდა. როგორც კი ჩემმა აიფონმა დარეკა, საწოლიდან გადმოვფოფხდი, კბილები გავიხეხე, შემოვიცვი ტანსაცმელი რომელიც გამზადებული მქონდა, შემოწირულობა გავიღე ჩემი ერთგული ავიატორებისათვის და ამ საოცარი ადგილისკენ გავწიე.

იმის თქმა, რომ აღელვებული ვიყავი, დაამცირებს ჩემს მაშინდელ მდგომარეობას. ამ ადგილას მშვიდი ჰიბსტერული ატმოსფერო იყო, რომელიც მე ძალიან მიყვარს, რადგან მყავს ვაჟი და რძალი ტექსასიდან. ერთი თვალის შევლება სასმელების მენიუზე და სასიამოვნოდ თავბრუდახვეული ვიყავი.

როცა ჩემი ჯერი მოვიდა, მოლარისკენ გადავიხარე, შეიძლება მისი ხელიც კი დავიჭირე - „მითხარი ყველაფერი, რაც განსაკუთრებული გაქვთ!“

„ჩვენ მინიმალურქაფიანი კაპუჩინო გვაქვს“,

„შესანიშნავია!“ წარმოდგენა არ მქონდა, როგორი იყო, ასე რომ, გადავწყვიტე, მეტი გამეგო.

„კიდევ რა?“

„კიდევ გვაქვს ჩემი საყვარელი ყავა, ლავანდის ლატე“, – შემომთავაზა მან.

„კარგი“ – თავი დავუქნიე, მისი არჩევანის დასათანხმებლად. „კიდევ რამე?“ - ვიკითხე და თან ვცდილობდი ჩემი მზარდი აღფრთოვანება დამემალა.

„ჩვენ ლეღვის და თაფლის ლატეც გვაქვს“.

„არაჩვეულებრივია!“ – ვუპასუხე, თან ვცდილობდი ჩამეხშო სურვილი, რომ ჩავხუტებოდი. „სამივე მინდა. მოდი, კაპუჩინოთი დავიწყოთ და შემდეგ ლატეზე გადავიდეთ. მაგრამ სამივეს ფულს ახლავე გადავიხდი“. ჩემი სახელი ვუთხარი, გადავიხადე და მოლარეს მოვშორდი.

შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რამაც ძალიან გამაოცა. არ ვიცი, ჩემი ბრმა თვალის მხარეს იდგა, თუ უბრალოდ იმდენად ვიყავი სასმელით აღტაცებული, რომ ვერ შევნიშნე. უცებ მამაკაცის ხმა გავიგე: „აქაური ხართ?“

მოვტრიალდი და თეთრთმიანი, თეთრწვერა, სიმპატიური მამაკაცი დავინახე, რომელიც სწავლულ კაცს ჰგავდა და მე მომმართავდა. „არა, არ ვარ. უბრალოდ გავიგე ამ ყავის მაღაზიის შესახებ“, – ჩავიბუტბუტე. ვცდილობ კოფეინის მიღებამდე საუბრებს თავი ავარიდო.

„მე ახლახანს გადმოვედი აქ,– სიხარულით მაუწყა.

ახლა ხელში ჩემი ნაკლებქაფიანი კაპუჩინო მეჭირა და მიხაკისა და შაქრის აღებას ვცდილობდი.

„საიდან ხართ?“ – მკითხა.

„კოლორადოდან ვარ“, – ვუპასუხე და თან მოლოდინით ჩავჩერებოდი ჩემს სასმელს.

„აქ რამ მოგიყვანათ?“

„ქალთა კონფერენციაზე გამოვდივარ, სადაც რამდენიმე ათასი ქალბატონი იღებს მონაწილეობას“ – შემდეგ დეტალურად მოვუყევი, როგორ დაიწყეს ეს ღონისძიება ამ საზოგადოებაში.

„რატომ არ ვწერთ ამის შესახებ?“

დამაბნია მისმა შემოთავაზებამ მასშტაბების შესახებ და ვკითხე: „არ ვიცი. და თქვენ ვინ ხართ?“

„მე ახალი მთავარი რედაქტორი ვარ ადგილობრივ გაზეთში. არ შემომიერთდებით? გთხოვთ დაბრძანდით!“

პანიკის მომენტი დადგა. ჩემგან ინტერვიუ მანამდე უნდა აეღოთ, სანამ კოფეინი ჩემს სისხლძარღვებს მოივლიდა? ღრმად ამოვისუნთქე. მის თვალებში სიკეთე ჩანდა, ამიტომაც დავჯექი. ყავა მოვწრუპე, სანამ ის კითხვებს დამაყრიდა.

„რა სახის კონფერენციაა? სად არის ეს კონფერენცია?“

მკაფიო შთაბეჭდილება მქონდა, რომ რაღაცას ეძებდა ჩემს სიტყვებში.

ავუხსენი, რომ კონფერენციის თემა ერთ-ერთი ჩემი წიგნი (ძუ-ლომის გამოჩენა) იყო და მსახურად ვიყავი მოწვეული. ბარისტას ვკითხეთ, ვინც ეკლესიის ზუსტი მისამართი იცოდა.

„კატაკომბების ამოთხრის შესახებ სტატია თუ წაიკითხეთ?“

დავარწმუნე, რომ არ მქონდა წაკითხული.

ჩემმა ახალმა მეგობარმა ამიხსნა, რომ რომში კატაკომბების გათხრისას, აღმოაჩინეს ფრესკები, რომლებიც პირველი ეკლესიის ცხოვრებას ასახავდა. მე ვუსმენდი და ვწრუპავდი. ზოგიერთ ფრესკაზე გამოსახული იყო ქალი, მათ შორის პრისკილა, რომელიც კაცებთან ერთად მსახურობდა.[2] მე თავი დავუქნიე იმით ნასიამოვნებმა, რაც გამიზიარა. შემდეგ უცებ რაღაც შეიცვალა. ის უკან გადაიხარა, შემომხედა, როცა ლატეს დავტრიალებდი თავს და თითი ჩემკენ გამოიშვირა. „შენ ერთ-ერთი ასეთი ქალი ხარ!“ - განაცხადა.

როგორღაც მისი სიტყვები ტყვიასავით აღმოჩნდა ჩემი მძინარე მკერდისთვის და ჩემი არსებობის სიღრმე აირეკლა. უცებ მთლიანად გამოვფხიზლდი. დარწმუნებული არ ვარ, რომ მიხვდა, რა შედეგი გამოიწვია მისმა სიტყვებმა ჩემში. სანამ გავაცნობიერებდი რას ვაკეთებდი, ერთმანეთს საკონტაქტო ინფორმაციას ვუცვლიდით და ის სტატიას მიწვდიდა.

„ჩემო მეგობარო, ღმერთი იმ ქვების გადაგორების პროცესშია, რომლებმაც შენი აღდგომა შეაფერხა“.

მან მომიბოდიშა: „მე ვერ მოვალ დღეს, მაგრამ რეპორტიორს გამოვაგზავნი თქვენი მსახურების აღსაწერად და დილას იქნება“.

ჩემი შემდეგი ლატე ავიღე და ისევ დავჯექი. ვუსმენდი როგორ მიზიარებდა რაღაც ნაწყვეტებს მისი ოჯახის ისტორიიდან. მეც გავუზიარე ცოტა ჩემზე. დიდი ხნის წინ უნდა დავბრუნებულიყავი სატუმროში,

რათა კონფერენციისთვის მოვმზადებულიყავი. როცა უკან ვბუნდებოდი, *უბრალოდ მიკვირდა, რა მოხდა?*

მოგვიანებით, მივხვდი, რომ რაც მან მე მითხრა, მარტო ჩემთვის არ ყოფილა. ღმერთს სურდა ეს განეცხადებინა ქალების თაობისთვის, რომლებიც დაიმარხნენ ცხოვრების მიწისქვეშა პალატების ლაბირინთებში.

ჩემო მეგობარო, ღმერთი იმ ქვების გადაგორების პროცესშია, რომლებმაც შენი აღდგომა შეაფერხა. ის წმენდს ყორეს და ნანგრევებს. და ყველა იმ გატეხილ ნაწილს რომელიც გაფლანგული ან დაკარგული გეგონა? თავი აწიე, საყავრელო, და შეხედე; მან ისინი შენი ცხოვრების მოზაიკის შესაქმნელად გამოიყენა. იმდენად დაკავებული იყავი არეულობის ყურებით, რომ ვერც კი შენიშნე, როგორ ააწყო მან ბანერი შენს ცხოვრებაზე. „შენ ერთ-ერთი ასეთი ქალი ხარ!“

> „და ვის მიმამსგავსებთ, რომ გავეტოლო?“ - ამბობს წმიდა. მაღლა აღაპყარით თვალნი და შეხედეთ: ვინ შექმნა ესენი? მან, ვისაც თვლით გამოჰყავს თავისი ლაშქარი, ყველას თავ-თავის სახელს უწოდებს, *არავინ დააკლდება მისი ძალის ძლიერების გამო“.* (ეს. 40:25-26)

არაფერია დაკარგული, არაფერია გაფლანგული, ერთი ნაწილიც კი არ აკლია. მტვრის, ჭუჭყის და დამტვრეული ქვების უამრავი ფენის ქვეშ დამარხულია ჩვენი ამბის კიდევ ერთი გვერდი.

როცა ეს სტატია თავად წავიკითხე, დავინახე სუდარაში გახვეული ქალის მოზაიკა, რომელსაც ხელები დალოცვის და მიღების ნიშნად გაშლილი ჰქონდა.

ერთი წუთით დაივიწყეთ საფლავის მთხრელნი. გვერდზე გადადეთ ფიქრი ყველა იმ ადამიანზე, ვინც სიბინძურეში, ნამტვრევებში და ქვა-ღორღში თქვენს ცოცხლად დამარხვას ცდილობდა. მოტრიალდი მათგან და იკითხე: „რისი დამარხვა სურდათ შენს მტრებს შენს ცხოვრებაში?“

მარცვალი, შეიძლება, იმედის, ოცნების, ლოცვის, დაპირების, ან ცრემლების ფორმითაც კი იყოს. შეიძლება მარცვალი შენს თვალთახედვაში არ იყოს, მაგრამ ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ ის ღვთის გონებაში არ არის.

რასაც ვთესავთ, არ გაცოცხლდება თუ არ მოკვდა (1კორ. 15:36). სიძნელეები ჩვენ გვემსახურება, ისინი გვამზადებენ.

უამრავჯერ და უამრავი გზით, ღვთის ასულების ისტორიები იმარხებოდა ისევე როგორც ქრისტეს ლამაზი საპატარძლო

ტალახიანდებოდა. ამის მიუხედავად, გახსოვდეს ძვირფასო, ყველაფერი, რაც დამალულია, ერთ დღეს გამოვლინდება. ისევე როგორც კატაკომბების გათხრა, საპატარძლოს ამბავიც კვლავ იხილავს სინათლეს.

ჩვენ ეს ქალები ვართ.

ჩვენ მისი საპატარძლო ვართ.

მისი ბრილიანტები.

მისი ფასდაუდებელი საგანძური.

ის ჩვენი ანდამატია, ჩვენი ღუზა, ჩვენი ჭეშმარიტება.

ის არის კლდე, რომელიც უდაბურების ჟამს მოგვყვება თითოეულ ჩვენგანს.

აამაღლე შენი ცხოვრება და პატივი მიაგე ქვას, რომლისგანაც ხარ გამოთლილი. იცხოვრე უდრეკი, ურყევი, დაუძლეველი, მოუდრეკელი ქვაკუთხედით გაოცებულმა, რომელიც ისწრაფვის, რომ მისი მოსიყვარულე ერთგულებით განგაცვიფროს. იყავი ჭეშმარიტი მისთვის მოსაზრებების სამყაროში, რადგან შენ მარადიული სამეფოსთვის ხარ არჩეული!

დანართი 1

ბიბლიის დამატებითი პასაჟები მე-6 თავისთვის

„არ გაიკეთო კერპები და არც რაიმე ხატი იმისა, რაც მაღლა ცაშია, რაც დაბლა მიწაზეა და რაც წყალშია, მიწის ქვემოთ. თაყვანი არ სცე მათ და არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ეჭვიანი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეებს მესამე და მეოთხე თაობაში. და წყალობის მყოფელი ათასობით თაობისათვის, ჩემს მოყვარულთა და ჩემი მცნებების დამცველთათვის“. (გამ. 20:4-6)

„უკუაგდებთ ჩემს წესებს და მოიძულებთ ჩემს სამართალს, რომ არ აღასრულოთ ყოველი ჩემი მცნება და დაარღვიოთ ჩემი აღთქმა. მაშინ მეც ასე მოგექცევით; დაგატეხთ საშინელებას, ჭლექსა და ციებ-ცხელებას, რომლებიც თვალებს დაგივსებენ და სულს გაგიმწარებენ; ამაოდ დათესავთ თესლს, თქვენი მტრები შეგიჭამენ. სახეს მოვაქცევ თქვენს წინააღმდეგ, განიგმირებით თქვენი მტრების წინაშე და თქვენი მოძულენი იბატონებენ თქვენზე; გაიქცევით, თუმცა მდევარი არ გეყოლებათ“. (ლევ. 26:15-17)

„გამოეგება მხილველი იეჰუ ხანანის ძე და უთხრა მეფე იოშაფატს: “განა შეიძლება ბოროტი კაცისთვის დახმარების გაწევა და უფლის მოძულის სიყვარული? ამის გამო უფლის რისხვა დაგატყდება. თუმცა კეთილი საქმეებიც გიკეთებია, რადგან მოსპე აშერის კერპები ქვეყნიდან და გული ღვთის საძიებლად მოიმზადე“. (2 ნეშტ. 19:2-3)

„რადგან არა ხარ სიავის მოყვარული ღმერთი,
ბოროტება ვერ დაისადგურებს შენთან.

ვერ დადგებიან ქედმაღალნი შენ წინაშე და გძულს ყველა ჩამდენი უსამართლობისა.
შენ დაღუპავ სიცრუის მთქმელს; სისხლისმსმელი და მაოხრებელი სძაგს უფალს.
მე კი შენი უხვი წყალობის გამო შემოვალ შენს სახლში, მოწიწებით გცემ თაყვანს შენს წმიდა ტაძარში“. (ფსალ. 5:4-7)
„დიდია ღირსება მისი, რადგან შენგანაა მისი ხსნა. შენ შეამკე პატივითა და დიდებით.
რადგან სამუდამო კურთხევა დაუდგინე, შენ წინაშე ყოფნით გაახარე.
ვინაიდან უფალზეა მინდობილი მეფე და არ შეირყევა უზენაესის წყალობით.
მისწვდება შენი ხელი ყველა შენს მტერს და მარჯვენა - შენს მოძულეებს“. (ფს. 20:5-8)
„შეიძულეთ ბოროტება, უფლის მოყვარულნო; ის იცავს მის წმიდათა სიცოცხლეს, ბოროტთა ხელიდან
იხსნის მათ.
სიმართლემ გამოანათა მართალთათვის და გულით წრფელთათვის - მხიარულებამ.
იხარეთ მართალნო უფლით და მადლობა შესწირეთ მის წმიდა სახელს“. (ფსალ. 96:10-12)
„ყოველგვარ ბოროტ გზას მოვარიდე ფეხი, რათა დავიცვა შენი სიტყვა.
შენი სამართლისგან არ გადამიხვევია, რადგან თვითონ შენ მასწავლიდი.
რარიგ ტკბილია ჩემი სასისთვის შენი სიტყვები, თაფლზე ტკბილია ჩემი პირისთვის.
შენი წესებიდან ვღებულობ გონიერებას, ამიტომ მოვიძულე სიცრუის ყოველი გზა“. (ფსალ. 118:101-104)
„ისე მახარებს შენი სიტყვა, როგორც დიდი ნადავლის პოვნა.
მძულს და მძაგს სიცრუე, შენი რჯული კი მიყვარს“. (ფსალ. 118:162-163)
„მზაკვრულად ლაპარაკობენ შენზე - ფუჭად ახსენებენ შენს სახელს შენი მტრები!
უფალო, ნუთუ არ მოვიძულო შენი მოძულენი და არ ვედავო შენს მოწინააღმდეგეთ?!
სრული სიძულვილით მოვიძულე ისნი; შენი მტრები ჩემს მტრებად მივიჩნიე“. (ფსალ. 138:20-22)
„უბიწო გზით მავალს სიმართლე იცავს, ცოდვილს კი ბოროტება ღუპავს“. (იგ. 13:6)

„ვინც ჩემთან არ არის, ჩემი წინააღმდეგია; და ვინც ჩემთან არ აგროვებს, ის ფანტავს“.
(მათ. 12:30)

„ხოლო თქვენ, ვინც მისმენთ, გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს“. (ლუკ. 6:27)

„დიდძალი ხალხი მოჰყვებოდა უკან. მიუბრუნდა და უთხრა: “თუ ვინმე მოდის ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ თავსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე“. (ლუკ. 14:25-26)

„ასევე, ვერც ერთი თქვენგანი ვერ შეძლებს ჩემს მოწაფედ ყოფნას, თუ უარს არ იტყვის ყველაფერზე, რაც გააჩნია“. (ლუკ. 14:33)

„ყოველივე ეს ფარისევლებსაც ესმოდათ, რომლებიც ვერცხლის მოყვარულნი იყვნენ, და სასაცილოდ იგდებდნენ მას. უთხრა მათ: „თქვენ თავს იმართლებთ ადამიანთა წინაშე, მაგრამ ღმერთმა იცის თქვენი გული, რადგან, რაც ამაღლებულია კაცთა შორის, სიბილწეა ღმერთის წინაშე. რჯული და წინასწარმეტყველნი იოანემდე იყო; ხოლო მას მერე ღმერთის სამეფო იქადაგება და ყველანი ძალისხმევით შედიან მასში. უფრო ადვილია ცისა და მიწის გარდასვლა, ვიდრე თუნდაც ერთი წერტილი ამოვარდეს რჯულიდან“. (ლუკ. 16:14-17)

„ამაზე იესომ უთხრა მათ: „ჩემი ჟამი ჯერ არ მოსულა, თქვენი დრო კი ყოველთვის არის. წუთისოფელს არ შეუძლია თქვენი შეძულება, მე კი ვძულვარ, რადგან ვამოწმებ, რომ ბოროტია მისი საქმენი“. (იოან. 7:6-7)

დანართი 2

გაკვეთილები იგავებიდან და ეკლესიასტედან

იყავი მსწავლელი და არა ყბედი

„გულბრძენი მცნებებს მიიღებს, ხოლო ბაგეუგუნური დაეცემა“. (იგავ. (10:8)

სიტყვებს შეუძლიათ, განაახლონ და აღადგინონ ან დამალონ მისი მოქმედება

„მართლის პირი სიცოცხლის წყაროა, ბოროტეულთა პირს კი ძალადობა დაფარავს“. (იგავ. 10:11)

„გახსენი პირი დამუნჯებულისთვის და ყოველი განწირულის დასაცავად“. (იგავ. 31:8)

„გახსნენი პირი, განსაჯე სამართლიანად და დაიცავი გლახაკთა და გაჭირვებულთა უფლებები“. (იგავ. 31:9)

„სიბრძნით ხსნის პირს და კეთილი დარიგებაა მის ენაზე“. (იგავ. 26:31)

სიძულვილი აბინძურებს ჭურჭელს, სიყვარული კი სახურავს აფარებს მას

„სიძულვილი განხეთქილებას აღვივებს, სიყვარული კი ყველა დანაშაულს ფარავს“. (იგავ. 10:12)
„თავქარიანები ცეცხლს უკიდებენ ქალაქს, ბრძენნი კი უქუაქცევენ რისხვას“. (იგავ. 29:8)

„არიან, რომელთა კბილებიც მახვილებია და ყბები-
დანები, რათა გადაჭიმონ ქვეყნის ჩაგრულნი და კაცთა
შორის უქონელნი“. (იგავ. 30:14)

სულელისთვის ბაგე პრობლემების მომტანი იქნება

„ბოროტისა და კეთილის განმასხვავებლის ბაგეებში
სიბრძნე იპოვება, უგუნურის ზურგზე კი — ჯოხი“.
(იგავ. 10:13)

„ბრძენნი ცოდნას აგროვებენ, სულელის პირი კი
დაღუპვასთანაა ახლოს“. (იგავ. 10:14)

„სიძულვილის დამმალავს ცრუ ბაგეები აქვს; ჭორის
გამავრცელებელი ბრიყვია“. (იგავ. 10:18)

„ბრძენი კაცის პირიდან გამოსული სიტყვები მადლიანია,
ბრიყვს კი მისსივე ბაგეები შთანთქავს“. (ეკლ. 10:12)

„დასაწყისში - სიბრიყვეა მისი ბაგის სიტყვები, მისი
საუბრის ბოლო კი - ავი სიგიჟე“.(იგავ. 10:13)

„მრავალსიტყვიანობს ბრიყვი, თუმცა კაცმა არ იცის
რა მოხდება და ვინ ეტყვის მას რა იქნება მის შემდეგ?“
(ეკლ. 10:14)

ნუ მისცემ მას შენი განაწყენების საშუალებას

„უგუნური მყისვე ავლენს თავის გაბრაზებას, გონიერი კი
არ იმჩნევს წყენას“. (იგავ. 12:16)

„ჭეშმარიტების მოლაპარაკე სიმართლეს ამბობს,
ცრუმოწმე კი — სიცრუეს“.
(იგავ. 12:17)

„ზოგი ისე ლაპარაკობს, თითქოს მახვილით ჩხვლეტდეს,
ბრძენის ენა კი კურნებაა“.
(იგავ. 12:18)

ჭეშმარიტება ყოველთვს ტყუილზე მეტხანს გაძლებს

„ზოგი ისე ლაპარაკობს, თითქოს მახვილით ჩხვლეტდეს,

ბრძენის ენა კი კურნებაა“.
(იგავ. 12:18)

„ჭეშმარიტებით სავსე ბაგენი სამარადისოდ დაფუძნდებიან, ცრუ ენა კი წამიერია“. (იგავ. 12:19)

„უკეთური მაცნე ჭირში ვარდება, ერთგულ დესპანს კი კურნება მოაქვს“.
(იგავ. 13:17)

„გულუბრყვილოს ყველა სიტყვისა სჯერა, გონიერი კი აკვირდება თავის ნაბიჯებს. ბრძენი შიშობს და ერიდება ბოროტებას, ბრიყვი კი თავგასული და თავდაჯერებულია. გულფიცხი უგუნურად მოქმედებს, ავისმზრახველი კაცი შეძულებულია“. (იგავ. 14:15-17)

„ტკბილი პასუხი მიაქცევს გულისწყრომას, შეურაცხმყოფელი სიტყვა კი რისხვას ანთებს“. (იგავ. 15:1)

„ბრძენთა ენა ცოდნას მიმზიდველს ხდის, ბრიყვთა პირი კი სისულელეს აფრქვევს“. (იგავ. 15:2)

„მშვიდი ენა სიცოხლის ხეა, მზაკვრული კი სულს მუსრავს“. (იგავ. 15:4)

„უგუნურს მჭევრმეტყველება არ უხდება, მითუმეტეს წარჩინებულს - ცრუ ბაგენი“. (იგავ. 17:7)

„დანაშაულის დამვიწყებელი სიყვარულს ეძებს, ხოლო დანაშაულის შემხსენებელი ახლობლებს აშორებს“. (იგავ. 17:9)

„მდუმარე ბრიყვიც კი ბრძნად ჩაითვლება, ხოლო პირმოკუმული — გონიერად“. (იგავ. 17:28)

„ბრიყვს გონიერება კი არ ეამება, არამედ მხოლოდ თავისი აზრის — გამხელა“. (იგავ. 18:2)

„კაცის პირის სიტყვები ღრმა წყლებია, სიბრძნის წყარო - მოჩუხჩუხე ნაკადული“.
(იგავ. 18:4)

„ბრიყვის ბაგეები დავას იწვევს და მისი პირი დასარტყმელად მოუწოდებს“. (იგავ. 18:6)

„ბრიყვს თავისი პირი ღუპავს, მისი ბაგეები მისსივე სულის მახეა“. (იგავ. 18:7)

„ჭორის გამავრცელებლის სიტყვები ნუგბარივითაა, მუცლის სიღრმემდე აღწევენ“. (იგავ. 18:8)

„მოსმენამდე პასუხის გაცემა სიბრიყვეა და სირცხვილი“. (იგავ. 18:13)

„დავისგან თავშეკავება კაცის ღირსებაა, ყველა ბრიყვი კი შფოთის ამტეხია“. (იგავ. 20:3)

„დაიარება ცილიმწამებელი და საიდუმლოს ამხელს; ჭორიკანას ნუ დაუახლოვდები“. (იგავ. 20:19)

„დედ-მამის მაწყევარს უკუნეთ სიბნელეში ჩაუქრება ლამპარი“. (იგავ. 20:20)

„ნუ იტყვი: მივაგებო ბოროტის სანაცვლოდ; უფალს დაელოდე და ის გიხსნის“. (იგავ. 20:22)

„ვინც თავის ბაგესა და ენას უფრთხილდება უბედურებისგან იცავს თავის თავს“. (იგავ. 21:23)

„გააგდე დამცინავი და დავაც თან გაჰყვება, ჩხუბსაც და დავიდარაბასაც ბოლო მოეღება“. (იგავ. 22:10)
„ნურც იმას იტყვი: როგორც მომექცა, ისევე მოვექცევი, თავისი ქცევისამებრ მივუზღავო“. (იგავ. 24:29)

იცოდე შენი აუდიტორია!

„ბრიყვის გასაგონად ნუ ილაპარაკებ, რადგან აბუჩად აიგდებს შენს გონივრულ სიტყვებს“. (იგავ. 23:9)

სულელი არ ღირს შენს დროდ და ყურადღებად

„ბრიყვს მისი სიბრიყვისამებრ ნუ უპასუხებ, რათა არ დაემსგავსო მას. ბრიყვს მისი სიბრიყვისამებრ უპასუხე,

თორემ თავი ბრძენი ეგონა“. (იგავ. 26:4-5)

„უგუნურ კაცთან მოდავე ბრძენს, ბრაზობს თუ იცინის, არ აქვს მოსვენება“. (იგავ. 29:9)

თუ სიტუაციაში ჩართული არ ხარ, ნუ ჩაერთვები!

„გინდა ძაღლი ყურებით დაუჭერია კაცს და გინდა იმ ჩხუბში ჩარეულა, მას რომ არ ეხება“. (იგავ. 26:17)

ჭორი დაგწვავს და მოგშლის

„შეშის გარეშე ცეცხლი ჩაქრება, ჭორიკანას გარეშე დავა ჩაცხრება. როგორც ნახშირი ნაკვერჩხლისთვის და შეშა ცეცხლისთვის, ისეა შარიანი კაცი ჩხუბის გაჩაღებისთვის. ნუგბარივით გემრიელია ჭორიკანას სიტყვები, შიგნეულობამდე აღწევს. გაცეცხლებული ბაგეები და ბოროტი გული ისეა, როგორც წიდიანი ვერცხლით დაფარული თიხა“. (იგავ. 26:20-23)

„მატყუარა ენას სძულს თავის მიერ შემუსვრილნი; მლიქვნელი პირი დამანგრეველია“. (იგავ. 26:28)

ნუ დაიკვეხნი!

„სხვამ გაქოს და არა შენმა პირმა, უცხომ და არა შენმა ბაგეებმა“. (იგავ. 27:2)

„ბრძმედი ვერცხლისთვისაა, ღუმელი – ოქროსთვის, კაცი კი ქებით გამოიცდება“. (იგავ. 27:21)

„ბრიყვი მთელ თავის შინაგანს გადმოღვრის, ბრძენი კი — თავშეკავებულია“. (იგავ. 29:11)

„თუ ბრიყვულად მოიქეცი და თავი აღიმაღლე ან ბოროტება განიზრახე - ხელი მიიფარე პირზე!“ (იგავ. 30:32)

შენიშვნები

თავი 1: ანდამატი

1. N. T. Wright, *Matthew for Everyone,* Part *2: Chapters* 16–28 (London: Society for Promoting Christian Knowledge, 2004), 80.
2. Anthony C. Thiselton, The First Epistle to the Corinthians: *A Commentary on the Greek Text,* New International Greek Testament Commentary (Grand Rapids: Eerdmans, 2000).
3. Matthew G. Easton, *Easton's Bible Dictionary,* 1893.
4. John Muir, *My First Summer in the Sierra* (New York: Houghton Mifflin, 1911), 20.

თავი 2: ანდამატივით პირადი

1. Babylonian Talmud, Chagigah 15.1: And the Spirit of God **hovered [merachefet:** from the Hebrew root "rachaf" (in the **feminine form**)] over the face of the water—like a dove which hovers over **her young** without touching.
2. C. S. Lewis, *Prince Caspian* (New York: HarperCollins 1951), 233.

თავი 4: ანდამატივით სიყვარულში

1. 2 Corinthians, The Passion Translation (Racine, WI: BroadStreet Publishing, 2017).
2. Composition/Song Title: Reckless Love. Written by Cory Asbury, Caleb Culver, and Ran Jackson © 2017 Bethel Music Publishing (ASCAP) / Watershed Publishing Group (ASCAP) (adm. by Watershed Music Group) / Richmond Park Publishing (BMI). All Rights Reserved. Used by Permission.

თავი 5: ანდამატივით რაც ჩვენ გვიყვარს

1. C. S. Lewis, *Mere Christianity* (New York: HarperCollins, 1952), 132.

თავი 6: ანდამატივით სიძულვილში

1. Lewis, Mere Christianity, 112.
2. Gene Veith, "Sex as Sacrament, Abortion as Religious Ritual," *Cranach: The Blog of Veith,* June 24, 2016, http://www.patheos.com/blogs/geneveith/2016/06 /sex-as-sacrament-abortion-as-religious-ritual/.
3. Charles H. Spurgeon, *The Complete* Works of C. H. *Spurgeon,* Vol. 44: *Sermons* 2459–2602 (Delmarva Publications, 2013).
4. "Study Finds That 1 Out of 3 Women Watch Porn at Least Once a Week," *New York Times,* October 22, 2015.
5. Alexis Kleinman, "Porn Sites Get More Visitors Each Month Than Netflix, Amazon, and Twitter Combined," *Huffington Post,* May 3, 2013, http://www .huffingtonpost.com/2013/05/03/internet-porn-stats_n_3187682.html.
6. "How Many People Are Watching Porn Right Now? (Hint: It's A Lot.)," Fight the New Drug, September 11, 2017, http://fightthenewdrug.org/by-the-num bers-see-how-many-people-are-watching-porn-today/.
7. Charles H. Spurgeon, *The Complete Works of C. H. Spurgeon, Vol. 60: Sermons 3387–3349* (Delmarva Publications, 2013).
8. https://www.leadershipresources.org/blog/the-best-charles-spurgeon-quotes/.
9. "Charles H. Spurgeon on Discernment" *Apologetics* 315, www.apologetics 315.com, Feb 3, 2013.

თავი 8: ანდამატივით სიტყვაში

1. Shaena Montanari, "Plastic Garbage Patch Bigger than Mexico Found in Pacific," *National Geographic,* July 25, 2017, http://news.nationalgeographic .com/2017/07/ocean-plastic-patch-south-pacific-spd.
2. Leonardo da Vinci, Notebooks (Oxford: Oxford University Press, 1952), 23.

თავი 9: ანდამატურად ტრანსფორმაცია

1. Preston Sprinkle, *People to Be Loved* (Grand Rapids: Zondervan, 2015), 88.
2. C. S. Lewis, *Surprised by Joy: The Shape of My Early Life* (Orlando: Harcourt Brace & Company, 1955), 221.

3. Tom Carter, compiler. *Spurgeon at His Best: Over 2200 Striking Quotations from the World's Most Exhaustive and Widely Read Sermon Series* (Grand Rapids: Baker Books, 1988), 160.

თავი 10: ანდამატივით სიწმიდეში

1. Sinclair Ferguson, *A Heart for God* (Carlisle, PA: Banner of Truth, 1987), 82.
2. N. T. Wright, *Paul for Everyone*: *Galatians and Thessalonians* (London: Society for Promoting Christian Knowledge, 2004), 117–18.
3. Carter, compiler. *Spurgeon at His Best,* 100.
4. Kevin M. Watson, "Forgiveness and (Not Or) Holiness," *Vital Piety* (blog), August 26, 2013, https://vitalpiety.com/2013/08/26/forgiveness-and-not-or-holi ness/.
5. N. T. *Wright, Paul for Everyone:* The Prison Letters: Ephesians, Philippians, Colossians, and Philemon (London: Society for Promoting Christian Knowledge, 2004), 53.
6. Wright, Paul for Everyone: *Galatians and Thessalonians,* 118–19.

თავი 11: მე ანდამატი ვარ

1. Charles H. Spurgeon, *Treasury of David Vol. 3* (New York: Funk & Wagnalls, 1886), 278.
2. Ellie Zolfagharifard, "Vatican Unveils Frescoes Hinting That Women Held Power in the Early Church," *Daily Mail,* November 20, 2013.

ლიზა ბევირი წლების განმავლობაში ეხმარებოდა სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს, ეპოვათ თავიანთი იდენტობა და მიზანი. ის არის *New York Times*- ის ბესტსელერების ავტორი და მთელ მსოფლიოში ცნობილი სპიკერი. მის წინა წიგნებს, მათ შორის: *„კონკურენციის გარეშე“, „გოგონები ხმლებით“, „ძუ ლომის გამოღვიძება“* და *„იბრძოლე, როგორც ქალმა“* – ათასობით ადამიანი კითხულობს მთელ მსოფლიოში. ლიზა და მისი ქმარი - ჯონი, არიან Messenger International-ის დამაარსებლები. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ქრისტეს მიმდევრებს, განვითარდნენ უკომპრომისოები და გარდაქმნან მათი მსოფლიო.

კონკურენციის
გარეშე

მიიღეთ თქვენი იდენტობა და მიზანი
არეულობისა და შეჯიბრების ეპოქაში!

არსებობს გარკვეული მიზეზი, რის გამოც სხვა ადამიანებს მოწინააღმდეგეებად აღვიქვამთ და საკუთარ თავს საზღვრებს ვუწესებთ მათთან შედარებისა და კონკურენციის სფეროებში. მტერი გვყავს, რომელიც ჩვენს გონებას, ნებასა და ემოციებს თავს ესხმის იმ იმედით, რომ საკუთარ თავს და ერთმანეთს დავუწყებთ ბრძოლას. ეს ის წრეა, რომელიც ახლო ურთიერთობებს გვაშორებს, ჩვენს შინაგან პიროვნებაში არეულობას იწვევს და დასახულ მიზანს ფარგლებს უწესებს.

ბესტსელერების ავტორი ლიზა ბევირი წიგნში *„კონკურენციის გარეშე“*, გაგიზიარებთ გამოცხადებას ღვთის სიყვარულის შესახებ, რომელიც ამ საზღვრებს ანგრევს. თქვენ შეწყვეტთ სხვა ადამიანების კონკურენტებად აღქმას და ღრმა ურთიერთობას დაამყარებთ თქვენს შემოქმედთან, რასაც დიდხანს ელოდით. ეს ის კავშირი იქნება, რომელიც ჭეშმარიტი იდენტობის გაცნობიერებისა და სიახლოვის აღთქმას იძლევა. ლიზა იუმორითა და ენთუზიაზმით გადმოგცემთ ბიბლიურ ჯანსაღ მოძღვრებას, რომელიც შევსებული იქნება ჩვენი დროისთვის საჭირო წინასწარმეტყველური ხედვით.

დროა, წინ გადადგათ ნაბიჯი და იცხოვროთ კონკურენციის გარეშე!

მრავალ ენაზე არსებული დამატებითი სასწავლო
რესურსებისთვის ეწვიეთ შემდეგ გვერდს:

CloudLibrary.org CLOUD LIBRARY

გოგონები ხმლებით

როგორ ატარო ჯვარი, როგორც გმირმა

თუკი ოდესმე ყოფილა დრო ქალებისთვის, რომ შეიარაღებულიყვნენ, ეს ახლაა. მთელ მსოფლიოში, ქალები არიან სტერეოტიპების, სექსუალური ტრეფიკინგის, დამცირების და გენდერული უთანასწორობის მსხვერპლნი. ლიზა ბევირი წერს, რომ ეს თავდასხმები იმაზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, თუ ვინ უნდა იყვნენ ქალები მომავალში, ვიდრე იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი წარსულში. წიგნში *„გოგონები ხმლებით“,* ის გვიხსნის, რომ მტერი ცდილობს განაიარაღოს ქალები ყველა დონეზე. დროა, ქალები გახდნენ ის გმირები, როგორებადაც ღმერთმა შექმნა და იყვნენ: მამაცები, შორსმჭვრეტელები, მპატიებლები და ბრძნენები.

მრავალ ენაზე არსებული დამატებითი სასწავლო
რესურსებისთვის ეწვიეთ შემდეგ გვერდს:

CloudLibrary.org CLOUD LIBRARY

Messenger International
ცალკეული ადამიანების, ოჯახების, ეკლესიებისა და ერების დასახმარებლად არსებობს, რომ მათ ღვთის სიტყვის გარდამქმნელი ძალის გაცნობიერება და ცხოვრებაში გამოყენება შეძლონ.

ამგვარი გააზრება ძალით აღვსილ ცხოვრებას, გარდაქმნილ საზოგადოებებსა და მთელი მსოფლიოს წამლეკავ უსამართლობაზე დინამიურ პასუხს მოიტანს.

Cloud Library გახლავთ ონლაინ პლატფორმა, რომელიც მთელი მსოფლიოს პასტორებსა და წინამძღოლებს უფასო ციფრულ რესურსებთან მშობლიურ ენაზე წვდომის საშუალებას აძლევს.

მიმართეთ CloudLibrary.org-ს უფრო მეტი ჩამოსატვირთი რესურსებისთვის ჯონ და ლიზა ბევირებისგან 90-ზე მეტ ენაზე!

ელექტრონული წიგნები, ვიდეო და აუდიო სწავლებები, აუდიო წიგნები, ბიბლიები ...

CLOUD LIBRARY

გსურთ უფრო მეტი? დაასკანერეთ აქ:

CLOUD LIBRARY

ძუ ლომის გამოღვიძება

გაიღვიძე და შეცვალე შენი სამყარო!



წიგნში „ძუ ლომის გამოღვიძება“ ლიზა გვთავაზობს ძუ ლომის ცხოვრებას და ბიბლიურ ხატს, როგორც მძვინვარე და სათუთ მოდელს ქალებისთვის. შენ გამოგიწვევენ აღმოაჩინო ახალი ვნება, სიმამაცე და მიზანი.

- გახდი სიძლიერის განსაცვიფრებელი გამოხატულება
- დაიცავი ახალგაზრდა და დადუმებული
- აღამაღლე გაერთიანებული ღრიალი, რომელიც ყველაფერს ცვლის

ჯონ და ლიზა ბევერების სხვა რესურსები, და სხვა სწავლების

www.CloudLibrary.org

შესაძლებელია დამატებითი რესურსების ნახვა და ჩამოტვირთვა მრავალ ენაზე ვებგვერდიდან Youtube.com & Yuku.com, ასევე სხვა ანალოგიურ გვერდებზე...

„მნიშვნელოვანი, დამაფიქრებელი, მამხილებელი ლიზა ბევირი
დაუცხრომელია თავის რწმენაში: იდგეს ჭეშმარიტებაზე და ჭეშმარიტებისათვის“.

-ლუი და შელი გიგლიოები, Passion Conferences დამაარსებლები

რა არის ჭეშმარიტება?

ეს ჩვენი დროის განმსაზღვრელ კითხვად იქცა. მაგრამ, მაშინ როცა ყველას თავისი მოსაზრება აქვს, ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, უფრო და უფრო რთული საპოვნელია. იქნებ იმიტომ, რომ რაღაცას ვეძებთ, მაშინ როცა ვიღაცას უნდა ვეძებდეთ.

ჭეშმარიტებას სახელი აქვს

უფრო ძველი, ვიდრე დრო და უფრო ახალი, ვიდრე ეს მომენტი, ჭეშმარიტება არ არის მდინარე, რომელიც კულტურული დინებებით იცვლება, არამედ კლდე – ურყევი, დაუძლეველი, უდრეკი და ქვაკუთხედი იმის, ვინც ვართ და როგორადაც ყოფნაზეც ვოცნებობთ.

თეოლოგიურად ღრმა, თუმცა ახლოს მისაწვდომი „ანდამატი“ იქნება ღუზა შენი სულისთვის მოსაზრებების ძლიერ ზღვაში, რომელიც ქვეყნიერებაზე ზუსტ მიმართულებას მოგცემს.

ლიზა ბევირი წლების განმავლობაში ეხმარებოდა სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს, ეპოვათ თავიანთი იდენტობა და მიზანი. ის არის New York Times- ის ბესტსელერების ავტორი და მთელ მსოფლიოში ცნობილი სპიკერი. მის წინა წიგნებს, მათ შორის: „კონკურენციის გარეშე“, „გოგონები ხმლებით“, „ძუ ლომის გამოღვიძება“ და „იბრძოლე, როგორც ქალმა“, ათასობით ადამიანი კითხულობს მთელ მსოფლიოში. ლიზა და მისი ქმარი - ჯონი, არიან Messenger International-ის დამაარსებლები.
ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ქრისტეს მიმდევრებს, განვითარდნენ უკომპრომისოები და გარდაქმნან თავიანთი სამყარო.

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

ეს წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი? დაასკანირე.
CLOUD LIBRARY